ქართველოლოგი

THE KARTVELOLOGIST

Journal of Georgian Studies

27 (12)

PUBLISHED ANNUALLY BY
THE CENTRE FOR KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY

2018

In a broad sense Kartvelology embraces the study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, and source study.

"The Kartvelologist" is a bilingual (Georgian and English) academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularisation of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

"The Kartvelologist" is issued both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" (TSU), financially supported by the "Fund for Kartvelian Studies". In 2011-2013 the journal was financed by the Shota Rustaveli National Science Foundation.

The Editorial Board: Foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizes in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Bakhtadze Michael (History) – Georgia; Beynen Bert (Rustvelology) - Philadelphia, USA; Boeder Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze Nino (History of Georgian Art) – Georgia; Chotiwary-Jünger Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze Nino (Linguistics) – Georgia; Enoch Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich Heinz (Georgian linguistics) – Germany; Kojima Yasuhiro (Kartvelian languages) – Japan; Kudava Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili Avtandil (Georgian literature) – Georgia; Nocun Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaia Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite Kevin (Ethnography and folklore) – Canada.

Editor: Elguja Khintibidze

Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze Elguja, Rusieshvili Manana, Melikidze Tamar, Guliashvili Sophio, Vardosanidze Tsira, Javakhadze Irina.

In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.

CONTENTS

GEORGIAN LITERATURE IN TRANSLATIONS

The Mystery of the Unknown Poem by Rustaveli ---------- 9

STUDIES: LINGUISTICS

Zurab Baratashvili: Grammatical Category of Version in Georgian and "Conjugation Prefixes" in Sumerian ---------- 52

Maya Barnaveli:
The Meaning of the Words *mkali* (locusts) and *veluri tapli* (wild honey) Mentioned in the Gospel ---------- 96

STUDIES: GEORGIAN LITERATURE

Hayate Sotome: Using Geopoetic Strategies of Romanticists by Ilia Chavchavadze ----------122

Lela Khachidze: Romanos the Melodist and One of the Earliest Examples of Byzantine Hymnography ----------149

Elguja Khintibidze: An Artistic Image of Rustaveli in Shakespeare's *Cymbeline* ----------169

Sophio Guliashvili: New Russian Translation of *The Life of Grigol Khandzteli*----------193

STUDIES: GEORGIAN ART

Ketevan Gongadze: Theological Meaning of the Paintings of Matskhvarishi Archangel's Church ----------215

STUDIES: GEORGIAN-FOREIGN LITERARY RELATIONS

Anthony Stobart: Marjory Wardrop and Guria ----------236

CHRONICLE OF EVENTS

Peter F. Skinner: On Publishing *Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-1867*, by Arnold L. Zisserman ----------253

Anthony Anderson: On the Monograph by Elguja Khintibidze ----------264

COMMENTARIES TO *THE MAN IN A PANTHER-SKIN*

Elguja Khintibidze: Two Commentaries Concerning the *Kadjis* of *The Man in a Panther-Skin* (in Georgian) --------267

სარჩევი

ქართული ლიტერატურა თარგმანებში
რუსთველის უცნობი ლექსის საიდუმლო ---------- 5

კვლევები: ენათმეცნიერება
ზურაბ ბარათაშვილი: ქცევის გრამატიკული კატეგორია ქართულში და „საუღლებელი პრეფიქსები“ შუმერულში -----17

მაია ბარნაველი: სახარებისეული „მკალისა“ და „ველური თაფლის“ განმარტებისათვის (მკალი, რომელი არს დანაკისკუდი, თაფლი ველური - მელაღრია) ---------- 81

კვლევები: ქართული ლიტერატურა
ჰაიატე სოტომე: რომანტიკოსების გეოპოეტური სტრატეგიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ----------109

ლელა ხაჩიძე: რომანოზ მელოდოსი და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში ----------133

ელგუჯა ხინთიბიძე: რუსთველური მხატვრული სახე შექსპირის *ციმბელინში* ----------163

სოფიო გულიაშვილი: *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების* ახალი რუსული თარგმანი ----------175

კვლევები: ქართული ხელოვნება
ქეთევან გონგაძე: მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის საზრისი ---------- 203

კვლევები: ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობები
ანტონი სტობარტი: მარჯორი უორდროპი და გურია-----229

ქართველოლოგიური ქრონიკა
პიტერ სკინერი: არნოლდ ლ. ზისერმანის წიგნი *ოცდახუთი წელი კავკასიაში* - 1842-1867 ----------241

ანტონი ანდერსონი: ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიის შესახებ----------261

***ვეფხისტყაოსნის* კომენტირებისათვის**
ელგუჯა ხინთიბიძე: ორიოდე კომენტარი *ვეფხისტყაოსნის* ქაჯეთის შესახებ ---------- 267

რუსთველის უცნობი ლექსის საიდუმლო





ჟურნალის წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ რუსთველისეულად მიჩნეული ერთი უცნობი ლექსის ფრანგულ თარგმანს და ამ ფრანგული დედნიდან შესრულებულ ქართულ თარგმანებს. ფრანგული თარგმანით გამოქვეყნებულმა ამ ლექსმა XX ს-ის ქართულ სამეცნიერო წრეებსა და პრესაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

1942 წელს მარსელში გამოიცა არაბულიდან ფრანგულად თარგმნილი ლექსების კრებული, სათაურით – „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“. მთარგმნელი და გამომცემელი – ფრანც ტუსენი [Franz Toussaint, *Chants d'Amour et de Guerre de l'Islam*, Marseille, 1942]. კრებულში

შეტანილია პროზაულად თარგმნილი არაბული, სპარსული, ავღანური, ბელუჯისტანური, ალტაური, თურქული, ეგვიპტური, მაროკოული, ჰოგარული, ჩერქეზული და მათ შორის ქართული ლექსები, ქვესათაურით – Géorgie. ქართული განყოფილება წარმოდგენილია ოთხი ლექსით: თავად ზუმელის *ვარდი*, შავთელის *დაბრკოლება*, რუსთველის *ვეფხის ტყავი* და ანონიმის *ღამე*. ამ ლექსთაგან არც ერთი არაა ცნობილი ქართული წყაროებით, ავტორთაგან ცნობილია რუსთველი და შავთელი, თუმცა მათი სახელები ფრანგულ კრებულში თავისებური ტრანსკრიპციითაა – *Chavtali, Roustoual*. ცნობა ამ კრებულის შესახებ ქართულ პრესაში გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა და აზრთა სხვადასხვაობა პუბლიკაციისეული ფაქტების ჭეშმარიტების თაობაზე დღემდე არსებობს. უმთავრესი საკამათო საკითხი რუსთველისეულად მიჩნეული ლექსის ჭეშმარიტებაა.

კომენტატორთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ტუსენისეული ფაქტების ნამდვილობას. ამისთვის კი საკმარისად მიიჩნევენ იმას, რომ ეს ლექსები ქართული წყაროებით უცნობია და ამ ცნობებში ზოგი რამ გაუგებარია: რუსთველის ლექსის სახელწოდებაა *ვეფხის ტყავი*, მაგრამ *ვეფხისტყაოსანთან* კავშირი არა აქვს; რუსთველისა და შავთელის სახელები გაუგებარი სახითაა მოხსენიებული; საქართველო მოქცეულია მაჰმადიანურ ქვეყანათა შორის... და, რაც მთავარია, რუსთველის სახელით ყალბისმქმნელობის ფაქტები XIX და XX საუკუნის ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში დასტურდება (ა. თალასოს *ანთოლოგია*; ტრიკოგლიდისის თარგმანები).

საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას და ტუსენის პუბლიკაციას მნიშვნელოვან სიახლედ მიიჩნევს ამ ფაქტის კომენტატორთა მეორე ჯგუფი. ეს პოზიტიური თვალსაზრისი შემდეგ ფაქტებს ემყარება: ფრანც ტუსენი არ არის სენსაციებს თუ გასამრჯელოს გამოდევნებული ახალბედა მწერალი თუ ჟურნალისტი. იგი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე და არაბული, სპარსული და სანსკრიტული პოეზიის მთარგმ-

ნელია. მისი პუბლიკაცია არაა მხოლოდ ქართული, ან ორიოდე სხვა ნაკლებად ცნობილი ქვეყნის მკითხველისადმი მიმართული, მკითხველი რომ შეცდომაში შეიყვანოს. მის კრებულში შეტანილია აღმოსავლური ლიტერატურის კლასიკური ნიმუშებიც: ჯალალ ედ დინ რუმის და ჰაფიზის ლექსები, ომარ ხაიამის რუბაიები, ნაწყვეტები *ათას ერთი ღამიდან* და სხვა. ასევე, რაც მთავარია, აღმოსავლური რელიგიური ლიტერატურის ნიმუშები – სურები *ყურანიდან*.

ფ. ტუსენის ზეპირი გადმოცემით, რომელიც მან ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ მკვლევარებს მიაწოდა, მას რუსთველის ლექსი ამოუღია ქაიროს უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული აბუ ლ-ფარაჯის არაბული ლექსების კრებულიდან. ფიქრობენ, რომ ეს ავტორი უნდა იყოს წარმოშობით სირიელი ქრისტიანი არაბულენოვანი მწერალი, დაბადებული 1225 წლის ახლოს (ზოგი მკვლევარის დაზუსტებით, აბუ ლ-ფარაჯ იბნ ალ-იბრი) – ცნობილი სირიელი მწერალი, მთარგმნელი და კომპილატორი – ეპისკოპოსად მსახურობდა სომხეთში, ცხოვრობდა აზერბაიჯანშიც. მის ნაწერებში არის ცნობები იბერიელებზე, ქართველთა ქრისტიანობაზე მოქცევის თაობაზე, მონღოლებისა და ქართველების ურთიერთობაზე.

ყველა ეჭვი ფ. ტუსენის პუბლიკაციის ნამდვილობის წინააღმდეგ არის სავარაუდო; ყველა მათგანი ფაქტების ჭეშმარიტებაზე მიმათითებლადაც შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული: სპეციფიკური დაწერილობა რუსთველისა და შავთელის სახელებისა (*რუსთვალ/ რუსთუალ-* ; *შავთალ-*) შეიძლება ჩაითვალოს არაბული ანბანის სპეციფიკით განპირობებულ არასწორ წაკითხვებად, ან ფრანგულ ენციკლოპედიებში მოხსენიებულ რუსთველის მცდარი სახელწოდების განმეორებად. რუსთველის ლექსი ისეთი ხელნაწერიდან ამოღებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომელიც პოემა *ვეფხისტყაოსნით* იწყებოდა და ლექსის სათაურიც შესაძლოა ხელნაწერის (თუ კრებულის) სახელწოდებიდან მომდინარეობს, ხოლო სათაური *ვეფხის ტყავიც*

ქართული *ვეფხისტყაოსნის* თარგმანად შეიძლება იქნას მიჩნეული, – თავდაპირველად ამგვარად თარგმნიდნენ რუსთველის პოემის სათაურს მკვლევარებიც და მთარგმნელებიც.

ასე რომ, საფუძვლიანი ეჭვის შეტანა ფ. ტუსენის პუბლიკაციის ჭეშმარიტებაში, ნაადრევია. მეორე მხრივ, არც ისაა სასურველი, რომ ფრანგული თარგმანით გამოქვეყნებული რუსთველისეულად მიჩნეული ლექსი ამთავითვე ჩავთვალოთ ჩვენი პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტ კუთვნილებად. საკითხი საკვლევია. ამ ფაქტის მიჩქმალვა ან გაუბრალოება არ შეიძლება.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია ამ საკითხისადმი ინტერესი გავააქტიუროთ. კვლევა-ძიება უნდა განახლდეს როგორც არაბულ და სირიულ წიგნთსაცავებში, ასევე საზღვარგარეთის დიდ ბიბლიოთეკებში; როგორც მკვლევართა საგანგებო ჯგუფების მიერ, ასევე პრობლემით დაინტერესებულ მოგზაურთა თუ მოყვარულთა მიერ. რუსთველი არა მხოლოდ ქართული მწერლობის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის დიდი მოვლენაა. მისი შემოქმებისადმი ინტერესი თანამედროვე ეპოქის ვალია.

რუსთველისეულად მიჩნეული ლექსის ფრანგული ტექსტი ქვეყნდება კრებულიდან: “Franz Toussaint, *Chants d’Amour et de Guerre de l’Islam*”, მარსელი, 1942. პირველი ქართული თარგმანი ამოღებულია მიმოხილვიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „საქართველოში“, №1, იანვარი, 1944, ბერლინი, გვ. 53. მიმოხილვის ავტორია ვინმე ბ. ვარდანი. მეორე ქართული თარგმანი შესრულებულია მ. მამულაშვილის მიერ; ამოღებულია ჟურნალ „დროშიდან“, №11, ნოემბერი 1959, თბილისი, გვ. 10 (სტატია: მიხეილ მამულაშვილი, „რუსთაველის უცნობი ლექსი“).

რედაქტორი



CHANTS D'AMOUR ET DE GUERRE DE L'ISLAM

La Rose

parlé du grand repos que goûtent, enfin, ceux qui se sont tués par amour.

CHAVTALI

L'EMBARRAS

JE lui dirai que je ne peux vivre sans elle et que j'irais la chercher au bout du monde. Elle me dira : « Le bout du monde n'est pas si loin. Il est où je ne suis pas. Par exemple, dans ta demeure. »

Que lui répondrai-je, alors ? Que lui répondrai-je, puisque je ne lui ai pas permis de venir habiter ma demeure lorsqu'elle me l'a proposé, jadis ?

ROUSTOUAL

LA PEAU DE LÉOPARD (Extrait)

JE suis faible comme le brin d'herbe qui vient d'être foulé par le pied d'un montagnard. Aie pitié de moi ! Je le jure, j'irai, chaque soir te

148

CHANTS D'AMOUR ET DE GUERRE DE L'ISLAM

La Peau de Léopard

retrouver près de la fontaine ! Les guerriers de mon père ne pourront reconnaître mon visage. Regarde ! Je suis à genoux. Ma chevelure traîne dans la poussière. Pourquoi n'as-tu pas pitié de ma douleur ? Tu ne veux pas m'écouter. Tu contemples la route. Te suivre, là-bas ? Non ! Nous regretterions cette folie. Je t'appartiens, mais, de grâce, n'exige pas que je dise adieu à ma petite maison, à tout ce que je laisserais de moi, ici !

Amour, cruel amour, il faut donc que je lutte encore ? Souviens-toi de tes promesses ! Souviens-toi du jour où tu m'as juré que tu m'obéirais aveuglément et que tu serais mon esclave ! Maintenant, tu parles en maître, tu veux m'obliger à te suivre... Montagnes bleues, forêts noires, sources mélodieuses, prairies tapissées de fleurs, faut-il que j'obéisse à mon farouche bien-aimé, faut-il que je m'éloigne à jamais de vous ?

Pourquoi demeures-tu silencieux, pourquoi serres-tu la poignée de ton sabre ? Songerais-tu à verser le sang de mes frères ? Malheureuse que je suis ! Cependant, je bénis le jour où je t'ai connu. Il ne fallait pas, vois-tu, me dire les mots ensorceleurs qui m'ont fait oublier que j'aurais à souffrir !

Te rappelles-tu cette matinée de printemps ? L'air était sonore d'abeilles. Des jeunes filles chantaient en cueillant des moussarh. Tu avais

149

The Mystery of the Unknown Poem by Rustaveli

The present issue of the Journal introduces a French translation of the unknown poem considered to be written by Rustaveli along with Georgian translation performed from that French original. The French translation of the poem caused a lot of controvery among Georgian scholarly circles and mass media in the 20th century.

A compilation of poems translated from Arabic into French titled as "The Islamic Songs of War and Love" was published in 1942 in Marseille. The translator as well as the editor of the book was Franz Toussaint. The compilation includes prosaic translations of Arabic, Persian, Afghan, Belujistan, Altarian, Turkish, Egyptian, Maroconian, Hogarian, Cherqezian and Georgian poems with the following subtitle – "Géorgie".

The Georgian part of the book includes four poems: Prince Zoumali *La Rose*, Chavtali *L' Embarras*, Roustoual *La Peau de Léopard*, Anonime *Nuit*. However, the poems have not been identified by Georgian sources and only Rustaveli

and Shavteli are considered to be the authors of the poems, whose names are suggested in an altered transliteration by a French compilation – Roustoual, Chavtali. Georgian media learned about the compilation only in the middle of the previous century and the controversy over the facts concerning the genuinity of the publication is still going on. The authorship of Rustaveli is one of the major issues of the discussions.

Some commentators fully deny the genuinity of the facts provided by Franz Toussaint since the poems have not been verified by Georgian sources and some parts of the reports are obscure. The name of the Rustaveli poem *The Tiger Skin* fails to reveal any links with *The Knight in a Panther Skin* by Rustaveli. The reason the names of Shavteli and Rustaveli are mentioned is absolutely unclear. Georgia is surrounded by Muslim countries and what is more important, adoption of Rustaveli's name for other poems in newspaper or journal publications in the 19th-20th century is not scarce at all (*The Anthology* by A. Thalasso, translations by Trikoglidis).

The opinions of the commentators supporting Franz Toussaint's publications as to be the most important novelty are based upon the following viewpoints:

Franz Toussaint is far from being an armature writer or a journalist, seeking for sensational facts and financial benefits. Rather, he is an outstanding expert of Oriental studies as well as a translator of Arabian, Persian and Sanskrit poetry. His publications are designed for wide variety of people rather than for one or two nations in particular.

His compilations include examples of a classical works of Oriental literature such as: Jalal ad-Din Rumi and Hize, Rubiyát of Omar Khayám, extracts from *The Thousand and One Night*, etc., more importantly the examples of the religious Oriental literature such as verses from Quran.

Through oral interpretations Franz Toussaint explained Georgian experts interested in this issue that he

was able to obtain the information concerning Rustaveli from a compilation of Arabic poems by Abu'l Faraj from Cairo university bookstore. This author is considered to be from Syria, a Christian Arab writer born in 1225 (some researchers specify his name as Abu'l-Faraj Ibn al-Ibri). This famous Syrian writer, translator and a compilator served as a bishop in Armenia and lived in Azerbaijan. His written records have retained information on Iberians, conversion of Georgian people to Christianity and Georgian-Mongol relationship.

All doubts against the authencity of Toussaint's publications are only allegetions. All of them can also serve as indications to genuine facts. Altered transliteration of the names of Shavteli and Rustaveli (Rustval/Rustual, Shavtal) can be explained either through specificity of Arabic language leading to erroneous pronunciation of the word or repetition of the wrong interpretation of the word given in French encyclopedias.

We should assume that the poem by Rustaveli was taken from the manuscript which started by the poem *The Man in the Panther Skin* and the title of the poem could have arisen from the title of the manuscripts (or the book). In addition, the title *The Tiger Skin* may also be considered as a translation of the Georgian *The Man in the Panther Skin*. The title of the poem by Rustaveli was initially translated by both scholars and translators.

Therefore, the authenticity of Toussaint's publication cannot be challenged yet. On the other hand, we should exempt ourselved from thinking that Rustaveli was the author of the peom published in French. The questions call for more insightful examination as some of its facts cannot be ignored. The aim of the present publication is to strengthen the international interest towards the issue. This issue calls for more thorough study of Syrian book-stores as well as large libraries overseas from both groups of experts and armature travelers interested in this issue as Rustaveli is a genuine

phenomenon of our civilization and its works should not be left unheeded by the modern epoch.

The French text of the book considered to be written by Rustaveli is published from the book by Franz Toussaint, *Chants d'amouret de guerre de l'islam*, Marseille, 1942: The first Georgian translation is extracted from the review published in the journal "Saqartvelo", #1, January, p. 53. The author of the review is B. Vardani. The second Georgian translation is performed by M. Mamulashvili – extracted from the journal "Drosha", #11, November 1059, Tbilisi, p. 10 (Mikheil Mamulashvili, "Unknown Poem by Rustaveli").

The Editor

Roustoual

La Peau de Léopard (extrait)

Je suis faible comme le brin d'herbe qui vient d'être foulé par le pied d'un montagnard. Aie pitié de moi! Je le jure, j'irai, chaque soir te retrouver près de la fontaine! Les guerriers de monpére ne pourront reconnaître mon visage. Regarde! Je suis à genoux. Ma chevelure traîne dans la poussière. Pourquoi n'as-tu pas pitié de ma douleur? Tu ne veux pas m'écouter. Tu contemples la route. Te suivre, là-bas? Non! Nous regretterions cette folie. Je t'appartiens, mais, de grâce, n'exige pas que je dise adieu à ma petite maison, à tout ce que je laisserais de moi, ici!

Amour, cruel amour, il faut donc que je lutte encore? Souviens-toi de tes promesses! Souviens-toi du jour où tu m'as juré que tu m'obéirais aveuglément et que tuserais mon esclave! Maintenant, tuparlesen maître, tuveuxm'obliger à te suivre... Montagnes bleues, forétsnoires, sources mélodieuses,

prairies tapissées de fleurs, fraut-il que j'obéisse à mon farouche bien-aimé, faut-il que je m'éloigne à jamais de vous?

Pourquoi demeures-tu silencieux, pourquoi serres-tu la poignée de ton sabre? Songerais-tu à verser le sang de mes frères? Malheureuse que jesuis! Cependant, je bénis le jour où je t'aiconnu. Il ne fallait pas, vois-tu, me dire les mots ensorceleurs qui m'ont fait oublier que j'aurais à souffrir!

Te rappelles-tu cette matinée de printemps? L'air était sonore d'abeilles. Des jeunes filles chantaient en cueillant des moussarh. Tuavaisgardé ma main dans la tienne. Tu regardais une hirondelle dont le vol traçait dans le ciel les mots d'un hymne à la lumière et à la joie.

Il est loin, ce jour! Que de larmes j'ai versées, depuis! Mais, tu pleures, tu pleures... Pose ton front sur mon épaule et laisse couler tes larmes. Ecoute le murmure du ruisseau. Il te remercie d'avoir renoncé à ton project terrible. Ecoute le murmure de la forêt. Elle te dit qu'elle nous offrira toujours ses mousses.

CHANTS D'AMOUR ET DE GUERRE DE L'ISLAM
FRANZ TOUSSAINT
19A, RUE VENTURE, MARSEILLE – 1942

რუსთუალ

ტყავი ვეფხისა (ნაწყვეტები)

ვარ სუსტი, ვით ყლორტი ბალახისა, რომელიც ეხლახან გასთელა მთიულის ფეხმა. შემიბრალე მე! გფიცავ, ყოველ საღამოს მოვალ, გიხილო შადრევანთან! მამაჩემის მხედრები ველარ სცნობენ ჩემს სახეს. შემომხედე! დაჩოქილი ვარ. ჩემი კულულები ჩაცვენილია მტვერში. რატომ არ შეიწყალებ ჩემს მწუხარებას! შენ არა გსურს მომისმინო. შენ დასჩერებიხარ გზას. გამოგყვე შენ, იქით? არა! ჩვენ ვინანებთ ამ სიგიჟეს. მე გეკუთვნი შენ, მაგრამ ჰყავ წყალობა, ნუ მომთხოვ, ვუთხრა „მშვიდობით“ ჩემს პაწია სახლს, ყველაფერს მას, რასაც ჩემგან მე აქ დავტოვებდი! სიყვარულო,

სასტიკო სიყვარულო, განა მე კვლავ უნდა ვიბრძოლო? გახსოვს შენ დაპირებანი შენნი! გახსოვს ის დღე, ოდეს შემომფიცე, რომ ბრმად დამემორჩილებოდი და იქნებოდი მონა ჩემი! ეხლა, შენ ბრძანებ უფალივით, შენ გსურს, მაიძულო გამოგყვე შენ... მთანო ლურჯნო. ტყენო შავნო, წყარონო ხმატკბილნო, ველნო ყვავილებით მოფარდაგებულნო, განა უნდა დავემორჩილო ჩემს მრისხანე სატრფოს, განა უნდა სამუდამოდ მოგცილდეთ თქვენ?

რატომ ბრძანდები ჩუმად? რატომ უჭერ ხელს შენი ხრმლის ხეტარს? ჰფიქრობ დაანთხიო სისხლი ძმათა ჩემთა? ვაი მე ბედშავს! მაინც ვლოცავ იმ დღეს, როცა მე შენ გაგეცან. ხედავ, არ უნდა გეთქვა ჩემთვის სიტყვანი მომჯადოებელნი, რომელთაც დამავიწყებინეს, რომ მე სატანჯველს მივეცემოდი.

გახსოვს, შენ ეს დილა გაზაფხულისა? ჰაერში იყო ხმოანება ფუტკართა. ასულნი გალობდნენ მუსარის კრეფის დროს, ჩემი ხელი ხელთ გეჭირა. შენ უცქეროდი მერცხალს, რომლის კამარამ გამოჰკვეთა ჰაერში სიტყვები დიდებისა, სინათლისა და სიხარულისადმი.

შორსაა ეს დღე! რაოდენ დავღვარე მე ცრემლნი მას შემდეგ! მაგრამ შენ სტირი, სტირი.... დაასვენე შუბლი შენი ჩემს მკერდს და დეე იდინოს შენმა ცრემლებმა. ყური დაუგდე წყაროს ჩურჩულს. იგი შენ გითვლის მადლობას, ვინაიდან შენ უარჰყავ სასტიკი გეგმა შენი. მოისმინე ჩურჩული ტყისა. იგი გეუბნება შენ, რომ შემოგვთავაზებს მუდამ თავის ლბილ ხავსს.

რუსთაველის უცნობი ლექსი

სუსტი ვარ, ვითარცა ყლორტი ბალახისა, რომელიც ეს-ეს არის გათელა მთიელის ფეხმა: შემიბრალე მე! გფიცავ, ყოველ საღამოს მოვალ, გიხილო შადრევანთან. მამაჩემის მხედრები ვეღარ ცნობენ ჩემს სახეს. შემომხედე! დაჩოქილი ვარ. ჩემი კულულები მტვერშია ჩაცვენილი. რატომ არ თა-

ნაუგრძნობ ჩემს მწუხარებას? შენ არა გსურს მომისმინო. შენ დასჩერებიხარ გზას. გამოგყვე იქით? არა!

ჩვენ ვინანებთ ამ სიგიჟეს. მე გეკუთვნი შენ, მაგრამ მოიღე მოწყალება: ნუ მომთხოვ, ვუთხრა მშვიდობით ჩემს პაწია სახლს, ყველაფერს, რასაც ჩემგან აქ დავტოვებდი! მიჯნურობავ! განა მე კვლავ უნდა ვიბრძოლო? გახსოვს დაპირებანი შენნი? გახსოვს ის დღე, ოდეს შემომფიცე, რომ ბრმად დამემორჩილებოდი და იქნებოდი მონა ჩემი! ახლა შენ ბრძანებ უფალივით, გსურს მაიძულო გამოგყვე შენ... მთანო ლილისფერნო, უღრანო ტევრნო, წყარონო ხმატკბილნო, მინდორნო ყვავილებით მოფარდაგულნო! განა უნდა დავემორჩილო ჩემს მრისხანე მიჯნურს, განა უნდა სამუდამოდ მოგბულდეთ თქვენ?

რატომ ხარ ჩუმად? რატომ უჭერ ხელს შენი ხმლის ვადას? იქნებ ფიქრობ, დაანთხიო სისხლი ძმათა ჩემთა? ვაიმე ბედშავს! მაინც ვლოცავ იმ დღეს, როცა შენ გაგიცან. ხედავ, არ უნდა გეთქვა ჩემთვის სიტყვანი მომჯადოებელნი, რომელთაც დამავიწყებინეს, რომ მე სატანჯველს მივეცემოდი.

გახსოვს ის დილა გაზაფხულისა? ჰაერში იდგა ხმოვანება ფუტკართა, ასულნი გალობდნენ მუსარის კრეფის დროს. ჩემი ხელი ხელში გეჭირა. შენ უცქეროდი მერცხალს, რომლის კამარამ აწერა ჰაერში სიტყვები დიდებისა, სინათლისა და სიხარულისა.

შორს არის ის დღე! რაოდენი ცრემლი დავღვარე მას შემდეგ, მაგრამ შენ სტირი, სტირი... დაასვენე შუბლი შენი ჩემს მკერდს, დაე, იდინოს ცრემლებმა შენმა. ყური მიუგდე წყაროს ჩურჩულს. იგი შენ გითვლის მადლობას, რამეთუ შენ უარყავ სასტიკი ზრახვანი შენნი. ისმინე ჩურჩული ტყისა, იგი გეუბნება, რომ ნიადაგ შემოგთავაზებს თავის ლბილ ხავსს.“

**Illustrations from the book “Chants d’Amour et de Guerre de I’Islam”, Franz Toussaint, 1942 ©Robert Laffont*

ქცევის გრამატიკული კატეგორია ქართულში და „საუღლებელი პრეფიქსები“ შუმერულში: შეპირისპირებითი ანალიზი

ზურაბ ბარათაშვილი
თსუ დოქტორანტი; მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

რეზიუმე: სტატიაში აღწერილი, გაანალიზებული და შეპირისპირებულია ქართული ენის ქცევის გრამატიკული კატეგორის მაჩვენებელთა და შუმერული ე. წ. „საუღლებელი პრეფიქსების“ სემანტიკა, სინტაქსური ფუნქციები და მორფოლოგიური მარკირება სხვადასხვა სინტაქსური თეორიის მიხედვით. შედეგები ღირებულია ფუნქციური ტიპოლოგიისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ქართული ენა, შუმერული ენა, ვნებითი გვარი, სამუალი გვარი, აპლიკატივი, ლოკატივი, რეფლექსივი, სინტაქსური ფუნქციები*

1. შესავალი

ნაშრომის მიზანია, ერთმანეთს შეუდაროს და შეუპირისპიროს ქართული ენის ქცევის გრამატიკული კატეგორია და შუმერულ ენაში ე. წ. „საუღლებელი პრეფიქსებით“ გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობები როგორც მორფო-

ლოგიური, ასევე სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით.

თეორიული ანალიზი და აღწერა დაფუძნებულია როგორც ფუნქციონალისტური მიმდინარეობების – დამოკიდებულებათა გრამატიკა [38], როლურ-რეფერენციული გრამატიკა [27; 35], ფუნქციური ტიპოლოგია და ენათმეცნიერების საბაზისო თეორია [5; 8; 14], ასევე არატრანსფორმაციული გენერატივისტული [6; 3] მიმდინარეობების ძირითად დებულებებზე, მაგრამ დასკვნა და შედეგების განზოგადება ძირითადად გამიზნულია ფუნქციური ტიპოლოგიისათვის.

ზოგიერთი ზემოდასახელებული თეორიისათვის აუცილებელია ტრადიციული სინტაქსური ფუნქციების (ქვემდებარის, პირდაპირი და ირიბი დამატებების და ა. შ.) გამორკვევა არა მარტო მორფოლოგიური მარკირების მიხედვით (პირის, რიცხვისა და სქესის/კლასის გამომხატველი მაჩვენებლები ზმნაში, ბრუნვის მაჩვენებელი სახელურ ფრაზაში და ა. შ.), არამედ სინტაქსური ქცევითი მახასიათებლებით (code and behavioural properties), მაგრამ სტატიის მიზნიდან გამომდინარე,[1] შესაძლებელია თავი ავარიდოთ სინტაქსური ფუნქციების გამორკვევას და შუმეროლოგიური ტრადიციის გათვალისწინებით დადგენილად მივიჩნიოთ სემანტიკური როლებისა და სინტაქსური ფუნქციების შესატყვისობა პროტოტიპურ შემთხვევებში. ორვალენტიანი გარდამავალი ზმნა (მაგ., „კლავს“) აგენსსა და

[1] იმ თეორიულ საკითხთა დიდი ნაწილისა და შუმერული ენის კონკრეტული მაგალითების (ასევე უნდა წარმოვადგინოთ მოკლედ ტრადიციული შუმეროლოგიური მიდგომა) გარკვეული ნაწილი არ უნდა განვიხილოთ, რომელიც ჩვენს ნაშრომს სიცხადეს შესძენდა, მაგრამ, ნაშრომის მოცულობის სიმცირიდან გამომდინარე, ამ ნაკლოვანებას თავიდან ვერ ავირიდებთ. ასევე კარგი იქნებოდა, ტრადიციული ქვემდებარისა და დამატებათა ნაცვლად გვესარგებლა გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით [5, გვ. 125; 21, გვ. 1; 14, გვ. 539, 543], მაგრამ ამისათვის დაგვჭირდებოდა ცალკე თავი მათი განსაზღვრებისა და ფუნქციათა დასადგენად.

პაციენსს სინტაქსურად გამოხატავს, შესაბამისად, ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების საშუალებით, სამვალენტიანი გარდამავალი ზმნა (მაგ., „მიცემა“) – აგენსს, თემასა და რეციპიენტს, შესაბამისად, ქვემდებარის, პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების სახით, ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნა (მაგ., „სვლა“) მასთან დაკავშირებულ ერთადერთ სემანტიკურ როლს გამოხატავს ქვემდებარის სახით.

მიუხედავად ამისა, შესაბამის ადგილებში წარმოვადგენთ და მივუთითებთ როგორც თანამედროვე, ასევე ტრადიციულ შუმეროლოგიურ და ქართველოლოგიურ გრამატიკულ ლიტერატურას.

2. მეთოდოლოგია და გლოსირება

შუმერული მაგალითები მოძიებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების ბაზაზე შექმნილი ელექტრონული ბაზის მიხედვით (ETCSL), სადაც განთავსებულია შუმერული მხატვრული ლიტერატურის 400-მდე ძეგლი [2]. ამისგან განსხვავებით, ქართული მაგალითები წარმოდგენილია არა მხატვრული ნაწარმოებების ბაზიდან, არამედ უბრალოდ ინტროსპექციის საშუალებით.

მკითხველისათვის შუმერული ენის ნიმუშების წაკითხვის გასაადვილებლად წარმოდგენილი იქნება ლაიფციგის გლოსირების მიხედვით[1], მაგრამ ერთი განსხვავებით; სამი სტრიქონის ნაცვლად ოთხი სტრიქონით: პირველი სტრიქონი უჩვენებს ტრადიციულ შუმეროლოგიურ ტრანსლიტერაციას, მეორე სტრიქონი მორფემულ/ანალიზურ ტრანსკრიფციას შუმეროლოგიის თანამედროვე განვითარების შესაბამისად (ისე, როგორც დღეს გვესმის შუმერული ენა), მესამე სტრიქონი გამოხატავს გლოსირების იარლიყებს (გრამატიკული მნიშვნელობები ჩაიწერება ისე, როგორც არის ლაიფციგის გლოსირებაში მითითებული, ხოლო

[1] http://grammar.ucsd.edu/courses/lign120/leipziggloss.pdf

ლექსიკური მნიშვნელობები წარმოდგენილი იქნება ქართული თარგმანით, ხოლო ბოლო სტრიქონი ასახავს თავისუფალ თარგმანს).

შუმერული დამწერლობა ვერ გამოხატავდა ენის ფონეტიკურ თუ ფონოლოგიურ სისტემას, ვერ ასახავდა სალაპარაკო ენას მიახლოებითაც კი: წარმოადგენდა მნემონიკურ სისტემას, რომლის მიზანი არასდროს ყოფილა წარმოთქმის ასახვა. ამგვარად, შუმეროლოგებს უწევთ აღადგინონ შუმერული ენა დეფექტური მნემონიკური სისტემის საშუალებით, რომელიც თითქმის ვერ ასახავს აფიქსებისა თუ ძირების მორფოფონემურ მონაცვლეობებს, ალომორფთა შეპირობებულობას და ა. შ. ფონოლოგიურ თუ გრამატიკულ ელემენტთა გამოტოვება ადვილად გასაგები იყო მხოლოდ მათთვის, ვინც ფლობდა შუმერულ ენას მშობლიური ენის დონეზე ან კიდევ, ისეთი ელემენტები არ აისახებოდა ტექსტში, რომელთა გამოუხატველობაც ტექსტში (მაგ., მყარ ენობრივ გამოთქმებსა და ფორმულებში) არ ქმნიდა სირთულეს ტექსტის შინაარსის აღსაქმელად [4, გვ. 23, 25; 7, გვ. 100; 26, გვ. 20-21, 23; 15, გვ. 1; 16, გვ. 15].

შუმერული ორთოგრაფია ხშირად უგულვებელყოფს მარცვლის აუსლაუტის (მარცვლის ბოლოკიდურ; coda) თანხმოვანს. ასე, მაგ., ხშირად არ იწერებოდა {n-} – აგენსის (და ქვემდებარის) მესამე პირის გამომხატველი მორფემა ტექსტებში; ან კიდევ დატიური /=r/ ალომორფის არარსებობა ტექსტში, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ფუნქციურად ნამდვილად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამგვარი ტიპის თანხმოვნის ასახვა რეგულარულად იწყება ძველი ბაბილონური პერიოდის (ჩვ. წ. 1900-1600) შუმერულ ტექსტებში [16, გვ. 12-13, 19].

(1) ^{d}nanna lugal-ĝu$_{10}$ e$_{2}$-gal-la-na[1] mu-na-du$_{3}$

[1] /-a/ მორფი შეიძლება გამოხატავდეს ან ლოკატიური ან გენეტიური ბრუნვის ერთ-ერთ ალომორფს; ან სულაც წინამავალი ხმოვნით გამოწვეული ასიმილაციის შედეგი იყოს გრაფიკულად ასახული. რადგანაც e.gal „სასახლე“ წარმოდგენილია პირდაპირი დამატების ფუნქციით

nanna	lugal=ĝu=ra	e.gal=ani=Ø	mu-n-a-Ø-du-Ø
ნანა	მეუფე=1SG.POSS=DAT	სასახლე=3.SG.H.POSS=ABS	VENT-3SG.H-R-1SG.A-აღმართვა-3SG.P

„ნანას, ჩემს მეუფეს, სასახლე ავუშენე“
(A praise poem of Ur-Namma (Ur-Namma C): 108)

ერთი მხრივ, (1) მაგალითში გრაფიკულად არ არის გამოხატული დატიური ბრუნვის /=r/ ალომორფი, რომელიც აუცილებლად უნდა აღვადგინოთ (მორფოლოგიურ ტრანსკრიფციაში წარმოდგენილია დომინანტური ალომორფი /=ra/), ხოლო, მეორე მხრივ, {n-} მესამე გონიერი პირის (ქვემდებარე – სინტაქსური ფუნქციების მიხედვით, აგენსი სემანტიკური როლების მიხედვით) გამომხატველი პრეფიქსი, რომლის არსებობაც აუცილებელია შუმერული ენის ერგატიულობის გამოსახატავად (ორივე აღდგენა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს და უჩვენებს, რომ შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასე გვესმის შუმერული ენა).

3. გვარი და აპლიკატივი

3.1 გვარი

პროტოტიპური პასიური მონაცვლეობის შედეგად გარდამავალი წინადადებიდან მიიღება გარდაუვალი წინადადება: ქვემდებარე ქვეითდება ფაკულტატიურ უბრალო დამატებამდე (optional oblique) და პირდაპირი დამატება წინაურდება ქვემდებარის ფუნქციამდე. ზმნას შეიძლება ჰქონდეს პასივიზაციის პროცესის ფორმალური მაჩვენებელი [23, გვ. 117-118; 19, გვ. 374; 9, გვ. 206]. გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით, პასივი სემანტიკური როლე-

(სემანტიკური როლი – პაციენსი), მაშინ აუცილებლად უნდა გაფორმდეს აბსოლუტიური ბრუნვის მაჩვენებლით.

ბისა და სინტაქსური ფუნქციების ამოსავალ წყობას ცვლის ისე, რომ პირდაპირი დამატების პრივილეგია იზრდება: პირდაპირი დამატების (აქტივში) შესატყვისი პარტიციპანტი გამოიხატება (პასივში) როგორც ქვემდებარე, ხოლო გარდამავალი ზმნის ქვემდებარე (აგენსი) – როგორც უბრალო დამატება [12, გვ. 71; 14, გვ. 539]. პასივი, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც სემანტიკური როლებისა და მათ სინტაქსურ ასახვათა მონაცვლეობა (remap) ამოსავალ – აქტივთან მიმართებით [18, გვ. 11; 23, გვ. 4]. პროტოტიპური გარდამავალი წინადადების პასივიზაციის შედეგად აგენსის ნაცვლად პასიურ წინადადებაში პაციენსს ენიჭება ქვემდებარის ფუნქცია (აქტიური წინადადების პირდაპირი დამატება ხდება პასიური დამატების ქვემდებარე, ანუ აგენსი და პაციენსი იგივე რჩება, მაგრამ იცვლება მათი სინტაქსური ფუნქციები), ცენტრალურ აქტანტთა რაოდენობა მცირდება ერთით და გარდამავლობის სტატუსი იცვლება (მცირდება): გარდამავალი წინადადება ხდება გარდაუვალი [23, გვ. 19, 174[1]; 6, გვ. 10; 3, გვ. 21]. შეხედულება, რომ პასივიზაციის შედეგი წარმოადგენს გარდაუვალ წინადადებას, შეიძლება ავიღოთ როგორც ერთ-ერთი ამოსავალი დებულება მიუხედავად დიქსონის ნაშრომში განხილული ზოგიერთი გამონაკლისისა[2] [9, გვ. 215].

ოპოზიცია აქტივი-პასივი განიხილება როგორც პროტოტიპური გრამატიკული გვარი [22, გვ. 182]. აქტიურ წინადადებაში ქვემდებარე (აგენსი) იღებს სახელობით ბრუნვას და პირდაპირი/პირველადი დამატება (პაციენსი) იღებს აკუზატიურ ბრუნვას. პასივიზაციის შემდეგ პაციენსი ხდება ქვემდებარე და იღებს სახელობით ბრუნვას, ხოლო აგენსი იღებს აბლატიურ ბრუნვას.

---

[1] ფ. პალმერი დეტრანზიტივაციას იყენებს სემანტიკური მნიშვნელობით [23, გვ. 181].

[2] ვფიქრობთ, ეს წარმოადგენს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ადრეული და მოგვიანო შეხედულებათა აღრევას, დიქსონისეულ მიდგომის შესახებ ლაპარაკია მ. ჰასპელმათის ნაშრომში [14, გვ. 544-545, 549].

(2) ლათინური

ა. *Mile-s* *host-em* *occidi-t*
მებრძოლი-NOM.SG.M მტერი-ACC.SG.M მოკვლა-3.SG.PRS

‘მებრძოლი კლავს მტერს’.

ბ. *A* *milit-e* *hosti-s* *occidi-tur*
ABL მებრძოლი-ABL.SG.M მტერი-NOM.SG.M მოკვლა-PASS.3.SG.PRS

‘მტერს კლავენ’ (*ზედმ.* ‘მტერი იკვლება კაცის მიერ’).
(მელჩუკი 2006: 193-194).

3.2 საშუალი გვარი

საშუალი გვარი კონსტრუქციაში ერთსა და იმავე სემანტიკურ როლს, რომელიც, როგორც წესი, ქვემდებარის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, ახასიათებს როგორც აგენსური, ასევე პაციენსური თვისებები, ანუ აგენსზე ხდება ან მენტალური, ან კიდევ ფიზიკური ზემოქმედება [18, გვ. 3, 45; 19, გვ. 265]. გამოყოფენ ზმნათა სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს საშუალი გვარი გამომხატველი მორფოლოგიური მაჩვენებლით (თუ, რა თქმა უნდა, მოცემულ ენაში მოიპოვება ამგვარი მაჩვენებელი): 1. სხეულის მოვლა და მოწესრიგება (grooming and body care actions): „დაბანა“, „გარეცხვა“, „გაპარსვა“, „ჩაცმა“ და ა. შ. – სხეულით ან სხეულზე მოქმედება; აგენსი ამ მოქმედებებს საკუთარ თავზე უნდა ახორციელებდეს (მსგავსია პროტოტიპური რეფლექსივისა); 2. წინსვლითი მოძრაობა (translational motion): „მისვლა“, „მოსვლა“, „ასვლა“, „აცოცება“, „სიარული“, „ფრენა“, „სირბილი“, „ხტომა“, „გაქცევა“, და ა. შ. – გამოხატავს სხეულის სივრცეში გადაადგილებას; 3. არაწინსვლითი მოძრაობა (nontranslational motion): „მოხრა“, „მობრუნება“, „თავის დაკვრა“, „თავის გაქნევა“, „გაჭიმვა“, „რხევა“, „მუშტის შეკვრა“ და ა. შ. – სხეულის ან სხეულის ნაწილის მოქმედება სხეულის ადგილმდებარეობის ცვლილების გარეშე, მხოლოდ ფორმის ან მოყვანი-

ლობის ცვლილება; 4. სხეულის მდგომარეობის შეცვლა (change in body posture situation type): „დაწოლა“, „დაჯდომა“, „ადგომა“, „დაჩოქება“, „ჩაცუცქება“ და ა. შ. – მსგავსია სხეულის მოვლისა და მოწესრიგების ტიპის ზმნებისა (პროტოტიპური რეფლექსივის მსგავსი); 5. მენტალური მოვლენები (mental events): ა. ემოციური საშუალი (emotion middle): „გაბრაზება“, „შეშინება“, „მოწყენა“, „ბედნიერება“ და ა. შ.; ბ. კოგნიტიური საშუალი (cognition middle): „ფიქრი“, „დამახსოვრება“, „დავიწყება“, „მიჩნევა“ და ა. შ.; გ. პერცეფციული საშუალი (perception): „შეხედვა“, „აღქმა“, „დანახვა“, „მოსმენა“, „ყნოსვა“ და ა. შ. – სიტუაცია, რომელშიც მონაწილეობენ სტიმული და ექსპერიენცერი. მათ შორის წარმოდგენილია ორი სახის ურთიერთობა: ექსპერიენცერი ყურადღებას აპყრობს სტიმულს, ხოლო სტიმული იწვევს მენტალურ მოვლენას ექსპერიენცერში; 6. სპონტანური მოვლენები (spontaneous events): „გაზრდა“, „დალპობა“, „ამოშრობა“, „ნაწილებად დაშლა“, „აორთქლება“ და ა. შ.; ასევე შეჰყავთ 7. პირდაპირი რეფლექსივი (direct reflexive); 8. ირიბი რეფლექსივი (indirect reflexive)[1] და ა. შ. [17, გვ. 16-19, 42, 54-57, 67-70, 74, 128, 130; 19, გვ. 266].

პირდაპირი რეფლექსივისთვის მთავარი მახასიათებელია კორეფერენცია [17, გვ. 43; 8[2], გვ.146; 19[3], გვ. 268]: აგენსი და პაციენსი სემანტიკურად უნდა მიემართებოდნენ ერთსა და იმავე ობიექტს. სინტაქსურად შესაძლებელია გამოიხატოს რეფლექსიური ნაცვალსახელით და სინტაქსუ-

[1] ლ. კულიკოვი ირიბი რეფლექსივის ნაცვლად იყენებს „ავტობენეფაქტივსა“ (auto-benefactive, self-benefactive/self-beneficent) და ქართველოლოგიური ტერმინ „სუბიექტურ ქცევას“ (subjective/subject version) [19, გვ. 266, 270-271, 273].

[2] რ. დიქსონი განმარტებისას იყენებს A და O გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებს.

[3] ლ. კულიკოვი იყენებს სინტაქსურ ფუნქციათა რეფერენციულ იდენტიფიკაციას: ქვემდებარე პირდაპირი დამატების კორეფერენტული უნდა იყოს.

რი ვალენტობის დაქვეითებაზე გავლენა შეიძლება არ მოახდინოს.[1]

(3) პირდაპირი რეფლექსივი

ამოსავალი ზმნური სიტუაცია

ა. John Paint-ed Bill
ჯონი ხატვა-PST ბილი

„ჯონმა დახატა ბილი“.

რეფლექსიური კონსტრუქცია

ბ. John Paint-ed Him-self
ჯონი ხატვა-PST 3SG.M.DO-REFL

„ჯონმა დაიხატა თავი“ (ზედმ. „ჯონმა დახატა თავისი თავი“) [9, გვ. 138]

(3ა) წინადადებაში აგენსი და პაციენსი მიემართებიან სხვადასხვა რეფერენტს (ჯონსა და ბილს), ხოლო (4ბ) წინადადება გამოხატავს იმავე სიტუაციას იმ განსხვავებით, რომ პირდაპირი დამატებით გადმოცემული აქტანტი (სემანტიკურად – პაციენსი) კორეფერენტულია ამავ სიტუაციაში მონაწილე აგენსისა. ქვემდებარე წარმოადგენს პირდაპირი დამატების ანტეცედენტს (resp. კონტროლერს) [9, გვ. 138].

პირდაპირი რეფლექსივისგან განსხვავდება ირიბი რეფლექსივი, რომელიც გულისხმობს არა აგენსისა და პაციენსის კორეფერენციას, არამედ სემანტიკურად სამვალენტიან სიტუაციაში (აგენსი, პაციენსი/თემა, რეციპიენტი/ბენეფაქტივი) აგენსისა და რეციპიენტის/ბენეფაქტივის რეფერენციულ იდენტიფიკაციას [17, გვ. 74; 9, გვ. 178; 19[2], გვ. 270].

---

[1] ვალენტობის ცვალებადობისა და სემანტიკური რეფერენციული იდენტიფიკაციის სინტაქსურად ასახვის შემთხვევაში შეიძლება სხვა ტიპის გვარის გრამატიკულ კატეგორიასთან გვქონდეს საქმე [36, გვ. 164-170].

[2] ლ. კულიკოვისთვის ქართული სათავისო ქცევა მიიღება ორი ელემენტარული დერივაციული ოპერაციის თანმიმდევრული გამოყენებით: ჯერ ბენეფაქტივი ემატება ამოსავალ ორვალენტიან კონსტრუქციას,

(4) ირიბი რეფლექსივი

ა. ამოსავალი ზმნური სიტუაცია

John	Built	a	house	for	Him
ჯონი	შენება.PST	INDF	სახლი	BEN	3SG.M.DO

„ჯონმა აუშენა სახლი მას“ (ზედმ. ჯონმა აშენა სახლი მისთვის“)

ბ. რეფლექსიური კონსტრუქცია

John	Built	a	House	for	him-self
ჯონი	შენება.PST	INDF	სახლი	BEN	3.SG.M.DO-REFL

„ჯონმა სახლი აიშენა“ (ზედმ. ჯონმა სახლი აიშენა თავისთვის“) (კემერი 1993: 75)

(4ა) გამოხატავს სემანტიკურად ამოსავალ სამვალენტიან კონსტრუქციას, რომელშიც წარმოდგენილია აგენსი, პაციენსი და ბენეფაქტივი და რომლებიც მიემართებიან სხვადასხვა რეფერენტს. ამისგან განსხვავებით (4ბ) ასახავს აგენსისა (სინტაქსურად – ქვემდებარე) და ბენეფაქტივის (სინტაქსურად – ირიბი/უბრალო დამატება)[1] კორეფერენციას, ხოლო პაციენსი მიემართება მათგან განსხვავებულ რეფერენტს.[2]

3.3 აპლიკატივი

აპლიკატიური მონაცვლეობა მოიცავს უბრალოდ დამატების დაწინაურებას პირდაპირი/პირველადი დამა-

---

ხოლო შემდეგ ირიბი რეფლექსივის საშუალებით კორეფერენტული ხდება აგენსი და ბენეფაქტივი.

[1] for him/himself წარმოადგენს ირიბ თუ უბრალო დამატებას, დამოკიდებულია სხვადასვა ანალიზზე. ინგლისურისგან განსხვავებით ქართულში ცალსახად მიღებულია, რომ თანდებულიანი ფორმა წარმოადგენს უბრალო დამატებას.

[2] რ. დიქსონისთვის მიუღებელია საშუალი გვარის როგორც ტიპოლოგიურად ღირებული უნივერსალური კატეგორიის გამოყოფა, რადგან ს. კემერი არ განმარტავს არც „გვარს“ და არც „საშუალს“ და ანალიზს აფუძნებს სემანტიკის და არა კონკრეტულენობრივი გრამატიკული კრიტერიუმების საფუძველზე [9, გვ. 192-193; იხ. აგრეთვე 36, გვ. 173-174]; საპირისპირო შეხედულება იხ. [19, გვ. 275].

ტების ფუნქციამდე [12, გვ. 84; 20, გვ. 386]. ეს წარმოადგენს აპლიკატივიზაციას ვიწრო გაგებით, ხოლო ფართო მნიშვნელობით ეს შეიძლება იყოს უბრალო დამატების ფუნქციიდან ნებისმიერის სახის დაწინაურება [1, გვ. 3; 3, გვ. 341]. აპლიკატივიზაცია გამოიყენება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი წინადადებებისათვის. გარდაუვალი ზმნებისთვის ახალი ანუ აპლიკატიური (applied) აქტანტი იღებს დამატების ფუნქციას, ხოლო თუ ამოსავალი წინადადება გარდამავალია, მაშინ არააპლიკატიური წინადადების პირდაპირი დამატება შეიძლება დაქვეითდეს ირიბ/მეორეულ ან უბრალო დამატებამდე [1, გვ. 13-14]. აპლიკატივს აქვს რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა, მაგ., აპლიკატიური დამატება გამოხატავს სხვადასხვა სემანტიკურ როლს: ბენეფაქტივს, მალეფაქტივს, მიზანს, ინსტრუმენტს, კომიტატივსა და ლოკატივს [12, გვ. 86, 89; 8, გვ. 31].

ინდონეზიურში ბენეფაქტიური აპლიკატივი შეიძლება გამოვიყენოთ ორვალენტიანი გარდამავალი წინადადებებისათვის. ამოსავალი წინადადების (5ა) პირველადი დამატება – 'segelas' (პაციენსი/თემა) ხდება მეორეული დამატება სამვალენტიან წინადადებაში (5ბ), ხოლო ბენეფაქტივი – 'tamu' იკავებს პირველადი დამატების ფუნქციას (უშუალოდ მოსდევს ზმნას) [25, გვ. 80].

(5) ინდონეზიური

ა. *Pelayan* *mengambil* *segelas* *air*
ოფიციანტი მოტანა ჭიქა წყალი
„ოფიციანტმა მოიტანა ჭიქა წყალი".

ბ. *Pelayan* *mengambil-kan* *tamu* *segelas* *air*
ოფიციანტი მოტანა-BEN სტუმარი ჭიქა წყალი
„ოფიციანტმა სტუმარს მოუტანა ჭიქა წყალი". [25, გვ. 80]

აპლიკატივიზაცია ყოველთვის ცვლის (ზრდის; increase) ვალენტობას და შეიძლება შეცვალოს გარდამავლობაც (დამოკიდებულია აპლიკატივის ტიპზე).

4. ქცევა ქართულში

ქცევის გრამატიკული კატეგორია, ტრადიციული განმარტების თანახმად, გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულების მიმართებას სუბიექტსა და ობიექტებს შორის.[1] ამის მიხედვით, გამოყოფენ სამი ტიპის ქცევას: საარვისოს, სახვისოს, სათავისოს და ზოგი მკვლევარისთვის ცალკე გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობა აქვს საზედაოს [43; 42, გვ. 323; 41, გვ. 540]. ქცევა ძირითადად გარდამავალი ზმნის კატეგორიად მიაჩნიათ, თუმცა არ გამოყოფენ სათავისო ქცევას [41, გვ. 543-546]. ხმოვანი პრეფიქსებისთვის ძირითად ფუნქციად მიიჩნევენ ვალენტობის კლება-მატებას [39, გვ. 74-79]. ოთხივე გრამატიკული მნიშვნელობა ერთი გრამატიკული კატეგორიის შემადგენელია, რადგან მორფოლოგიური თვალსაზრისით ურთიერთგამომრიცხავია ერთ სიტყვაფორმაში, აქედან გამომდინარე, ქცევა წარმოადგენს ფლექსიურ და არა დერივაციულ კატეგორიას მორფოლოგიური თვალსაზრისით [40, გვ. 91], ხოლო სინტაქსურად აქტანტური დერივაციის ერთ-ერთი საშუალებაა, ამიტომ ვ. პლუნგიანი უკავშირებს აპლიკატივს და მის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს [37, გვ. 291].

ამგვარად, რადგანაც ქცევა მაჩვენებლები, ერთი მხრივ, უკავშირდებიან აქტანტურ დერივაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ბენეფაქტივისა, რეციპიენტისა და ლოკატივის სემანტიკურ როლებს, ამიტომ საკითხი შეიძლება დაისვას

[1] საინტერესო იქნებოდა ტრადიციული განმარტების (სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით) შეპირისპირება უფრო თანამედროვე განმარტებასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც სემანტიკურ როლებს, ასევე სინტაქსურ ფუნქციებს, ამიტომ ისეთი შეუსაბამობა, რომელიც ერთი შეხედვით რთული აღსაქმელია ტრადიციული განმარტებისათვის (მაგ., გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით, ხან პირდაპირი ობიექტი განეკუთვნება ირიბ ობიექტს და ხან სუბიექტი), სემანტიკური თვალსაზრისით ადვილად იხსნება (მაგ., ირიბი ობიექტი ორივე შემთხვევაში გამოხატავს ბენეფაქტივის სემანტიკურ როლს, ხოლო პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი შესაბამის შემთხვევაში წარმოადგენს პაციენსს/თემას).

მათი ტიპოლოგიური მსგავსებისა შუმერული ენის ე. წ. „საუღლებელ პრეფიქსებთან“.

5. საუღლებელი პრეფიქსები შუმერულში

5 (ტრადიციულად), ან -7 და -8 (უფრო თანამედროვე მიდგომით) რანგში გაერთიანებულ მორფემებს ტრადიციულად უწოდებენ საუღლებელ პრეფიქსებს (conjugation prefixes), რომელთა ალომორფულ შედგენილობასა და ფუნქციურ დატვირთულობაზე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები არსებობს [33, გვ. 67-68; 26, გვ. 161-189; 30; 32; 34, გვ. 105-145; 15, გვ. 43-44, 50, 107-108, 162-163, 203, 236, 296, 428, 433-434; 28; 13, გვ. 91-96; 31, გვ. 156-162].

ტერმინი „საუღლებელი პრეფიქსი“ მიუთითებს, რომ ზმნაში სხვა პრეფიქსების არარსებობის (თუ გრაფიკულად გამოუხატველობის) შემთხვევაში, ზმნა წარმოადგენს პირიან (resp. ფინიტურ) ფორმას [34, გვ. 105].

სხვადასხვა მიდგომიდან ძირითადად გამოყოფენ 3 ურთიერთგანსხვავებულ (მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავ) შეხედულებებს აღნიშნული პრეფიქსების ფუნქციების შესახებ. საუღლებელი პრეფიქსები შეიძლება გამოხატავდნენ ზოგად მიმართულებას, გვარს (ფართო გაგებით), ტოპიკალიზაციას (resp. აქტუალიზაციას, ფოკუსს) [24, გვ. 86].

ტრადიცულად გამოიყოფა შვიდი საუღლებელი პრეფიქსული მორფემა [34, გვ. 106], რომლებიც, დომინანტური ალომორფების გათვალისწინებით, ჩაიწერება შემდეგნაირად: {mu-}, {i-}, {ba-}, {bi-}, {ima-}, {imi-} და {al-}.[1] ამის

[1] ასევე განიხილება /am-ma-/ (გრაფიკულად <am$_3$-ma->) და /am-mi-/ (am$_3$-mi-) მორფული მიმდევრობები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ როგორც /im-ma-/ და /im-mi-/ მიმდევრობათა გრაფიკულ (თუ ფონეტიკურ?) ვარიანტებად, ან კიდევ როგორც მათგან განსხვავებულ მორფთა მიმდევრობად, რომლის პირველი შემადგენელი არის /a-/ მორფი (მ. თომსენისთვის /m/ სეგმენტი მიუთითებს წინამავალი ხმოვნის ნაზა-

შემდეგ იწყება სხვადასხვა სახის ვარაუდი პრეფიქსთა რაოდენობასა და მათი ალომორფული შედგენილობის შესახებ. ერთი ვერსიით, {ima-} და {imi-} შეიცავს არა ერთ, არამედ უფრო მეტ მორფემულ მიმდევრობას და ისინი გამოიყვანებიან, შესაბამისად, {i-} + {mu-} + {ba-} (ან {i-} + {ba-},[1] ან კიდევ: {i-} + {b}) და {i-} + {mu-} + {bi} ({i-} + {bi-})[2] მორფემული მიმდევრობებიდან, ანუ ივარაუდება ასიმილაციის გზით /b/ > /m/ გადასვლა. სწორედ ამ პროცესის გამომხატველად მიიჩნევენ გემინირებულ /m/ თანხმოვანს, რომლებიც, ამ ანალიზის თანახმად, მიეკუთვნებიან სხვადასხვა მორფემას [ფალკენშტაინი 1950: 182-184; თომსენი 1984: 161; კანევა 1994: 126, 139]. აგრეთვე შესაძლებელია {ba-} და {bi-} მორფემათა დაშლაც და მათი მიჩნევა {b-} არაგონიერი მესამე პირის გამომხატველ მორფემად და {a-} დატიური (resp. რეციპიენტისა თუ ბენეფაქტივის ან ადგილობითი) და {i-} ლოკატიური (ან ადგილობით-მიმართულებითი) მნიშვნელობების გამომხატველად; სხვა მიდგომით, ორივე ხმოვანი გამოხატავს დისტანციას მსმენელისა თუ ადრესატისაგან [10, გვ. 180-184; 34, გვ. 106]. ამგვარი შეხედულების თანახმად, საუღლებელი პრეფიქსების მორფემები სამ სხვადასხვა რანგში ექცევა და, შესაბამისად, ფუნქციურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, {i-} პრეფიქსი დამოუკიდებელ რანგში გაჰყავს მ. თომსენს და მის ვარიანტად მიიჩნევს {a-} პრეფიქსს, ხოლო

ლიზაციას) და რომელიც შეიძლება არ წარმოადგენდეს {i-} მორფემის ალომორფს [26, გვ. 166; 16, გვ. 287, 517, 526-534].

[1] მ. თომსენი მიიჩნევს, რომ /m/ სეგმენტი მიუთითებს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას და ამიტომ /im-ma-/ და /im-mi-/ მიმდევრობა შედგება ორ-ორი და არა სამ-სამი მორფისაგან [26, გვ. 161].

[2] მოცემულ პრეფიქსთა ამგვარი თეორიულად შესაძლებელი თითქმის ყველა ანალიზი მოწმობს, რომ არ არსებობს ცალსახა პასუხი ენობრივი აღწერისა და მისი ახსნისათვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტექსტი იძლევა ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას.

დანარჩენ საუღლებელ პრეფიქსებს ({mu-}, {m-}, {ba-}, {bi-})[1] ერთ რანგში აერთიანებს [26, გვ. 161].

აღნიშნულ პრეფიქსებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს ა. იაგერსმა, რომელიც მორფემებს აჯგუფებს შინაარსის მიხედვით და მათ ოთხ ჯგუფად ყოფს: ვოკალური პრეფიქსები ({a-} და {i-}),[2] ვენტივის მორფემა {mu-}, საშუალი გვარისა და ირიბი დამატების გამომხატველი {ba-} და ადგილისა და უბრალო დამატების გამომხატველი {bi-} [16, გვ. 286]. როგორც ჩანს, ა. იაგერსმა და სხვა შუმეროლოგებიც {ba-} პრეფიქსს, ერთი მხრივ, განიხილავენ როგორც გვარის გამომხატველ აფიქსად, ხოლო, მეორე მხრივ, არაგონიერი ირიბი დამატების აღმნიშვნელად[3] [16, გვ. 288].

6. შუმერული „საუღლებელი პრეფიქსების“ შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან

ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან ტიპოლოგიურ მსგავსებაზე მიუთითა მ. იოსიკავამ, თუმცა იგი მხოლოდ თეორიულად შესაძლებელი შესატყვისობით შემოიფარგლება და შემდეგ თანაფარდობას ადგენს ქართულსა და შუმერულს შორის [29, გვ. 204-205]:

ცხრილი № 1
ქართული და შუმერული პრეფიქსების თანაფარდობა

გრამატიკული მნიშვნელობები	შუმერული		ქართული	
ლოკატივი	იენტივი ვენტივი	{bi-} {imi-}	საზედაო	/ა-/

[1] როგორც ზემოთ ითქვა, მ. თომსენისთვის /im-ma-/ და /im-mi-/ წარმოადგენს ორ-ორი მორფის მიმდევრობას.

[2] ა. იაგერსმას მიხედვით, {ʔa-} და {ʔi-}.

[3] რა თქმა უნდა, შეგვეძლო განგვეხილა როგორც ორი სხვადასხვა პრეფიქსი: ერთი მხრით, {ba-} როგორც მედიალური გვარის გამომხატველი ერთი მორფემა, ხოლო, მეორე მხრით, როგორც {b-} + {a} მორფემათა მიმდევრობა.

რეფლექსივი	იენტივი	{ba-}	სასუბიექტო	/ი-/
	ვენტივი	{ima-}		
აგენსური	ტოპიკალიზებული	{mu-}	საობიექტო	/უ-/
	არატოპიკალიზებული	{i-}		
ნეიტრალური		{al-}	ნეიტრალური	/Ø-/ ან /ა-/

მ. იოსიკავას არ მოჰყავს ქართული მაგალითები, არაფერს ამბობს თუ როგორ იცვლება აქტანტური სტრუქტურა ქცევის მაჩვენებლების ცვლილების შესაბამისად. უფრო მეტიც, არაფერს ამბობს შუმერული აქტანტური ცვლილების შესახებ. მხოლოდ თითოეული პრეფიქსის შინაარსობრივ მხარეზე ლაპარაკობს. მაგრამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა სწორედაც სინტაქსური ცვლილებები, რომლებიც მორფოლოგიური მაჩვენებლების ცვლილებებს უკავშირდება.

ქართული სასუბიექტო ქცევა სინტაქსურად გამოიხატება ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციით, მორფოლოგიურად – /ი-/ პრეფიქსული მორფით, სემანტიკურად – აგენსისა და რეციპიენტის (ან ბენეფაქტივის) კორეფერენციით; შეიძლება მოიცავდეს ავტობენეფაქტიურ, რეციპიენტულ და რეფლექსიურ მნიშვნელობებს:

(6) /ი-/-პრეფიქსიანი ზმნები ქართულში

a. ავტობენეფაქტივი
   კაცმა სახლი ა-ი-შენება
b. სხეულზე მოქმედება; ორვალენტიანი
   კაცმა ტანსაცმელი ჩა-ი-ცვა
c. სხეულზე მოქმედება; ერთვალენტიანი
   კაცმა ი-ბანავა
d. ემოციის გამომხატველი სიტუაცია
   კაცმა ი-ტირა
e. სპონტანური მოვლენა; ერთვალენტიანი
   ფიცარმა წყალზე ი-ტივტივა

(6a) გამოხატავს ორვალენტიან გარდამავალ ზმნას, რომელთანაც დაკავშირებულია აგენსი – „კაცმა“ და პაციენსი – „სახლი“. აგენსის გარდა „კაცმა“ ითავსებს ბენეფაქტივის სემანტიკურ როლსაც, რადგანაც პაციენსი განკუთვნილია მისთვის და შედეგი, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედებით მიიღწევა, უკავშირდება აგენსს. (6b) და (6c) გამოხატავს სხეულზე მოქმედებას, რეფლექსიურობას, ოღონდ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი მათგანი ორვალენტიანია: აგენსით (კორეფერენტული ბენეფაქტივთან თუ რეციპიენტთან) – „კაცმა“ და თემით (და არა პაციენსით) – „ტანსაცმელი“, ხოლო მეორე – ერთვალენტიანი: აგენსით (რომელიც ამავე დროს პაციენსიც არის).[1] ასევე ერთვალენტიანია ემოციის გამომხატველი სიტუაცია (6d)-ში, რომლის ერთადერთი აქტანტი შეიძლება გავიგოთ როგორც ექსპერიენცერი, ხოლო (6e)-ში წარმოდგენილი მთავარი აქტანტი წარმოადგენს თემას (არც აგენსია და არც პაციენსი), რადგანაც არც თვითონ მოქმედებს და არც პაციენსივით აგენსის სამოქმედოს არ წარმოადგენს.

/ი-/[2] მორფით გამოიხატება ასევე პასიური ერთვალენტიანი კონსტრუქციაც, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება პაციენსს, თემას, აგენსს (ე. წ. დეპონენსები); გამოხატავს, აპლიკატივის თვალსაზრისით ძირითადად ნეიტრალურ შინაარსს, თუმცა შეიძლება ჰქონდეს ასევე ავტობენეფაქტიური შინაარსიც.

---

[1] ქართულში „იბანავა“ ზმნა უნდა გავიგოთ როგორც ამბიტრანზიტიული, რადგანაც მეორე აქტანტი შეიძლება მივიჩნიოთ ფაკულტატიურად: „კაცმა თავი იბანავა“; ასეთ შემთხვევაში სტრუქტურა გარდამავალი წინადადების იქნება.

[2] წარმოადგენენ პასივისა და სასუბიექტო ქცევის მაჩვენებლები ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს, თუ განეკუთვნებიან სხვადასხვა ჰომოფონურ მორფემას, დამოკიდებულია ანალიზის ტიპსა და ინტერპრეტაციაზე; მაგრამ ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის საკმარისია ისიც, რომ პასიური თუ აქტიური შინაარსისა თუ კონსტრუქციის მორფოლოგიური მაჩვენებლები გამოხატულების პლანის მიხედვით ჰომოფონურია [შდრ. 42, გვ. 354-355].

(7) **პასიური, ერთვალენტიანი**

a.	ვნებითი გვარი; ერთვალენტიანი; პაციენსი წერილი	და-ი-წერა
b.	ვნებითი გვარი; ერთვალენტიანი; თემა წერილი	გა-ი-გზავნა
c.	შესაძლებლობის ვნებითი; ერთვალენტიანი მწვადი	ი-ჭმევა
d.	დეპონენსი კაცი	ი-კბინება

(7a) მაგალითი უჩვენებს პროტოტიპურ პასივს, რომელიც აქტივის კონვერსიით მიიღება: აქტივის პირდაპირი დამატება (ტრადიციულად) დაწინაურებულია ქვემდებარემდე. ამგვარი კონვერსიული ოპერაცია ხდება (7b) და (7c) წინადადებაშიც, ოღონდ პირველ მათგანში წარმოდგენილია თემის სემანტიკური როლი პაციენსის ნაცვლად, ხოლო მეორეში – ემატება შესაძლებლობის ნიუანსიც. (7d)-ში ერთადერთი აქტანტი – ქვემდებარე სემანტიკურად წარმოადგენს აგენსს, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა პასივშია. (7a) და (7b) წინადადებებში ზმნები წარმოდგენილია წყვეტილში (resp. აორისტში), ხოლო (7c)-სა და (7d)-ში – აწმყოს ფორმით, რადგან მათ არ მოეპოვებათ წყვეტილის ფორმები.

მიუხედავად იმისა, რომ /ი-/ პრეფიქსიანი ფორმები, ერთი მხრივ, განეკუთვნება პასივს, ხოლო მეორე მხრივ – სასუბიექტო ქცევას (ორი თავისი შინაარსობრივი თავისებურებებითა და ნიუანსებით), ჩვენი მთავარი მიზანია არა იმის დადგენა, თუ რამდენ გრამატიკულ კატეგორიაში ნაწილდება აღნიშნული შინაარსობრივი მახასიათებლები და რამდენი გრამემა თუ დერივატემა გამოიხატება /ი-/ პრეფიქსით, არამედ მხოლოდ იმის ჩვენება, რომ ჰომოფონური მაჩვენებლით შეიძლება გამოიხატოს ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები; შევუდაროთ ისინი შუმერულში /ba-/ პრეფიქსით გამოხატულ მნიშვნელობებს და დავადგინოთ მათი საერთო მახასიათებლები.

შუმერულში /ba-/ პრეფიქსი შეიძლება გამოხატავდეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ მნიშვნელობებს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში:

(8) საშუალი გვარი

a. სხეულზე მოქმედება; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

sipad	ud	ul-e	ba-nu$_2$
sipad=Ø	ud	ul=e	ba-nu-Ø
მწყემსი=ABS	დღე	შორი=DIR	MID-დაწოლა-3SG.S

„ძველ დროს მწყემსი წვებოდა“ (Dumuzid's dream: 15)

b. მოძრაობა; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

unug^{ki}-ta	^{d}inana	ba-da-an-kar[1]
unug=ta	inana=Ø	ba-da-ni-kar-Ø
ურუქი=ABL	ინანა=ABS	MID-COM-LOC-გაქცევა-3SG.S
ki-erim$_2$-e	ba-ab-ĝen	
ki.erim=e	ba-bi-ĝen-Ø	
მტრის.ტერიტორია=DIR	MID-LOC-სვლა-3SG.S	

„ინანამ მიატოვა ურუქი და წავიდა მტრის ტერიტორიაზე“ (The lament for Sumer and Urim: 150)

c. ემოცია; ორვალენტიანი, გარდამავალი

šag$_4$-ba	en-me-er-kar$_2$	dumu	^{d}utu-ke$_4$	ni$_2$
šag=bi=a	enmerkar	dumu	utu=ak=e	ni=Ø
შუაგული=3.PL.POSS=LOC	ენმერქარი	შვილი	უთუ=GEN=ERG	შიში=ABS

ba-ni-in-te	zi	ba-ni-in-ir
ba-ni-n-te-Ø	zi=Ø	ba-ni-n-ir-Ø
MID-LOC-3SG.P.A-მიახლოება-3SG.P	სუნთქვა=ABS	MID-LOC-3SG.H.A-ROOT-3SG.P

za-pa-aĝ$_2$-bi	ba-ni-in-BAD
zapaĝ=bi=abs	ba-ni-n-BAD
ხმაური=DEM=ABS	MID-LOC-3SG.H.A-?

[1] მოცემულ ზმნაში წარმოდგენილია კომიტატივის {da-} პრეფიქსი და, სავარაუდოდ, ლოკატივის {ni-} პრეფიქსი მაშინ, როცა სახელური ფრაზა unug^{ki}-ta ურუქიდან დგას აბლატიურ ბრუნვაში. არც კონტექსტიდან და არც თარგმანიდან არ ჩანს, რა ფუნქციას ასრულებენ მოცემული ზმნური პრეფიქსები ამ წინადადებაში.

„მათ შორის უთუს შვილი ენმერქარი შეშინებული, შეწუხებული და აღელვებული იყო მოულოდნელობისაგან“ (Lugalbanda and the Anzud bird: 268-269)

d. ავტობენეფაქტივი; ორვალენტიანი, გარდამავალი

ĝuruš-e	ud	tur-ra-na-ka	dam
ĝuruš=e	ud	tur=ani=ak=a	dam=Ø
კაცი=ERG	დღე	პატარა=3.SG.H=GEN=LOC	მეუღლე=ABS

ba-tuku-tuku-u$_2$-a

ba-n-tuku~tuku-e-a

MID-3SG.H.P-მოპოვება~INT-3SG.A.IPFV-NMLZ

„ახალაგზარდა კაცი დაქორწინდა“ (Proverbs: collection 19: 16)

e. სპონტანური მოვლენები; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

ḫur-saĝ	galam	kad$_5$-dam	a-e	ba-dirig
ḫur.saĝ=Ø	galam	kad=Ø=am	a=e	ba-dirig-Ø
მთა=Ø	დახელოვნებული	დაბმა=abs=ყოფნა.3SG	წყალი=DIR	MID-ტივტივი-3SG.S

„ხელოვნურად აშენებული მთა არის, რომელიც ტივტივებს წყალში“ (Enki's journey to Nibru: 74)

საშუალი გვარის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთ-, ასევე ორვალენტიანი, როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი. ზემოწარმოდგენილი ორვალენტიანი ზმნები ((8c) და (8d)) თავისი სტრუქტურით არ განსხვავდება აქტიური გვარის ზმნებისაგან. აქტიურ და მედიალურ ზმნებთან დაკავშირებული აქტანტების რაოდენობა შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს: ქვემდებარე (სემანტიკურად – აგენსი) გამოხატული არის ერგატიული ბრუნვით, ხოლო პირდაპირი დამატება (სემანტიკურად – პაციენსი) – აბსოლუტიური ბრუნვით. (8c) წინადადებაში სახელური ფრაზა en-me-er-kar$_2$ dumu ^{d}utu-ke$_4$ „უთუს შვილი ენმერქარი“ გაფორმებულია ერგატიული ბრუნვით, ხოლო ni$_2$ „შიში“ და zi „სუნთქვა“ აბსოლუტიური ბრუნვით, აბსოლუტივში მდგარი ორივე სახელი წარმოადგენს რთული (compound) ზმნის სახელურ ნაწილს, ამიტომ თარგმანში მოცემულია ერთვალენტიანი გარდაუვალი პასიური ზმნები, ხოლო შუმე-

რულში – ორვალენტიანი გარდამავალი ზმნები. ასეთივე სტრუქტურის წინადადებაა მოცემული (8d)-ში, რომელიც თარგმანში ერთვალენტიანია – „იქორწინა“, მაგრამ შუმერულში სხვაგვარად არის გააზრებული: „დაქორწინება“ უკავშირდება „ცოლის მოპოვებას“. ერთვალენტიან ზმნებს (მაგალითები: (8a), (8b), (8e)) აქტანტი უკავშირდება სახელობით ბრუნვაში, ზმნა კი დაირთავს /ba-/ პრეფიქსს.

მოცემული მაგალითების გათვალისწინებით ქართული /ი-/ პრეფიქსი და შუმერული /ba-/ პრეფიქსის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: 1. ორივე მათგანი დაერთვის როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნას; 2. გამოხატავენ ავტობენეფაქტიურ/ სასუბიექტო შინაარსს; 3. გამოხატავენ რეფლექსიურობას/სხეულზე მოქმედებას; 4. დაერთვის ემოციური შინაარსისა და სპონტანური მოვლენების გამომხატველ ზმნებს; 5. ორივე მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ პასიურობის გამომხატველ პრეფიქსად.

მსგავსებების გარდა არსებობს განსხვავებებიც: ქართულში მოძრაობის გამომხატველ ზმნებს დაერთვის ზმნისწინი, რომელსაც ეკისრება დეიქტიკური ფუნქცია, ხოლო შუმერულში /ba-/ პრეფიქსი გამოხატავს ამავე ფუნქციას. არ მოგვეპოვება შუმერულის მაგალითები დეპონენსური ფუნქციით თუ შესაძლებლობის/პოტენციალისის შინაარსით.

ასევე ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება დავინახოთ ლოკატიური {bi-} და ქართულ {ა-} ლოკატიურ აპლიკატივს (resp. საზედაო) შორის. ეს პრეფიქსები ეთანადება ერთმანეთს შინაარსობრივად: ორივე გამოხატავს ადგილს, სადაც ხდება მოქმედება, მაგრამ სინტაქსურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ქართულში აქტანტი დგას დატივში, ხოლო შუმერულში – ერთ-ერთ ადგილობით ბრუნვაში (ლოკატივი, დირექტივი) და სინტაქსურად უბრალო დამატების ფუნქციით უნდა იყოს დატვირთული და არა ირიბი დამატების:

(9) ლოკატივის მაჩვენებელი შუმერულში

a. ლოკატიური ბრუნვა; გარდამავალი

munus-e	ĝiš	šu-na	li-bi$_2$-in-du
munus=e	ĝiš=Ø	šu=ani=a	li-bi-n-du-Ø
ქალი=ERG	ხე=ABS	ხელი=3SG.H.POSS=LOC	NEG-MID.LOC-3SG.H.A-დარგვა-3SG.P

ĝiri$_3$-ni-ta	bi$_2$-in-du
ĝiri=ani=ta[1]	bi-n-du-Ø
ფეხი=3SG.H.POSS=ABL	MID.LOC-3SG.H.A-დარგვა-3SG.P

„ქალმა დარგო ხე თავისი ფეხებით, მაგრამ არა თავისი ხელებით“ (Gilgameš, Enkidu and the nether world: 36)

b. ლოკატიური ბრუნვა; გარდამავალი

lugal […]	mu-sar-ra-ba	šu	bi$_2$-ib$_2$-ra-a
lugal=e	musara=bi=a	šu=Ø	bi-b-ra-e
მეფე=ERG	სამეფო.წარწერა=3SG.N.POSS=LOC	ხელი=ABS	MID.LOC-3SG.N.P-დარტყმა-3SG.A.IPFV

mu-ni	bi$_2$-ib$_2$-sar-a
mu=ani=Ø	bi-b-sar-e[2]
სახელი=3SG.H.POSS=ABS	MID.LOC-3SG.N.P-წერა-3SG.A.IPFV

„თუ მეფე […] გადაშლის წარწერას და წააწერს თავის სახელს“ (A dedication of a statue (Išme-Dagan S): 29-30)

c. დირექტიული ბრუნვა; გარდამავალი

ĝiš kiši$_{16}$	kur-ra-ke$_4$	bi$_2$-in-du-e-en
kiši	kur=ak=e	bi-n-ĝen-en[3]
აკაცია	მთა=gen=dir	LOC-3SG.H.A-სვლა-1SG.P

---

[1] როგორც šu-na „ხელით“, ასევე ĝiri$_3$-ni-ta „ფეხით“ წარმოდგენილი უნდა იყოს ლოკატიურ ბრუნვაში, მაგრამ როგორც ვხედავთ, ორივე სახელი სხვადასხვა ბრუნვით არის გაფორმებული. ამ ეტაპზე ბრუნვათა ამგვარი განაწილების ახსნას ვერ მივაგენით სხვა ნაშრომებშიც.

[2] როგორც bi$_2$-ib$_2$-ra-a „დარტყმა“, ასევე bi$_2$-ib$_2$-sar-a „წერა“ ზმნებში /-a/ შეიძლებოდა გაგვეგო როგორც ნომინალიზაციის/სუბორდინაციის მაჩვენებელი; ორივე შემთხვევაში მივიჩნევთ /-e/ > /-a/ ასიმილაციურ პროცესს.

[3] შეგვეძლო გვეფიქრა, რომ /-en/ მორფის წინამავალი <e> გრაფემა გამოხატავს {-ed} მორფემას, მაგრამ გაგვიჭირდებოდა მისი არსებობის ახსნა პერფექტივში.

„მან გამატარა მთის ეკლიან ბუჩქებში“ (The exaltation of Inana (Inana B): 106)

d. არ უკავშირდება ლოკატივს

^{d}en-ki-ke$_4$	tur$_3$	amaš	Šu
enkik=e	tur=ra	amaš=ra	šu=Ø[1]
ენქი=ERG	ბოსელი=DAT	ფარეხი=DAT	ხელი=ABS
bi$_2$-in-daĝal[2]		sipad	Unud
bi-n-daĝal-Ø		sipad=Ø	unud=Ø
MID.LOC-3SG.H.A-ფართო-3SG.P		მეცხვარე=ABS	მეძროხე=ABS
bi$_2$-in-tuku			
bi-n-tuku			
MID.LOC-3SG.H.A-მომარაგება-3SG.P			

ენქიმ შექმნა ფარეხი და ბოსელი და მოამარაგა მეცხვარეებითა და მეძროხეებით“ (The debate between Bird and Fish: 9)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, შუმერულის {bi-} პრეფიქსი ძირითადად უკავშირდება წინადადებაში ლოკატიურ ბრუნვებში (ლოკატივი, დირექტივი) მდგარ სახელს, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, არ იწვევს სახელური ლოკატიური ბრუნვიდან დატივში ცვლილებას (9a)-(9c). ყველა ზემოწარმოდგენილი წინადადება გარდამავალია (ქვემდებარე დგას ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო პირდაპირი დამატება – აბსოლუტიურ ბრუნვაში), რადგანაც ვერ მოვიძიეთ გარდაუვალი ზმნა {bi-} პრეფიქსით. საერთოდაც რთული გადასაჭრელია {bi-} პრეფიქსთან დაკავშირებული პრობლემა: არსებობს ბევრი სხვა წინადადებაც, რომელშიც სახელი ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაშია წარმოდგენილი, მაგრამ ზმნა არ დაირთავს {bi-} პრეფიქსს. ამიტომ ძნელია

[1] რადგანაც šu უნდა იყოს აბსოლუტივში, ამიტომ tur$_3$ „ბოსელი“ და amaš „ფარეხი“ არსებით სახელებს მივუწერეთ დატივის მაჩვენებელი, რადგანაც მოცემული წინადადების სტრუქტურა გვესმის როგორც კანონიკური სამვალენტიანი – აქტანტები ერგატიული, აბსოლუტიური, და დატიური ბრუნვებით.

[2] მოცემული რთული (compound) ზმნის სრული ფორმა უნდა იყოს šu daĝal tag „გაფართოება“ („ფართო ხელის შეხება“ (?)), მაგრამ აქ მხოლოდ პირველი ორი შემადგენელი არის წარმოდგენილი.

იმის თქმა, მართლა უკავშირდება თუ არა მოცემული პრეფიქსი ლოკატიურობას, თანაც იმგვარად, რომ არ იწვევს სახელურ ფრაზაზე დართული ბრუნვის მაჩვენებლის ცვლილებას. ამ თვალსაზრისით, ქართულისაგან განსხვავებით, (9) მაგალითში მოცემული ლოკატიური სახელური ფრაზები არ უნდა მივიჩნიოთ აქტანტებად, რადგანაც ჩვენთვის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა, რომ ფორმალურად სახელი უნდა იდგეს ერთ-ერთ ძირითად ბრუნვაში (ერგატივი, აბსოლუტივი, დატივი), რადგანაც ისინი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით პროტოტიპურ ბრუნვებს წარმოადგენენ; სხვა მხრივ კი თეორიულად შესაძლებელია, რომ ზმნას არააქტანტიც (უბრალო დამატება, სირკონსტანტი) შეუთანხმდეს, მაგ., რუნდი ენაში (ბანტუ ენათა ოჯახი) ზმნას ერთდროულად ეთანხმება ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და ადგილის გარემოება [36, გვ. 278]. ქართულში კი ბრუნვის მაჩვენებელს ცვლის: ლოკატიურის ნაცვლად სახელი გამოიხატება მიცემითი ბრუნვით.

(10) **საზედაო (ლოკატიური) აპლიკატივი ქართულში**

a.	მეგობარმა	წერილს	მისამართი	და-ა-წერა
c.	კაცს	თავზე	ნაგავი	და-ა-ყარეს
d.	კაცს	თავზე	ბუზი	და-ა-ჯდა

თუმცა (40b) და (40c) წინადადებებში წარმოდგენილია ლოკატიური თანდებულით გაფორმებული სიტყვაფორმა „თავზე“, მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც აპლიკატივის სხვა მაჩვენებლები, ასევე საზედაო ქცევასაც შემოჰყავს ახალი აქტანტი, რადგანაც ზმნები „დაყარეს“ და „დაჯდა“ ერთით ნაკლებ აქტანტს უკავშირდებიან, ვიდრე „დააყარეს“ და „დააჯდა“, ამიტომ ვალენტობის მაჩვენებლით განსხვავდება ქართული /ა-/ პრეფიქსი და შუმერული {bi-}.

{i-} პრეფიქსი შეიძლება შევადაროთ იმ /ა-/[1] მორფს, რომელიც ქართულში გამოხატავს ნეიტრალურ ქცევას. როგორც შუმეროლოგთა ზემომოყვანილი შეხედულებებიდან ჩანს, {i-} პრეფიქსი გამოიხატება მაშინ, როდესაც არ ჩანს დამოკიდებულება ვენტიურობასა და იენტიურობას შორის, როდესაც არ გამოიხატება მედიალური გვარი. აღნიშნული სუფიქსი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში. (11)-ში წარმოდგენილია როგორც გარდაუვალი (i_3-gub-be_2-en „დგომა“), ასევე გარდამავალი ზმნები (ib_2-laḫ$_4$-laḫ$_4$-e „ტარება“). ორივე მათგანი ნეიტრალური {i-} პრეფიქსით არის გაფორმებული:

(11) {i-}-პრეფიქსიანი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები

mu	inim	lugal-ĝa$_2$-ke$_4$	i$_3$-gub-be$_2$-en
mu	inim	lugal=ĝu=ak=e	i-gub-e-en
სახელი	სიტყვა	მეფე=1SG.POSS=GEN=DIR	NEUT-დგომა-IPFV-1SG.S
ĝiš^{tukul}		ib$_2$-laḫ$_4$-laḫ$_4$-e	
tukul=Ø		i-b-laḫ˜laḫ-e	
იარაღი=ABS		NEUT-3SG.N.P-ტარება˜INT-3SG.H.A.IPFV	

„ვდგავარ ჩემი მბრძანებლის სახელისა და სიტყვის განკარგულებაში, ასე რომ მოვიტან იარაღს (Letter from Šarrum-bāni to Šu-Suen about keeping the Martu at bay: 41)

ასევე ნეიტრალური მნიშვნელობა მოეპოვება {al-}[2] პრეფიქსსაც, რომელიც ძირითადად დასტურდება სტატი-

[1] ქართულისთვის ვიყენებთ მორფულ მაჩვენებელს — დახრილ ფრჩხილებს, შუმერულისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც ვხმაროობთ მორფემის მაჩვენებელ ფიგურულ ფრჩხილებს. ერთი მხრით, ეს არის დონეთა შეუსაბამობა, მაგრამ, მეორე მხრით, თავს ვიზღვევთ და ვირიდებთ ქართული ქცევის მაჩვენებლების მორფემულ ანალიზს. მიუხედავად ამისა, შუმერულისა და ქართულის აფიქსების შინაარსობრივმა მსგავსებამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ხელი არ უნდა შეუშალოს მართებულ ანალიზს.

[2] მ. იოსიკავასაგან განსხვავებული მიდგომა {al-} პრეფიქსის შესახებ იხ. ა. იაგერსმას სადისერტაციო ნაშრომი [16, გვ. 520, 521, 533].

კურ ზმნებთან, მაგრამ გარდამავალ დინამიკურ ზმნებთანაც არ არის მისი თანახმარება აკრძალული.

(12) {al-}-პრეფიქსიანი

uga^{mušen}-aš	u_3-mu-ni-in-kur$_9$	gu_3	al-de$_2$-de$_2$-e
uga=eš	u-mu-ni-n-kur-Ø	gu=Ø	al-de~de-e
ყორანი=ADV	ANT-VENT-LOC-3SG.H.A-გადაქცევა-3SG.P	ხმა=ABS	NEUT-დაღვრა~INT-3SG.A.IPFV

„ის გადაიქცა ყორნად და აჩხავლდა“ (Enlil and Nam-zid-tara: 13-14)

(12) წინადადების u_3-mu-ni-in-kur$_9$ ზმნა (რომლის ძირითად მნიშვნელობად მითითებულია „შესვლა“ და კონტექსტის მიხედვით ითარგმნება როგორც „გადაქცევა“) განმარტებას საჭიროებს: თარგმანში მოცემულია ერთვალენტიანი გადაქცევა, მაგრამ ზმნა ნამდვილად ორვალენტიან გარდამავალ სიტუაციას გამოხატავს: /-kur-/ ძირეული მორფის წინ დადასტურებული /n-/ პრეფიქსი ვერ გაიგება როგორც გარდაუვალ ზმნებში გამოვლენილი {ni-} ლოკატიური პრეფიქსის ალომორფი /n-/, რადგანაც მოცემულ ზმნაში /ni-/ ალომორფი უკვე წარმოდგენილია და ერთი და იმავე რანგისა და ერთი და იმავე მნიშვნელობის პრეფიქსი ერთდროულად ენობრივი ნორმების მიხედვით შეუძლებელია, რომ გამოვლინდეს ერთსა და იმავე სიტყვაფორმაში. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს (წინამავალ წინადადებას), აღმოჩნდება, რომ ღმერთი ენლილი წარმოდგენს აგენსს, რომელიც იერსახეს უცვლის პაციენსს, ამიტომაც kur$_9$ „გადაქცევა“ ზმნის აგენსადაც „ენლილი“ უნდა მივიჩნიოთ და, აქედან გამომდინარე, /n-/ პრეფიქსული მორფის არსებობაც მოულოდნელი და გამონაკლისი აღარ იქნება.

რადგანაც (12) წარმოდგენილი al-de$_2$-de$_2$-e „დაღვრა“, ვფიქრობთ, უნდა ითარგმნოს როგორც „აჩხავლდა“ (ინქოატიური ნიუანსით) და არა „ჩხაოდა“ (დურატიული (resp. განგრძობითი ასპექტით)), რადგანაც {al-} პრეფიქსს

შესაძლებელია, რომ ჰქონდეს ამგვარი ინქოატიური – მოქმედების საწყისი ეტაპის გამომხატველი მნიშვნელობაც და შეიძლებოდა გლოსირებისასაც აღგვენიშნა და განგვესხვავებინა {i-} პრეფიქსისაგან.

ასევე მ. იოსიკავა ამ სუფიქსის თანახმარებას სტატიკურ ზმნებთან მიიჩნევს მისი ნეიტრალურობიდან გამომდინარე [29, გვ. 205], მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ სტატიკური ზმნა ნეიტრალურ პრეფიქსთან კომბინირებდეს (ამისი მაგალითები ქართულშიც და შუმერულშიც დასტურდება).

ქართული /ა-/ პრეფიქსი გამოხატავს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ბენეფაქტიურობასთან მიმართებით, როდესაც ზმნა არ გამოხატავს არც სასუბიექტო და არც საობიექტო ქცევას. მოცემული პრეფიქსი არ გამოიყენება გარდაუვალ ზმნებთან. გარდაუვალ ზმნებში ნეიტრალურობა შეიძლება გამოხატოს /Ø-/ პრეფიქსმა ზმნათა ერთ წყებაში, ხოლო დანარჩენ ზმნებში – /ი-/ პრეფიქსმა:

(13)	კაცი	სახლს	ა-შენებს
	კაცი	წერილს	Ø-წერს
	კაცი	Ø-დგას	
	წერილი	ი-წერება	

მსგავსება ქართულსა და შუმერულ პრეფიქსებს შორის არის მისი ნეიტრალური დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ, ერთი მხრით, სასუბიექტო ~ საობიექტო (ქართულში), ხოლო, მეორე მხრით, ვენტივი ~ იენტივი, ვნებითი ~ მედიალური (შუმერულში). {i-} პრეფიქსი გამოიყენება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ კონსტრუქციებში, განსხვავებით ქართული პრეფიქსისაგან, რომელიც მხოლოდ გარდამავალ ზმნებს დაერთვის; ქართული პრეფიქსი შეიძლება ერთსა და იმავე მორფემულ რანგში გაერთიანდეს ქცევის გრამატიკული კატეგორიის სხვა მაჩვენებლებთან (სასუბიექტო – /ი-/, საობიექტო – /უ-/), ხოლო შუმერული ვოკალური პრეფიქსი, ზოგიერთი ანალიზის მიხედვით, სხვა რანგით აღინიშნება (მ. თომსენი, ა. იაგერსმა), და

ამიტომ შეიძლება ვერც კი შედიოდეს ოპოზიციაში სხვა ე. წ. „საუღლებელ“ პრეფიქსებთან.

არ უნდა იყოს მართებული მ. იოსიკავასეული მოსაზრება {mu-} და {i-} პრეფიქსთა დაკავშირების შესახებ ქართულ საობიექტო ქცევასთან [29, გვ. 204-205]. ქართული საობიექტო ქცევის მაჩვენებელი /უ-/ პრეფიქსი დასტურდება როგორც გარდამავალ (14a), ასევე გარდაუვალ ზმნებში (14b). ამასთანავე იგი აუცილებლობით მოითხოვს ირიბ დამატებას (სემანტიკურად – რეციპიენტი ან ბენეფაქტივი) და გარდამავალი ზმნა იქნება სამვალენტიანი (14a), ხოლო გარდაუვალი (14b) – ორვალენტიანი. შუმერული {mu-} და {i-} შეიძლება დაუკავშირდეს როგორც გარდამავალ ორ- და სამვალენტიან ზმნებს, ასევე გარდაუვალ ერთვალენტიან ზმნებს (განსაკუთრებით {i-} პრეფიქსი):

(14) საობიექტო (ბენეფაქტიური) აპლიკატივი ქართულში

a.	კაცმა	მეგობარს	სახლი	ა-უ-შენა
b.	კაცი	მეგობარს	მი-უ-ჯდა	

(15) {mu-}-პრეფიქსიანი ფორმები

a. სამვალენტიანი

lugal-ra	kur	nu-še-ga-ni
lugal=ra	kur=Ø	nu- šeg.a=ani
მეფე=DAT	მთიანი.მიწა=ABS	NEG-თანხმობა=3SG.H.POSS

mu-na-gul-gul-le
mu-n-a-b-gul~gul-e
VENT-3SG.H-R-3COL.N.P-განადგურება~INT-3SG.A.IPFV

„ის ანადგურებს ყველა მტრულ მიწას, რომლებიც ემორჩილებიან მას“ (A šir-gida to Martu (Martu A): 21)

b. ორვალენტიანი

lugal-e	iri	mu-gul-la-ta
lugal=e	iri=Ø	mu-n-gul-Ø-a=ta
მეფე=ERG	ქალაქი=ABS	VENT-3SG.H.A-განადგურება-3SG.P-NMLZ=ABL

bad_3	mu-sig_{10}-ga-ta
bad=Ø	mu-n-sig-Ø-a-ta

გალავანი=ABS VENT-3SG.H.A-მოთავსება-3SG.P-NMLZ-ABL

„მას შემდეგ, რაც მეფემ ქალაქები გაანადგურა და ქალაქის გალავნები დაანგრია“ (A praise poem of Šulgi (Šulgi D): 344)

როგორც (15a), ისე (15b) წინადადებათა ზმნებში წარმოდგენილია {mu-} პრეფიქსი (რომელიც გლოსირებულია როგორც ვენტივი), რადგან (15b) ორვალენტიანი ზმნაა (ერგატიული lugal-e „მეფემ“ და აბსოლუტიური iri „ქალაქი“ აქტანტებით და პირის ნიშნებით, რომლებიც ეთანხმებიან მოცემულ აქტანტებს), ხოლო (15a) გამოხატავს იმავე ზმნური ძირით ნაწარმოებ სამვალენტიან ზმნას დატიური აქტანტით და ზმნაში გამოხატული სამივე აქტანტის პირის მაჩვენებლით. აქედან გამომდინარე, {mu-} პრეფიქსი შეიძლება მოიპოვებოდეს როგორც ორვალენტიან, ასევე სამვალენტიან გარდამავალ ზმნაში; ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ ბენეფაქტიური აპლიკატივის მაჩვენებლად და ქართული საობიექტო ქცევის მაჩვენებლის ტიპოლოგიურად მსგავს აფიქსად.

7. დასკვნა

აქტანტური დერივაცია შუმერულში შესაძლებელია იყოს მორფოლოგიურად მარკირებული. მათ შორის გავრცელებული საშუალებაა მედიალური (საშუალი) გვარი, რომელიც გამოიხატება {ba-} და {ima-} პრეფიქსებით. შინაარსობრივად შეიძლება გამოხატოს რეფლექსიურობა/ სხეულზე მოქმედება, ავტობენეფაქტივი (resp. სასუბიექტო ქცევა); დაერთვის ემოციის, მოძრაობის, სპონტანური მოქმედებების გამომხატველ ზმნებს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატავს პასიურ გვარს, რომელიც უპირისპირდება {mu-} პრეფიქსით გამოხატულ აქტიურ გვარს. ასევე კაუზატივის (რომელზეც მიუთითებენ, რომ მხოლოდ სინტაქსურად ახალი აქტანტის – კაუზატორის შემოტანით გამოიხატება) მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ {mu-} პრეფიქსი, რადგანაც გარდაუვალი ზმნისგან კაუზატორის საშუალებით ნა-

წარმოები გარდამავალი ორვალენტიანი ზმნა სწორედაც {mu-} პრეფიქსის საშუალებით გამოიხატება, რომლის გარდაუვალი კორელატი {ba-} ან {ima-} პრეფიქსით შეიძლება იყოს გაფორმებული. ნებისმიერ შემთხვევაში პასიური თუ კაუზატიური ცვლილებები აქტანტურ სტრუქტურაშიც აისახება: ქვემდებარე, რომელიც გარდამავალ კონსტრუქციაში ერგატივით არის გაფორმებული, პასივში კი საერთოდ არ გამოიხატება, პირდაპირი დამატება, რომელიც ფორმდება აბსოლუტიური ბრუნვით, გარდაუვალ ზმნაში იძენს გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ფუნქციას, კვლავ აბსოლუტიური ბრუნვით გამოიხატება; ხოლო კაუზატიურ კონსტრუქციაში ახალი აქტანტი – კაუზატორი ერგატიული ბრუნვით ფორმდება.

{bi-} და {imi-} პრეფიქსები შინაარსობრივად კი გამოხატავენ ლოკატივს, მაგრამ ზმნაზე მათი დართვა არ იწვევს ბრუნვის ცვლილებას სახელურ ფრაზებში, რომლებიც შეიძლება გამოიხატონ ლოკატივით, დირექტივით და ა. შ. ბრუნვებით. აქტანტთა მაჩვენებლად მისაღებია იმ ბრუნვათა ნიშნები, რომლითაც გამოიხატება აგენსი, პაციენსი, თემა, რეციპიენტი და ბენეფაქტივი პროტოტიპურ შემთხვევებში (ერგატივი, აბსოლუტივი და დატივი). ამიტომ აღნიშნული პრეფიქსები შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ უბრალო დამატებას ან ადგილის გარემოებას.

თუ {ba-} პრეფიქსს ტიპოლოგიურად დავუკავშირებთ ქართულ /ი-/ ზმნურ პრეფიქსს, მაშინ, ერთი მხრით, უნდა გავიზიაროთ მ. იოსიკავასეული მიდგომა, რომ გარდამავალ ზმნებში აღნიშნული პრეფიქსი იწვევს ვალენტობის კლებას (დატივში მდგარი სახელი არ გამოიხატება), ანუ რეფლექსიურობისა თუ ავტობენეფაქტივის შემთხვევაში ხდება აგენსისა და ბენეფაქტივის/რეციპიენტის რეფერენციული იდენტიფიკაცია და სინტაქსური საშუალებით მხოლოდ ორი აქტანტი გამოიხატება (ისევე როგორც ეს ხდება ქართულში). როდესაც {ba-} პრეფიქსი გამოხატავს პასივს, მაშინ, ქართულის მსგავსად, ქვეითდება (ან საერთოდ ქრება) აგენსი.

{i-} პრეფიქსი შეიძლება ტიპოლოგიურად ნაწილობრივ დავუკავშიროთ ქართულ /ა-/ ნეიტრალური ქცევის გამომხატველ პრეფიქსს, რადგანაც შუმერულში მოცემული პრეფიქსი ვლინდება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში, ხოლო ქართულში – მხოლოდ გარდამავალში.

{bi-} პრეფიქსი შინაარსობრივად შეიძლება დავუკავშიროთ /ა-/ ლოკატიურ (resp. საზედაო, სიურექტიულ) ზმნურ მაჩვენებელს, ოღონდ მთავარი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ქართულში ზმნაზე მოცემული პრეფიქსის დართვა იწვევს აქტანტური მაჩვენებლების ცვლას: ლოკატიური თანდებული იცვლება დატივის მაჩვენებლით, ხოლო შუმერულში არ ხდება მსგავსი ცვლილება.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ შუმერული ე. წ. „საუღლებელი პრეფიქსები“, რომლებიც უკავშირდება აქტანტურ დერივაციას და შეიძლება აპლიკატივის გარკვეულ სახეობად მივიჩნიოთ, მაგრამ ასევე შუმეროლოგიურ ლიტერატურაში მოცემული პრეფიქსები (განსაკუთრებით {ba-} და ასევე {ima-}, თუ მას ერთ მორფემად და არა მორფემულ მიმდევრობად მივიჩნევთ) განიხილება საშუალი გვარის მაჩვენებლად. ამ პრეფიქსების შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლებთან იძლევა ახალ შესაძლებლობას ტიპოლოგიურად განვიხილოთ შუმერული და ქართული ენის გარკვეული გრამატიკული კატეგორიები და ასევე შეიძლება საკითხი წამოვჭრათ იმის შესახებ, რომ ზოგადტიპოლოგიური კატეგორიები აპლიკატივი და საშუალი გვარი კუმულაციურად ერთი გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლებით გამოიხატებოდეს კონკრეტულ ენაში.

ერთი შეხედვით მწყობრი ქვესისტემის (მედიალური და აპლიკატიური მნიშვნელობებით) არსებობის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული მაგალითები ქვესისტემის გარეთ რჩება (ან არ ხდება აქტანტური დერივაცია, ან კიდევ აქტანტური დერივაციის დროს არ იცვლება მორფოლოგიური მაჩვენებელი, ან სულაც შინაარსობრივად აქ-

ტანტი და რომელიმე კონკრეტული პრეფიქსი არ შეესატყვისება). ამგვარი გამონაკლისების ახსნა ხშირად რთულია (ან შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულაც შეუძლებელია კონკრეტული ენობრივი სტრუქტურების აღქმა თანამედროვე ენათმეცნიერული მიდგომებით, ან კიდევ გადამწერის უბრალო შეცდომის გამო შეიძლება კვლევა-ძიება სულ სხვა მიმართულებით წავიდეს), რადგანაც შეუძლებელია ნებისმიერი ჰიპოთეზის გადამოწმება ინფორმანტებთან იმ სულ უბრალო მიზეზის გამო, რომ შუმერული ე. წ. „მკვდარი ენების“ რიცხვს განეკუთვნება.

ბიბლიოგრაფია

1. Dixon, R. M. W., and Aikhenvald, A. Y., *Introduction. Changing Valency: Case studies in transitivity*. Edited by R. M. W. Dixon and A. Y. Aikhenvald. Research Centre for Linguistic Typology, Le Trobe University, Melbourne. Cambridge: Cambridge University Press, 2000
2. Black, J.A., Cunningham, G., Ebeling, J., Flückiger-Hawker, E., Robson, E., Taylor, J., and Zólyomi, G., *The Electronic Text Corpus of Sumerian Literature* (http://etcsl.orinst.ox.ac.uk/), Oxford 1998–2006
3. Bresnan, J., Asudeh, A., Toivonen, I., & Wechsler, S., *Lexical-Functional Grammar*. Second Edition. Blackwell Textbooks in Linguistics. Wiley Blackwell, 2016
4. Civil, M., “The Sumerian Writing System: Some Problems”: *Orientalia*, *Nova Series, Vol. 42*, 1973
5. Comrie, B., *Language Universals and Linguistic Typology: Syntax and Morphology*. Second Edition. Oxford UK and Cambridge USA: Blackwell Publishers, 1989
6. Dalrymple, M., “Lexical Functional Grammar”: *Syntax and Semantix. Volume 34*. San Diego/London: Academic Press, 2001
7. Diakonoff, I., “Ancient Writing and Ancient Written Languages”: Pitfalls and Peculiarities in the Study of Sumerian, *Sumerological Studies in Honor of Thorkild Jacobsen on his Seventieth Birthday*, June 7, 1976, AS. vol. 20
8. Dixon, R. M. W., *Basic Linguistic Theory, Volume 2: grammatical Topics*. Oxford: Oxford University Press, 2010
9. Dixon, R. M. W., *Basic Linguistic Theory, Volume 3: Further Grammatical Topics*. Oxford: Oxford Unviersity Press, 2012
10. Falkenstein, A., “Grammatik der Sprache Gudeas von Lagaš“, *I, Schrift und Formenlehre, Analecta Orientalia,* Commentationes

Scientificae de Rebus Orientis Antiqui, 28, Pontificum Institutum Biblicum, Roma, 1949
11. Falkenstein, A., "Grammatik der Sprache Gudeas von Lagaš", *II, Syntax, Analecta Orientalia,* Commentationes Scientificae de Rebus Orientis Antiqui, 29, Pontificum Institutum Biblicum, Roma, 1950
12. Farrell, P., "Grammatical Relations". *Oxford Surveys in Syntax and Morphology*. Oxford: Oxford University Press, 2005
13. Foxvog, D. A., *Introduction to Sumerian Grammar*, University of California at Berkeley, revised edition, 2016
14. Haspelmath, M., "On S, A, P, T and R as comparative concepts for alignment typology". *Linguistic Typology 15*, 2011
15. Hayes, J. L., *A Manual of Sumerian Grammar and Texts*, Second Revised and Expanded Edition, Aids and Research Tools in Ancient Near Eastern Studies, 5, Undena Publications, Malibu, 2000
16. Jagersma, A. H., *A Descriptive Grammar of Sumerian*, PH. D. Dissertation, Leiden, 2010
17. Kemmer, S., *The Middle Voice*, Typological Studies in Language, volume 23, John Benjamins Publishing Company, Amsterdam /Philadelphia, 1993
18. Klaiman, M. H., "Grammatical Voice". *Cambridge Studies in Linguistics 59*. Cambridge: Cambridge University Press, 1991
19. Kulikov, L., "Middle and Reflexive", *The Bloomsbury Companion to Syntax,* Edited by Silvia Luraghi and Claudia Parodi, Bloomsbury Academic, London/New Delhi/New York/Sydney, 2013
20. Kulikov, L., "Voice Typology": *The Oxford Handbook of Linguistic Typology*. Oxford: Oxford University Press, 2011
21. Malchukov, A., Haspelmath, M., & Comrie, B., "Ditransitive Construction: A typological Overview": *Studies in Ditransitive Constructions: A Comparative Handbook*. Andrej Malchukov, Martin Haspelmath, Bernard Comrie (Eds.). Berlin/New York: Muton De Gryiter, 2010
22.Mel'čuk, I., "Aspects of the Theory of Morphology": *Trends in Linguistics: Studies and Monographs 146*. Berlin/New York: Mouton de Gruyter, 2006
23.Palmer, F. R., "Grammatical roles and Relations": *Cambridge Textbooks in Linguistics*. Cambridge: Cambridge University Press, 1994
24.Smith, E. J. M., *Query-based Annotation and the Sumerian Verbal Prefixes*: A thesis submitted in conformity with the requirements for the degree of Doctor of Philosophy, University of Toronto, 2010
25.Sneddon, J. N., *Indonesian: a Comprehensive Grammar*. London/New York: Routledge, 1996

26.Thomsen, M.-L., "The Sumerian Language: An Introduction to its History and Grammatical Structure", 3rd edition, Mesopotamia: *Copenhagen Studies in Assyriology, Volume 10*, Akademisk Vorlag, Copenhagen 1984 [reprint 2001]
27.Van Valin, R. D., Jr., *An Introduction to Syntax*. Cambridge: Cambridge Unviersity Press, 2001
28. Woods, C., *The Grammar of Perspective: The Sumerian Conjugation Prefixes as a System of Voice*, Brill, Leiden – Boston 2008
29.Yoshikawa, M., "The Sumerian Verbal Prefix al-": *Acta Sumerologica*, *Supplementary Series, vol. 1,* The Middle Eastern Center in Japan, Hiroshima 1993M
30. Yoshikawa, M., "Sumerian ventive and Inetive", *Acta Sumerologica*, *Supplementary Series, vol. 1*, The Middle Eastern Center in Japan, Hiroshima 1993K
31. Zólyomi, G., *An Introduction to the Grammar of Sumerian*, with the collaboration of Szilvia Jáka-Sövegjártó and Melinda Hagymássy, Eötvös Loránd University, Eötvös University Press, Budapest 2017
32.Zólyomi, G., *Voice and Topicalization in Sumerian*, Bölcsészdoktori disszertáció, Budapest 1993
33.Дьяконов, И. М., *Языки Древней Передней Азии,* Главная редакция восточной литературы, издательство «Наука», Москва 1967
34.Канева, И. Т., *Шумерский язык*, Российская Академия Наук, Институт Востоковедения, Санкт-Петербургский Филиал, Центр «Петербургское Востоковедение», Санкт-Петербург 1996
35.Кибрик, А. А., Плунгян, В. А., Функционализм. *Современная американская лингвистика: фундаментальные направления*. Под редакцией А. А. Кибрика, И. М. Кобозевой, И. А. Секериной. Издание второе (стереотипное). Москва. Изд. «Книжный дом "ЛИБРОКОМ"», URSS, 2009 [2016]
36.Мельчук, И. А., *Курс общей морфологии*, том II, часть вторая: Морфологические значения, «Языки Русской Культуры», Wiener Slawistischer Almanach, Sonderband 38/2, Москва – Вена 1998
37.В. А. Плунгян, *Введение в грамматическую семантику: грамматические значения и грамматические системы языков мира*, Москва 2011
38.Теньер, Л., *Основы структурного синтаксиса*. Серия "Языковеды мира". Москва: Изд. «прогресс», 1988
39. ასათიანი, რ., „ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია": *ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები,* გამომც. „ნეკერი", თბ. 2016

40. ბარათაშვილი, ზ., „ქცევის კატეგორიის გრამატიკული მნიშვნელობები ქართულში“: *ტიპოლოგიური ძიებანი,* № 7, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომც. „ქართული აკადემიური წიგნი“, 2015.
41. გოგოლაშვილი, გ., არაბული, ა., სუხიშვილი, მ., მანჯგალაძე, მ., ჭუმბურიძე, ნ., ჯორბენაძე, ნ., *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა,* გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2011
42. შანიძე, ა., *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* თხზულებანი თორმეტ ტომად, *ტომი III*, თსუ გამომც. თბ. 1980.
43. შანიძე, ა., *ქართული ზმნის საქცევი,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები,* გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1981

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ენათმეცნიერება
STUDIES: LINGUISTICS

Grammatical Category of Version in Georgian and "Conjugation Prefixes" in Sumerian: A Contrastive Analysis

Zurab Baratashvili
Ph.D student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Researcher, Georgian National Academy of Sciences

Abstract: In the article semantics, syntactic functions, and morphological marking of the markers of the grammatical category of version in Georgian and of the so-called "conjugation prefixes" in Sumerian are described, analyzed, and contrasted with each other according to different syntactic frameworks. The results are valuable for functional typology.

Keywords: *The Georgian language, the Sumerian language, the passive voice, the middle voice, applicative, locative, reflexive, syntactic functions*

1. Preliminaries

The aim of the paper is to compare and contrast the grammatical category of version in the Georgian language with the grammatical meanings expressed by the so-called "conjugation prefixes" in the Sumerian language established on morphology, syntax and semantics.

The theoretical analysis and description is based on basic assumptions of both functionalistic – Dependency Grammar [38], Role and Reference Grammar [27; 35],

Functional Typology and Basic Linguistic Theory [5; 8; 14], and non-transformational Generativistic [6; 3] approaches, but the findings and the generalisation of the results are mainly aimed for Functional Typology.

For some of the abovementioned frameworks, it is necessary to find out traditional syntactic functions (subject, direct and indirect objects and so on) by not only morphological coding (person, number, and gender/class markers in the verb, case markers in the nominal phrase and so on), but also by syntactic behavioural properties. However, in consequence of the goal of the article, it is possible to avoid establishing syntactic functions and according to Sumerological tradition, the correspondence between the semantic roles and syntactic functions can be admitted as established in prototypical cases. A bivalent transitive verb (e.g., 'to kill') expresses agent and patient syntactically by means of a subject and direct object, correspondingly; a trivalent transitive verb (e.g., 'to give') expresses agent, theme, and recipient, by means of a subject, direct object, and indirect object, correspondingly; a monovalent intransitive verb (e.g., 'to go') expresses the sole semantic role connected to it by means of a subject.

Besides such connection of semantic roles and syntactic functions, still both contemporary Sumerological and Kartvelological grammatical literature are represented and referred to where they are necessary.

2. Methodology and glossing

The Sumerian examples are taken from the electronic base (ETCSL) created by the Oriental Institute of the University of Oxford where about 400 Sumerian literary works are located [2]. Conversely, the Georgian examples are not taken from the base of fiction but taken solely by the introspection.

For the sake of easy reading, the samples of the Sumerian language are represented according to the Leipzig interlinear glossing[1], but instead of three lines, four lines are given: the first line shows traditional Sumerological trans-

[1] http://grammar.ucsd.edu/courses/lign120/leipziggloss.pdf

literation, the second line – morphemic/analytic transcription in accordance with the contemporary development of Sumerology (as the Sumerian language is understood nowadays), the third line expresses glossing labels (grammatical meanings are written according to Leipzig interlinear glossing, and lexical meanings are represented by the English translation), and the last line reflects the English translation.

The Sumerian writing system could not express the phonetic or phonological system of the language, could not reflect the spoken language even roughly: it was a mnemonic system, whose goal had never been to reflect the pronunciation. Thus, Sumerologists have to reconstruct the Sumerian language by means of the defective mnemonic system, which, in fact, cannot express morphophonemic alternations of affixes and root, conditions of allomorphs, and so on. The omission of phonological and grammatical elements was easily understandable only for them who were the bearers of the language at a native level or in addition to this, those elements were not reflected in the text whose non-expression (set expressions and formulae) did not create difficulties to perceive the content of a text [4, p. 23, 25; 7, p. 100; 26, pp. 20-21, 23; 15, p. 1; 16, p. 15].

The Sumerian spelling often disregards a consonant in the coda position. For example, {n-} (expressing the morpheme of an agent (and subject) of the third person) was not often written in texts; or else: the non-existence of the dative allomorph /=r/ in a text, which, according to context, should really be existed functionally. The reflection of such a type of consonants regularly appears in the texts of the Old Babylonian period (1900-1600 BC) [16, pp. 12-13, 19].

(1)	ɪanna	lugal-ĝu$_{10}$	e$_2$-gal-la-na[1]	mu-na-du$_3$
	ˈanna	lugal=ĝu=ra	e.gal=ani=Ø	mu-n-a-Ø-du-Ø
	anna	king=1sg.poss=dat	palace=3.sg.h.poss=abs	vent-3sg.h-r-1sg.a-erect-3sg.p

[1] The /-a/ morph can express either one of the allomorph of the locative or genitive case; or it can be the result of assimilation caused by the previous vowel reflected graphically. Since e.gal "palace" has the function of the direct object (the semantic role of patient) then it should be formed with the marker of the absolutive case by all means.

'For Nanna, my master, I have built his temple' (A praise poem of Ur-Namma (Ur-Namma C): 108)

On the one hand, in (1) example, the /=r/ allomorph of the dative case is not expressed graphically, which should be reconstructed by all means (in the morphological transcription, the dominant allomorph /=ra/ is presented), and, on the other hand, the prefix of the third human person (the subject – according to syntactic functions, agent – according to semantic roles), whose existence in the text is obligatory to express the Sumerian ergativity (of course, both reconstructions, represent the theoretical construction and shows that at the contemporary level of the development of Sumerology, the Sumerian language is understandable in this way).

3. The voice and the applicative

3.1 The voice

As a result of the prototypical passive alternation, the intransitive clause derives from the transitive one: the subject is demoted to the optional oblique object. The verb can have a formal marker of the passivisation process [9, p. 206; 12, p. 71; 23; 14, p. 539; 23, pp. 117-118; 19, p. 374]. The Passive Voice can be discussed as the remapping of the semantic roles and their syntactic functions in accordance with the correspondent basic active [18, p. 11; 23, p. 4]. The number of core arguments is reduced by one and the status of transitivity is changed (reduced): the transitive clause becomes intransitive [23, p. 19, 174; 6, p. 10; 3, p. 21]. The point of view that the result of passivisation represents the intransitive clause can be taken as one of the basic assumptions in spite of some exceptions[1] discussed in the work by R. M. W. Dixon [9, p. 215].

The opposition of active - passive is discussed as the prototypical grammatical voice [22, p. 182]. For example, in the Latin Language (example (2)), the active clause expresses the subject (agent) by the nominative case and the direct/-

[1] It can be deduced that this represents the confusion of an earlier and later points of view in the Basic Linguistic Theory; the Dixonian approach is discussed in the paper by M. Haspelmath [14, pp. 544-545, 549].

primary object (patient) – by the accusative case. After the passivisation, the patient becomes the subject and is expressed by the nominative case, and the agent – by the ablative case.

(2) Latin

a. Mile-s host-em occidi-t
warrior-NOM.SG.M enemy-ACC.SG.M kill-3.SG.PRS
'The warrior is killing the enemy'.

b. A milit-e hosti-s occidi-tur
ABL warrior-ABL.SG.M enemy-NOM.SG.M kill-PASS.3.SG.PRS
'the enemy is being killed by the warrior'. [22, pp. 192-193].

3.2 The middle voice

In the middle voice construction, the semantic role which functions syntactically as the subject is characterised by both agentive and patientive properties; in other words, the agent is affected by either mentally or physically [18, p. 3,45; 19, p. 265]. Semantic groups of the verb are singled out which can be assigned by the morphological marker expressing the middle voice (in the event of existing such a marker in a given language): 1. grooming and body care actions: "bathing", "washing", "shaving", "getting dressed" – the body action type; the agent must act on himself (it is similar to the prototypical reflexive); 2. translational motion: "going", "coming", "going upstream", "climbing up", "walking", "flying", "running", "leaping", "running away" and so on – it expresses the locomotion of a body in the space; 3. Non-translational motion: "bending", "turning around", "bowing", "shaking", "stretching", "shivering", "fisting" and so on – the action of the body or part of the body without changing of the location of the body, only changing of a form or shape; 4. change in body posture situation type: "laying", "sitting down", "getting up", "kneeling", "squatting" – it is similar to the verbs of groom and body care actions (similar to the prototypical reflexives); 5. mental events: a. emotion middle: "being angry", "frightening", "being bored", "being happy", and so on; b. cognition middle: "thinking", "memorising", "forgetting", "considering", and so on; c. perception: "looking

at", "perceiving", "seeing", "listening to", "smelling", and so on – the situation where the stimulus and experiencer are involved. There are two types of interrelations between them: the experiencer pays attention to the stimulus, and the stimulus initiates a mental event in the experiencer; 6. spontaneous events: "growing", "rotting", "drying out", "falling apart", "evaporating", and so on; besides these types, the followings are united into the middle voice verbs: 7. direct reflexive; 8. indirect reflexive,[1] and so on [17, pp. 16-19, 42, 54-57, 67-70, 74, 128, 130; 19, p. 266].

Coreference is the main property of the direct reflexive [17, p. 43; 8. p. 146; 19, p. 268]: the agent and patient must refer to one and the same participant. The construction can be expressed syntactically by a reflexive pronoun and cannot affect the demotion of syntactic valency.[2]

(3) Direct reflexive

Basic verbal situation

a. John Paint-ed Bill

Reflexive construction

b. John Paint-ed Him-self [9, p. 138]

In (3a) sentence, the agent and patient refer to different referents (John and Bill), conversely, sentence (4b) expresses the same situation with the direct object argument (semantically – patient) being coreferent to the agent participated in the same situation. The subject is the antecedent (resp. controller) of the direct object [9, p. 138].

The indirect reflexive, different from the direct reflexive, implies not the coreference between the agent and patient, but the referential identification of the agent and recipient/benefactive in a semantically trivalent situation (agent, patient/theme, recipient/benefactive) [17, p. 74; 9, p. 178; 19,[3] p. 270].

---

[1] Instead of indirect reflexive, L. Kulikov uses "auto-benefactive" (self-benefactive/self-beneficent) and a Kartvelological term "subjective/subject version" [19, p. 266, 270-271, 273].

[2] In the case of changing valency and reflecting the semantic referencial identification syntactically, one can come across a different type of the grammatical category of voice [36, pp. 164-170].

[3] L. Kulikov thinks that the Georgian subjective version is the result of the sequential application of the two derivational operations: first of all, the

(4) Indirect reflexive

a.		Basic verbal situation				
	John	Built	a	house	for	Him
b.		Reflexive construction				
	John	Built	a	House	for	him-self [17, p. 75]

(4a) expresses semantically basic trivalent intransitive construction, in which agent, patient, and benefactive are presented and which refer to different referents. Conversely, (4b) reflects the coreference of the agent (syntactically – subject) and benefactive (syntactically – indirect/oblique object),[1] and the patient refers to the referent different from them.[2]

3.3 The applicative

The applicative alternation involves the promotion of an oblique object to the function of the indirect/primary object [12, p. 84; 20, p. 386]. This is applicativisation sensu stricto, but sensu latiore can be any kind of promotion from the oblique object function [1, p. 3; 3, p. 341]. Applicativisation applies to both transitive and intransitive clauses. For intransitive verbs, the new or applied argument acquires object function, and if the basic clause is transitive, the direct object of a non-applicative clause can be demoted to the indirect or oblique object [1, pp. 13-14]. The applicative can have several different meanings; for example, the applied argument expresses different semantic roles: benefactive, malefactive, goal, instrument, comitative and locative [12, p. 86, 89; 8, p. 31].

---

benefactive is added to the basic bivalent construction, and then, by means of the indirect reflexive, the agent and benefactive are the result of coreferentiality.

[1] for him/himself can be either the indirect or the oblique object; it depends on different analyses. Opposed to English, in Georgian, adpositional form is unambiguously the oblique object.

[2] R.M.W. Dixon does not accept the middle voice as a typologically valid universal category because S. Kemmer does not define both “voice” and “middle” and she establishes her analysis on semantics and not on the language specific grammatical criteria [9, pp. 192-193; vid. also 36, pp. 173-174]; opposite opinion vid. [19, p. 275].

In Indonesian, the benefactive applicative can be applied to a transitive bivalent clause. the primary object 'segelas' (patient/theme) of the basic clause (5a) is demoted to the secondary object in (5b) trivalent clause, and the benefactive 'tamu' occupies the function of the primary object (immediately follows the verb) [25, 80].

(5) Indonesian

a	Pelayan	mengambil	segelas	air	
	Waiter	fetch	glass	water	
	'The waiter fetched a glass of water'.				
b	Pelayan	mengambil-kan	tamu	segelas	Air
	Waiter	fetch-ben	guest	glass	Water
	'The waiter fetched the guest a glass of water'. [25, p. 80]				

Applicativisation always changes (increases) valency and may change transitivity (it depends on the type of the applicative).

4. The version in Georgian

According to the traditional definition, the grammatical category of version expresses particular types (possessing, acting in one's interest) of relation between subject and objects. According to this, three types of the version are singled out (expressed by the verbal vocalic prefixes): neutral, objective, and subjective; but some scholars add the locative meaning [43; 42, p. 323; 41, p. 540]. The version is considered as a category of the transitive verb, but the above-mentioned meanings can be singled out in the intransitive verb with the exclusion of the subjective version [41, pp. 543-546]. The main function of the verbal prefixes is considered the promotion and demotion of valency [39, pp. 74-79]. All of the four grammatical meanings should be considered as the meanings of the same grammatical category, since, from the point of view of morphology, they exclude each other in the same word-form; consequently, the version is inflectional and not derivational category morphologically [40, p. 91]; but syntactically, it is one of the means of valency- changing, that

is why V. Plungian connects it to the applicative and considers it as one of the types of the applicative [37, p. 291].

Therefore, on the one hand, since the markers of the version are connected to valency changing, and, on the other hand, to the semantic roles of the benefactive, recipient, and locative, that is why the issue can be raised about their typological resemblance to the Sumerian so-called "conjugation prefixes".

5. Conjugation prefixes in Sumerian

Those morphemes which are united in the slot of -5 (traditionally), or -7 and -8 (much more recent approach) are traditionally called conjugation prefixes, whose allomorphic structure and functional loadedness are considered by extremely different opinions [33, pp. 67-68; 26, pp. 161-189; 30; 32; 34, pp. 105-145; 15, pp. 43-44, 50, 107-108, 162-163, 203, 236, 296, 428, 433-434; 28; 13, pp. 91-96; 31, pp. 156-162].

The term "conjugation prefixes" indicate that in the case of the non-existence (or graphically not expressed) of the other prefixes in the verb, the verb is the finite form [34, p. 105].

Among various approaches, mainly three different points of view (but not contradictory) are singled out about the functions of these prefixes. The conjugation prefixes can express general orientation/direction, voice (sensu latiore), and topicalisation (resp. actualisation, focus) [24, p. 86].

Traditionally, there are seven morphemes of the conjugation prefixes [34, p. 106], which, taking into account dominant allomorphs, are written as follows: {mu-}, {i-}, {ba-}, {bi-}, {ima-}, {imi-}, and {al-}. After this, different types of suppositions exist about the number and allomorphic structure of the prefixes. According to one version, {ima-} and {imi-} contain not one but more than one morphemic sequences and they are deducible, respectively, from the morphemic sequences {i-} + {mu-} + {ba-} (or {i-} + {ba-}, or else: {i-} + {b}) ҏ {i-} + {mu-} + {bi} ({i-} + {bi-})[1], i.e., /b/ >

[1] Nearly all theoretically possible analyses of the given prefixes testify that there is no unequivocal answer for a linguistic description and its explanation especially when a text gives a plenty of possibilities of an interpretation.

/m/ assimilatory transition is supposed. The geminated /m/ consonant is considered to express this process, which, according to this analysis, belong to different morphemes [11, pp. 182-184; 26, p. 161; 34, p. 126, 139]. Besides, it is possible to divide {ba-} and {bi} morphemes and consider them as {b-} expressing non-human third person morpheme and {a-} expressing dative (resp. recipient or benefactive or locative) and {i-} locative (locative-terminative) meanings; according to another approach, both vowels express the distance both from the listener or addressee [10, pp. 180-184; 34, p. 106]. According to such a point of view, the morphemes of the conjugation prefixes come under three different rank orders-/slots and, correspondingly, they differ from each other functionally too. For example, M. Thomsen takes out {i-} prefix in a separate slot and considers {a-} prefix as its variant, but she unites the other conjugation prefixes ({mu-}, {m-}, {ba-}, {bi-}) in one slot [26, p. 161].

A. Jagersma considers the above-mentioned prefixes separately from each other; he groups the morphemes according to their meanings and divides them into four groups: vocalic prefixes ({a-} and {i-},[1] ventive morpheme {mu-}, {ba-} expressing the middle and the indirect voices, and {bi-} expressing location and the oblique object [16, p. 286]. As is seen, A. Jagersma and other sumerologists consider {ba-} prefix as expressing the voice, on the one hand, and, on the other hand, designating non-human indirect object [16, p. 288].

6. The comparison of the Sumerian "conjugation prefixes" to the Georgian grammatical category of version

M. Yoshikawa indicated the typological similarity of the "conjugation prefixes" to the Georgian grammatical category of version, but he limits himself only to the theoretically possible correspondences and establishes the following correlation between Georgian and Sumerian [29, pp. 204-205].

Table 1 - The Correlation of the Georgian and Sumerian prefixes

[1] According to A. Jagersma, {ʔa-} and {ʔi-}.

Grammatical meanings	Sumerian		Georgian	
Locative	Ientive	{bi-}	Locative	/a-/
	Ventive	{imi-}		
Reflexive	Ientive	{ba-}	Subjective	/i-/
	Ventive	{ima-}		
Agentive	Topicalised	{mu-}	Objective	/u-/
	Non-topicalised	{i-}		
Neutral		{al-}	Neutral	/Ø-/or /a-/

M. Yoshikawa does not bring Georgian examples, does not say anything how the argument structure changes in accordance with changing the markers of version. Furthermore, he does not say anything about Sumerian argument changes. He speaks only about the content of each prefix; but in the viewpoint of typology, very syntactic changes are interesting which is connected to the changes of morphological markers.

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მოვიძიეთ მასალები ასევე ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონში [1, გვ. 461], და ვნახეთ, რომ ეს ბერძნული სიტყვა (*ფინიკი*) ქართულად გადმოდის როგორც *ფინიკი, დანაკისკუდი* - რაც ამტკიცებს, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, ეს ორი სიტყვა სინონიმებია: Φοινίκη, ης, ἡ - *ფინიკი*, [2, I ეზრა, 2, 13], πόλιν φοινίκων ἕως Σηγώρ//ქალაქები იგი დანაკისკუდოვანი ვიდრე სეგორდმდე [2, მეორე სჯულთა, 34: 3] φοίνικες//- ხენი დანაკისკუდისანი [2, ეზეკ. 40,26].

საბასეულ ამ განმარტებას მხარს უმაგრებს ერთი ნაწყვეტი „მამათა ცხოვრებიდან“, სადაც ნათქვამია, რომ დანაკისკუდის ფოთლებისგან კალათს წნავდა წმ. მამა. მართლაც, ფინიკის პალმას აქვს ამისათვის ვარგისი ფოთლები: „...არამედ პარეხსა ერთსა წევნ ერთსა ფსჯათსა და ძაძასა და

მიიღოს ფურცელი დანაკისკუდისაჲ განმგებლისა მისგან ლავრისა და შექმნის ორმეოცდაათი სფჳრიდი და მიითუალის იგი ქსენოდაქარსა“ [10, გვ. 86]; ფინიკის და დანაკისკუდის პარალელური ხმარება და *ფინიკის* გადმოტანა, როგორც *დანაკისკუდის:* „მიიღიან საჴმარი მის კჳრიაკისაჲ პური და *ფინიკი* და კოკითა წყალი..“ [10, გვ. 313] «τῃ Κυριακῇ δείλης τὸ ἀνάλωμα τῆς ἐβδομάδος λαμβάνων, ἄρτους καὶ φοίνικας καὶ ἐν κιλικήσιον ὕδατος...» [23, გვ. 177]; „...არარაჲ ჭამოდის, გარნა პური ხოლო და დანაკისკუდი და წყალი სუმად.. [10, გვ.312] //«μεδενὸς ἐτέρου μεταλαμβάνοντα, πλὴν ἄρτου καὶ ὕδατος καὶ φοινίκων» [23, გვ. 176].

იმ აზრის გასამყარებლად, რომ იოვანე ნათლისმცემელი მცენარით მომარხულე იყო, შეიძლება მოვიხმოთ მის შემდგომ მოღვაწე მეუდაბნოე მამების მაგალითი, რომლებიც მცენარეულ საკვებს იყენებდნენ: ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და ლიტერატურაშიც აღწერილია, რომ წმინდა მამები ერთმანეთს ბაძავდნენ ცხოვრების წესით, მარხვით, და, რა თქმა უნდა, მიბაძავდნენ ნათლისმცემელს.

ჩვენთვის ცნობილი არცერთი ცხოვრება თუ მოღვაწეობა არ აღწერს წმ. მამათა მიერ ცხოველური საკვების მიღებას. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს ადრეული საუკუნეების ქართული ორიგინალური აგიოგრაფიიდანაც: დიდი ქართველი სულიერი მოღვაწის გრიგოლ ხანცთელის (IXს.) ცხოვრებაში ვკითხულობთ: „მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა“ [18, გვ. 253].

ასევე დიდი ქართველი მამა, ათონზე მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი (XIს.), როგორც მის ცხოვრებაში არის ორგან აღნიშნული: „*იჯმნა* (ანუ უარყო, განაგდო) *სრულიად ღვინისაგან და წუელისა, და ჰმოსიედ სამოსლად მისა ქუეშე ძაძაჲ ფიცხელი...*“ [18, გვ. 199], „...*ძაძაჲ შეემოსა*

და უკამლოდ და თავ-ღია, უღვნო და უწუელოდ ვიდოდა გზასა და იწროსა, რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი“ [18, გვ. 188]. სულხან-საბა განმარტავს: „წუელი (წველი CD) (ბალ.) (7, 4 მათე) *წველი არს ძირთაგან ვიდრე კუვილამდე. ხოლო კუვილი იგი თავ-წარსხმული ოდენ. ნ. ნაწუელარი; ნაწუელარი (ნაწუწლარი ZAb, (ნაწუწრალი Aa, ნაწვერალი CqDE), ყანის ჩალა მონამკალი ZA (ბალ.), ყანის ჩალა* BCD (ბალ.) ჩვენი აზრით, სწორედ *მონამკალისგანაა* (სიტყვა *ნაწვერალიც* უკავშირდება *წვერს,* ანუ ბალახის თავს, წვეროს) ნაწარმოები სიტყვა *მკალი,* უკავშირდება „მკა“-ს და, სავარაუდოა, რომ იოვანე ნათლისმცემელი იკვებებოდა მცენარეთა ზედა ნაწილით, წვეროებით, მდელოთა მწვერვალით – მართლაც მკის დროს იჭრება სწორედ მიწისგან უფრო დაშორებული ნაწილი ბალახისა თუ მცენარის. ვფიქრობ, მკალი საუკუნეების წინ იყო ორმაგი მნიშვნელობის: 1. *ბალახი,* 2. *კალია,* მაგრამ შემდეგ, სავარაუდოდ, დარჩა, მხოლოდ *კალიის* მნიშვნელობით. *კალიას* თანამედროვე ქართულშიც ორმაგი მნიშვნელობა აქვს: მწერის გარდა ის მცენარეს აღნიშნავს. ეს არის უდაბნოს ბალახი, რომელიც აღწერილი აქვს აკად. ნიკო კეცხოველს და შეტანილია ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: „კალია – Salsola crassa, солянка мясистая..“ [3], ასევე გერმანულ-ქართულ და ქართულ-გერმანულ ბოტანიკურ ლექსიკონში [5] ვკითხულობთ: კალია – n. 1. Salsola cali Kalisalzkraut, n. Zalzkraut, n. და ლექსიკონის გერმანულ-ქართულ ნაწილში Zalzcraut – 1. Salsola cali – კალია, 2. Glaux maritima – რძებალახა.

ზემოთმოყვანილი ნიმუშები ადასტურებს, რომ, როგორც მკალის ექვივალენტად წერია *დანაკისკუდი, მწუერვალი მდელოჲსა, მწუანვილი მდელოჲსა,* ან განმარტებად ახლავს ეს სიტყვები, ასევე *ველურ თაფლსაც* ზოგჯერ ჰომილიათა თუ ცხოვრებათა ბერძენი ავტორები და, შესაბამისად, ადრეული საუკუნეებიდანვე მოყოლებული ქართველი მთარგმნელი წმინდა მამები – დაურთავენ ხოლმე განმარტებას, რა არის ეს *ველური თაფლი – მელაგრია* (ძველი

ბერძნული წაკითხვით, გამოთქმით)//მელაღრია – ბიზანტიურ ხანაში „გ“ იკითხება როგორც „ღ“ და, შესაბამისად, გადმოაქვს ის ქართველ მთარგმნელს. თავად სიტყვა *მელაგრია* არის მიღებული ორი ბერძნული სიტყვის შერწყმის შედეგად: *მელი აგრიონ//μέλι ἄγριον*.

ლამპეს ლექსიკონი გვთავაზობს სიტყვისთვის μελάγριον, τό – განმარტებას – ბალახი, მცენარე, რომელიც აღმოჩენილია უდაბნოში: a herb found in the desert [24, გვ. 840], სოფოკლესის რომანული და ბიზანტიური ხანის ბერძნულ ლექსიკონში ასეთი განმარტებაა ამ სიტყვის: μέλι, ιτο, τὸ – αγριον – honey-dew, upon the leaves of certain trees, რაც ქართულად ნიშნავს: თაფლის ცვარს, თაფლის წვეთს ზოგიერთ (//განსაზღვრულ) ხეთა ფოთლებზე [21, გვ. 742].

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ მელაგრია იგივე ბერძნული *μελάγριον* – ქართულად არის *მელაღრია, მელაგრია,* რომელიც ცალსახად მცენარის მნიშვნელობითაა და ეს არასოდეს ნიშნავს ველური ფუტკრის „თაფლს“.

მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით და მოცემული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იოანე ნათლისმცემელი ბალახის თავებით და მცენარეებით იკვებებოდა – სახარებაში ხსენებული *მკალი* და *თაფლი ველური* მცენარეებია.

ბიბლიოგრაფია

1. *ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი* (სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით), ტ. I. „ლოგოსი“, თბ. 2002
2. *ბიბლია/ძველი აღთქმა.* კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ყველა ხელნაწერის მიხედვით 2 ტომად, თბ. 2017
3. *ბოტანიკური ლექსიკონი* (ა. მაყაშვილი, III გამოცემა), „მეცნიერება“, თბ. 1991
4. *„განძთა ქვაბი“, ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლები* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ც. ქურციკიძემ), თბ. 2007
5. *გერმანულ-ქართული ქართულ-გერმანული ბოტანიკური ლექსიკონი* (შემდგენელი არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), თბ.,

2007 / Deutch-Georgisches Georgish-Deutches Botansches Worterbuch, (verfabt von Archimandriten Lazarus (Gagnidze), Tb. 2007
6. ივანიშვილი მ., *"დანაკის კუდი", „გზა", „გზობა" ქართველურ ენებში,* „ენათმეცნიერების საკითხები", I, თსუ გამომცემლობა, 2008
7. ივანიშვილი მ., "მცენარეთა სახელების ნასესხები ფუძეები ქართულ ოთხთავში", *ქართველოლოგი,* #23 (8), თბ. 2015
8. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, *მათეს სახარების კომენტარები* (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. კოპლატაძემ), „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა", თბ. 2005
9. *კლარჯული მრავალთავი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა), „მეცნიერება", თბ. 1991
10. *მამათა ცხორებანი* (ბრიტანეთის მუზეუმის XI საუკუნის ქართული ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბ. 1975
11. *სინური მრავალთავი 864 წლისა* (ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით), თბ. 1959
12. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* ორ ტომად, „მერანი", თბ. 1991
13. *უდაბნოს მრავალთავი* (ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), „თსუ გამომცემლობა", 1994
14 *ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი,* ტ. I, (ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და მ. შანიძის რედაქციით), „არტანუჯი", თბ. 2007
15. *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია* (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა), თსუ, თბ. 1979
16. ქუთ. 1 (ხელნაწერი), ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
17. „ძველი მეტაფრასული კრებულები" (სექტემბრის საკითხავები), *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები,* VII (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ), „მეცნიერება", თბ. 1886
18. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* ტ. I, ტ. II (ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით), თბ. 1965, 1967

19. Aldama, A., *Repertorium Pseudochrysostomicum*, Paris, 1965, n. 289
20. *Bible, Exodus,* 15, 27. https://www.academic-bible.com/en/online-bibles/septuagint-lxx/read-the-bible-text/
21. *Greek Lexicon of The Roman and Byzantine Periods, vol. II,* (From BC. 146 to A.D. 1100) By E. A. Sophocles, "Charles Scriber's sons", New York, 190013. "Menologii Anonimi Byzantini saeculi X", Basilius Latysev, Petropoli 1911 (16)
22. Basilius Latysev, *Menologii Anonimi Byzantini saeculi X*, Petropoli 1911
23. Παπαδοπούλου-Κεραμέως, Α., *Ανάλεκτα Ιεροσολυμιτικής σταχυολογίας*, ή, συλλογή ανεκδότων και σπανίων ελληνικών συγγραφών περί των κατά την Εώαν ορθοδόξων εκκλησιών και μάλιστα της των Παλαιστινών, Τομος Δ, 1897
24. *Patristic Greek Lexicon,* edited by G.W. H. Lampe, D.D., At the "Clarendon Press", Oxford 1961
25. PG. t. 50 (Ed. by J. P. Migne), Paris 1862
26. PG. t. 59 (Ed. by J. P. Migne), Paris 1862
27. PG. t. 78 (Ed. by J. P. Migne), Paris 1864
28 PG. t. 115 (Ed. by J. P. Migne), Paris 1899
29. PG. t. 123 (Ed. by J. P. Migne), Paris 1864
30. Rehav Rubin, *Liber Annuus*, "Brepols Publishers Online", 2002, pp. 347-352

The Meaning of the Words "mkali (locusts)" and "veluri tapli (wild honey)" Mentioned in the Gospel

(*mkali*, that is *danakiskudi*, *tapli veluri – melagria*)

Maya Barnaveli
Ph.D student, Tbilisi State University

Abstract: This article discusses the meaning of old Greek words and their old Georgian equivalents, mentioned in the New Testament as the food of St. John the Baptist.

According to Matt. 3:4 and Mark 1:6, John the Baptist ate locusts and wild honey: Mt. (3:4): "...and his food was locusts [Gr: akrides] and wild honey" [Gr. meli agrion]; Mr. (1:6): "...and he did eat locusts [Gr. akridas] and wild honey" [Gr. meli agrion].

The discussion about the terms *locusts* and *wild honey* began in the early centuries and continues until today. The Georgian translations of Greek homilies or patristic works, beginning from the VII century, as well as the Greek authors of these works often have commented the meaning of the words *akris* and *meli agrion//melagria*. These terms are also interpreted and determined in the old Georgian original texts.

In this article we support the view that claims that these terms mean plants, herbs. We have already published one article on the issue. Now, after 11 years, more, additional

arguments were found both from old manuscripts and contemporary researches, which are presented in this work.[1]

Key Words: *John the Baptist, melagria, mkali, locust, danakiskudi, wild honey, dates*

Regarding John the Baptist we read in the Gospel that "his food was locusts and wild honey" [15, Matthew 3:4,]//"ἡ δε τροφὴ ην αυτοῦ ἀκριδες και μελι αγριον". MT "he ate locusts and wild honey" [15, Mark 1:6]//«...ἐσθιων ἀκρίδας και μελι αγριον» MK.

ἀκρὶς, gen. ἀκρίδος is an *insect – locust*, and/ἄκρις, ἄκριος (ἡ) is the *peak, upper part of the top*. In Biblical encyclopedias or dictionaries this word is univocally defined as a *grasshopper, insect*. However, this definition is sometimes followed by the explanation that there is a tradition and some scholars still share the idea that this word denoted not an insect but a plant. There is a similar situation about the collocation *wild honey*, often in the works of ancient exegeticians; for example, in the works of Theophilactus Bulgarian, the above-mentioned term is interpreted as *honey prepared by the wild bees*, but some authors still hold the view, according to which this term also denoted a plant.

Based on the linguistic analysis on the one hand, and the etymology of these words (both Georgian and Greek), on the other, we argue that John the Baptist's food *the locust* and *wild honey* both denote plants. Regarding this issue we will employ the materials preserved in old Georgian manuscripts, writings of Sulkhan-Saba Orbeliani as well as in Modern studies.

Already in the first century AD, the definition of these words was commented on. Because Jesus Christ said that John the Baptist neither ate nor drank [15, Matthew 11:18, "John came neither eating nor drinking.."], that among those born of women there has risen no one greater than John the Baptist. "....he was the Mighty One, the second Elijah, the greater than the Prophets, that from the days of John the

[1] Maya Barnaveli, *His food was Locusts and Wild Honey*, "Byzantine Studies in Georgia", Tbilisi, "Logos", 2007. pp. 268-275.

Baptist until now, the kingdom of heaven suffereth violence" [15, Matthew, 11:12]. So it was hard to imagine that he ate non-vegetarian food. The Holy Fathers explained the meaning of the words *locusts* and *wild honey*. In the early centuries, in translated (from Greek) as well as in original Georgian manuscripts – such as lives, homilies, exegetical and metaphrastical writings – the meaning of the above-mentioned words was often explained and specifically interpreted.

In a Georgian original hagiographical text "Life of Peter Kartveli (Georgian)"[1], one of the disciples says that he approached, together with other disciples, father Isaiah's cell, and overheard the conversation. However, when they came closer, they saw no one there besides Father himself. When asked about the person he was talking to, Father Isaia replied: "The great John the Baptist came and said: 'After three days we'll come and take forth your soul'. And I asked the Great John, "What was your food while living in the desert?" And he said to me, "Herbs, vegetable, and hay was the food of mine" [18, pp. 253-254].

«Εἰ οἱ θεοῖ χρησμοὶ σημαίνουσι τὴν ἀκριδειαν, περιττὴ ἡ περίεργος ζήτησις τοῖς νουνεχῶς τουτους ἀναγινώσκουσιν. Εἰ τοίνυν καὶ βρώματα καὶ ἐσθήματα τῆς κατὰ θεὸν τελείας ἀσκήσεως ἐν Ἰωάννῃ τῷ βαπτιστῇ ἐπαιδεύζημεν, Φριξὶ μὲν, εἰ οἷον τε, πρὸς σκέπην ἀρκέσθησόμεθα, ἀκρέμοσι δὲ βοτανῶν καὶ φύλλων πρὸς ὀλίγην τροφὴν καὶ ἀπέρριττον. Εἰ δὲ ταῦτα, δι' ἀσθένειαν μείζονα, τύπος ἡμῖν ἔστω χρείας ἀπάσης καὶ τελεώσεως, ἡ τοῦ προεστῶτος δοκιμασία καὶ κέλευσις [27, col. 183, 184] Τί εἰσιν αἱ ακρίδες, καὶ τὸ μέλι τὸ ἄγριον, οἷς ὁ Βαπτιστὴς Ἰωάννης ἐτρέφετο.

Ἂι ακρίδες, αἷς Ἰωάννης ἐτρέφετο, οὐ ζωά εἰσιν ὥς τινες ἀμαζῶς, κανθάροις ἀπεοικότα. Μὴ γένοιτο. Ἄλλ' ἀκρέμονες βοτανων ἤ φυτῶν. Οὔτε δὲ πόα τίς ἐστι πάλιν τὸ μέλι (τὸ) ἄγριον. Δι' ὧν τήν ὑπερβαλλουσαν κάκωσιν

[1] Peter Kartveli/Peter Iberi was a Georgian scholar of the V c.
In the 5th and 132th epistles dedicated to John the Baptist Isidore of Pelusium (IV-V) wrote that he lived simply and ate tops of grass and leaves, he fasted. (The Greek text: 02 Ισιδορε Πελυσιοταε «Περὶ τῆς τοῦ Προδρόμου, καὶ περὶ ἀσκήσεως».

ἐπεδείκνυτο Ἰωάννης, οὐκ ἐνδείᾳ μόνη, ἀλλὰ καὶ τραχύτητι πᾶσαν ὄρεξιν πικραίνων τοῦ σωματος» [27, col. 270].

Blessed Theophilactus Bulgarian (+1107) explains the meaning of these terms in the following way: "His food was locusts and wild honey". Some sources say, that *locust* is also called *melagria*, which is a kind of grass, some mean it is *walnut* or *wild fruit*. Wild honey is produced by some bees and can be found in trees and rocks [6, p. 32]//«Ἡ δὲ τροφὴ αυτοῦ ἦν ἀκρίδες, καὶ μέλι αγριον. Τινές λέγουσι βοτανας εἶναι τὰς ἀκρίδας, ἅς καὶ μελαγρα καλουσι τινές δὲ, τὰ ἀκρόδρυα ἤτοι ὀπώρας ἀγρίας· μέλι δὲ ἄγριον, τὸ ὑπὸ ἀγρίων μελισσῶν γεωργουμενον, ἐν δένδροις εὑρισκομενον καὶ πέτραις» [6, col. 173].

The Greek ἀκρὶς, ἀκρίδος in old Georgian translations[1] is transposed as *mkali*, *danakiskudi* (date palm), *mtsuervali mdeloisa* (top of a field) *mtsvanili mdeloisa* (wild herbs//-herbs of the fields//meadows), or these words are followed after *mkali* (*locust*) – as an explanation. And words μέλι ἄγριον – is translated as *wild honey//honey o field//-melagria//source of a water plant*, as on a barren place was grown such a sweetness (a sweet plant) that's why it has been called *wild honey*.

Each of these terms will be discussed separately below:

The homily dedicated to Baptism, the author of which was first considered to be John Chrysostom [9, pp. 79-82; 11, pp. 50-51], but later, it was confirmed to be written by Pseudochrysostom [19, p. 51], mentions the man [John the Baptist] eating herbs of fields and wild honey and, by spiritual preaching motivating the Church of God//«ἐνταῦθα ὁ ἐν ἀκρίσι καὶ μὲλιτι τραφεὶς Ἰωάννης, τοῖς ἐρημικοῖς κηρύγμασι, μάλλον δὲ πνευματικοῖς, τὰς Ἐκκλησίας κινήσας» [26, col. 489-492].

In the metaphrasis "Silence of Zachariah" [17, p. 395] we read: "In all things we find John in the likeness of Eliah, because he lived in the mountain, but John – in the deserts; the fowls gave food to Eliah, but Jonh ate tops of a

[1] The Georgian texts, which were translated much earlier, but reached us starting from the IX c.

field"//«ἐκεῖνον κόρακες ἔτρεφον, καὶ οὗτος ἀκριδας βοτανῶν ἤσθιεν» [25, col. 786-787].

In the "Sinuri Mravaltavi" [11, p. 208] the following is mentioned: "[John] eating locusts (mkali) and the wild honey"//«ὁ ἀκρίδας εκ βοτανῶν ἠσθιῶν καὶ μέλι ἄγριον» [26, col. 761-76].

In one of the reedings of "Klarjuri Mravaltavi" (XIc.) [9, p. 358], it is clarified that "*Mkali (locust)* that is (date palm) – *danakiskudi*, and *wild honey* is the source of water from the spring, as on this barren place was grown such a sweetness, that's why it has been called wild honey". In another text of the Klarjuli Mravaltavi, Jesus Christ says: "I say unto thee, danakiskudo [locust], incline your head with fruit down and feed my father and mother. And the tree bent immediately. It is interesting to know what happened to this locust tree – danakiskudi- after Jesus said to it: 'And you have to be food for the men who are living isolated in the mountains and the deserts! Now you, danakiskudo (locust), go back to the first place you moved from!' 'Then the tree raised up, moved to heaven'" [9, pp. 423-425].

In the text of the "Lives of Holy Fathers" (XIc.) it is written: "our food was *wild field hay*, which is the *mane of horse*" [10, p. 168]; "...and as they couldn't find the bottom of melagria in the wilderness//desert, then they asked God to give them some edible food for men" [10, p. 247]; "...There was a field nearby and some locusts – *danakiskudoanni* — were raised there" [10, 33]; "...and they had a bit of locust – *danakiskudoanta* — to eat" [10, 34]; "...there was some edible grass there" [10, 33]; "they had some *locusts-danakiskudi*- to eat" [8, 34]; "And his food was herbs...he used to eat nothing but bread and locust – *danakiskudi* – and drink some water" [10, p. 312]; "He went out to pick some herbs" [10, p. 278]; "And he [Gerasim] founded the monks in the cave and instituted the rules for them: five days a week not to eat anything but bread, *locust-danakiskudi* — and drink water" [10, p. 312]; and "...they (monks) had nothing else to eat, but the bottom of *wild honey* and the heart of the reed. And the monks living isolated did eat and drink enough" [10, p. 63]; "There was some herb for them to eat" [10, p. 151]; "the *herb* – *mkhali*-became sweet and pleasant immediately" [10, p.

247]; "And he [saint Kviriyakos] ate the *bottom of the melagria* and core of reed" [10, p. 248].

The Gelati manuscript reads: "he [st. John the Baptist] didn't work on land, he didn't care for harvest, nor where to live, nor about the bed for himself, he didn't work to get his own daily bread, but his food was *the top of trees*" [16, 563v]//5: «οὐ κλίνης, οὐ τραπέζης, οὐκ ἄλλου τῶν τοιούτων οὐδενὸς ἐδειτο, οὐ γῆν ἤροσεν, οὐκ αὔλακα ἔτεμεν, οὐκ ἐκ ἱδρωτι προσωπον, ἄρτον ἔφαγεν, ἀλλὰ δενδρων μὲν ἀκρίδες αὐτῷ ἡ τροφὴ» [22, pp. 384-400].

"As they had nothing to eat, they needed to be comforted by food found in nature, but there was nothing edible in the desert, even wild honey (//in greek text: *melagria*), that would be enough to feed them.." [17, p. 461]//-«Ἀπορούμενοι τοίνυν παραμυθήσονται οὐδὲ γὰρ [οὐδὲ] μελάγρια κατὰ τὴν ἔρημον πεφύκει» [28, col. 929]; "…he grew up eating bottoms of *wild honey (melagria)* and tips of reed…" [17, p. 462]//«καὶ πέντα παρ 'αὐτῇ διαγαγῶν ἔτη, ῥίζας τε μελαγρίων καὶ ἀκρέμονας [ἀκρεμόνας2] καλάμων προσίετο» [28, col. 932]; "Bishop John used to get out of his cave and wandered in the (wilderness//) desert and pick up *melagria* – food of monks living in deserts" [10, p. 278]

It is interesting to mention that the "Treasure Cave" ("Gandzta Qvabi") gives us the same explanation of the term *wild honey*: "And John was in the wilderness all the days of his life. And his food was *locust (mkali)* and *wild honey, locust (mkali)* which is the core of the plant referred to as a pine palm, which, like an animate thing grows on the top of a tree, and the honey, which is the mane of the horse, called in Greek melagrio" [4, p. 163].

As we can see, in the two latter examples is mentioned *honey of a field (//valley*), in Georg. *veluri*), but not *wild honey*. This shows that in the Georgian language the *valley* and *wild* were used synonymously and derived from the word *field* by adding the suffix "ur". (The word *mindori (//veli)* means a *valley*, a woodless place). The great Georgian lexicographer Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725) in his explanatory dictionary defined the word in this way: *mindori* – (a field) – little valley, small valley, a woodless place [12]; The word *veluri(wild)* in Modern Georgian is the name of a wild

or non-cultivated plant *(veluri//wild* animal refers to non-domestic animals, that live in forests). The following words have the same meaning: "wild /growing in a valley, field//habitant of a forest, wood, wild nature". Etymologically, the Greek word *agros*, that means *a village, a garden* is related to the word *agrios* – wild, habitant of a valley, habitant of the wild (or non-domestic) nature".

The name of the plant is confirmed in old Georgian as *a wild olive*, *velis-khrdeli* (plant), *shroshanni velisani* [15, Matthew, 6, 28]//τὰ κρίνα τοῦ ἀγροῦ//lilies of the field: the heath in the desert, (griki, mtis jholo)//mountain raspberries [2, Ieremiah, 17, 6 p. 2612], (Saba explains *mountain raspberries* [12])// – ἀγριομυρίκη ἡ. "every beast of the forest is mine" [2, p. 49//50, 10, p. 1897]//: «...ἐμά...πάντα τὰ θηρία τοῦ ἀγροῦ»; they plant wild figs (during six days) [1, p. 52] in greek: «τὰς ἀγρίας συκᾶς παραφυτεύουσι» [20, p. 55]; A wild donkey (viri veluri) – Kanjari, as explained by Saba [12].

As we see from these examples, ἀγρός, ὁ – if it stands in the genetive case – and the word ἄγριος, α, ον – are translated into Georgian as the *habitant of wild nature, field, valley, forest*; for example, *veli shuenieri* – (beautiful valley) [14, p. 342]; *nadirni velisani* – (beasts living in wilderness) [14, p. 342] (Certianly, in this case *nadirni velisani* – animals living in wilderness – mean beasts, non-domestic animals, living in nature, as well as *mtzenare veluri* (wild plants) mean plants that grow in wilderness, valley, forest non-domestic plant//flower), for example: "the Khazarians are wild people" [14, p. 342]; But: "You, wild olive tree, the Christ has accepted you" [14, p. 342].

In Sulkhan-Saba's dictionary [12] we also have a definition of *wild honey*: "This is the tree that is called "Erika" in latin, it's like a ...urtkhli [a yew tree]. The fruit of this tree and the tree itself have honeylike sweetness coming out of it. Some people call it *manna* (in Georgian: *manana*). So, this is called *wild honey*. The word *urtkhli*, is explained by the great Georgian lexicographer in this way: "The tree, the non-rotting wood, the yew, the sage"//*dzeli ulpolveli, utkhovari, saji* [12]. As we have seen above, wild honey is uniquely identified as a plant by Sulkhan-Saba.

Rehav Rubin considers the *melagria* as a plant and specifies it in the article "The Melagria: On Anchorites and Edible Roots in the Judean Desert" [30, pp. 347-352]. He conciders this word uniquely to describe the plant and offers his own arguments, what plant must have been the food as described in the "Lives" of the ancient monks living in deserts. He believes this word denoted an asphodel (Latin - aspodelus), which is still abundant in the wilderness of Judea.

Regarding the definition of a word *mkali*, in the earliest manuscripts (manuscripts of Georgian dictionary, indicated with the letter – E), Sulkhan-Saba Orbeliani wrote that it was *the top, upper part of herbs//mtsuervali mdelota*. In addition, closeby Saba wrote the words "the Baptist", which refers to the fact that in the context of John the Baptist the word was interpreted as a plant. However, in the manuscripts written in a later period (ZA), this definition was altered and Sulkhan-Saba defined the word in the following way: "mkali– (Mark, 1:6) that was eaten by John the Baptist, some say, was tops of herbs, but it is a lie; in reality the word meant "locusts-grasshoppers", still used as food by the Arabs; it has an elongated shape and can fly". In addition, in some earlier manuscripts of Georgian Dictionary by Sulkhan-Saba Orbeliani (Cab) the following is added: "The Hellenistic and Latin vocabulary has proved that this word means *grasshopper*, not *the top of grass//herb//valley"*.

It is interesting to see how Saba defined the word *danakiskudi*, for Georgian translators and theological figures frequently translated the word *akris/locust* into Georgian as *danakiskudi*, or the word *mkali* was followed by the definition of this kind: *mkali, that is danakiskudi*. On the other hand, Sulkhan-Saba gives such an explanation of the word: "in the Greek language *danakiskudi* is a tree – a date palm, (ἀκρις), in Georgian it is called *danakiskudi, valanos"* [12]. Indeed, in the Bible, in the book of Exodus the Greek *φοίνιξ, ικος, ό* is translated into Georgian as *danakiskudi*: "There were twelve springs of water and seventy trees of danakiskudi" [2, p. 226]; where there were twelve springs and seventy palm trees. [Exodus, 15, 27]. The parallel Greek text runs in this way: «καὶ ἦσαν ἐκεῖ δώδεκα πηγαὶ ὑδάτων καὶ ἑβδομήκοντα

στελέχη φοινίκων παρενέβαλον δὲ ἐκεῖ παρὰ τὰ ὕδατα» [20, Exodus, 15, 27].

The etymology of the word *danakis kudi//(danakis-kudi*) was discussed by M. Ivanishvili in her article "Danakis Kudi" (the Palm Tree), "Bza" (Boxux) and "Bzoba" (Palm Sunday) in the Kartvelian languages" [6, p. 149-159]. She suggests the etymology of the word *danakis kudi*, as derived by merging the words *danaki* (a little knife) and *kudi* (a tail), as the leaves of the date palm look like the tip of a knife. As this palm is not an endemic plant for the Caucasus, according to the researcher, the shape of the palm leaves was taken into consideration while transposing the name for this tree in Georgian.

The issue about the names of plants in the Georgian New Testment has been discussed by A. Khintibidze in his article about no-endemic species. The scholar agrees the word (danakiskudi) was originated by merging two Georgian words: *danaki and kudi* [7, 23/2015].

In order to better understand the case, we also looked up the materials in the Greek-Georgian documented dictionary [1, p. 461], and we found that the Greek word *φοίνιξ, ικος, ὁ* – (date palm) is transposed into Georgian as *piniki, danakiskudi*, which means that, as πόλιν φοινίκων ἕως Σηγώρ /shown above, these two words are synonymous: Φοινίκη, ης, ἡ – פניין, *danakiskudovani* (qveq'ana-country)//land of Canaan//εἰς μέρος τῆς Φοινίκης [2, I Ezra, 2, 13] πόλιν φοινίκων ἕως Σηγώρ// the city of palm-trees, to Segor [2, Deuteronomy, 34:3] 2, r., 16, 35); *φοίνιξ, ικος, ὁ* – [date-palm] *piniki, danakiskudi*.; *φοίνικες* – trees of the date palm, palm trees, – *kheni danakiskudisani* [2, Ezek. 40, 26, p. 281].

This explanation by Saba is supported by one extract from "the Lives of the Fathers", which mentions that holy Fathers used to weave baskets with the leaves of danakiskudi – (the date palm). Indeed, the date palm has got leaves that are suitable for weaving baskets: "...(the monk) lay on the reed-woven bed, the Governor of the Lavra used to give him the leaves of danakiskudi, he weaved fifty bags and gave them to the Head of Accomodation"; Here the words *date palm* and *danakiskudi* are used in parallel, as well as the date palm is

translated as “danakiskudi”: “They get their food for Sunday: some bread and dates [piniki] and water..” [10, p. 313]//«τῃ Κυριακῇ δείλης τὸ ἀνάλωμα τῆς ἑβδομάδος λαμβάνων, ἄρτους καὶ φοίνικας καὶ ἐν κιλικήσιον ὕδατος» [23, p. 177]; “They didn’t eat anything but bread and dates (danakiskudi), and water” [10, p. 312]//«μεδενὸς ἑτέρου μεταλαμβάνοντα, πλὴν ἄρτου καὶ ὕδατος καὶ φοινίκων» [23, p. 176]. In order to strengthen the proposition that John the Baptist was believed to be a vegetarian, we could use an example of holy Fathers, living later, who used only vegetarian food: we know well and the literature describes that monks following each other in a way of life, fasting, and, of course, most likely they should have followed the way of John The Baptist.

None of the “Lives” or works that we know of describe that the monks ever recieved non-vegetarian food. We’ll introduce some extracts from the Georgian original hagiography of early centuries: In the “Life” of the great Georgian theological figure Grigol Khandzteli (IXc.) it reads: “The Father Grigol lived the life of the hermit, because he had heard about the angel-like lives of the holy Fathers living alone in the wilderness, who, like the grazers ate herbs, fruit and some of them a little bit of bread” [18, p. 253]

Great Georgian theological father, Giorgi Mtatsmideli (XIc.) refused to drink wine and to eat hay” [18, p. 199]. He walked along the road, refusing to get wine or hay (tsveli), as he ate once a day some bread and drank water [18, p. 188]. Sulkhan-Saba explains: “*tsveli (herb)* is the part of herbs from the bottom the top” (Matthew 7:4); “kanis chala monamkali” (part of the hay after the wheat has been reaped). In our opinion, the word *monamkali* – is related with the word *mkali* that means the upper part, top of herbs, and the word *mkali* is related with word *mka*, which means harvesting, reaping of wheat field; possibly John the Baptist ate the upper part of the plant, *the top of the meadows*, as while harvesting//reaping wheat field, upper parts of the herbs are cut off.

I believe that the old Georgian word *mkali* had a double meaning: 1. *Grass, herb*, that is cut when harvesting, or reaping; 2. *Locust, grasshopper*. However, later, in course of time, it is likely that second meaning, that of the grasshopper remained whilst the first meaning (that of the har-

vesting) disappeared. On the other hand, *kaliya* (grasspoper - comes from the old Georgian word *mkali*), has a double meaning in Modern Georgian too: besides the insect (locust), it means a plant, which is described by Niko Ketskhoveli and is included in the Botanic dictionary of Al. Makhashvili "Kaliya-Salsola crassa" [3].

In addition, in the German-Georgian and Georgian-German Botanical Dictionary [5] this word is defined as "*Kaliya* – n 1. Salsola cali Kalisalzkraut, n. Zalzkraut, n. and the dictionary in the German-Georgian section of Zalzcraut – 1. Salsola cali-Kaliya, 2. Glaux maritima-peak".

The above examples prove that as well as the word *mkali* is often transposed as *danakiskudi*, *the upper part of grass*, *herbs of the meadows*, or is followed by these words as its definition, – sometimes by the Greek authors of homilies and Lives of Saints, and, therefore, by Georgian Holy fathers - the translators of these works, the collocation *wild honey* – is defined as *melagria*. The word Melagra itself derives from the merging of two Greek words: *μέλι ἄγριον* [meli agrion].

The dictionary by Lampe presents the word *μελάγριον* as a definition of the grass (a herb found in the desert) [22, p. 840], the *Greek Dictionary of the Roman and the Byzantine age of Sophocles* offers the definition of this word in the following way: *μέλι, ιτο, τα - αγριον – honey-dew, upon the leaves of certain trees* [21, p. 742].

Our opinion is strengtherened by the fact that Greek melagria denotes the same in Georgian – *melagria*, and this word unequivocally means a plant and has never had a meaning of *honey made by wild bees*.

Based on the above examples and relying on the analysis, it is possible to conclude that the food of John the Baptist was the tops of grass and plants, therefore, the *locusts and wild honey* mentioned in the Gospel mean plants.

Bibliography

1.*Greek-Georgian Documented Dictionary* (S. Kaukhchishvili's common edition). Vol. I. "Logos", Tb. 2002 / *ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი*, ტ. I. „ლოგოსი", თბ. 2002

2. *The Bible. Old Testament*. Critically defined text according to all manuscripts, in 2 volumes. Academic edition, Tb. 2017 /*ბიბლია. ძველი აღთქმა.* კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ყველა ხელნაწერის მიხედვით 2 ტომად. თბ. 2017
3. *Botanical Dictionary*, "Science", Tb. 1991 / *ბოტანიკური ლექსიკონი.* „მეცნიერება", თბ. 1991
4. "Gandzta Quabi (Cave of Treasure)", *Old Georgian Apocryphal Literature Monuments*. Tb. 2007 / *„განძთა ქვაბი", ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლები.* თბ. 2007
5. *German-Georgian Georgian-German Botanical Dictionary*, Tb. 2007 /Deutch-Georgisches Georgish-Deutches Botanches Worterbuch, Tb. 2007 / *გერმანულ-ქართული ქართულ-გერმანული ბოტანიკური ლექსიკონი.* თბ. 2007
6. Ivanishvili, M., "Tail of the Case", "Buzz", "Blush" in Kartvelian Languages", *Linguistics Issues, I,* TSU Publisher, 2008 / ივანიშვილი, მ., *"დანაკის კუდი", „ბზა", „ბზობა" ქართველურ ენებში*, „ენათმეცნიერების საკითხები", *I,* 2008
7. Ivanishvili, M., "The Borrowed Plant Name Stems in the Georgian Gospel", Journal *The Kartvelologist, #23 (8),* Tb. 2015 / ივანიშვილი, მ., *„მცენარეთა სახელების ნასესხები ფუძეები ქართულ ოთხთავში": ქართველოლოგი*, #23 (8), თბ. 2015
8. Blessed Theophylact Archbishop of Ochrid and Bulgaria, *Explanation of the Holy Gospel According to St. Matthew*, "Publisher of Georgian Patriarchate", Tb. 2005 / ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, *მათეს სახარების კომენტარები*, თბ. 2005
9. *Klardjuli Mravaltavi* [*The Klardjeti Polycephalon*](multi-chapter – the manuscript from Klarjeti (Georgia), "Science", Tb. 1991 /*კლარჯული მრავალთავი*, „მეცნიერება", თბ. 1991
10. *Lives of Holy Fathers* (Georgian manuscript of the British Museum XIc., prepared and published by V. Imnaishvili), "Tbilisi University Press", Tb. 1975 /*მამათა ცხორებანი* (ბრიტანეთის მუზეუმის XI ს-ის ქართული ხელნაწერი), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბ. 1975
11. *Sinuri Mravaltavi 864. (The multi-chapter from Sinai, dated manuscript of 864 AD)*, Tb. 1959 / *სინური მრავალთავი 864 წლისა*, თბ. 1959
12. Sulkhan-Saba Orbeliani, *Georgian Dictionary*, two volumes, "Merani", Tb. 1991 / სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* ორ ტომად, „მერანი", თბ. 1991

13. *Udabnos Mravaltavi* (the multi-chapter from the monastery in Georgia's Guria region), "TSU Publishing", 1994 / *უდაბნოს მრავალთავი*, „თსუ გამომცემლობა", 1994
14. *Concordance-Glossary of Old Georgian Hagiographic Literature*, T. I, "Artanuji publishing", Tb. 2007 / *ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I,* „არტანუჯი" თბ. 2007
15. *Last Two Redactions of the Georgian Gospel*, Tb. 1979 / *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია*, თბ. 1979
16. Qut. 1 (manuscript), Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum. / ქუთ. 1 (ხელნაწერი), ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
17. *Old Metaphased Collections, September Issues* (Old Georgian Writings, VII), "Metsniereba", Tb. 1886 / *ძველი მეტაფრასული კრებულები*, სექტემბრის საკითხავები, (*ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VII*), „მეცნიერება", თბ. 1886
18. *Monuments of Old Georgian Hagiographic Literature*, T. I, 1965, t. II, Tb. 1967 / *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* ტ. I, ტ. II, თბ. 1965, 1967
19 Aldama, A., *Repertorium Pseudochrysostomicum*, Paris, 1965, n. 289
20. *Bible, Exodus*, *15, 27.*
https://www.academic-bible.com/en/online-bibles/septuagint-lxx/read-the-bible-text
21. *Greek Lexicon of The Roman and Byzantine Periods, vol. II,* (From BC. 146 to A.D. 1100) By E. A. Sophocles, "Charles Scriber's sons", New York 1900
22. Basilius Latysev, *Menologii Anonimi Byzantini saeculi X*, Petropoli 1911
23 Παπαδοπούλου-Κεραμέως, Α., Ανάλεκτα Ιεροσολυμιτικής σταχυολογίας, ή, συλλογή ανεκδότων και σπανίων ελληνικών συγγραφών περί των κατά την Εώαν ορθοδόξων εκκλησιών και μάλιστα της των Παλαιστινών, Τομος Δ, 1897
24. *Patristic Greek Lexicon*, ed. by G.W. H. Lampe, D. D., "Clarendon Press", Oxford 1961
25. PG. t. 50 (ed. by J. P. Migne), Paris 1862
26. PG. t. 59 (ed. by J. P. Migne), Paris 1862
27. PG. t. 78 (ed. by J. P. Migne), Paris 1864
28. PG. t. 115 (ed. by J. P. Migne), Paris 1899
29. PG. t.123 (ed. by J. P. Migne), Paris 1864
30. Rehav Rubin, *Liber Annuus*, "Brepols Publishrs Online", 2002, pp. 347-352

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

რომანტიკოსების გეოპოეტური სტრატეგიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში[1]

ჰაიატე სოტომე
დოქტორანტი, ტოკიოს უნივერსიტეტი
JSPS Research Fellow

რეზიუმე: სტატიაში მსჯელობაა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გეოპოეტურ სტრატეგიაზე. თხზულებაში ილია ქართველი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის პოემებს ციტირებს. არსებული კვლევების თანახმად, ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში სამი სტრატეგია შეინიშნება, რომლებშიც რუსეთის კოლონიალიზმისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს. ამ სტრატეგიების გათვალისწინებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მწერალი ასეთ განსხვავებებს ამჩნევს და თავისი გეოპოეტიკური შეხედულების გამოხატვისთვის იყენებს: „საღამო გამოსალმებისა“ ირონიულადაა მოხმობილი, რადგანაც ლექსი ეკუთვნის სტრატეგიების პირველ ტიპს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რუსეთის კოლონიალიზაციის პროცესში ქართველი რომანტიკოსების მონაწილეობას გულისხმობს; მეორე მხრივ, იგი ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ირონიული

[1] სტატია დაფუძნებულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XI საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაზე.

განზრახვის გარეშე ციტირებს, რადგან პოემა საქართველოს ისტორიის ხოტბას წარმოადგენს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ილია რომანტიკოსების ეროვნულ თვითშეგნებას სტრატეგიულად გარდაქმნის და თავისი ნაწარმოებისა და მოღვაწეობის წყაროდ იყენებს.

საკვანძო სიტყვები: *ილია ჭავჭავაძე, გეოპოეტური სტრატეგიები, ქართული რომანტიზმი*

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, „სარჩობელაზედ“ და ა. შ. XIX საუკუნის ქართული რეალიზმის შედევრად გვევლინება, რომლებითაც ილია აკრიტიკებს იმდროინდელ ქართულ რეალობას, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს კოლონიზაციას. ამ კრიტიკის მეშვეობით ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას ცდილობს.

თუმცა, თუ დაწვრილებით განვიხილავთ, რასაკვირველია, ლიტერატურის ისტორია მკვეთრად გამოხატულ ორ –რომანტიზმისა და რეალიზმის ხანად არ იყოფა და უფრო ჭრელი გრადაციაა. ილიას შემთხვევაშიც ასეა: ის ქართულ ლიტერატურაში რეალიზმისადმი ახალ დამოკიდებულებას ნერგავს, მაგრამ ამავდროულად ქართული რომანტიზმის კანონიერი მემკვიდრეცაა.

რუსული ორიენტალიზმის შესწავლის პროცესში ერთ-ერთი ეტაპი რომანტიზმის ხანაა, როდესაც კავკასიაზე ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები იწერება. მკვლევარი ლეიტონი თავის წიგნში რომანტიკოსებიდან პუშკინის, ლერმონტოვისა და ბესტუჟევ-მარლინსკის ნაწარმოებებს ირჩევს და აანალიზებს ამ მწერლების მიერ კავკასიის ორიენტალისტურ ხედვას. ჰარშა რემისა და ზაზა შათირიშვილის თვალსაზრისით [8], ქართველი რომანტიკოსები რუსული რომანტიკული ლიტერატურიდან ითვისებენ ამა თუ იმ თემატიკას სხვადასხვა სტრატეგიებით. ილია კი, როგორც რომანტიზმის მემკვიდრე, რომანტიკოსების ამ სტრატეგიას თავისი მიზნებისთვის ცვლის და იყენებს. სტატიაში

ილიას სტრატეგიას იმდროინდელი კოლონიური ვითარების კონტექსტიდან ვაანალიზებთ.

პირველ რიგში, შევეხოთ იმას, თუ რას აცხადებს ილია თავის სადებიუტო კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვა ძის ერისთავის მიერ კაზლოვის *შეშლილის* თარგმანზედა“ (ცნობილია, რომ ამ წერილით დაიწყო ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლა“). ამ შემთხვევაში მამების თაობა რომანტიკოსია, თუმცა, ილია მამებს რომანტიზმის გამო არ სდებს ბრალს. მისი აზრით, შალვა ერისთავის „შეშლილის“ თარგმანი იმიტომ არ ვარგა, რომ:

ა) კოზლოვს პოეტური ტალანტი არ აქვს: „ზოგიერთნი რუსნი ხედვენ კაზლოვში რაღაც პატარა ტალანტსა, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერს არა ვხედავთ“ [4, გვ. 5], და მაშასადამე, მის ლექსში „სუყველგან თითქმის, დაძალებული, ე. ი. ძალად მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად“ [5, გვ. 5-6]. ამიტომაც, მისივე აზრით, თარგმნის ერთ-ერთი მიზანი – უცხო კულტურისა და ლიტერატურის გაცნობა – შეუსრულებელი დარჩა, ვინაიდან კოზლოვის სენტიმენტალური სტილი მოძველებულია იმდროინდელი ქართული საზოგადოებისთვისაც და მისი გაცნობა არ იყო საჭირო.

ბ) ერისთავის თარგმანიც უხარისხოა: „ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგესი აქვს თავად ერისთავს“ [5, გვ. 10]. ერისთავის ნათარგმნი დამრღვევია იმ ენისა, რომელსაც რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე და ბარათაშვილი ქმნიდნენ. აქედან გასაგებია, რომ ილიას კრიტიკა არ მიემართება მთლიანად რომანტიზმს, არამედ კოზლოვის პოემისა და თარგმანის ხარისხს. აქ რომანტიზმი ლიტერატურის ისეთ მიმართულებადაა გაგებული, რომელიც რუსთაველისეული ქართულის მემკვიდრეა. ზ. შათირიშვილი ფიქრობს, რომ XIX საუკუნის 60-70 წლებში *ვეფხისტყაოსანი* ქართული ლიტერატურის ნაციონალურ ნარატივად იქცა [3, გვ. 4]. საყურადღებოა,

რომ არა მარტო რუსთაველი, არამედ რომანტიკოსი პოეტებიც ქართული კანონიკის წიაღში ჩნდებიან.

ილიას რომანტიზმისადმი დამოკიდებულებაზე ჯერ კიდევ პავლე ინგოროყვა მსჯელობს: „ახალი ქართული მწერლობიდან ილია დიდად აფასებდა XIX საუკუნის I ნახევრის პოეტებს – ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს. განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანის „ღრმა ეროვნული პოეზია“ ადრიდანვე ყოფილა ილიას სიყვარულის საგანი“ [1, გვ. 231]. გრ. ორბელიანისადმი ასეთი დამოკიდებულება, ინგოროყვას თქმით, ილიას ადრინდელი, ახალგაზრდობის პერიოდის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებშიც (მაგ. „აჩრდილში“) შეიმჩნევა. დასასრულს, მკვლევარი ასკვნის, რომ „ნათესაობა და მემკვიდრეობითი კავშირი მათ შორის უდავოა“ [1, გვ. 237]. თუმცა, დამატებით შენიშნავს, რომ „ეს ნათესაობა არ სცილდება გარკვეულ ფარგლებს. გრ. ორბელიანის პოეზია, ჯერ ერთი, განუზომლად უფრო ვიწრო დიაპაზონისაა, რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ეპოქა, ორი სხვადასხვა სამყარო. ილიამ ჯერ კიდევ „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი სამოქმედო პროგრამა დაუსახა ხალხს, ახალი შინაარსით აავსო ის შემოქმედებითი პატრიოტიზმის სული, რომელიც წინა თაობის პოეზიიდან მემკვიდრეობით მიიღო“ [1, გვ. 237-238].

თუკი, როგორც მკვლევარი ამბობს, ილიამ წინა თაობის მემკვიდრეობით ქართული ეროვნული ლიტერატურა მაღალ დონეზე აიყვანა, ჩნდება კითხვა – როგორ მოახერხა ეს? რას ნიშნავს „მაღალი დონე“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – „სხვა ეპოქისა და სამყაროს“ – კონტექსტში?

ყურადღება მივაქციოთ „მგზავრის წერილებს“, რომელშიც ისევე, როგორც „აჩრდილში“, გრ. ორბელიანთან კავშირი ჩანს. თხზულებაში ლექსიდან „საღამო გამოსალმებისა“ და პოემა „სადღეგრძელოდან“ ნაწყვეტებია ციტირე-

ბული. დაწვრილებით განვიხილოთ, როგორ გამოიყენა ილიამ ორბელიანის ეს პოეტური ნაწარმოებები.

თხზულების მეორე თავში, როდესაც მგზავრი ვლადიკავკასს ტოვებს და სამშობლოსკენ – საქართველოსკენ იზამს პირს, მას ხვდება თერგი. სწორედ აქ გვახსენებს ავტორი გრ. ორბელიანის ლექსს („საღამო გამოსალმებისა“): „ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“...

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუნებულა, რომ მობანე კლდენი გვერდთ არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“ [4, გვ. 248-249].

როგორც ინგოროყვა ამბობს, ორბელიანისადმი ილიას დამოკიდებულება აქედანაც აშკარად ჩანს; იგი მის შემოქმედებას კარგად იცნობს და დიდად აფასებს. თუმცა თუ დავაკვირდებით, ჩანს, რომ ეს ციტატები სხვადასხვა დატვირთვითაა გამოყენებული და მხოლოდ პატივისცემით არაა განპირობებული. ამ დატვირთვის განხილვისას საყურადღებოა რემისა და შათირიშვილის მიერ გაანალიზებული ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგია. მათი თქმით, ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგია, რომელიც რუსეთის მიერ კოლონიურ მდგომარეობას ითვალისწინებს, ძირითადად სამი ტიპისაა. ეს ტიპები ძირითადად კოლონიურ მდგომარეობაში არსებული ტრიქოტომიის – „რუსეთი/ საქართველო/ ჩრდილოეთ კავკასია“ – ცვლილებაა რომანტიკოსთა პოემებში.

პირველი ტიპის მაგალითად სტატიის ავტორები ალ. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიას“ ირჩევენ და წერენ, რომ პოეტი იმდროინდელი რუსული ლიტერატურის სხვადასხვა პოე-

ტური ნაწარმოებიდან იღებს მასალას და ლექსს ქმნის ერთგვარ ნაკრებად. თუმცა, ეს რუსული ლიტერატურის უბრალო მიბაძვა არაა – პოეტი გარკვეულ დეტალებს ცვლის. მაგალითად, როცა რუსი პოეტები ცარიზმს განადიდებენ, იყენებენ ორ ღერძს – ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურს. ჰორიზონტალური ღერძი პანორამული პერსპექტივაა, რომელიც იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების სიფართოვეს გულისხმობს, ხოლო ვერტიკალური კი მწვერვალის სიმაღლეა, რაც მეფე-ცარის სიდიადეს გულისხმობს. მკვლევრების აზრით, პოეტი ვერტიკალურ ღერძთან შედარებით ჰორიზონტალურზე გამოკვეთილად არ წერს. ამიტომ, „ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძები ერთმანეთთან კონფლიქტად ბოლომდე რჩება, რაც პოეტისა და პოემის რუსეთის იმპერიასთან მთლიანად გაიგივება-იდენტიფიცირებას უშლის ხელს“ [8, გვ. 13]. აქ დაპყრობილი ერები არ იხატება ჰორიზონტალზე, ეს გულისხმობს, რომ ჩრდილოეთ კავკასია უკვე დაპყრობილია. სტატიის ავტორები ასკვნიან, რომ „ლექსი დასაწყისისთვის იღებს ტრიქოტომიას „რუსეთი/ საქართველო/ ჩრდილოეთ კავკასია,“ რათა რუსეთს ეფექტურად დააპყრობინოს ჩრდილოეთ კავკასია და შთაანთქმევინოს საქართველო“ [8, გვ. 13].

რაც შეეხება ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგიის მეორე ტიპს, აქ ტრიქოტომიური სქემიდან „რუსეთი“ ქრება და ტრიქოტომია დიქოტომიით – „საქართველო/ ჩრდილოეთ კავკასია“ – იცვლება. ეს ბარათაშვილის ლექსის „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-სა“ შემთხვევაა, რომელიც გვახსენებს იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებელია და ლექსში ერეკლე II-ის ხმაც ჟღერს. სინამდვილეში ამ ლექსის დაწერისას, XIX საუკუნეში, საქართველო უკვე დაპყრობილია რუსეთის იმპერიის მიერ, მაშასადამე, ის, რაც ამ ლექსსა და სხვა პოეტურ ნაწარმოებებში („ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“) აისახა, ანაქრონისტული წარმოსახვაა და მეორე სტრატეგიას კარგად ადასტურებს. „რუსეთის მიერ კავკასიის

დაპყრობაში მონაწილეობით ქართველები მხოლოდ წარსული ტრავმების და ზიანისთვის ანგარიშის გასწორებას კი არ ითხოვდნენ, არამედ იმ პოლიტიკურ კონტექსტსაც აღადგენდნენ, რომელშიც ეს ზიანი მიადგათ“ [8, გვ. 17]. აქ საქართველო დაპყრობის სუბიექტია და არა ობიექტი, როგორც ეს პირველი ტიპის შემთხვევაში გვქონდა.

მესამე ტიპი კი უკვე დიქოტომიაც აღარ არის: ბარათაშვილის „მერანში“ აღინიშნება სტრატეგია, რომელშიც არც „რუსეთი,“ არც „ჩრდილოეთ კავკასია“ აღარაა. მკვლევრების აზრით, „მერანი“ ბარათაშვილის ბიძის ილია ორბელიანის დატყვევების ერთგვარი გამომახილი და რეაგირება მომხდარზე კი არის, მაგრამ მისი წაკითხვა ამ რეალური კონტექსტის გარეშეც შეიძლება. ზემოთ განხილული ნაწარმოებების საპირისპიროდ, „მერანი“ არსად ეხება ისტორიას, ან გეოგრაფიას – მათ შორის საქართველოსაც. ასეთი უტოპისტური დამოკიდებულებით, „პოეტის მიზანი იმ „ბედის სამზღვრის“ გადალახვაა, რომელიც მას მშობლიურ მიწას აბამს. რეალური სამყარო კი გაურბის პოემის გაუცხოების სტრატეგიას, იღებს რა საკუთარ თავზე ლირიკული გმირის დაკრძალვასა და დატირებას, რომელსაც ჩვეულებრივ, გმირის ნათესავები აღასრულებენ“ [8, გვ. 21]. ეს უდროო-უადგილო უტოპისტური სტრატეგია პოლონელ პოეტ მიცკევიჩსა და რუს პოეტ ლერმონტოვთან შედარებითაც კი უნიკალურიაო.

აი, ასე ხედავენ ზემოხსენებული მკვლევრები ქართველი რომანტიკოსების „გეოპოეტურ“ სტრატეგიას. ახლა ამ ასპექტით გავარკვიოთ, რომელ ტიპს ეკუთვნის „მგზავრის წერილებში“ ციტირებული გრ. ორბელიანის პოეტური ნაწარმოებები.

ლექსი „საღამო გამოსალმებისა“, ალ. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიასთან“ შედარებით, პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ კითხვებს არ სვამს. მაგალითად, ალ. ჭავჭავაძის ლექსში ნახსენებია „მამაცი ციციშვილი“, რომელიც პუშკინის „კავკასიის ტყვის“ ეპილოგში აღწერილ რუს გენერლებს

ენაცვლება და ქართველ მკითხველს ანუგეშებს. ორბელიანის ლექსში ამგვარი ცხადი სურათი არ გვაქვს.

მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ლექსში დახატული კავკასიონის მთების, ტყის, თერგისა და კლდის სურათი. მათ შორის ყაზბეგის მთის სიმაღლეცაა, რომელიც ვერტიკალურ ღერძადაა ნაგულისხმევი რუსი პოეტების ნაწარმოებებში, ხოლო მრისხანე თერგი აღმოსავლური სიველურის სიმბოლოა [9, გვ. 50-51] და საზღვარიც, რომელიც რუსეთსა და კავკასიას ყოფს[1] [6, გვ. 150]. ალ. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიაშიც“ ასე ვკითხულობთ: „შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი“. როგორც რემი და შათირიშვილი მიგვითითებენ, ალ. ჭავჭავაძე ამ მხრივაც რუსული რომანტიზმის მემკვიდრეა და ორბელიანიც, რადგანაც მის ლექსში გამოყენებულია ბუნების სურათის ტიპური რომანტიკული წარმოსახვა, რომელიც პოლიტიკური და იმპერიალისტური მნიშვნელობითაა გამსჭვალული რუსი და ქართველი პოეტების მიერ. თანაც, ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ლექსში „საღამო გამოსალმებისა“, ისევე როგორც „კავკასიაში“, ბუნების ფონზე ადგილობრივი ხალხი არსად იხატება და ბოლოს კი მარტო „გუშაგის ხმა“ ესმის. სწორედ ლექსის ეს ასახვა უპირისპირდება „მგზავრის წერილების“ იმ ეპიზოდს, რომ მგზავრი ადგილობრივს – ლელთ ღუნიას – უსმენს.[2] ასეთი კონტექსტუალური გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ორბელიანის ლექსი „საღამო გამოსალმებისა“, ან ამ

[1] იაპონელი მკვლევარი ნაკამურა მითითებულ სტატიაში ევა ლისინას „ომის წინ ...ზე: ჩეჩნური დღიურს“ ეხება და წერს: „კავკასიის მითოლოგიაში, „აქეთ“ და „იქით“ გამყოფი საზღვრის როლს ტრადიციულად ასრულებს თერგი, რომელიც „დღიურშიც“ აშკარად ითავსებს საზღვრის ფუნქციას.“ სქოლიოში კი ამ ტრადიციის მაგალითად ასახელებს პუშკინის „კავკასიის ტყვესა“ და ტოლსტოის „კაზაკს.“

[2] „მგზავრის წერილებში“ გამოხატული სურათი მაინც რომანტიკულია, მაგრამ ლელთ ღუნიას ასახვა კი უკვე რეალისტურია. ილია ცდილობს ღუნიას დიალექტი ზუსტად დაწეროს, რაც უკვე რეალისტურ დამოკიდებულებას ნიშნავს.

ლექსის ბუნების წარმოსახვა მაინც, რომანტიკოსების სტრატეგიის პირველ ტიპს ეკუთვნის.

როგორც აღვნიშნეთ, მრისხანე თერგი აღმოსავლური სიველურის სიმბოლოა და თანაც „მგზავრის წერილებში“ ილიას (ან მგზავრს) ბაირონს აგონებს. თუმცა ილია სხვა ადგილას, სადაც ორბელიანის სტროფებია ციტირებული, თერგის ამ სიმბოლურ წარმოსახვას ცვლის: „ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის...“ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ აქ თერგი იმიტომაა „ჩვენი“, რომ მგზავრი საქართველოსკენ მიდის და ლარსთან „გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა“. სამშობლოს ფერი და თერგის შფოთვა-ღელვა ამ წინადადებაში ერთნაირადაა აღწერილი. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ თერგის შფოთვა აქ ქართველობის სინონიმადაა გამოყენებული. თუმცა ეს შფოთვა თერგს ვლადიკავკასთან ეკარგება და ჩუმდება, როგორც „როზგქვეშგატარებული, ან დიდჩინმიღებული“. თუ თერგი კავკასიასა და რუსეთს საზღვრადაა დასახული რუსული ლიტერატურის ტრადიციაში, მაშინ ვლადიკავკასი ისეთი ქალაქია, რომელიც მდებარეობს „აქეთ“ (რუსეთიდან რომ შევხედოთ) – რუსეთის მხარეს. ეს „მგზავრის წერილებშიც“ შეიმჩნევა: „ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე...“ მგზავრი აქ ხიდზე გადასვლით ჩამოდის კავკასიაში და მანამდე კი რუსეთში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ეს სურათი ისე შეიძლება გავიგოთ, რომ შეშფოთებული ქართველობა გაჩუმებულია ვლადიკავკასთან, ე.ი. რუსეთში, რაც საქართველოს გარუსებასაც შეიძლება ნიშნავდეს. რასაკვირველია, „როგზქვეშგატარებული ან დიდჩინმიღებული“ თერგის მეტაფორა ორბელიანისა და მამების თაობის და, ზოგადად, კოლონიური ვითარების მკაცრი კრიტიკაა, რაც ნიშნავს იმას, რომ კოლონიზებული ხალხი კოლონიზაციას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ იღებს და აღიარებს.

ამ თვალსაზრისით თუ წავიკითხავთ, შეიძლება ითქვას, რომ ილიას ეს კრიტიკა ორბელიანის „გეოპოეტურ“ ტრიქოტომიას მიემართება. გრ. ორბელიანის ლექსში, ალ. ჭავჭავაძის „კავკასიისგან“ განსხვავებით, პეიზაჟის ცქერისას სუბიექტი არის პირველი პირი „მე“. რემი და შათირიშვილი მიგვითითებენ, რომ ალ. ჭავჭავაძესთან სუბიექტი მხოლოდ ლექსის ბოლოს ჩანს, როცა ნახსენებია პრომეთე. „როგორც ეთნოგრაფიული დეტალის გამოტოვება, ისე მნიშვნელოვანია არყოფნა ჭავჭავაძესთან რომანტიკული ლირიკული გმირისა, რომელიც ბუნების განდიდებას შეიძლება დაემოწმოს და მოიხიბლოს. იმის მიუხედავად, რომ ადამიანური სუბიექტის კვალი ჩანს მითითებაში „გარდმოაგდებს ზვავებად, სცემენ ყურსა და თვალსა,“ ვერ ვუპასუხებთ შეკითხვას, „ვინ ნახულობს ან უსმენს?“ – ეს ზუსტად ის შეკითხვაა, რომლის პასუხიც დერჟავინის პოემის რიტორიკული საფუძველია, გრაფ ჟუბოვს მიემართება აპოსტროფის სერიაში და იწყება სიტყვებით „შენ ნახე“ (ты зрел)“ [8, გვ. 11]. თუკი ეს ალ. ჭავჭავაძისეული ცვლილებაა რუსული ლიტერატურიდან, მაშინ ორბელიანი ზემოხსენებულ რუსულ ლიტერატურასთან მეტად ახლოსაა: ლექსში აღდგა რომანტიკული ლირიკული გმირი, რომელიც ნახულობს იმპერიალიზმითა და ორიენტალიზმით „გამსჭვალულ“ გაპეიზაჟებულ ბუნებას. მაშინ გადაჭარბება არ იქნება იმის თქმა, რომ ლექსს „საღამო გამოსალმებისა“ მეტნაკლებად აქვს რუსული კოლონიური ლიტერატურის ხასიათი. სწორედ ამ კოლონიურ და გეოპოეტურ სქემას ეკამათება ილია „მგზავრის წერილებში“ გრ. ორბელიანის ლექსის ირონიულად მოხმობით.

ლექსი „სადღეგრძელო“ კი მეორე ტიპს ეკუთვნის – დიქოტომიურ გეოპოეტიკას „საქართველო/ჩრდილოეთ კავკასია“. აქ ჩანან საქართველოს ისტორიული გმირები – ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი და ა.შ. – რომელთა პოვნაც ილიას „აჩრდილში“ სურს და რომლებიც სხვადასხვა დროის საქართველოს მტრებს ებრძოდნენ. მაშა-

სადამე, გეოპოეტური დიქოტომიური სტრატეგია მათი სახითაცაა განხორციელებული.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსშიც არსებობს ბუნების „გაპეიზაჟებული“ რომანტიკული სურათები, როგორიც ლექსში „საღამო გამოსალმებისა“:

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;
უფსკრულნი - ჩაბნელებულნი, კლდენი - თვალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან;

[2, გვ. 88]

ზემოთ მოყვანილი სტრიქონების შემდეგ გვხვდება ის სტროფები, რომლებიც ილიას „მგზავრის წერილებში“ მოჰყავს: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“ საქმე ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონებში ვხედავთ რომანტიკულ სურათს[1], ილია ციტატაში არ გულისხმობს ისეთ ირონიას, როგორსაც ლექსის „საღამო გამოსალმებისა“ ციტირებისას. ეს იმიტომაცაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნების სურათი „სადღეგრძელოში“ რუსული და ქართული რომანტიზმის ერთგვარი მემკვიდრეა, ორბელიანი ამ სტროფით („სხვა...“) თავს არიდებს ბუნების სურათის რუსულ იმპერიალისტურ წარმოსახვაში –

[1] მათ შორის საყურადღებოა სტროფი „სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.“ ეს იმიტომაცაა, რომ: 1) საინტერესოა ის კონტრასტი, რომ ეს ადამიანური ფიგურა, როგორც მკვლევრებმა აღნიშნეს, ალ. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიაში“ არ ჩანს; 2) სურათს „მონადირეს ქვეშ ჰვლენ ღრუბლები“ პოემის მთხრობელი აუცილებლად შორიდან უცქერს. ბუნებრივია, რომ ჩვენ „მონადირეს და მის ქვეშ ღრუბლებს“ ერთდროულად ვერ ვხედავთ, რადგან მონადირე იმდენად პატარაა, რომ ჩვეულებრივი მხედველობით შორიდან ვერ დავინახავთ. ეს ნიშნავს იმას, რომ სურათი განხორციელებულია იმ პერსპექტივის გარეშე, როგორსაც რეალიზმი იყენებს (მაგ. ფოტოგრაფიული).

ანუ პირველ ტიპში – შთანთქმას; გავიხსენოთ, რომ პირველი ტიპი იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასია დასაღუპი ობიექტია, ხოლო საქართველო კი – შთანთქმისა. ამ ლექსში კი საქართველოს ბუნება და ისტორია არასოდეს ჩაინთქმება რუსულ იმპერიაში, რადგანაც ისინი საქართველოს არსებობის საწინდარია. აქედან გამომდინარე, ილია ამ სტროფს არ აძლევს ისეთ ირონიულ მნიშვნელობას, რომლითაც აკრიტიკებს რუსეთის იმპერიალიზმსა და იმ ადამიანებს, ვინც იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს მიჰყვება.

ილია მისი წინამორბედი რომანტიკოსების გეოპოეტურ სტრატეგიებსა და მათ შორის განსხვავებას მწვავედ გრძნობს. იგი მხოლოდ პირველი ტიპის ლექსს („საღამო გამოსალმებისა“) ციტირებს ირონიულად და აკრიტიკებს „მგზავრის წერილებში,“ ხოლო „სადღეგრძელოს“ კი – არა, რადგანაც პირველი ტიპი საქართველოს რუსეთში კოლონიურ შთანთქმასა და მასთან გაიგივებას ნიშნავს, რაც ილიასთვის მიუღებელია.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია, როგორც ქართული რომანტიზმის მემკვიდრე[1], რომანტიზმის ეროვნულ ცნობიერებას სტრატეგიულად გარდაქმნის და თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მასალად იყენებს.

ბიბლიოგრაფია

1. ინგოროყვა, პ., *ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი*, „მერანი“, თბ. 1988
2. ორბელიანი, გრ., *ერთტომეული:* ტ. I. „პალიტრა L“, თბ. 2013
3. შათირიშვილი, ზ., კანონის თეორია და სამი ქართული სალიტერატურო კანონი. *სჯანი*, 4, თბ. 2003
4. ჭავჭავაძე, ი., თხზულებანი: *სრული კრებული ხუთ ტომად:* ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1937

[1] ტოლსტოის რომან „კაზაკზე“ ნორიმაცუ ეკამათება ეიხენბაუმის იმ აზრს, რომ რომანი რომანტიზმის პაროდიაა და ფიქრობს, რომ რომანტიზმის „ილუზიისა“ და „სიყალბის“ თვით გამომჟღავნებაც რომანტიზმის სქემაშია [7, გვ. 268-275]. ამ მნიშვნელობითაც, შეიძლება ვთქვათ, „მგზავრის წერილები“ რომანტიკულია.

5. ჭავჭავაძე, ი., თხზულებანი: *სრული კრებული ხუთ ტომად:* ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1941
6. Nakamura, T., Sen to shite no Kyokai: Gendai Rosia Bungaku ni okeru Kokasasu Hyosho: “*Yamagata Daigaku Kiyo (Jinbun Kagaku)*”, 14(4), Yamagata 2001 / ნაკამურა, ტ., საზღვარი, როგორც ხაზი: კავკასიის წარმოსახვა თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში: *იამაგატას უნივერსიტეტის ბიულეტენი (ჰუმანიტარული მეცნიერება)*“, 14 (4), 2001
7. Norimatsu, K., *Riarizum no Joken: Roshia Kindai Bungaku no Seiritsu to Shokuminchi Hyosho*, Suiseisha, Tokyo, 2009 / ნორიმაცუ, კ., *რეალიზმის პირობა: რუსული მოდერნი ლიტერატურის დადგენა და კოლონიური წარმოსახვა*, სუისეიშა, ტოკიო 2009
8. Ram, H., and Shatirishvili, Z., “Romantic Topography and the Dilemma of Empire: The Caucasus in the Dialogue of Georgian and Russian Poetry.” *The Russian Review* 63, no.2 (January) 2004
9. Layton, S., *Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy*, “Cambridge University Press”, Cambridge 1994

Using Geopoetic Strategies of Romanticists by Ilia Chavchavadze

Hayate Sotome
Ph.D. Student, Tokyo University, Japan
JSPS Research Fellow

Abstract: The discussion on this paper concerns with geopoetic strategy in Ilia Chavchavadze's travelogue "Letters of a Traveler." He cites some strophes from Georgian romanticist G. Orbeliani's poems in the travelogue. According to a previous study, there are three types of geopoetic strategy in Georgian romanticism literature, that indicates different attitudes toward Russian colonialism. Considering these geopoetic strategies, it can be said that the writer notices the differences and use them in order to express his own geopoetic standpoint. Concretely, he cites Orbeliani's verse "Night of Farewell" ironically because it can be classified into the first type of the strategies which implies Georgian romanticists' complicity with Russian colonialism in North Caucasus. On the other hand, he cites Orbeliani's poem "Toast" without any ironic intention because the poem applauses the history of Georgia. Therefore, it can be said that Chavchavadze strategically recreates the national consciousness of the romanticists and use it as inspiration for his own works and actions.

Key words: *Ilia Chavchavadze, Geopoetic strategies, Georgian romanticism*

In the history of the development of Georgian literature, Ilia Chavchavadze (and his contemporaries) innovated their

works by adopting the tenets of a new literary movement – realism. Chavchavadze's works like "Is He Human?!" and "On the Gallows" are masterpieces of Georgian realism that criticized the reality of late-19th-century Georgia, especially its colonization by Russian Empire. Through this social criticism, Chavchavadze attempted to mobilize the national emancipation movement.

Reviewed in detail, certainly, the history of literature is not clearly divided into two periods – romanticism and realism. Instead, it is a gradation. The same is true in Chavchavadze's case; he presents a new realistic attitude toward Georgian literature while being a canonical inheritor of Georgian romanticism.

According to Russian orientalism studies, the period of romanticism was one of the epochs when many literary works about the Caucasus were written. S. Layton, in her book, discusses Pushkins, Lermontovs and Bestuzhev-Marlinsky's works and analyzes orientalist representation by these authors. According to researchers H. Ram and Z. Shatirishvili [8], Georgian romanticists apply themes of representation from Russian romantic literature to their own works with different kinds of strategies. However, Chavchavadze, as an inheritor of romanticism, changes and uses these strategies to accomplish his own aims. In this paper, Chavchavadze's above-mentioned strategy will be analyzed, especially in the way it relates to colonialism in late-19th-century Georgia.

First, it is important to highlight what Chavchavadze stated in his debut critical essay "Some words on the translation of "Mad Woman" by Prince Revaz Shalva-dze Eristavi." This essay is famous for its so-called "fight of fathers and children" in which the older generation is prone to romanticism, in agreement with the history of literature. However, Chavchavadze does not blame the older generation for their romanticism. In his opinion, the reasons why Shalva Eristavi's translation of "Mad Woman" was not good are as follows:

a) Kozlov does not have any poetic talent: "Some Russians see some kind of small talent, but we can not see anything in Kozlov at all" [2, p. 5]. Thus, in his poem, "almost

at all place, there is feeling that is forced, i.e. brought by force. A tear brought by force is fanny, loathsome but not grievous to see" [2, pp. 5-6]. This is why, in Chavchavadze's opinion, one of the aims of translation – that is, to introduce foreign culture and literature – remained unfulfilled due to Kozlov's particular style of sentimentalism being outdated for the Georgian society of then. In other words, its introduction was no longer necessary.

b) Eristavi's translation was also of low-quality: "His translation is such a thing that a man must give it to his descendant because future writers should bear in mind it as the example of badness. The translation – as the translation is not good, prince Eristavi's language is worse" [2, p. 10]. Eristavi's translation destroyed the language which Rustaveli, A. Chavchavadze, and Baratashvili created. Given this point, it is understandable that Chavchavadze's criticism does not mention or criticize romanticism as a whole but rather the low-quality of Kozlov's poem and its translation, and here romanticism is understood as a literature movement which inherited the Georgian language, like Rustaveli. Shatirishvili thinks that Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* became the national narrative of Georgian literature from the 1860s to the 1870s [9, p. 4]. It is noteworthy to mention that not only Rustaveli but also the romantic poets already appeared in the Georgian literary canon of then.

With regard to Chavchavadze's attitude toward romanticism, Ingoroqva, a famous scholar of Georgian modern literature, emphasized the influence of the romantic poet Grigol Orbeliani on Chavchavadze. He writes, "Chavchavadze evaluates the poets of the first half of 19th century–A. Chavchavadze and G. Orbeliani from the modern Georgian literature. Especially G. Orbeliani's "deep national poetry" (– as Chavchavadze himself say) – has been Chavchavadze's lovely thing from the very early period" [4, p. 231]. According to Ingoroqva, this attitude toward Orbeliani appears in Chavchavadze's early prosaic and poetic works as well (for example, in "Ghost"). Ingoroqva concludes that "the kinship and the relationship of inheritance between them are indisputable" [4, p. 237].

However, Ingoroqva emphasizes the following: "This kinship does not exceed a particular sphere. Orbeliani's poetry, firstly, has an immensely narrow diapason, on the other hand what is main is that here we have two different epochs, two different worlds. In his first poem "Ghost" he already brought ideology of Georgian national-emancipation movement up to a completely new highness, depicted a new action program for people, fulfilled with new content a creative patriotic soul, which he received from the poetry of the former generation as inheritance" [4, pp. 237-238].

If Chavchavadze, as Ingoroqva says, brought Georgian national literature up to such a high level, the question "how did he manage it?" appears. Moreover, a question "what does the 'high' level mean in the context of the national emancipation movement – this 'different epoch and world'" accompanies this topic.

To answer these questions, attention should be paid to a prosaic work written in Chavchavadze's youth, "Letters of a traveler," in which we can see a relation with Orbeliani as well as in "Ghost." In this work, there is a particular segment cited from Orbeliani's verse "Night of Farewell" and the poem "Toast," and how Chavchavadze used these poetic works is important to discuss in detail.

In the second part of the prose, when a traveler leaves Vladikavkaz and heads for his own homeland–Georgia, he encounters the Terek River (Tergi in Georgian). Here, the author reminds us of Orbeliani's verse "Night of Farewell." The Terek is silent in front of the traveler in Vladikavkaz: "Our crazy Terek is no longer such Terek about that our poet has said:

'Terek runs, Terek howls,
Rocks give bass line...'

There, the Terek turns out to be sluggish and dead as if it is birched or has received a high rank. However, perhaps the Terek turns out to be quiet like that because the bass-singer rocks do not accompany next to them, the rocks, clouds of which:

'Clouds of rocky hearts
blackly lie down on
and threaten the land

with washing away by flood' [1, pp. 248-249].

As Ingoroqva stated, Chavchvadze's attitude toward Orbeliani appears here as well; in fact, he knows the works of Orbeliani well and highly evaluates them. However, on further inspection, these citations seem to be used with different meanings and are not inspired only by Chavchavadze's respect for Orbeliani.

As we touched above, here we must pay attention to the strategy employed by Georgian romanticist. According to scholars Ram and Shatirishvili, the strategy, which presupposes Russian colonialism, is of three types. These types are variations of the trichotomy – "Russia/Georgia/North Caucasus" that were present in the colonial situation in romanticists' poems.

Ram and Shatirishvili chose A. Chavchavadze's verse "Kavkazia" as an example of the first type and wrote that the poet gets material from different poetic works of Russian literature and creates the verse as patchwork. However, this is not just a simple imitation of Russian romanticism because the poet changes certain details. For instance, when Russian poets applaud Tsarism, they use two axes: vertical and horizontal. The former represents a panoramic perspective, which implies a width of territory conquered by the empire. The later, on the other hand, represents the highness of peaks, which implies the sublime of Tsar. According to Ram and Shatirishvili, the poet does not write obviously the horizontal axis in comparison with the vertical one, which means that the axes conflict with each other. Therefore, "[t]he vertical and the horizontal remain in conflict to the end, preventing the poet and the poem from identifying with the Russian Empire as a whole" [8, p. 13]. Conquered nations are not depicted here, what means that North Caucasus is already conquered. From this point of view, Ram and Shatirishvili conclude that "the poem initially accepts the 'trichotomy' of Russia/ Georgia/ North Caucasus, only to have Russia effectively abolish the Northern Caucasus and absorb Georgia" [8, p. 13].

According to the second type of Georgian romanticists' strategies, "Russia" is entirely erased from the trichotomy to create a dichotomy in its place: "Georgia/ North Caucasus."

This is the case in Baratashvili's verse "The Battle of Georgia's Princes, Noblemen, and Peasants against the Dagestanis and Chechens in 1844," which recalls a period when Georgia was independent yet, and there are voices of Erekre II in the verse. In fact, when this verse was written in the XIX century, Georgia had already been conquered by Russian Empire, and thus what is depicted in this verse and similar poetic works (such as "The Fate of Georgia" and "The Grave of King Irakli") are anachronistic representations that exemplify the second strategy: "By participating in Russia's subjugation of the Caucasus, Georgians were thus not just exacting vengeance for past injuries, they were also resurrecting the political context in which those injuries were suffered" [8, p. 17]. Here, Georgia is the subject of conquest and not an object, as was the case in the first type of strategy.

The third type of Georgian romanticists' strategies is not even a dichotomy. In Baratashvili's verse "Merani," neither "Russia" nor "North Caucasus" is indicated. Although, in scholars' opinion, "Merani" is a kind of response to the captive of Baratashvili's uncle Ilia Orbeliani and a reaction to what occurred as well, however, the verse can be read without knowing this specific context. Compared to the above-mentioned works, "Merani" does not touch upon history or geography, not even that of Georgia. With this utopian view, "the poet's goal is to transcend the bounds of fate (or fatal boundary: *bedis samzghvari* can mean both) that keep him tied to his native soil. Only the natural world escapes the poem's strategy of despecification, taking on the rituals of burial and lamentation that would normally be performed by the hero's kinsmen" [8, p. 21]. This timeless and spaceless utopian strategy is even more unique than those of Polish poet A. Mickiewicz and Russian poet M. Lermontov.

Considering the "geopoetic" strategies of Georgian romanticists, it is important to discuss as to which type do G. Orbeliani's works cited in "Letters of a Traveler" belong to.

In comparison with A. Chavchavadze's verse "Kavkazia," the verse "Night of Farewell" does not pose political or geopolitical questions. For instance, A. Chavchavadze in his verse mentions "brave Tsitsishvili," which replaces Russian generals from the epilogue of A. Pushkin's "The Prisoner

of Caucasus" and encourages the Georgian reader instead. In Orbeliani's verse, there is no such obvious picture.

However, the images of mountains, forests, the Terek, and rocks in the verse are more noteworthy. Among them, highness of mount Kazbeg as well, which is implied as the vertical axis in Russian poets' work, and the ferocious Terek are symbols of Eastern savagery [4, pp. 50-51] as well as a boundary, that divides Russia and the Caucasus[1] [5, p. 150]. In A. Chavchavadze's verse, the following sentence can be found: "And the Terek, now checked, reverentially acknowledged its limits." As Ram and Z. Shatirishvili point out, A. Chavchavadze is an inheritor of Russian romanticism from this perspective and so is Orbeliani in his typical romantic representation of nature imbued with political and imperialistic meanings by Russian and Georgian poets. Moreover, special attention must be paid to the fact that in "Night of Farewell" as well as "Kavkazia," the local are not depicted before the scenery of nature anywhere and only "a voice of guard" is heard. This is completely different to the episode of "Letters of a Traveler" where the traveler listens to the local, Lelt Ghunia.[2] With this contextual point of view, it is fair to conclude that Orbeliani's verse "Night of Farewell," or at least the representation of nature in this verse, belongs to the first type of the romanticists' strategies.

As previously noted, the "ferocious Terek" is the symbol of Eastern savagery and also reminds Chavchavadze (or the traveler) of Byron in "Letters of a Traveler." However, Chavchavadze changes the Terek's symbolic meaning when citing Orbeliani's strophe: "Our crazy Terek is no longer such Terek about that our poet has said." Here, the Terek is "our" because the traveler is going to Georgia, and at Lars, as mentioned in the work, "a color of my country is added to

[1] A Japanese scholar Nakamura touches upon Eva Lisina's "On Swings before a War: A Chechnian Diary" in his referred article and writes: "In Caucasus mythology it is Terek river that has played a role to divide "here" and "there," and this river, in the "diary," obviously functions as the boundary as well." In a footnote to this sentence he names Pushkin's "The Prisoner of Caucasus" and Tolstoy's "Cossack" as examples of this tradition.

[2] In "Letters of a Traveler" the depicted scenery is all the same romantic, but Lelt Ghunia's representation is already realistic. Chavchavadze tries to exactly describe Ghunia's dialect, showing his realistic attitude.

surrounding Nature, and turmoil and anxiety to Terek". The color of the homeland and the turmoil and anxiety of the Terek are described similarly in this sentence. Therefore, it can be said that the turmoil of the Terek is synonymous to Georgianness. However, this turmoil is lost for the Terek at Vladikavkas and becomes quiet as if "being birched or receiving a high rank." If Terek is represented as the boundary dividing Russia and the Caucasus in the tradition of Russian literature, Vladikavkaz is situated on "this" side of Russia (as experienced from the Russian side). It is possible to observe this representation in "Letters of a Traveler" with the following lines: "I left Vladikavkaz and headed to my country with this state. I passed a bridge of Terek, …" Here, the traveler arrives at the Caucasus by using a bridge to leave Russia and before then he was in Russia. Thus, we can understand this image as follow: Turmoil of Georgianness becomes quiet at Vladikavkaz, i.e. Russia, and this may mean Georgia's Russification. Certainly, the metaphors of the Terek, "being birched or receiving a high rank," are severe criticisms against Orbeliani and his father's generation, as well as the colonial situation in general that implicitly implied that colonized people does not oppose colonization but rather received and accepted it.

If read from this point of view, it is possible to say that Chavchavadze's criticism is aimed at Orbeliani's "geopoetic" trichotomy. In Orbeliani's verse, unlike A. Chavchavadze's "Kavkazia," a subject views a landscape is the first person as "I". Ram and Z. Shatirishvili point out that a subject in A. Chavchavadze's verse appears only in the end when Prometheus is mentioned: "As important as the omission of ethnographical detail is the absence in Chavchavadze of a romantic lyric hero who might bear witness to the sublime in nature and then be transported by it. Although we find traces of a human subject in references to "snowy avalanches that captivate the ear and eye," we are unable to answer the question, "who sees or hears?" – precisely the question whose answer is the rhetorical basis of Derzhavin's poem, which addresses Count Zubov in a series of apostrophes that begin 'you saw' (*ty zrel*)" [8, p. 11]. If this is a change from Russian literature by A. Chavchavadze, it is possible to say that Orbeliani

is much closer to Russian literature; in his verse, the romantic lyric hero who sees nature as "inspired" and landscaped with/by imperialism and orientalism is revived. According to this understanding, it is not an exaggeration to say that the verse "Night of Farewell" more or less has the same character as that of Russian colonial literature. Chavchavadze discusses exactly this colonial and geopoetic scheme in his "Letters of a Traveler," using the ironic citations from Orbeliani's verse.

The verse "Toast" belongs to the second type – the dichotomic geopoetry of "Georgia/ North Caucasus." This text is dominated by Georgian heroes, – such as Parnavaz, Vakhtang Gorgasali, David IV the builder and Tamar, and to search them is a main theme in Chavchavadze's poem "Ghost" because they have fought against Georgia's enemies in each of their respective times. Therefore, the geopoetic dichotomic strategy is accomplished by their images.

However, it must be mentioned that in this verse, there still exist "landscaped" romantic images, as in "Night of Farewell":

Where mountains climbing to the sky are with a freezing crown
And rivers throwing wave on waves with shout;
Abysses – darkened, rocks – bigger than eye can see,
Where a hunter chases ibex and clouds appear under him.
Where fields, emerald-colored, become verdant tenderly,
Delighted springs come running with laughing on them;
Flowers, with heads bowed, are astonished by their limpidity;
[Their] heart is glad to see them, eyes miss them again [7, p. 88].

After the above-cited lines comes a strophe that Chavchavadze brings in his "Letters of a Traveler": "Where is another Georgia,/ which corner of the world?" In this regard, the problem is that although it is possible to see some romantic scenery in these lines[1], Chavchavadze does not imply any

[1] Among them attention must be paid to the strophe "Where a hunter chases ibex and clouds appear under him" because 1)as the scholars pointed out, such a contrast is interesting as this figure of a human does not appear in A. Chavchavadze's verse "Kavkazia" and 2)the narrator of the verse must see the scenery "clouds appear under him" from a distance, otherwise he can not depict this kind of scenery. Naturally, we cannot see "a hunter and clouds under him" at the same time because a hunter is too small to see with normal eyesight from a distance. This means that this scenery is

irony in this citation unlike when he cites from the verse "Night of Farewell." This is because, despite the fact that the scenery of nature in "Toast" inherits Russian and Georgian romanticism in a way, Orbeliani avoids the absorption of the scenery of nature into Russian imperialistic representation, i.e., the first type of strategy by writing this strophe ("where is other Georgia…"). It is important to remember that the first strategy implied that the North Caucasus was another object to conquer and Georgia an object to absorb. In this verse, nature and history of Georgia are never absorbed into the Russian Empire because they are a precondition of the existence of Georgia. As a result, Chavchavadze does not imbue the strophe with irony in order to criticize Russian imperialism and its supporters.

Chavchavadze acutely feels the geopoetic strategies of the former romanticists as well as the differences among them. He cites only the first type in the verse "Night of Farewell" ironically and criticizes it in his work "Letters of a Traveler," whereas he does not do so in the second verse of "Toast." The first type means Georgia's colonial absorption into Russia and the identification with Russia, which is completely unacceptable for Chavchavadze and he devoted his life to fighting against it.

Therefore, it can be reasonably concluded that Chavchavadze, as the inheritor of Georgian romanticism[1], strategically recreated the national consciousness of the romanticists and used it as inspiration for his own works and actions.

---

realized without realistic perspective like the one usually used by realism (photographic).

[1] Regading Tolstoy's novel "Cossack," Norimatsu discusses Eikhenbaum's opinion that the novel is a parody of romanticism and thinks that the exposition of "illusion" and "falsity" of romanticism is also in the scheme of romanticism [6, pp. 268-275]. From this, it is possible to conclude that "Letters of a Traveler" is romantic.

Bibliography

1. Chavchavadze, I., *Works: The Complete Collection with 5 volumes: v. I*, "Soviet Georgia", Tb. 1937/ჭავჭავაძე, ი., *თხზულებანი: სრული კრებული ხუთ ტომად:* ტ. I, „საბჭოთა საქართველო", თბ. 1937

2. Chavchavadze, I., *Works: The Complete Collection with 5 volumes: v. II*, "Soviet Georgia", Tb. 1941 / ჭავჭავაძე, ი., *თხზულებანი: სრული კრებული ხუთ ტომად:* ტ. II, „საბჭოთა საქართველო", თბ. 1941

3. Ingoroqva, P., *The Founders of Modern Georgian Literature: Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli*, "Merani", Tb. 1988 /ინგოროყვა, პ. *ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი: ნიკოლოზ გარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი*, „მერანი", თბ. 1988

4. Layton, S., *Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy*, "Cambridge University Press", Cambridge 1994

5. Nakamura, T., Sen to shite no Kyokai: Gendai Rosia Bungaku ni okeru Kokasasu Hyosho: "*Yamagata Daigaku Kiyo (Jinbun Kagaku)*", 14 (4), Yamagata 2001

6. Norimatsu, K., *Riarizum no Joken: Roshia Kindai Bungaku no Seiritsu to Shokuminchi Hyosho*, Suiseisha, Tokyo 2009

7. Orbeliani, G., *Works in One Volume:* v. I. "Palitra L", Tb., 2013 /ორბელიანი, გრ. *ერთტომეული:* ტ. I. „პალიტრა L", თბ. 2013

8. Ram, H., and Shatirishvili, Z., "Romantic Topography and the Dilemma of Empire: The Caucasus in the Dialogue of Georgian and Russian Poetry." *The Russian Review 63*, no. 2 (January) 2004

9. Shatirishvili, Z., The Theory of Canon and Three Georgian Literary Canon. *Sjani*, 4, Tb. 2003 / შათირიშვილი, ზ., „კანონის თეორია და სამი ქართული სალიტერატურო კანონი", *სჯანი*, 4, თბ. 2003

რომანოზ მელოდოსი და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში

ლელა ხაჩიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ძველი ქართული თარგმანი მცირე ფორმის საგალობლისა – „ადამის გოდება“ („დაკარგული სამოთხე“), რომელიც მიჩნეულია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად. ბიზანტინოლოგიაში გავრცელებული აზრით, ეს საგალობელი რომანოზ მელოდოსის მოღვაწეობის წინა პერიოდისეულადაა მიჩნეული. ძველი ქართული წყაროების მოწმობით, ამ საგალობლის ავტორია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავარი – რომანოზ მელოდოსი.

საკვანძო სიტყვები: *რომანოზ მელოდოსი, კონტაკიონი „დაკარგული სამოთხე“, ქართული ჰიმნოგრაფია.*

ჰიმნოგრაფიის ისტორიაში რომანოზ მელოდოსს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ის ითვლება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავრად, რომლის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის განვითარებაზე. რომანოზ მელოდოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა მრავალი პუბლიკაცია და გამოკვლევა.

ჯერ კიდევ 1903 წელს ცნობილი ბიზანტოლოგი –კ. კრუმბახერი წერდა: „რომანოზი, შესაძლოა, ყველაზე დი-

დი პოეტი აღმოჩნდეს მომავალში“ [8, s. 336]. შემდგომმა კვლევამ დაადასტურა დიდი მეცნიერის ეს ვარაუდი. რომანოზ მელოდოსის შემოქმედების მკვლევარების – პ. მაასისა და ს. ტრიპანისის შეფასებით: „ის მართლაც ყველაზე დიდი ქრისტიანი პოეტია“ [12, გვ. 3].

რომანოზს მოღვაწეობა მოუხდა სამი იმპერატორის - ანასტასი I-ის, იუსტინე I-ის და იუსტინიანე დიდის პერიოდში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მის შემოქმედებაში ასახულია იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი მწვავე დოგმატურ-პოლემიკური პრობლემები [19, გვ. 177-178].

რომანოზის სახელს უკავშირდება ახალი პოეტური ფორმის – *კონტაკიონის* შემოტანა და დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში.

კონტაკიონი შეიცავს 18-დან 30-მდე ან ზოგჯერ მეტ ტროპარს, რომლებიც სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსია. ტროპარი შედგება სხვადასხვა რაოდენობის (3-დან 30-მდე) სტრიქონისგან. იგი იწყება მოკლე ტროპარით, რომელიც მეტრულად დამოუკიდებელია მისგან. ესაა ე. წ. *პრომიონი* ან *კუკულიონი* – ერთგვარი შესავალი, რომელშიც გადმოცემულია საგალობლის შექმნის მიზანი. ყოველ ტროპარს აქვს რეფრენი. *კონტაკიონი,* როგორც წესი, შეიცავს სხვადასხვა ტიპის აკროსტიქს [9].

რომანოზს შეუქმნია 1000-ზე მეტი საგალობელი. აქედან ჩვენამდე მოღწეული 89 (სრული ან ფრაგმენტული სახით), მათგან 79-ს ავტორის სახელი აკროსტიქში აქვს აღბეჭდილი [5, გვ. 20].

რომანოზის შემოქმედება, როგორც ჩანს, ადრევე ითარგმნა ქართულად. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მისი შემოქმედების ცალკეული საკითხები. ამის მიუხედავად, რომანოზ მელოდოსის საგალობლების ქართული თარგმანები დღემდე სრულად გამოვლენილი და შესწავლილი არ არის.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, რომანოზის მიერ შემოღებული პოეტური ფორმის (*კონტაკიონი* ანუ *იბაკონი*) ტი-

პის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკვე VII საუკუნიდან ჩნდება. უძველეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში – *იერუსალიმის ლექციონარში* ავტორის სახელწაუწერლად შესული იბაკონი გვხვდება არქაულ ლიტურგიკულ განგებაზე – ვნების შვიდეულში [3]. ამავე ტიპის საგალობლები სახელწაუწერლადაა შესული ახალი ტიპის იადგარებსა [15] და Sin-5 (1052 წ.)/ Sin-75 (XI ს.) ხელნაწერებში.

რომანოზ მელოდოსის შემოქმედების და მისი საგალობლების ქართული თარგმანების შესწავლისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობის აღმოჩნდა უნივერსალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული *მარხვანი,* რომელიც შედგენილია საქართველოს გამორჩეული მოღვაწისა და მთარგმნელის, საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიების წმინდანის – გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) მიერ XI საუკუნის შუა წლებში. ეს ხელნაწერი – Paris. Georgica 5, რომელიც ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონეა, დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში [10, გვ. 59-74].

ამ ხელნაწერისათვის, როგორც გიორგი ათონელის შემოქმედებისათვის საერთოდ, დამახასიათებელია დიდი სიზუსტე საგალობლებისათვის ავტორების მითითებასა და მათი პირვანდელი სახით აღდგენაში. უზარმაზარ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში, ხელნაწერთა დიდი რაოდენობისა და ჩვენებების პირობებში, დროთა განმავლობაში დაკარგული და დავიწყებული ავტორების გამოსავლენად გაწეული დიდი შრომა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის ერთერთი უმთავრესი თავისებურებაა. ამისი არაერთი მაგალითი გამოავლინა მის მიერ შედგენილი *თუენის* და *მარხვანის* შესწავლამ [10, გვ. 69-72; 2, გვ. 18].

მის მიერ შედგენილ *მარხვანში* ხშირად ავტორები მითითებულია არა მხოლოდ კონკრეტულ საგალობლებთან, არამედ კომპილაციური საგალობლების ცალკეულ მონაკვეთებთანაც. ამის საშუალებას მას აძლევდა, ერთი

მხრივ, ძველი ქართული თარგმანების, მეორე მხრივ, მისი თანამედროვე ბერძნული წყაროების სრულყოფილი ცოდნა.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანი* გაცილებით ვრცელია, ვიდრე მისი თანამედროვე ბერძნული *ტრიოდიონები.* ბერძნული და სლავური *მარხვანების* არსებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბერძნულ-სლავურ ხელნაწერებთან შედარება ცხადყოფს, რომ ესაა უნიკალური კრებული, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა საბერძნეთსა და საქართველოში. ამას ადასტურებს თავად გიორგი მთაწმინდელის ანდერძები, რომლებითაც ნათელი ხდება მისი მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპები, სტილი და მეთოდოლოგია. მოვიტანთ ერთერთ ანდერძს: „ვინაჲთგან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს-მყო მე, გლახაკი გიორგი ხუცეს-მონაზონი, მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა, განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევენებისა რაჲსმე დატეობაჲ ...“

გიორგი ათონელის რედაქციის *მარხვანში,* ავტორებზე მითითებებით, დაცულია 14 ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლები [10, გვ. 72-73], მათ შორისაა რომანოზ მელოდოსი.

Paris-5 ხელნაწერში დაცულ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* რომანოზის სახელით შესული აღმოჩნდა 9 მცირე ფორმის საგალობელი. ყველა მათგანთან მიწერილია *იბაკონი.* რომანოზის *იბაკონი* დადებულია შემდეგ დღეებზე:

ყველიერის კვირიაკე, პირველი პარასკევი, მეოთხე ხუთშაბათი, დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი, დიდი ოთხშაბათი, დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი და დიდი შაბათი. გიორგი ათონელის მუშაობის წესის თანახმად, ყველა მათგანის დასაწყისთან მიწერილია ავტორი.

წარმოვადგენთ ამ საგალობელთა ნუსხას Paris-5 ხელნაწერის მიხედვით:

1. ყველიერისა კვირიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. იბაკონი. ჴმაჲ დ გუერდი. არა დააკლდისავ[ე]. - უსწავლელთა მასწავლელო...“ 42r
2. პირველი პარასკევი. იბაკონი. ჴმაჲ დ გუერდი. არა დააკლდი... ტექსტი ძალიან დაზიანებულია. 57r*
3. მეოთხესა ხუთშაბათსა. მწუხრი. ჴმაჲ დ. ედემნი. - რომელი აჰმაღლდი ჯუარსა ზედა...“ 110v-111r
4. დიდსა ორშაბათსა. იბაკონი. [ჴმაჲ] დ გუერდი. არა დააკლდი. – საჲდუმლოთა ვნებათა შენთა მგალობელნი, ქრისტე...“ 191r
5. დიდსა სამშაბათსა. იბაკონი. [ჴმაჲ] დ გუერდი. ედემთანი. – მესმა რაჲ იგავი იგი საღმრთოჲ ...“ 195v
6. დიდსა ოთხშაბათსა. იბაკონი. ჴმაჲ გ გუერდი. მჯდომარე. – ქრისტე, რომელმან ცრემლნი მეძავისანი...” 198 r
7. დიდსა ხუთშაბათსა. იბაკონი. [ჴმაჲ] გ გუერდი. არა დააკლდისა. – მიიღო პური ჴელითა...“ 202r
8. დიდსა პარასკევსა. იბაკონი. ჴმაჲ დ გუერდი. ედემთა ზედა. – იხილა რაჲ გლოვაჲ ქალწულისაჲ...“ 207 r
9. დიდსა შაბათსა. იბაკონი. ჴმაჲ გ გუერდი. მჯდომარენი. – რომელმან დაჰჴშნა უფსკრულნი, მკუდრად იხილვების...“ 208v

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* დაცული ამ საგალობლების შედარებამ წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებთან ნათელყო, რომ ზოგიერთი მათგანი გვხვდება წინადროინდელ ქართულ კრებულებშიც, ოღონდ განსხვავებული თარგმანით: ასე მაგ. გიორგი მთაწმინდელის *მარხვანში* მეოთხე ხუთშაბათს დადებულია *იბაკონი,* რომელიც განსხვავებულია წინადროინდელ – კერძოდ, Sin-5 (1052წ.)[1] ხელნაწერში დაცული თარგმანისაგან. Sin-5 ხელ-

[1] Sin-5 ასახავს გიორგი ათონელის წინადროინდელ – X საუკუნის გასულისა ან XI საუკუნის დასაწყისის ტრადიციას.

ნაწერში საგალობელი ავტორწაუწერლადაა შესული. უცნობია მისი მთარგმნელის ვინაობა.

მოვიტანთ ამ საგალობლის I ტროპარის ქართულ თარგმანებს Paris-5 და Sin-5 ხელნაწერების მიხედვით:

Paris-5

რომელი აჰმაჰღლდი ჯუარსა ზედა,
წყალობითა შენითა
თანამკჳდრითურთ დაიცევ სოფელი,
რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი შენი, უფალო,
და მოანიჭე
მშჳდობაჲ ქალაქთა და დაბათა
და უდაბნოთა და შეჭურენ ჯუარითა შენითა და მოჰმადლე მეფესა
ძლევაჲ მტერთა მიმართ მეფესა ჩუენსა მორწმუნესა
და საძლეველ მტერთა და საჭურველ მშჳდობისა ექმენინ ცხოველსმყოფელი
ჯუარი შენი ძლიერი
და ერი და ეკლესიაჲ შენი დაიფარენ, მხოლოო,
რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ.

Sin-5

რომელი აჰმაღლდი ჯუარსა ზედა ნებსით თჳსით,
წყალობითა შენითა დაიცევ სოფელი თანამკჳდრითურთ,
რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი წმიდა შენი,
მეუფეო, მოჰმადლე მშჳდობაჲ ქალაქთა, უდაბნოთა და დაბათა,
შეჭურენ ჯუარითა შენითა მოანიჭე ძლევაჲ მტერთა მიმართ
მორწმუნესა საჭურველ მშჳდობისა და საძლეველ მტერთა ექმენ
ცხოველსმყოფელი ჯუარი შენი
და ერი შენი დაიცევ,
მხოლოო, რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ

როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელი იცნობს, ითვალისწინებს და აზუსტებს წინადროინდელ თარგმანს. მას ცვლილება შეაქვს მეტრული საზომშიც, რამაც, შესაძლოა, განაპირობა კიდეც ტექსტოლოგიური სხვაობა.

ანალოგიური მდგომარეობაა რომანოზის სხვა საგალობლებთან დაკავშირებითაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ათონელის რედაქციის *მარხვანში* შესული რომანოზის *იბა-კონების* ქართული თარგმანები თავად გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის. როგორც ჩანს, სწორედ მის სახელს უკავ-

შირდება რომანოზ მელოდოსის საგალობლების სისტემატურად შემოტანა ქართულ *მარხვანში.*

ყურადღებას იმსახურებს Paris-5-ში შესული რომანოზის ამ საგალობლების სტრუქტურა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა *კონტაკიონების* მოცულობის შემცირება. ამის მაგალითია *პატმოსის კონტაკარიონი*, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერია რომანოზის შემოქმედების შესასწავლად. რომანოზ მელოდოსის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი და გამომცემელი – გროსდიდიე დე მატონი ხელნაწერს XI საუკუნით ათარიღებს [5, გვ. 70]. ეს ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლეს თ. არენცენმა და დ. კროგერმა [1]. მათი დაკვირვებით, რომანოზ მელოდოსის *კონტაკიონების* ტროპარების შემცირება იწყება X საუკუნიდან. *პატმოსის კონტაკარიონშიც* რომანოზის საგალობლები შემცირებული სახითაა წარმოდგენილი. რომანოზის ვრცელი *კონტაკიონების* მოცულობის შემცირებას პრაქტიკული ლიტურგიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელნაწერებში, კერძოდ, გიორგი ათონელის რედაქციის *მარხვანში,* აგრეთვე Sin-5 (1052 წ.)/ Sin-75 (XI ს.) ხელნაწერებსა და სინური კოლექციის *დიდ იადგარებში კონტაკიონების* ევოლუციის სწორედ ეს პერიოდია ასახული.

რომანოზი საგალობლებს წერდა საეკლესიო კალენდრის მიხედვით, დიდ საეკლესიო დღესასწაულებსა და წმინდანებზე. რომანოზის *კონტაკიონებს* გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* შესაბამისი *ლიტურგიკული კონტექსტი* აქვს მოძებნილი, რაც ბერძნული *მარხვანებიდან* უნდა მომდინარეობდეს; ასე მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* ყველიერის კვირიაკეზე დადებულია ქვემოთ განხილული *იბაკონი,* რომელიც ეძღვნება *ადამის ექსორიობას.* საგალობელში დიდი დრამატიზმითაა წარმოდგენილი ადამის განდევნა სამოთხიდან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს საგალობელი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* დადებულია ყველიერის კვირიაკეზე – უშუალოდ დიდმარხვის დაწყების წინ, რაც მორწმუნეს შეახსენებს ცოდვით დაცემის ტრაგედიის შედეგებს. დიდმარხვის მეოთხე ხუთშაბათს არის განწესებული რომანოზ მელოდოსის ჯვრის თემაზე შექმნილი საგალობელი, რადგან ეს შვიდეული ეძღვნება ჯვრის თაყვანისცემას. ანალოგიური მდგომარეობაა რომანოზის სხვა საგალობლებთან დაკავშირებითაც.

ამჯერად წარმოვადგენთ გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის Paris-5 ხელნაწერში შესულ რომანოზის პირველ საგალობელს – *იბაკონი,* რომელიც ყველიერის კვირიაკეზეა დადებული და ეძღვნება *ადამის ექსორიობას.* საგალობლის დასაწყისთან მითითებულია ავტორი – რომ[ანოზ]. საგალობელი შედგება 7 ტროპარისაგან.

42r [ყველიერისა] კჳრიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. ჴმაჲ დ
გუერდი.
ძლ. არაჲ დააკლდისავ[ე]

„**უ**სწავლელთა მასწავლელო
და სიბრძნისა მომცემელო
და გლახაკთა ჴელის ამპყრობელო, ქრისტე,
განამტკიცე და განაბრძნე გული ჩემი
და მომეც მე სიტყუაჲ,
სიტყუაო ღმრთისაო,
რაჲთა ლმობიერად გიღაღადებდე:
„შ მრავალმოწყალეო,
შემიწყალე მე, დაცემული ესე“!

წინაშე სამოთხესა მას
ფუფუნებისასა დაჯდა
ადამ ოდესმე და მწარედ გოდებდა
და ჴელითა იცემდა მკერდსა თჳსსა,
დაილტობვოდა იგი
ღუარითა ცრემლთაჲთა
და ლმობილი ტკივნეულად იტყოდა:

„ვაჲმე საწყალობელსა,
შემიწყალე, ქრისტე, მრავალმოწყალე“!

ოხილა რაჲ ანგელოზი
ჭენებით მდევნელი ადამ,
რომელმან საღმრთოჲსა მის სამოთხისა
და მტილისა კარი რისხვით განავლო
და დაჰკრძალა იგი,
სიმწარით სულ-ითქუნა
დიდად, სიღრმით გულისაჲთ და ღაღად-ყო:
„ ჳ მრავალმოწყალეო,
შემიწყალე დაცემული ესე“!

ჩემ თანა იგლოვდ, წმიდაო
და შუენიერო სამოთხეო,
რომელი ესე დავგლახაკენ შენგან,
ვითარცა ურჩი დამბადებელისა
და რტოთა და ნერგთა
და ფურცელთა შენთა
ძრვითა და ჭმითა ევედრე შემოქმედსა,
რაჲთა კუალად განმიღოს
და შემიწყალოს დაცემული ესე“!

|არღარა ვიყნოს ყუავილთა 42v
მათ შენთა სურნელებასა,
არამედ ეკალთა და კუროჲსთავთა
აღმომიცენებს მე რისხვით ქუეყანაჲ,
ჳ სამოთხეო,
ყოლად ბრწყინვალეო,
ღირსთა მათ ურჩებისა ჩემისათა,
ჳ მრავალმოწყალეო,
შემიწყალე დაცემული ესე“!

აწ გულისჴმა - ვყავ ნაყოფი
მწარეთა ურჩებათა ჩემთაჲ,
აწ ვცან, რაჲ იგი მიბრძანა უფალმან
უბადრუკსა ამას და საწყალობელსა,
ვითარმედ „უკუეთუ

ურჩ მექმნე, სიკუდილი
გეუფლოს და განიჯადო სამოთხით“.
ჱ მრავალმოწყალ[ეო,
შემიწყალე დაცემული ესე!]

სამოთხეო დიდებულო,
ყოლადწმიდაო, შუენიერო
და საწადელო, ადამისთჳს დასხმულო
და ევაჲს მიერ ურჩებითა დაჴშულო,
ვითარმე გტიროდით
შენგან უცხოქმნილნი
და სიკუდილსა და ხრწნილებასა მიცემულნი?
ჱ მრავალმოწყალეო,
შეგჴწყალენ დაცემულნი ესე!

რომანოზის შემოქმედების ბოლოდროინდელი მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის გროსდიდიე დე მატონს. ამ გამოცემაში თავმოყრილია რომანოზის სახელით დღეისათვის ცნობილი საგალობლების ავთენტური ტექსტები [4].

აღნიშნული საგალობელი ამ პუბლიკაციაში შეტანილი არ არის იმის გამო, რომ რომანოზი არ ითვლებოდა მის ავტორად. ეს საგალობელი არ არის შესული პ. მაასისა და ს. ტრიპანისის ნაშრომშიც [12].

აღნიშნული *კონტაკიონის* ტექსტი გამოქვეყნებულია პ. მაასის მიერ სათაურით *დაკარგული სამოთხე* [11, ss. 18-20]. ამ გამოცემაში *კონტაკიონი* ანონიმურია.

პ. მაასის გამოცემაში საგალობელი აკროსტიქულია და 23 ტროპარისგან შედგება. პირველი ტროპარი წარმოადგენს *პროომიონს* და ის აკროსტიქში არ შედის.

პ. მაასის აზრით, ბერძნულ ენაზე შექმნილი ამ ერთერთი უძველესი საგალობლის უცნობი ავტორი რომანოზზე ადრე მოღვაწეობდა.

ამ საგალობლის ქართული, გიორგი ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი, შემცირებულია და 7 ტროპარს შეიცავს. ქართულ თარგმანსა და პ. მაასის მიერ გამოცემულ

ტექსტს შორის საერთოა პირველი 7 ტროპარი, რომლის ბერძნული ორიგინალი გამოქვეყნებულია პ. მაასის მიერ[1] [14].

აღნიშნული *კონტაკიონი* მიჩნეულია რომანოზისა და მისი სკოლის ერთ-ერთ „უძველეს წინაპრად“ [11; 7, გვ.14]. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა საგალობლის I ტროპარის – *პრომიონის* მის მიერ ახალ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი [7, გვ. 149].

გიორგი ათონელის რედაქციის *მარხვანში* დაცულია ამ საგალობლის ქართული თარგმანი და დასახელებულია ავტორი – რომანოზ მელოდოსი.

საგალობლის გიორგი ათონელის მიერ შესრულებული თარგმანის შედარება პ. მაასის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან მოწმობს, რომ მსგავსება აშკარაა, მაგრამ ეს არაა ამ ტექსტის ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი.[2] ქართულ თარგმანში საგალობლის ტროპარები შედარებით უფრო ვრცელი და მხატვრულად სრულყოფილია. როგორც ჩანს, გიორგი ათონელს ხელთ ჰქონდა სწორედ ამგვარი ბერძნული ორიგინალი. ეს უნდა იყოს XI საუკუნის შუახანების (40-იანი წლების) ბიზანტიური ტრადიციის ასახვა. ამავე ტრადიციას უნდა ასახავდეს საგალობლის სტრუქტურა და მეტრული საზომი.

საგალობლის I ტროპარი, ეჭვგარეშეა, *პრომიონს* ანუ შესავალ სტროფს წარმოადგენს, რასაც მოწმობს შემდეგი: 1) ბოლო ორი სტრიქონი, მცირეოდენი განსხვავებით, მეორდება დანარჩენ ტროპარებში; 2) *პრომიონი* განსხვავებული შინაარსისაა. იწყება მაცხოვრისადმი ვედრებით, სადაც ითხოვს „სიტყვის მინიჭებას“–შთაგონებას საგალობლის შეთხზვისთვის.

---

[1] ბერძნული საგალობლის ტექსტი იხილეთ სტატიის ინგლისურენოვანი ვარიანტის ბოლოს (ტექსტი გამოქვეყნებულია შემდეგ გამოცემაში – Maas, P – Trypanis C, A., Sancti Romani Melodi Cantica, Oxford 1963)

[2] ვგულისხმობთ მათ შორის საერთო 7 ტროპარის ტექსტს.

საგალობელში რომანოზისთვის დამახასიათებელი დრამატიზმითაა წარმოდგენილი ადამის განდევნა სამოთხიდან. გლოვას კიდევ უფრო ამძაფრებს „ჭენებით მდევნელი ანგელოზი“, რომელმაც დაუხშო და „დაჰკრძალა“ სამოთხის კარი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რომანოზის საგალობლებისთვის დამახასიათებელი დიალოგური ფორმა. ასეა ამ საგალობელშიც. საგალობლის IV ტროპარში ადამი მიმართავს სამოთხეს და ევედრება შველას. ეს საგალობლის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მონაკვეთია.

შემდგომი (V) ტროპარიც სამოთხისადმი მიმართვას წარმოადგენს და აქვე შემოდის წმინდა წერილის თემა. შდრ.: დაბადება 3, 18: „ეკალსა და კუროჲსთავსა აღმოგიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა“ [14, გვ. 52].

საგალობლის მომდევნო (VI) ტროპარშიც წმინდა წერილის შესაბამისი მონაკვეთის პერიფრაზია მოცემული: შდრ.: დაბადება 2, 17: „ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღისა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“ [14, გვ. 5].

კონტაკიონებისთვის დამახასიათებელი რეფრენი საგალობლის ყოველ ტროპარში მეორდება.

საინტერესოა, რომ საგალობლის უკანასკნელ ტროპარში ხდება განზოგადება და გამოხატულია ვედრება არა ოდენ ადამის, არამედ ადამის მოდგმის სახელით.

Paris-5 ხელნაწერში საგალობელი მოიხსენიება, როგორც *იბაკონი* და დადებულია IV დამხმარე ხმაზე – ჴმაჲ დ გუერდი. მითითებულია ძლისპირიც: “არა დააკლდისავ[ე]...“

საინტერესოა, რომ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* დაცულ რომანოზის სხვა *იბაკონებთანაც* ხშირად მითითებულია იგივე ხმა (ჴმაჲ დ გუერდი) და იგივე („არაჲ დააკლდი“) ძლისპირი.

როგორც წესი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის *მარხვანში* რომანოზის სახელით წარწერილი საგალობლების – *იბაკონების* დასაწყისებთან მითითებულია ძლისპი-

რები. ეს გარემოება ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ რომანოზის მოღვაწეობის დროისათვის ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობაზე დამყარებული საზომი ჯერ არ არსებობდა.

დღეისათვის ძნელია იმის თქმა, როდის და ვის მიერ მოხდა რომანოზის *კონტაკიონების* ამ ახალი წესის მიხედვით „გამართვა“. საგულისხმოა, რომ *პატმოსის კონტაკარიონში*, რომელიც აგრეთვე XI საუკუნის თარიღდება, რომანოზის *კონტაკიონები* ამავე წესით – ძლისპირთა საზომებზეა გაწყობილი [1] ისევე, როგორც გიორგი ათონელის რედაქციის *მარხვანში*.

როგორც წინადროინდელ ხელნაწერებთან შედარებამ ცხადყო, რომანოზის *კონტაკიონების* „გამართვა“ ახალი წესის მიხედვით – ძლისპირებზე დადება – ქართულ ჰიმნოგრაფიაში პირველად სწორედ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ხელნაწერებში დასტურდება.

საგალობელთა რიტმულ-მელოდიური საზომების ზუსტად დაცვა, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, გიორგი ათონელის მუშაობის მეთოდის კიდევ ერთი თავისებურება და ღირსებაა. როგორც გაირკვა, მას საგანგებო სამუშაო ჩაუტარებია *მარხვანში* შესული ქართველი ავტორის – იოანე მინჩხის საგალობლების ტექსტებისა და რიტმული განკვეთის ნიშნების დადგენის თვალსაზრისით [10, გვ. 79].

როგორც ჩანს, ასეთივე სამუშაო ჩაუტარებია მას *მარხვანში* შესული ბერძნულიდან თარგმნილი მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებითაც. ამის მაგალითია რომანოზ მელოდოსის განხილული საგალობელი. საგალობლის დასაწყისთან, წესისამებრ, მითითებულია ძლისპირი – „არაჲ დააკლდისავ[ე]“; საგალობლის 7-ვე ტროპარში სწორადაა დასმული რიტმული განკვეთის ნიშნები და დაცულია საზომი. ამ საზომს ექვემდებარება არა მხოლოდ *იკოსები*, არამედ შესავალი ტროპარიც – *პროომიონი*, რომელსაც, ჩვეულებრივ, *კონტაკიონებში* განსხვავებული საზომი აქვს.

ამრიგად, რომანოზ მელოდოსის ამ საგალობლის გიორგი ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი საყურადღებოა მისი რიტმულ-მელოდიური საზომის დადგენის კვლევის თვალსაზრისითაც.

რომანოზ მელოდოსის ეს საგალობელი შესულია ბერძნული და სლავური *მარხვანების* არსებულ პუბლიკაციებშიც [18, გვ. 105; 20, c. 140-141]. საგალობელი აქაც ყველიერის კვირიაკეზეა დადებული, ოღონდ წარმოდგენილია არა ცალკე, არამედ ჩართულია ამ დღეზე განწესებული ქრისტეფორე პროტოსიკრიტის ჰიმნოგრაფიული კანონის VI ოდის შემდეგ.

ბერძნული და სლავური *მარხვანების* პუბლიკაციებში რომანოზის ეს საგალობელი სახელწაუწერლადაა შესული საგალობლის I ტროპართან („უსწავლელთა მასწავლელო და სიბრძნისა მომცემელო...“) მიწერილია *კონდაკი,* დანარჩენ 4 ტროპართან კი – *იკოსი.* განსხვავებაა საგალობლის სტრუქტურაშიც: გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანში* საგალობელი შეიცავს 7 ტროპარს, ბერძნულ და სლავურ *მარხვანებში* კი – 5-ს, აკლია V და VI ტროპარები („არღარა ვიყნოს ყვავილთა“ და „აწ გულისჴმა ვყავ ნაყოფი“) ისევე, როგორც ბოლოდროინდელ ქართულ „მარხვანში“.

ბერძნული და სლავური *მარხვანების* არსებული პუბლიკაციები ისევე, როგორც ბოლოდროინდელი ქართული *მარხვანი,* ხელნაწერთა გვიანდელ ტრადიციას ემყარება, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის *მარხვანი* კი შედგენილია XI საუკუნეში, შავ მთაზე – იმდროინდელი ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრში გიორგი მთაწმინდელის მიერ, რომელიც, ამავე დროს, ათონზეც მოღვაწეობდა და ზედმიწევნით იცნობდა მის თანამედროვე ბიზანტიურ ტრადიციას.

გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის *მარხვანის* მოწმობით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მიჩნეული ამ ანონიმური საგალობლის ავტორი რომანოზ მელოდოსია.

ვფიქრობთ, განხილული საგალობელი კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობას თვით ისეთი ცნობილი ავტორის შემოქმედების შესწავლისათვის, როგორიცაა რომანოზ მელოდოსი.

ბიბლიოგრაფია

1. Arenzen, T. and Krueger D., "Romanos in Manuscript: Some Observations on the Patmos Kontakarion", *Proceedings of the 23rd International Congress of Byzantine Studies*, Belgrade 2016
2. *გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი),* გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ. 2007
3. *იოანე მინჩხის პოეზია,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბ. 1987
4. К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, Тб. 1912.
5. Grosdidier de Matons J., *Hymnes*, *Saint Ronamus Melodus*, Paris 1964
6. Grosdidier de Matons J., *Romanos le Melode et les origines de la poésie religiese à Byzance*. Paris 1977
7. Карабинов, И., *Постная Триодь*, СПб. 1910
8. ყაუხჩიშვილი, ს., *გერძნული ლიტერატურის ისტორია,* ტომი III, ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, თბ. 1973
9. კეკელიძე, კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,* I, Tb. 1960
10. Krumbacher, K., *Geschichte der byzantinischen Litteratur,* MÜnchen 1891
11. Krumbacher, K., *Die Akrostichis in der Griechischen Kirchenpoesie,* München 1903
12. ხაჩიძე, ლ., *ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ*, თბ. 2009
13. Frühbyzantinische Kirchenpoesie, I, *Anonyme hymnen des V-VI jahrhunderts*, ediert von Dr. Paul Maas, Bonn, 1910
14. Maas, P – Trypanis C,A., *Sancti Romani Melodi Cantica,* Oxford 1963
15. Momina M. und Trunte N., *Triodion und Pentekostarion*, Bonn 2004

16. *მცხეთური ხელნაწერი, I,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ. 1981
17. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა,* სინური კოლექცია, I, Tb. 1979
18. *Τριωδιον κατανυκτικόν*, Rome 1879
19. *ტრიოდიონი, რომელ არს სამსაგალობელი,* ტფ. 1901
20. *Триодь Постная*, *I-II,* M. 1975
21. Wellesz E., A *History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford 1980

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

Romanos the Melodist and One of the Earliest Examples of Byzantine Hymnography

Lela Khachidze
Associate Professor, TSU



Abstract: The paper deals with the old Georgian translation of the "Kontakion" – "Adam's Lament" ("The Lost Paradise") which is recognized as one of the earliest examples of Byzantine hymnography. This hymn is considered a predecessor of Romanos the Melodist and his school. According to the old Georgian sources, the author of this hymn is a founder of Byzantine hymnography – Romanos the Melodist.

Key words: *Romanos the Melodist, Kontakion, "The Lost Paradise", Georgian hymnography.*

Romanos the Melodist occupies a distinctive place in the history of hymnography. He is considered a founder of Byzantine hymnography, whose creative work has greatly influenced the development of medieval Christian poetry. Numerous scholarly publications and researches were devoted to Romanos the Melodist's life and creative activity.

According to Professor K. Krumbacher "the future will perhaps acclaim Romanos for the greatest poet of all ages" [8, s. 336]. This idea has been strengthened at the subsequent stages of the study of Romanos work. Romanos is considered "the greatest of the Byzantine poets" [12, p. 3].

There is scanty information on Romanos Melodos' life. He was born at the end of the 5 th century, in Syria. Romanos was ordained a deacon in the Church of the Resurrection in Beirut. The following relatively well-known period of his life is connected to Constantinople, where he went during the reign of the emperor Anastasius I (491-518). Romanos had to work in the period of three emperors Anastasius I, Justinian I and Justinian the Great. His works reflect acute dogmatic and polemical issues characteristic of that epoch [19, p. 177-178].

The introduction of new poetic form – "kontakion" is associated with the name of Romanos in the Byzantine hymnography.

"Kontakion" consists from 18 to 30 or sometimes more troparia, which are structurally similar to each other. "Kontakion" is composed of a different number of strophes (3 to 30). It starts with a short troparion that is metrically independent from it. This is so-called "proomion" or "kukulion" – a kind of introduction which renders the goal of creating a hymn. Each troparion contains a refrain. "Kontakion", as a rule, contains different types of acrostics [9].

Romanos composed more than 1000 hymns, of which 89 hymns have survived (in a full or fragmented form), 79 of them contain an acrostic of the author's name [5, p. 20].

Romanos' hymns seem to have been translated in Georgian earlier. Separate issues of his creativity are considered in Georgian scholarly literature. Nevertheless, Georgian translations of Romanos Melodos' hymns have not yet been fully revealed and extensively studied.

Our special monograph will be dedicated to Georgian translations of the hymns of Romanos Melodos.

As shown by the study, the hymns of poetic form ("kontakion" or "ibakon") introduced by Romanos appeared in Georgian hymnography as early as VII century. The ancient liturgical–hymnographical collection – "Jerusalemite Lectionary" contains the unsigned "ibakoi" on archaic liturgical

period of the liturgical year – in the Holy Week [3]. Similar types of hymns enter untitled in "New Tropologion" [15] and Sin. 5 (1052) / Sin.75 (XI c.) manuscripts.

For the study of Romanos Melodos' creativity and Georgian translations of his hymns of particular importance is universal liturgical – hymnographical collection – "Lenten Triodion" composed by George the Athonite (1009-1065), the great authority of Georgian Church, distinguished figure and translator, the saint of the Greek and Georgian churches. The manuscript – Paris. Georgica 5, which is of autographical significance, is protected in the National Library of Paris and contains "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction [10, pp. 59-74].

Characteristic feature for this manuscript, as well as for George the Athonite's works in general, is great accuracy in attributing the authors of the hymns and their restoration in original form. In the enormous hymnographical repertoire, in conditions of a large number of manuscripts and testimonies, a great work done in identification of the lost and forgotten in the course of time authors, is one of the main features of Geoge the Athonite's creativity. A number of examples of this have been revealed by the study of "Menaion" and "Lenten Triodion" composed by him [10, pp. 69-72; 2, p. 18].

In the "Lenten Triodion" composed by him the authors are often indicted not only on completed the hymns but also on the separate segments of the compiled hymns. Perfect knowledge of old Georgian translations, on the one hand and modern Greek sources, on the other hand, gave him this opportunity.

"Lenten Triodion" under George the Athonite's redaction is much more extensive than its contemporary Greek "Triodions". The Comparison with the publications of Greek and Slavonic "Lenten Triodions" and the famous Greek-Slavonic manuscripts show that "Triodion" under George the Athonite's redaction is a unique collection that had no analog in Greece and Georgia. The testimony of George the Athonite himself confirms the principles, style and methodology of his translation work.

In the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction, numerous hymns of 14 Byzantine hymnographers are preserved with the reference to the authors. Among them is Romanos the Melodist [10, pp. 72-73].

In the manuscript – Paris 5 containing the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction, 9 small form hymns appeared to bear the name of Romanos. Each of them had an inscription "ibakon." Romanos' "ibakon" is set on the following days:

Cheese fare Sunday, First Friday, Fourth Thursday, Fourth Friday, Great Monday, Great Tuesday, Great Wednesday, Great Thursday, Great Friday and Great Saturday. According to George the Athonite's work rules, at the begining of each of them the author – "Romanos" is ascribed**.**

The comparison of "Lenten Triodion" – Paris 5 with previous Georgian manuscripts evidences that Georgian translation of these hymns belongs to George the Athonite himself. Apparently, his name is connected with the introduction of the whole cycle of the hymns of Romanos the Melodist in Georgian hymnography.

The structure of these hymns of Romanos included in Paris 5 deserves attention. In scholarly literature it is noted that in the course of time the length of "kontakia" occurred. The example of it is the "Patmos Kontakarion", which is one of the oldest and distinctive manuscripts for studying Romanos's works. Grosdidier de Matons dates the manuscript to the 11th century [5, p. 70]. This manuscript was specially studied by T. Arenzen and D. Krueger [1], who observed that the "kontakia" began to be truncated from the 10th century.

Romanos' hymns are also represented in an abbreviated form in the "Patmos Kontakarion". Reduction of Romanos' extensive "kontakia" must have had practical liturgical purpose.

Georgian manuscripts, particularly, in the "Lenten Triodion" under George the Athonite redaction as well as in Sin. 5 (1052)/Sin. 75 (11th c.) manuscripts and Sinaitic Collection of "New Tropologions" reflect just this period of the evolution of kontakia.

Romanos wrote the hymns for the entire liturgical year, on great ecclesiastical feasts and about the saints. In

Lenten Triodion under George the Athonite redaction an appropriate "liturgical context" is found to Romanos' kontakia which must be derived from Greek tradition. Thus, for example, interesting for us hymn – *Adam's Lament* is set on Cheesefare Sunday which is dedicated to *Adam's expulsion*. The hymn presents the expulsion of Adam from Paradise with great dramatization. This kontakion is considered the earliest example of the *lamentation genre* in theological poetry. It is noteworthy that this hymn included in the *Lenten Triodion* on the Cheesefare Sunday – directly before the start of the Lent in remembrance of the tragedy of the Fall. On the fourth Thursday of the Lent – the Glory of the Cross, the hymn of Romanos the Melodist created on the theme of Cross is set, etc.

The paper presents the Georgian version Romanos' short size hymn – "ibakon" included in Paris 5 manuscript, which is set on Cheesefare Sunday and devoted to "Adam's expulsion". At the beginning of the hymn the name of the author – Romanos is indicated. The hymn consists of 7 troparia. Georgian translation of this hymn is published in Georgian version of the present paper.

The recent scholarly edition of Romanos' works belongs to Grossidier de Matons. This edition contains the authentic texts of hymns attributed to Romanos known for today [4].

This hymn is not included in this publication because Romanos is not considered its author.

This hymn is not included in the works of P. Maas and C. A. Trypanis either [12].

Its text is published by P. Maas under the title "Das Verlorene Paradies" [11, ss. 18-20]. The "kontakion" is anonymous in this edition.

In P. Maas's edition, the hymn has acrostics and consists of 23 troparia. The first troparion is a "proomion" and it is not included in acrostics.

In P. Maas's view, the unknown author of this hymn lived earlier than Romanos.

This "kontakion" is regarded as one of the "oldest ancestors" of Romanos and his school [11; 7, p. 14].

According to the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction, the author of this oldest hymn who was

considered a predecessor of Romanos and his school is Romanos himself. At the same time, the manuscript preserves the old Georgian translation of the hymn, which consists of 7 troparia.

The comparison of the Georgian translation with the text published by Maas shows that the similarity is obvious, but this is not an exact, a word-for-word translation of this text. In the Georgian translation, the troparia of a hymn are more extensive and artistically perfect. George the Athonite seems to have had just such Greek original at hand. This must be a reflection of Medieval Byzantine tradition of the mid 11th century. The structure and metric dimension of the Georgian translation of the hymn must reflect the same tradition.

The first troparion of the Georgian translation of this hymn undoubtedly represents the "proomion" or the prologue strophe which is evidenced by the following: 1) The last two lines, with a little difference, are repeated in the rest troparia; 2) The "prooimion" is of different content. It starts with a prayer of supplication to the Savior, where he begs to give him the "gift of a word" – the inspiration for writing a hymn.

Adam's expulsion from the paradise is presented in the hymn with dramatization characteristic to Romanos. Mourning is even more aggravated by the angel who slammed and "banned" the gates of Paradise.

The scholarly literature marks the dialogue form characteristic of Romanos' hymns. It is so in this hymn too. In the 4th troparion of the hymn, Adam appeals to Paradise and asks for help. This is one of the most emotional passages of the hymn.

The next (V) troparion also represents an appeal to Paradise and here comes the theme of the Holy Scripture. cf.: Genesis 3: 18. In the following (VI) troparion of the hymn the paraphrase of the corresponding section of the Holy Scripture is given: cf. Genesis 2, 17.

The refrain characteristic of the "kontakia" is repeated in every troparion of the hymn. It is interesting to note that the last troparion of the hymn generalization occurs and the supplication is expressed not only on behalf of Adam but of the mankind.

In the manuscript Paris 5, the hymn is referred to as "ibakoi" and is set on the Tone 8 and the Hirmos is also indicated: "Don't be excluded".

It is interesting that the same Tone and the same Hirmos are often indicated at other "ibakoi" of Romanos preserved in the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction.

As a rule, in Paris 5 the Hirmoi are indicated at the beginnings of "ibakoi" – the hymns having an inscription with the name of Romanos. This fact attracts attention, because by the time of Romanos' activity the metre based on the correspondence of Hirmoi – troparia had not yet existed.

Today it is difficult to say when and by whom the "arrangement" of Romanos' kontakia according to this new rule occurred. It is noteworthy that the "Patmos kontakarion" which also dates to XI century, Romanos' "kontakia" in the same rule are set on Hirmoi metres [1].

As it was obvious from the comparison with previous manuscripts, the arrangement of Romanos's kontakions according to the new rule – putting on the Hirmoi – is attested for the first time in Georgian hymnography in the manuscripts under George the Athonite's redaction.

The strict observance of rhythmic and melodic signs of the hymns, which was associated with great difficulties, is one more peculiarity of George the Athonite's working method. As it turned out, he did a special work from the viewpoint of establishing the texts and signs of rhythmic division of the hymns written by Georgian hymnographer Ioane Minchkhi included in "Triodion" [10, p. 79].

He seems to have done similar work with the Georgian translations of numerous hymns translated from Greek includeed in "Lenten Triodion". An example of this is Romanos Melodist's hymn under consideration. At the beginning of the hymn, in accordance with the rule, Hirmos – "Don't be excluded" is indicated. In the seventh troparion of the hymn the signs of rhythmic division are correctly indicated. Not only "ikoses" are subjugated to this dimension but also the first troparion – "prooimion" which has different size in ordinary "kontakia".

Thus, the translation of this hymn is of special interest also from the viewpoint of the study of its rhythm and melody.

This hymn of Romanos the Melodist appeared to be included in the existing publications of the Greek and Slavic "Lenten Triodions" [18, p. 105; c. 140-141]. Here, the hymn is also performed on Cheesefare Sunday, and it is not presented separately but included after the 6th ode of the Hymnographical Canon of Christopher the Protosecret.

In these publications of Greek and Slavic "Lenten Triodions", this hymn of Romanos is included without ascribing the name, in the same way as the majority of short size hymns. At the first troparion of the hymn ("The teacher of the ignorant and giver of wisdom"), "kondak" is written and at the rest troparia – "Ikoses". There is also difference in the hymn structure: in the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction the hymn contains 7 troparia, and in Greek and Slavic "Lenten Triodions" – 5: the 5th and the 6h troparions lacking.

The publications of Greek and Slavic "Lenten Triodions" are based on the late tradition of manuscripts, and the "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction is compiled in the 11th century, on the Black Mountain, one of the most powerful centers of the Christian culture of that time by the person, who at the same time, labored on Athos and was thoroughly familiar with modern Byzantine tradition.

According to the testimony of "Lenten Triodion" under George the Athonite's redaction the author of this anonymous hymn which recognized as one of the earliest examples of Byzantine hymnography is Romanos the Melodist.

Thus, the considered hymn once again testifies to the unique significance of the old Georgian translations in the study of creative activity of even such a well-known author, the founder of Byzantine hymnography as Romanos the Melodist.

Bibliography

1. Arenzen, T and Krueger D., "Romanos in Manuscript: Some Observations on the Patmos Kontakarion", *Proceedings of the 23rd International Congress of Byzantine Studies*, Belgrade 2016

2. *Menaion of George the Athonite (September),* Defenitive text, study and indices by Lali Jghamaia, Tb. 2007 / *გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი),* გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ. 2007

3. *The Poetry of Ioane Minchkhi*, text prepared and supplied with commentaries by Lela Khachidze, Tb. 1987 / *იოანე მინჩხის პოეზია,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბ. 1987

4. K. Kekelidze, *Jerusalemite Lectionary,* Tb. 1912 / К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, Тб. 1912

5. Grosdidier de Matons J., *Hymnes, Saint Ronamus Melodus*, Paris 1964

6. Grosdidier de Matons J., *Romanos le Melode et les origines de la poésie religiese à Byzance*. Paris 1977

7. I. Karabinov, *Lenten Triodion*, Sankt-Peterburg, 1910 / Карабинов, И., *Постная Триодь*, СПб. 1910

8. Kaukhchishvili S., *History of Greek Literature*, *vol. III, Literature of the Byzantine Period,* Tb. 1973 / ყაუხჩიშვილი, ს., *ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი მესამე, ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა,* თბ. 1973

9. Kekelidze, K., *History of Old Georgian Literature*, Tb. 1960 / კეკელიძე, კ., ძველი *ქართული ლიტერატურის ისტორია,* I, Tb. 1960

10. Krumbacher, K., *Geschichte der byzantinischen Litteratur,* München 1891

11. Krumbacher, K., *Die Akrostichis in der Griechischen Kirchenpoesie,* München 1903

12. L. Khachidze, *About Ephrem Mtsire's Hymnographical Inheritance*, Tb., 2009 / ხაჩიძე, ლ., *ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ*, თბ. 2009

13. *Frühbyzantinische Kirchenpoesie, I, Anonyme hymnen des V-VI jahrhunderts*, ediert von Dr. Paul Maas, Bonn 1910

14. Maas, P – Trypanis C. A., *Sancti Romani Melodi Cantica,* Oxford 1963

15. Momina M. und Trunte N., *Triodion und Pentekostarion*, Bonn 2004

16. *The Mtskheta Manuscript*, I, text prepared for publication and supplied with commentaries by E. Dochanashvili, Tb. 1981

17. *Description of Georgian Manuscripts, Sinaitic Collection*, I , Tb., 1979 / *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია,* I, თბ. 1979
18. *Τριωδιον κατανυκτικόν*, Rome 1879
19. *Triodion, That Means "Three-Odes"*, Tb. 1901 / *ტრიოდიონი, რომელ არს სამსაგალობელი,* ტფილისი 1901
20. *Lenten Triodion,* I-II, M. 1975 / *Триодь Постная*, I-II, M. 1975
21. Wellesz E., *A History of Byzantine Music and Hymnography,* Oxford 1980

- *The text is published in the following edition: Maas, P – Trypanis C. A., Sancti Romani Melodi Cantica, Oxford 1963*



DAS VERLORENE PARADIES

Akrostichis: εἰς τὸν προτόπλαστον (sic) ‖Ἀδάμ.‖
ἦχος πλάγιος β΄
ἰδιόμελα

Της σοφίας ὁδήγέ, φρονήσεως χορηγέ,
των ἀφρόνων παιδευτά καὶ πτωχῶν ὑπερασπιστά,
στήριξον συνέτισον την καρδίαν μου δέσποτα·

σου δίδου μοι λόγον ὁ του πατρὸς λόγος·
ἰδού γαρ τα χείλη μου οὐ κωλύσω ἐν τῳ κράζειν σοι·
ἐλεήμον ἐλέησον τὸν παραπεσόντα.

α΄ Ἐκάθισεν Ἀδάμ τότε και ἔκλαυσεν ἀπέναντι
της τρυφής του παραδείσου χερσί τύπτων τας ὄψεις
και ἔλεγεν· /:Ἐλεήμον ἐλέησον τον παραπεσόντα.':/

β΄ Ἰδών Ἀδάμ τον ἄγγελον ὠθήσαντα και κλείσαντα
την του θείου κήπου θύραν ἀνεστέναξε μέγα
και ἔλεγεν· /:Ἐλεήμον . . .:/

γ΄ Συνάλγησον παράδεισε τῳ κτήτορι πτωχεύσαντι
και τῳ ἴχῳ σου των φύλλων ἱκέτευσον τον πλάστην,
μη κλείσῃ σε· /:ἐλεήμον . . .:/

δ΄ Τα δένδρα σου κατάκαμψον ὡς ἔμψυχα και πράσπεσον
τῳ κλειδούχῳ, ἵνα οὕτως μείνῃς ἀνεῳγμένος
τῳ κράζοντι· /:ἐλεήμον . . .:/

ε΄ Ὀσφραίνομαι του κάλλους σου και τήκομαι μνησκόμενος,
πως ἐν τούτῳ ηὐφραινόμην ἀπο της εὐοσμίας
των ἀνθέων· /:ἐλεήμον . . .:/

ς΄ Νυν ἔμαθον ἁ ἔπαθον, νυν ἔγνωκα ἁ εἶπε μοι
ὁ θεός ἐν παραδείσῳ, ὅτι Εὔαν λαμβάνων
λανθάνεις με /:ἐλεήμον . . .:/

ζ΄ Παράδεισε πανάρετε πανάγιε πανόλβιε,
δι' Ἀδάμ πεφυτευμένε, δι' Εὔαν κεκλεισμένε,
πως κλαύσω σε; /:ἐλεήμον . . .:/

η΄ Ῥεῦπωμαι, ᾐφάνισμαι, δεδούλωμαι τοις δούλοις μου·
ἑρπετά γαρ και θηρία, ἁ ὑπέταξα φόβῳ,
πτοοῦσι με· /:ἐλεήμον . . .:/

θ΄ Οὐκέτι μοι τα ἄνθεα προσάγουσιν ἀπόλαυσιν,
ἀλλ' ἀκάνθας και τριβόλους ἡ γῆ μοι ἀνατέλλει,
οὐ πρόσοδον· /:ἐλεήμον . . .:/

ι΄ Την τράπεζαν την ἄμοχθον κατέστρεψα θελήματι·
και λοιπόν ἐν τῳ ἱδρώτι του προσώπου μου ἐσθίω
τον ἄρτον μου· /:ἐλεήμον . . .:/

ια΄ Ὁ λάρυγξ μου, ὁν ἤδυναν τα νάματα τα ἅγια,
ἐπικράνθη ἀπο πλήθους των ἀναστεναγμών μου,
βοώντος μου· /:ἐλεήμον . . .:/

ιβ΄ Πως ἔπεσα; που ἔφθασα; ἐκ βήματος εἰς ἅδαφος·
ἀπο θείας νουθεσίας εἰς ἀθλίαν οὐσίαν
κατήντησα· /:ἐλεήμον . . .:/

ιγ΄ Λοιπόν Σατάν ἀγάλλεται γυμνώσας με της δόξης μου·
ἀλλ' οὐ χαίρεται ἐν τούτῳ· ἰδού γαρ ὁ θεός μου
ἐνδύει με· /:ἐλεήμον . . .:/

ιδ΄ Αὐτός θεός οἰκτείρας μου την γύμνωσιν ἐνδῦσει με·
διὰ τούτο μοι δεικνύει, ὅτι και παραβάντος
φροντίζει μου· /:ἐλεήμον . . .:/

ιε΄ Σημαίνει μοι το ἔνδυμα την μέλλουσαν κατάστασιν·
ὁ γαρ ἄρτι με ἐνδύσας μετ' ὀλίγον φορεί με
και σώζει με· /:ἐλεήμον . . ³:/

ις΄ Ταχύ Ἀδάμ, ἐγνώρισας το θέλημα των σπλάγχνων μου·
διὰ τούτο οὐ στερῶ σε της ἐλπίδος σου ταύτης
κραυγάζοντα· /:ἐλεήμον . . .:/

ιζ΄ Οὐ θέλω οὐδε βούλομαι τον θάνατον οὐ ἔπλασα·
σωφρονίσας δε μετρίως αἰωνίως δοξάσω
τον κράζοντα· /:ἐλεήμον . . ³:/

ιή΄ Νυν οὐν σωτήρ κἀμέ σῶσον τον πόθῳ με ζητούντα σε·
ἐγὼ κλέψαι σε οὐ θέλω, κλαπῆναι δέ σοι θέλω
και κράζειν σοι· /:ἐλεήμον ἐλέησον τον παραπεσόντα.:/

[ιθ΄ Ἀνείκαστε πανάγιε πανάχραντε ἐπίβλεψον
οὐρανόθεν ὡς εὔσπλαγχνος και σῶσον με ἀναξίως
κραυγάζοντα· /:ἐλεήμον . . .:/

Διέγειρον προς αἴνεσιν το φρόνημα, ἀνάστησον
τον ἐν κλίνῃ κατακείμενον, ὁς ἀναξίως σώτερ
κραυγάζει σοι· /:ἐλεήμον . . .:/

Ἀνάστηθι συνίστησον φιλάνθρωπε τον πταίσαντα
νυν ἀσώτως ἐν τῳ βίῳ· προσέγγισον μοι σώτερ
τῳ κράζοντι· /:ἐλεήμον . . .:/

Μονάς τριάς ἀχώριστε ἀμέριστε πρεσβείαις της
θεοτόκου οἰκτείρησόν με καὶ πάριδε ἁμαρτίας
των κραζόντων· /:ἐλεήμον . . .:/

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

რუსთველური მხატვრული სახე შექსპირის *ციმბელინში*

ელგუჯა ხინთიბიძე
პროფესორი, თსუ

რეზიუმე: შექსპირის *ციმბელინში,* რომლის ერთი უმნიშვნელოვანესი სიუჟეტური წყარო *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის რომანია, შეინიშნება რუსთველური მხატვრული სახეების ტრანსფორმირებაც. კერძოდ, ნესტანის ცნობილი მეტაფორული სიტყვები: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები“ ასევე მხატვრულ სახედაა გადატანილი შექსპირის მიერ. უცხოეთში გაძევებული შეყვარებული ვაჟი მეფის ერთადერთ მემკვიდრე ქალს ევედრება, მისწეროს წერილი „თუნდაც მელანი ნაღველით ნაკეთები იყოს“.

საკვანძო სიტყვები: *რუსთველი, შექსპირი, „ვეფხისტყაოსანი“, „ციმბელინი“.*

ვეფხისტყაოსნისეული ნესტანისა და ტარიელის ამბავი სიუჟეტური წყარო გახდა ინგლისის სამეფო თეატრალური დასის დრამატურგებისა XVII საუკუნის პირველ ათეულში, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ ინგლისური პიესების მინიშნებები საქართველოსა და *ვეფხისტყაოსანზე,* არამედ უხვი და ზუსტი სიუჟეტური პარალელები. კერძოდ, ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესები *ფილასტერი* და *მეფე და არა მეფე* აგებულია ნესტანისა და

ტარიელის თავგადასავლის სხვა გარემოში და სხვა პერსონაჟებზე გადააზრებულ სიუჟეტზე; შექსპირის *ციმბელინის* თემა, იდეა და კომპოზიცია წარმოაჩენს ზუსტ მიმართებას იმავე სიუჟეტურ წყაროსთან; ხოლო დიდი დრამატურგის შემოქმედების ბოლო პერიოდის სხვა პიესებშიც (*პერიკლე, ზამთრის ზღაპარი, ქარიშხალი*) უხვად ჩანს რემინისცენციები *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტური დეტალებისა.

შექსპირის *ციმბელინში* პარალელები შეინიშნება *ვეფხისტყაოსნისეულ* იურისპრუდენციული ტერმინოლოგიის და სასწაულების იშვიათ სახეობებთან და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, *ვეფხისტყაოსნის* სპეციფიკურ მხატვრულ სახეებთანაც.

ვეფხისტყაოსნის ერთი საუკეთესო ქვეთავია ნესტანის წერილი საყვარლისადმი ქაჯეთის ციხიდან მოწერილი. სასოწარკვეთილი ქალი ამგვარად იწყებს წერილს:

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი - ნავღელსა ამონაწები“ (1292)[1].

ნაღველში ჩანაწები კალმით სატრფოსადმი მიწერილი წერილი იშვიათი მხატვრული სახეა, როგორც *ვეფხისტყაოსანში*, ასევე საზოგადოდ ძველ ქართულ ლიტერატურაში.

ეს მხატვრული სახე *ვეფხისტყაოსნისეული* სპეციფიკით გვხვდება შექსპირის *ციმბელინში*. (მიჩნეულია, რომ პიესა დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1610 წლისა). პიესის პროტაგონისტი ვაჟი თავის სატრფოს – მეფის ერთადერთ მემკვიდრე ქალს განშორებისას სთხოვს, წერილები მოსწეროს და თუნდაც ნაღველის მელნით იყოს ნაწერი, იგი მას თვალებით შესვამს. სიტყვა-სიტყვით: „ჩემი თვალებით შევსვამ სიტყვებს, რომლებსაც შენ გამომიგზავნი, თუნდაც მელანი ნაღველით ნაკეთები იყოს“[2] („And with mine eyes I'll

[1] იხ. *ვეფხისტყაოსნის* 1966 წლის ხელნაწერთა ვარიანტებიანი გამოცემა [6].

[2] „და მე თვალებით შევსვამ შენი სიტყვების სიტკბოს თუნდაც მელანი მწარე ნაღველით იყოს ნალესი [5, გვ. 140].

drink the words you send, though ink be made of gall" – *Cymbeline*, I.1. 100-1) [4, გვ. 8-9].

ინგლისური სიტყვის – gall (ნაღველი) უმთავრესი მნიშვნელობაა როგორც ნაღველი (სითხე ან ნაღვლის ბუშტი), ასევე მისი დამახასიათებელი ნიშანი – სიმწარე. განასხვავებენ ცხოველურ ნაღველს და მცენარეულ ნაღველს (ხის ქერქის გადაგვარებულ წამონაზარდში ჩამდგარ სითხეს). ზოგჯერ gall-ს უწოდებდნენ მუხის ქერქისგან დამზადებულ სითხეს, რომელსაც ტიპოგრაფიაში მელნად იყენებდნენ.

მხატვრული სახე – „ნაღვლის მელანი" შექსპირის შემოქმედების ადრინდელი პერიოდების პიესებსა და სონეტებში არ დასტურდება. ამგვარი დასკვნა ემყარება არა მხოლოდ ჩვენს (ჩემი და ჩემი კოლეგების) დაკვირვებას, არამედ იმას, რომ *ციმბელინის* კომენტატორები შექსპირის მემკვიდრეობაში ამ პასაჟის პარალელზე არ მიუთითებენ. ეს გარემოება განსაკუთრებით კატეგორიული იმიტომაა, რომ პიესის გამომცემლები ამ პასაჟის „ნაღველს" (gall) განმარტავენ, უკვირდებიან სხვადასხვა თვალსაზრისით. ჰოვარდ ფურნესის ცნობილ გამოცემაში (1913), ძველ კომენტატორებზე დაყრდნობით განმარტებულია, რომ შექსპირი ამ შემთხვევაში არ განასხვავებს (ანუ ათანაბრებს) ცხოველურ და მცენარეულ ნაღველს (ეს უკანსაკნელი უფრო მეტი სიმწარით გამოირჩევა) [3, გვ. 21]. ჯონ პიჩერის 2005 წლის პუბლიკაციაში შექსპირისეული *ნაღველის მელანი* განმარტებულია *მწარე მელნად* [4, გვ. 167]. როჯერ ვარენის გამოცემა (1998) მუხის მწარე სითხეზე (gall) მიუთითებს და შენიშნავს, რომ გავრცელებული ფრაზაა და იმოწმებს 1611 წლის ტექსტიდან ფრაზას *ნაღველით თროგაზე* მითითებით [1, გვ. 92]. ეს თარიღი კი შექსპირის მიერ ამ მხატვრული სახის გააქტიურების შემდგომ პერიოდზე მიანიშნებს.

შექსპირიც ხშირად ახსენებს *ნაღველს* (gall) უპირატესად სიმწარის მნიშვნელობით. მაგრამ *ნაღველი მელანთან* კავშირში შექსპირის პიესებში ქრონოლოგიურად პირველად გვხვდება *მეთორმეტე ღამეში* (3.2): "Let there be gall

enough in the ink" („დაე, იყოს საკმარისი ნაღველი მელანში").

მიჩნეულია, რომ *მეთორმეტე ღამე* დაწერილია არა უადრეს 1600-1601 წლებისა. ეს კი სწორედ ის დროა, როცა, ჩემი ვარაუდით, *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი ინგლისის ინტელექტუალურ წრეებში უნდა შესულიყო (XVI საუკუნის დასასრულს ინგლისელ მოგზაურთა დიდი დელეგაცია ცნობილი დიპლომატის ანტონი შერლის მეთაურობით სპარსეთის შაჰის კარზე დიდხანს ჩერდება. ანტონი შერლის, რომელსაც მჭიდრო ნათესაური და საქმიანი ურთიერთობა აქვს სამეფო კარის თეატრალურ დასთან დაახლოვებულ ინგლისელ გრაფებთან, შაჰის კარზე მასპინძლობას და დახმარებას უწევს შაჰის მთავარი მრჩეველი და დიდი ბეგლარბეგი, ეროვნებით ქართველი და ქართულ სამყაროსთან მჭიდროდ დაკავშირებული, მწიგნობრობის მფარველი და თავად მწიგნობარი, ალავერდი ხანი უნდილაძე. ჩემი აზრით, ამ ურთიერთობით ხდება *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის გადატანა ინგლისში).

დადასტურებულია, რომ შერლის ექსპედიციის ამბებს შექსპირი იცნობს და იმოწმებს XVII საუკუნის დასაწყისში, ამ ექსპედიციის მონაწილეთა ინგლისში გაგზავნილი ინფორმაციიდან. *ოტელოს* ფინალურ სცენაში თვითმკვლელობის წინ ვენეციელი მავრი იხსენებს ალეპოში ვინმე ოსმალოს მიერ ვენეციელის ცემისა და მისი ქვეყნის (ვენეციის) ლანძღვის შემთხვევას. გამოვლენილია, რომ ცნობა ამ ფაქტზე იკითხება ანტონი შერლის ერთი თანმხლების ჯორჯ მანვარინგის ანგარიშში, რომელიც ლონდონის საზოგადოებისათვის XVII საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი [2]. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ შექსპირის *მეთორმეტე ღამეშია* ნახსენები შაჰის მიერ დანიშნული პენსია (II, 5), რომელიც უშუალოდ იმ გასამრჯელოზე მიგვანიშნებს, შაჰ აბასმა თავის ელჩად ევროპაში განწესებულ ანტონი შერლის რომ დაუნიშნა.

ამგვარად, სავარაუდოა, რომ *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალი, რომლის მიხედვითაცაა შექმნილი ბომონტისა და ფლეტჩერის *მეფე და არა მეფე* და *ფილასტერი* XVII საუკუნის პირველი ათეულის ბოლოს და რომელიც უმთავრესი სიუჟეტური წყაროა შექსპირის *ციმბელინის*, ინგლისურ დრამატურგთა წრისათვის, კერძოდ შექსპირისათვის ამ საუკუნის დასაწყისიდანვე უნდა იყოს ცნობილი.

ამჯერად იმაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომ ეს მხატვრული სახე – უცხოეთში გადახვეწილი სატრფოსადმი შეყვარებული ქალის მწუხარების და სევდის გამოხატვა წერილით, რომელიც მეტაფორულად ნაღველის მელნით დაწერილადაა სახელდებული, ზუსტი აზრობრივი ნიუანსებითაა გადატანილი შექსპირის *ციმბელინში:* შეყვარებული ქალის წერილი, უცხოეთში გადახვეწილი სატრფოსადმი მიწერილი, ნაღველში ამოწებული კალმით//ნაღველის მელნით.

როგორც ჩანს, შექსპირი ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს მხოლოდ სიუჟეტური მონახაზით არ იცნობს. *ციმბელინში* ჩანს *ვეფხისტყაოსნის* ამ ძირითადი ამბის მხატვრული არსისა და სახეობრივი სისტემის შემოქმედებითი აღქმა, რაც დასტურდება არა მხოლოდ სპეციფიკური იურისპრუდენციული ცნებების და სასწაულების სახეობების დამოწმებით, არამედ *ვეფხისტყაოსნიდან ციმბელინში* სპეციფიკური მხატვრული სახეების ტრანსფორმირებით.

ბიბლიოგრაფია

1. *Cymbeline*. Edited by Roger Warren. “Clarendon Press”, 1998
2. Imtiaz, H., “Othello’s ‘Malignant Turk’ and George Manwaring’s ‘A True Discourse’: *Medieval and Renaissance drama in England* (January 1, 2013). See: https://digitalcommons.odu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1061&context=english_fac_pubs
3. Shakespeare, *The Tragedie of Cymbeline*. Edited by Horace Howard Furness, Filadelphia 1913
4. Shakespeare, William, *Cymbeline* (Edited by John Pitcher). “Penguin Books”, 2005
5. შექსპირი, უილიამ, *პერიკლე, მეფე ტვიროსისა, ციმბელინი* (თარგმანი თამარ ერისთავისა), თბ. 2013
6. შოთა რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი,* I, ტექსტი და ვარიანტები (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით). „მეცნიერება“, თბ. 1966

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

An Artistic Image of Rustaveli in Shakespeare's *Cymbeline*

Elguja Khintibidze
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract: Shakespeare's *Cymbeline* one of the main plot sources of which is based upon the love story of Nestan and Tariel, represents transformation of artistic images from Rustaveli's MPS. In particular, a famous metaphor from Rustaveli's epic "a pen steeped in gall" was adopted as an artistic image by Shakespeare: the fellow in love, banished abroad, implores the only heir to the throne to send him a letter "though ink be made of gall".

Keywords: *Rustaveli, Shakespeare, "Cymbeline", "The Man in a Panther-Skin".*

The fact that the love story of Nestan and Tariel from *The Man in a Panther-Skin* (MPS) became a plot source for the dramatists of The Royal National Theatre in the first decade of the 17th century, not only has been confirmed by some allusions to Georgia and MPS in certain English plays but, also, by ample and precise plot similarities. In particular, the plays *A King and No King* and *Philaster* by Francis Beaumont and John Fletcher are based on the adventure of

Nestan and Tariel, transferred in a different setting with different characters; the topic, idea and a composition in Shakespeare's *Cymbeline* also reveal a direct reference to the same plot source. It should be noted that the late plays of the Great Bard (*Pericles, Winter's Tale, The Tempest*) evince the reminiscences with the plot details of MPS.

Shakespeare's *Cymbeline* reveals obvious parallels with legal terminology, rare types of miracles, and most importantly, specific artistic images from MPS.

"The Letter of Nestan-Darejan written to her Beloved", sent from Kajeti fortress, is considered to be the best subchapter from MPS. The words full of despair starting the letter are as follows: "See, O my beloved, here the work of my hand. My form serves for a pen, a pen steeped in gall" [5, p. 155].

Words written to her beloved one with a *pen steeped in gall* are the rarest artistic images of their kind not only in the MPS but, also, in Georgian literature in general.

These artistic images, accompanied by the same specific details encountered in MPS, are also utilized in Shakespeare's *Cymbeline*. (The play must have been written no later than 1610). The protagonist character of the play, during the farewell, asks his beloved one – the only heir to the throne – to send him letters, even if written with *ink made of gall* and promises that he will absorb them with his own eyes. The passage reads: "And with mine eyes I'll drink the words you send, though ink be made of gall" (*Cymbeline,* I.1. 100-1) [4, p. 8-9].

The English word for *gall* is mainly defined as bile (liquid or gall bladder), sometimes denoting bitterness. Two types of gall are distinguished: animal gall and that of a plant (the liquid stored in the degraded projection of a crust). Sometimes *gall* may denote the liquid made from oak crust, used as ink in typography.

It should be noted that the artistic image *ink made of gall* has not been observed by me so far in the early plays or sonnets by Shakespeare. This is not a conclusion based solely on my quest. My claim has also been strengthened by the fact that commentators of *Cymbeline* do not provide any reference concerning the corresponding, equivalent passage of this specific paragraph within Shakespeare's heritage. The significance of the issue is based on the fact that the editors of the plays define and analyze *gall,* given in the passage, from different angles. Howard Furnes's famous edition (1913) defines, based on old commentators, that Shakespeare, in this case, does not distinguish (but, in fact, equals) between the animal gall and that of the plant, adding that the latter is the more bitter than the former [3, p. 21]. John Pitcher's publication (2005) defines Shakespeare's *ink of gall* as *bitter ink* [4, p. 167]. According to the explanation provided by Roger Warren's edition (1998) [1, p. 92], *gall* is bitter liquid obtained from the oak tree. He also adds that this phrase is quite common and he makes a reference to the phrase from a text dating back to 1611: "Ink was made of bitter oak gall". It should be noted that the date indicated follows the period Shakespeare used this artistic image.

The world *gall*, mostly in sense of bitterness, is employed by Shakespeare on frequent occasions. However, *gall related with ink* is for the first time encountered chronologically in Shakespeare's play *Twelfth Night* (3.2): "Let there be gall enough in the ink".

Twelfth Night is considered to be written no later than 1600-1601, the period, I assume the love story of Nestan and Tariel from MPS must have already penetrated the circle of English dramaturgy. At the end of the 16th century, an English delegation of travelers, led by a famous diplomat Anthony Sherley, sojourns Shah Abbas's court for a long time. At the Shah's court, Anthony Sherley, who had close business and relative ties with the English earls being in touch with the

circles of English Royal Theatre, is largely supported by a man of Georgian extraction, the Shah's principal adviser, a great admirer of literature and a bibliophilic himself - Alahverdi Khan Undiladze. In my opinion, the relationship mentioned above led to the penetration of the plot of MPS in the circle of English dramatists.

It has been confirmed that Shakespeare is aware of Sherley's adventures through the correspondence sent to England by the participants of the expedition and refers to them in the early 17th century. In the final suicide episode from *Othello*, the Venetian Moor recalls a Turk beating a Venetian man in Aleppo and berating his own country (Venice). One of Sherley's companions, George Manwaring mentions this fact in his accounts, which must have been circulating in the form of manuscripts in London society at the beginning of the 17th century [2]. The most important is that Shakespeare's *Twelfth Night* is the very play mentioning the pension set by a Shah (II, 5). This is the fact giving a reference to the salary set up by Shah Abbas for Sherley who was appointed by Shah as his ambassador in Europe.

Thus, we should assume that the story of the adventure of Tariel and Nestan, serving as the plot source for the plays *A King and No King* and *Philaster* by Beaumont and Fletcher as well as *Cymbeline* by Shakespeare, written at the early 17th century, must have been known to the English dramatists, Shakespeare in particular, at the beginning of the century.

Therefore, I would like to emphasize the importance of the fact that Rustaveli's artistic image – expression of sorrow and mourning of a woman for her beloved one, exiled overseas, depicted by the letter *written in ink made of gal*, was transposed with precise semantic nuances by Shakespeare in his *Cymbeline*.

Presumably, *Cymbeline* reveals the creative perception of the image system of the love story of Nestan and Tariel

from MPS rather than its plot line solely. All this has been confirmed not only through the reference to rare terminology of Jurisprudence and the types of miracles from MPS, but also, through the transformation/transposition of specific artistic images from MPS into *Cymbeline*.

Bibliography

1. *Cymbeline*. Edited by Roger Warren. "Clarendon Press", 1998
2. Imtiaz, H., "Othello's 'Malignant Turk' and George Manwaring's 'A True Discourse': *Medieval and Renaissance drama in England* (January 1, 2013). See: https://digitalcommons.odu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1061&context=english_fac_pubs
3. Shakespeare, *The Tragedie of Cymbeline*. Edited by Horace Howard Furness, Filadelphia 1913
4. Shakespeare, William, *Cymbeline* (Edited by John Pitcher). "Penguin Books", 2005
5. Shota Rustaveli, *The Lord of the Panther-skin* (Translated by R.H. Stevenson). Albany, New York 1977

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ახალი რუსული თარგმანი

სოფიო გულიაშვილი
დოქტორანტი, თსუ



რეზიუმე: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველმა გამომცემელმა ნიკო მარმა თხზულებას მთელი ტომი დაურთო და გამოკვლევებთან, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში მოგზაურობის დღიურთან და ხელნაწერის ქართულ ტექსტთან ერთად რუსული თარგმანიც დაბეჭდა. აქედან იწყება გიორგი მერჩულის თხზულების უცხო ენაზე ამეტყველების ისტორია: ძალიან მალე, 1917-1919 წლებში ითარგმნა და 1922-1923 წლებში Analecta Bollandiana-ს 36-37-ე ტომებში დაიბეჭდა პაულ პეეტერსის შესრულებული *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების* ლათინური თარგმანი – Vie de S. Gregoire de Khandztha (გვ. 207-309); მოგვიანებით, 1956 წელს ლონდონში გამოვიდა დევიდ მარშალ ლანგის „ქართველი წმინდანების ცხოვრებანი და ლეგენდები“, რომელშიც „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ლანგისეული ინგლისური თარგმანია ჩართული (The Life of St. Gregory of Khandzta, წიგნში: *Lives and Legends of the Georgian Saints*,

London 1956, გვ. 155-65); 2015 წელს ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა, თეოფანე, ერიკ ჰალვორსონმა, ქართულ საზოგადოებას „ცხოვრების“ ახალი ინგლისური თარგმანი წარუდგინა. მანამდე, 1999 წლის დეკემბერში პარიზში რუსულენოვან ჟურნალ „სიმბოლოს“ 42-ე ნომერში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ახალი რუსული თარგმანი გამოქვეყნდა [9, გვ. 245-341], რომელიც 2008 წელს მოსკოვში გამომცემლობა CRITERIUM-მა სერიით *„დედა წმიდათა“ – ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრები* თავიდან გამოსცა. სწორედ ამ თარგმანს ეძღვნება წინამდებარე სტატია.

საკვანძო სიტყვები: *ჰაგიოგრაფია, ქართული ლიტერატურა თარგმანებში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, იოსებ ზეთიშვილი, ნიკო მარი*

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში 1902 წლის შემოდგომაზე ალაგ-ალაგ ძალზე დაზიანებული XII საუკუნით დათარიღებული უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი აღმოჩნდა. საცავში შემონახულ „ქართულ მრავალთავში“ (N2) სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეებმა მანამდე სრულიად უცნობი ტექსტი იპოვეს – „შრომაჲ და მოღუაწეობაჲ ღირსად-ცხოვრებისა გრიგოლისი არხიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ [7, IX].

ხელნაწერი პირველად 1845 წელს ნიკო ჩუბინაშვილს უნახავს. მოგვიანებით, 1894 წელს მის მიერ ამოწერილი ცნობები ალექსანდრე ცაგარელს დაუბეჭდავს (Сведения, III, გვ. 49-50) [20, 98], მაგრამ მკითხველმა თხზულება 1911 წელს აღმოაჩინა, როცა ნიკო მარმა თავის სერიაში «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» ქართული და რუსული ტექსტები გამოაქვეყნა [7]. მანამდე კი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „დავიწყების სიღრმეში“ დაფლული „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ მოძღვრის სახელი, მისი „სულიერად განწყობილი ლაშქ-

რის“ გამარჯვებები და ტაო-კლარჯეთის აღორძინების ისტორია არავინ იცოდა.

ამის დასტურად ისიც კმარა, რომ 1853 წელს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ ავტორი პლატონ იოსელიანი წერდა, რომ არ იცის, როდის მოღვაწეობდა და ვინ იყო ის წმინდანი, ვისაც ქართული ეკლესია 5 ოქტომბერს იხსენიებს: „მხოლოდ სომხურ ისტორიებში ვნახე გრიგოლ ხანზოხატი, რომელიც 1411 წელს ცხოვრობდა“ [9, გვ. 248]. უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობიდან ათი საუკუნის შემდეგ ასეთი არცოდნა სულაც არ არის გასაოცარი. X საუკუნეში, როცა მონასტრებში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ „მოწაფენი და მოწაფეთა მოწაფენი მის წმიდისათა“, თავად გიორგი მერჩულე ჩიოდა: „სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასაო“ [17, გვ. 249].

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველმა გამომცემელმა თხზულებას მთელი ტომი დაურთო და გამოკვლევებთან, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში მოგზაურობის დღიურთან და ხელნაწერის ქართულ ტექსტთან ერთად რუსული თარგმანიც დაბეჭდა. აქედან იწყება გიორგი მერჩულის თხზულების უცხო ენაზე ამეტყველების ისტორია: ძალიან მალე, 1917-1919 წლებში ითარგმნა და 1922-1923 წლებში Analecta Bollandiana-ს 36-37-ე ტომებში – იოანესა და ექვთიმეს, გიორგი მთაწმიდელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებათა წიგნებთან ერთად – დაიბეჭდა პაულ პეეტერსის შესრულებული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ლათინური თარგმანი – Vie de S. Gregoire de Khandztha (გვ. 207-309); მოგვიანებით, 1956 წელს ლონდონში გამოვიდა დევიდ მარშალ ლანგის „ქართველი წმინდანების ცხოვრებანი და ლეგენდები“, რომელშიც „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ლანგისეული ინგლისური თარგმანია ჩართული (The Life of St. Gregory of Khandzta, წიგნში: *Lives and Legends of the Georgian Saints*, London 1956, გვ. 155-65); 1999 წლის დეკემბერში პარიზში რუსულენოვან ჟურნალ „სიმბოლოს“ 42-ე ნომერში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვ-

რების“ ახალი რუსული თარგმანი გამოქვეყნდა [9, გვ. 245-341].

2008 წელს მოსკოვში გამომცემლობა CRITERIUM-მა სერიით *„დედა წმიდათა“ – ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრები* იოსებ ზეთეიშვილის თარგმანის შესწორებული ვერსია თავიდან გამოსცა. 2015 წელს კი ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა, თეოფანე, ერიკ ჰალვორსონმა, რომელმაც თარგმანს ნიქოზში გადაღებული ფოტოკოლაჟი დაურთო, ქართულ საზოგადოებას „ცხოვრების“ ახალი ინგლისური თარგმანი წარუდგინა.

როგორც აღინიშნა, დეკანოზ იოსებ ზეთეიშვილის თარგმანი პირველად ჟურნალ „სიმბოლოში“ («Символ») გამოქვეყნდა. ეს ჟურნალი 1979 წელს პარიზის სლავურმა ბიბლიოთეკამ დასავლეთ-აღმოსავლეთის შემოქმედებითი დიალოგის ხელშეწყობისთვის დააარსა (წყარო: http://sfoma.ru/publisher/journal-symbol) და საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და ქრისტიანული მხატვრული ლიტერატურის რუბრიკებით ცნობილი ავტორების მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორის ძველი ქართული ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშებიც აღმოჩნდა: ტბელ აბუსერიძის „წმინდა გიორგის სასწაულები“ (№32), გიორგი მთაწმინდელის „იოანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრება“ (№34-35), გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ (№38), უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის წამება“ (№44), იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ (№44), იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (№45), დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (№41), ჟამთააღმწერლის ისტორია (№46-47), ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა (№40), ზემოხსენებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „საკითხავი სუეტისა ცხოველისა“ და სხვები. აქვეა გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც თითოეული თხზულების თარგმანს უძღვის წინ. ამ ახალი რუსულენოვანი თარგმანების ავტორი ლატვიაში მოღვაწე ქართველი დეკანოზია – იოსებ ზეთეიშვილი ლატვიის ჩრდილო–აღმოსავლეთში ის საზღვრისპირა ქალაქ ვისაგინასის

ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანებისა და წმ. პანტელეიმონის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, ვისაგინასის საეკლესიო ოლქის ხელმძღვანელი და საეპარქიო საბჭოს წევრია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ახალი რუსული თარგმანის პირველ გამოცემას მთარგმნელის შთამაგონებელი წინასიტყვაობა უძღვის: სახელწოდებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ («О Житии Григола Хандзтели») [9, გვ. 48-50], რომელსაც შესწორებულ გამოცემაში „ღვთის ქალაქის მაშენებელნი“ ჰქვია. ავტორი ლიტერატურული ძეგლის მნიშვნელობაზე, მის ისტორიაზე წერს და სურს, მკითხველს წმინდანის ცხოვრება, მისი მოღვაწეობის ამბავი ქართველთა სამეფოს ისტორიაში ერთ ბრწყინვალე სახედ წარმოუდგინოს. წერილის მაკა ელბაქიძის მიერ შესრულებული თარგმანი 2001 წელს ჟურნალ „ქართველოლოგის“ მერვე ნომერში დაიბეჭდა. იოსებ ზეთეიშვილის აღნიშნავს, რომ როცა 951 წელს მწერალმა დიდი მოძღვრის ცხოვრების წიგნი შექმნა, მისი სახელი დაკარგვას გადაარჩინა, ხოლო მაშინ, როცა მეოცე საუკუნის დამდეგს ნიკო მარმა თხზულება გამოაქვეყნა, მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის და მისი მოწაფეების ღვაწლი კი არ წარმოჩნდა, გამოვლინდა იმ სულიერი, პოლიტიკური, ეროვნული და კულტურული აღმავლობის საფუძვლები, რითაც VIII-XII საუკუნეებში ქართული ყოფა ხასიათდებოდა; აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტებით, სახელებით, სახეებით დატვირთული ქართული ბერმონაზვნური და ასკეტური კულტურის საბუთი [9, გვ. 249]. მთარგმნელი კლარჯეთის უდაბნოებსა და მონასტერთა კომპლექსს ქართულ ათლანტიდას უწოდებს და იხსენებს, რომ ნ. მარიც აღნიშნავდა: «Тао-Кларджетия представляет собою то же Тур-Абдин в летописях сирийской церкви» [7, IX]. თუმცა, ხაზი გავუსვათ, რომ 1902 წელს, უპირველეს ყოვლისა, ქართული სასულიერო მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში აღმოაჩინეს.

„ფაქიზი და ნაზი ესთეტიკური გემოვნების პატრონი“, „დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული“, „ნამდვილი მხატვარი“, „უებრო მწერალი“ [20, გვ. 21] – ყველა ეს სა-

ქებარი სიტყვა ივანე ჯავახიშვილს გიორგი მერჩულის შესახებ უთქვამს. „მარტივი, მკაფიო და ცხოველის ენით დაწერილი, მშვენიერის, კეთილშობილურის კილოთი გამსჭვალული მთლად პოეტური თხზულების შთაბეჭდილებას ახდენს“ [20, გვ. 116]; „მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ არამცთუ აგიოგრაფიული, თუგინდ ისტორიული, არამედ სიტყვაკაზმული ნაწარმოები, მწერლის ენისა და სტილის ვირტუოზობა ხიბლავს მკითხველს...“ – წერს პავლე ინგოროყვა [7, გვ. 152-153]. როდესაც ასეთი ძეგლის თარგმანზეა საუბარი, ვგულისხმობთ, უფრო კი გვსურს, დავიჯეროთ, რომ ის ისეთივე შთამბეჭდავი იქნება, როგორიც დედანი. თუმცა იმასაც ვუწყით, რომ მხატვრული თარგმანი, უმთავრესად ორ უკიდურეს შეხედულებათა შორის მერყეობს: ერთია ზუსტი, მაგრამ მხატვრულად სუსტი თარგმანი, მეორეა მხატვრულად ძლიერი, მაგრამ ხშირად დედნისგან დაცილებული – თავისუფალი თარგმანი. თეორიულად ძალიან ადვილია ამ ორი პრინციპის სინთეზი და იდეალად ზუსტი და მხატვრულად ძლიერი თარგმანის მიჩნევა, მაგრამ პრაქტიკულად ამ იდეალის პირდაპირ განხორციელება შეუძლებელია. მთარგმნელების მიზანია, შექმნან ე. წ. იდენტური თარგმანი, რომელიც ნაწარმოების სხვა ენაზე მკითხველს მის ჭეშმარიტ ფასეულობას წარმოუჩენს. მაგრამ ორი სხვადასხვა ენა სრულიად განსხვავებული საშუალებებით სარგებლობს ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ სიტყვის ზუსტი თარგმანი მხატვრული ეფექტის განმეორებას არ იძლევა. სიზუსტე და მხატვრულობა პერმანენტულად წინააღმდეგობაში არიან ერთმანეთთან [2, გვ. 80]. ცხადია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ უცხო ენაზე მთარგმნელთაც დიდი სირთულეების გადალახვა მოუხდათ.

წინამდებარე სტატიის ფარგლებში „ცხოვრების“ დედნის ფონზე იოსებ ზეთეიშვილისა და ნიკო მარისეული თარგმანებს შეპირისპირების გზით წარმოვაჩენ იმ ნიშნებს, რითაც ახალი ძველისგან სხვაობს.

პირველი, რაც იმთავითვე თვალსაჩინოა, ისაა, რომ ნიკო მარი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას XIX საუკუნის რუსული სალიტერატურო ენით აცნობს მკითხველს. იმხანად ძველი ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა – აღმოჩნდა, რომ ქართულმა მწერლობამ მსოფლიო ლიტერტურისათვის დაკარგული თხზულებები შემოინახა – ქართულმა თარგმანებმა ზოგი ისეთი ქმნილება „გააცოცხლა“, რომლის აღარც დედანი და აღარც სხვა რომელიმე ენაზე შესრულებული თარგმანი აღარ არსებობდა. ტექსტის პირველ გამოცემაში რუსული თარგმანის ჩართვის მთავარი მიზანი სრულიად უცნობი თხზულების არაქართველი მკითხველისათვის გაცნობა და შინაარსის ზუსტად გადმოცემა და არა–ორიგინალის სტილის ზედმიწევნით შენარჩუნება-ასახვა. სინტაქსური წყობა (მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია, გარემოებების ადგილი წინადადებაში), ცალკეული ლექსიკური ერთეულების მათი თანამედროვე ვარიანტებით გადმოცემა XIX საუკუნის დამლევის რუსული სალიტერატური ენის შესაბამისია.

35-ე პარაგრაფში, რომელიც რუსულ თარგმანს ეძღვნება [«К русскому переводу» - 7, გვ. 49], ნ. მარი წერს: «в переводе оказалось невозможным держаться без всякого отступления деления текста на строфы, как оно приведено в наличном тексте», მაგრამ მთარგმნელს ამ სირთულისთვის თავი გაურთმევია და სტროფებად დაყოფაში სხვაობა დედანთან უმნიშვნელოვნელოა. ი. ზეთეიშვილმა კი ტექსტი სტროფებად არ დაყო. რაც შეეხება თავებს–თავები ორივე თარგმანში ქართულის იდენტურადაა განაწილებული.

ნ. მარი აღნიშნავს, რომ თარგმანში ირანის, სომხეთის და ბიზანტიის მრავალგვარი ენობრივი გავლენის შეთავსებით სტილის ლექსიკური კოლორიტის გადმოცემა არ შეიძლება («В переводе нельзя передавать лексический колорит стиля сочетанием разнообразных влияний Ирана, Армении и Византии характеризующий эпоху»)

[8,LV]. ძველი სომხური გავლენის გვერდით (სახელი აბრაჰამის ფორმა, ზოგიერთი სომხური სიტყვა) ირანიზმები იჩენენ თავს; ხშირია ბიბლიური ტერმინების ბერძნული ფორმების გამოყენება: ლევიტელთა (XVII თ. 28 სტრ.) მისი ბერძნული სუფიქსით – it; ბერძნული ტერმინოლოგია: ანგელოზი, არქიმანდრიტი (XVIII, 2); აქვე ტერმინს – *მონასტერი* ადგილს მთლად არ უთმობს უფრო ადრეული *ვანი*; ვულგარული სპარსული წარმოშობის *პასუხთან* ჩნდება *სიტყვსგებად* და *თავისუფლებად*-ს გვერდით რამდენიმეჯერ – *აზნაურებად* (თუმცა ყოველთვის წმ. წერილის ციტირებისას) [7, გვ. 48].

სიტყვების ეს ბრძოლა სირთულეს ორივე მთარგმნელს უქმნიდა. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს იმის საჩვენებლად, თუ როგორია მათი დამოკიდებულება ასეთი „ბრძოლისა“ და პარალელიზმების თარგმანში ასახვის მიმართ. ეს ის შემთხვევებია, როცა ერთი და იმავე შინაარსის ტერმინები – ძველი და ახალი, ქართული და სპარსული, ქართული და ბერძნული – გვერდიგვერდ არიან.

1. ყრმისა და ჭაბუკისა (XXIII, 27)

о достойном юноше Ефреме. (23, 27, გვ. 104) - თარგმნის ნ. მარი და სინონიმების ერთ შესატყვისს იძლევა.

о преподобном отроке и юноше Ефреме [გვ. 275] - აზუსტებს იოსებ ზეთეიშვილი.

2. შორის წმიდათა შენთა მარტჳლთა და მოწამეთა (X , 27)

среди твоих мученников (94)

среди твоих свидетелей и мучеников (265)

ამ შემთხვევაში საგანთა სახელდებისას პარალელიზმი იმით იქმნება, რომ ერთი სიტყვა ბერძნულიდანაა ნასესხები, მეორე კი მისი შესატყვისი ქართულია. (ასეთივეა კერეონთა და სანთელთა). როგორც ვიცით, ბერძნული მარტირ ნიშნავს მოწმეს, დამმოწმებელს, აქედან – მოწამე [17], რუსულ თარგმანში კი – мученник [16, გვ. 326]. „მარტჳლთა“ ი. ზეთეიშვილს მისი საწყისის ბერძნული მნიშვნელობის შესაბამისად აქვს თარგმნილი: свидетель და ასე იცავს დედნისეულ პარალელიზმს.

ორივე თარგმანს ახლავს თხზულებაში ნახსენებ საკუთარ სახელთა ქართული ვარიანტებისა და მათი რუსული შესატყვისების სია: Анатолэ - Анатолия, Теместия - Феместия, Иованэ - Иоанн, Габриэл - Гавриил, Теодорэ - Феодор, Саба - Савва, Григол - Григорий, Христофорэ - Христофор, Эпофанэ - Епифаний და სხვ.

ი. ზეთეიშვილის ჩამონათვალში მხოლოდ ადამიანთა სახელებია (27 სახელი) [9, გვ. 252], ნ. მართან – გეოგრაფიული სახელებიც [7, გვ. 206]. ასეთი წყვილებიდან ნ. მარი ყოველთვის მეორეს, ე.ი. რუსულის შესატყვისს ირჩევს, ი. ზეთეიშვილი კი იმ ვარიატს, რომელიც ქართულ ჟღერადობას იმეორებს.

I. შრომაჲ და მოღუაწებაჲ... მამისა ჩუენისა გრიგოლისი (17, გვ. 248)

ა) ნ. მარი: Труды и подвиги... отца нашего архимандрита *Григория* (გვ. 83)

ბ) ი. ზეთ. Труд и подвижничество... отца нашего *Григола* (გვ. 253)

II. და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული (17, გვ. 258)

ა) звали его *Гавриил Дапанчул* (გვ. 92)

ბ) и назывался он именем *Габриэла Дапанчула* (გვ. 263)

III. და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო... [17]

ა) *Григорий* был сын выдающихся по знатности и правоверных родителей, взращённый в царственном доме великого *Нерсея*. (გვ. 87)

ბ) Он был сыном знатных, славных и правоверных отца и матери и в доме царском великого князя *Нерсэ* воспитан. (გვ. 46)

IV. პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისაითა საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და თეოდორე, ნეძჳსა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი და მამაჲ. [17]

ა) обрёл добрых друзей, *Саву*, который был прозван Сабаном... возобновителя *Ишхана* и епископа, *Теодора*, строителя *Недзуя*

и его настоятеля, и *Христофора*, строителя *Квирікіи* и ея настоятеля.
ბ) обрёл добрых друзей содействием благодати Христовой: *Сабу*, коьорый наименован был Сабаном, сына сестры матери его, во второй раз строителя Ишхани и епископа его, и *Теодорэ*, строителя и отца *Недзви*, и *Христофорэ*, строителя и отца *Квирикети*.

V. მას ჟამსა მიძნაძოროდთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოეი მიქელ მამა, რომელიცა დაემკჳდრა პარეხთა.
ა) Сюда прибыл из *Мидзнадзора* отец *Михаил*, великий пустынник, живщий в Парехах (გვ. 113)
ბ) в то время из *Мидзнадзоро* в Хандзту пришёл пустынник *Микел* отец, который водворился в Парехах (გვ. 113)

ასეა მთელ ტექსტში:
ა) ადამიანთა სახელები:
ჰუედიოსი - Хуэдий (გვ. 91) – Хведиос (გვ. 262);
ეპიფანე - Епифаний (გვ. 96) – Эпифанэ (გვ. 267);
საბა - Сава (გვ. 97) – Саба (გვ. 268);
თეოდორე - Теодор (გვ. 103) – Теодорэ (გვ. 274);
ქრისტეფორე - Христофор (გვ. 103) – Христофорэ (გვ. 274);
ცქირი - Цкир (გვ. 137) - Цкири (გვ. 310)
ნერსე - Нерсей (გვ. 87) - Нерсэ (გვ. 46)
არსენი - Арсений (გვ. 112)- Арсени (გვ. 125)
ბ) გეოგრაფიული საკუთარი სახელები:
из Самцхии (გვ. 96) - из Самцхе (გვ. 267);
в Шавшию (გვ. 96) – в Шавшети (გვ. 267);
Кларджети (გვ. 83) – Кларджети (გვ. 254);
Тбъ (Тбътъ) (გვ. 136) – Тба (გვ. 309) - როგორც დედანშია (65-ე თავი);
Картия (გვ. 96) – Картли (გვ. 267).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ზეთეიშვილისეული რუსული თარგმანის პირველ გამოცემაში ტექსტს ავტორის შენიშვნები, სულ 285 შენიშვნა [9, გვ. 325-334] ახლავს. მათი უმეტესობა მთარგმნელობით სამუშაოს უკავშირდება. ზოგჯერ მთარგმნელი ამა თუ იმ ფრაზის, წინადადების,

სიტყვის თარგმანს გვთავაზობს, ოღონდ ნ. მარისეულს და გვაძლევს საშუალებას, პასაჟის ძველი და ახალი ვარიანტი შევადაროთ; როდესაც სიტყვასიტყვითი თარგმანი შეუძლებლად მიაჩნია, ი. ზეთეიშვილი რამდენიმე შენიშვნაში გვაძლევს ასეთ ზედმიწევნით თარგმანს, თუმცა, არ ხსნის, რატომ ამჯობინა მას ტექსტში მოცემული ვარიანტი (შენიშვნები: 50, 67, 70, 90, 91, 281, სხვ.) და ანალიზს მკითხველს ანდობს.

ზოგი შენიშვნა სამოხელეო ტერმინებს ეხება. ი. ზეთეიშვილი მათ თარგმნის, შენიშვნებში კი ქართულ შესატყვისს ლათინური ტრანსკრიფციით აცნობს მკითხველს. მაგალითად, სიტყვა "აზნაური", ტექსტშია дворянин (279), დასაშვებად თვლის ვარიანტს – вельможа (შ. 50); ერისთავთერისთავი თარგმნილია, როგორც княз-князей (281). შესაბამის შენიშვნებში კი მოცემულია: eris-mthavari (შ. 61), aznauri (შ. 46), eristhavth-eristhavi (შ. 136, 245) და ა. შ.

იმავე სამოხელეო ტერმინებს ნ. მარი არ თარგმნის. ტექსტში გვაქვს: азнауры (XXVII თავი, 9-10 სტრ., გვ. 108; XXVIII თავი, 49, 116; LXII თავი, 4, 134; LXXXIII თავი, 13, 149), мтавар (X, 38, გვ. 95), мампал (XLII, 14, გვ. 119), эрис-тавомь эрис-тавовъ (XXVIII, 38; LXXXIII, 7, 148), эрис-мтаварь (XI, 6, 95). იმისთვის, რომ რუსულენოვანმა მკითხველმა ამ ტერმინების მნიშვნელობა გაიგოს, ნ. მარი თარგმანს ერთგვარ ლექსიკონს (К лексике текста) ურთავს [7, გვ. LXIII] და სწორედ მისი საშუალებით განმარტავს ქართული ჩამოთვლილი ტერმინების შინაარსს.

როდესაც სიტყვასიტყვითი თარგმანი შეუძლებლად მიაჩნია, იოსებ ზეთეიშვილი შენიშვნაში გვაძლევს ზედმიწევნით თარგმანს, თუმცა რატომ ამჯობინა მას ტექსტში მოცემული ვარიანტი, არ ხსნის (შ.: 50, 67, 70, 90, 91, 281, სხვ.) და ანალიზს მკითხველს ანდობს. მაგ.:

ქვითკირისა ეკლესიის საშენებლად (260)

ტექსტში: для строительства каменной церкви (264)
შენიშვნა 57: букв.: для церкви из камня с известью

რამეთუ... მოციქულმან მან დაისწავა ჟამი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა მისსა. (298)

ტექსტში: запомнил час тот (გვ. 304)
შენიშვნა 207: букв.: заучил час тот

წინამდებარე სტატიის მომდევნო მონაკვეთი სწორედ შენიშვნების ჩვენთვის (მკითხველისთვის) მონდობილ ანალიზს დაეთმობა. მთარგმნელის კომენტარების გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ამ კონკრეტული ადგილების თარგმანშია განსხვავება. მაგრამ რადგან ნიკო მარის თარგმანთან სხვაობას მხოლოდ ისინი არ ქმნიან, ჩნდება შეკითხვა: რისთვის დასჭირდა იოსებ ზეთეიშვილს შენიშვნებში სწორედ ამ სხვაობების ხაზგასმა; რა იყო მათში ისეთი, რაც ტექსტის სხვა ადგილების თარგმანებში არ იჩენდა თავს?

ამ კითხვებზე პასუხს სწორედ შენიშვნებზე დაკვირვება და ზემოხსენებული მკითხველსმონდობილი ანალიზი მოგვცემს. აქვე დავაზუსტებთ, რომ ქართული ტექსტის წყარო ილია აბულაძის ხელმძღვანელობით „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ I ტომში დაბეჭდილი ტექსტია, ნ. მარის თარგმანის – «Тексты и разыскания...»-ს VII ტომი (1911 წ.), ხოლო ი. ზეთეიშვილის თარგმანს – ჟურნალ „სიმბოლოდან“ მოვიხმობთ (1999 წ).

1 (შ. 3) - მაშინ სიბრძნეჲ მათი გამოსავალთა ზედა იქებინ (248)
ა) мудрость их воспевается на улицах (230)
ბ) мудрость их в проходах восхваляется (253)

იოსებ ზეთეიშვილი ნიკო მარის თარგმანს შენიშვნაში უთითებს – ნ. მარი: мудрость их воспевается на улицах (830), – წერს ის, თანაც დასძენს, ნ. მარი ამ სიტყვებს ბრჭყალებში ათავსებსო. თავად კი ფრაზას ბრჭყალებში არ სვამს და წერს. ასეთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, სხვაობის მიზეზი ნ. მარის მიერ ფრაზის *წმიდა წერილიდან* ციტირებად მიჩნევაა. ეს სიტყვები ბრჭყალებშია არა მარტო ნ. მართან, არამედ „ცხოვრების“ სხვა გამოცემებშიც [8; გვ. 20]. მითითებულია დამოწმების წყაროც: ნ. მართან – Ზირ. 13, 61-

62 [7, გვ. 83], „ძეგლებში“ – იგავ. 1, 20 [17, გვ. 248]. გარდა ამისა, არის მცირე ლექსიკური სხვაობაც: გამოსავალთა ზედა – на улицах - в проходах, იქებინ - воспевается – восхваляется.

2 (შ. 21) - ჰრცხვენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩვენთა კეთილთა (253)

ა) мир да стыдится наших добрых нравов (88)

ბ) даже стыдитая мир поведения нашего доброго (258)

да - ნაწილაკი დაე, დე [16, გვ. 131], მისი ძველი ფორმაა даже [21]. ი. ზეთეიშვილი ძველ ფორმას ანიჭებს უპირატესობას. ამასთან, მისეული поведения სიტყვასიტყვითი თარგმანია სიტყვისა ქცევათაგან, ნ. მართან გვაქვს - нравов – ზნე, ხასიათი, ნირი [16, გვ. 382].

3 [შ. 22] - აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებაჲ და ადგილისა მის მიგებად მისა (253).

ა) и о приобретении им того места (88)

ბ) и присвоении ему места того (258)

приобретение–შეძენა, მოპოვებაა; ნიკო მარის თარგმანში გვაქვს: о приобретении им того места; იოსებ ზეთეიშვილმა შეცვალა ზმნაც და ჩასვა присвоение – მითვისება, მისაკუთრება, მინიჭება და მასთან შეთანხმებული ნაცვალსახელიც (ему) და ამით ხაზი გაუსვა, რომ უფალმა შეაძენინა, უფალმა შესძინა, უფრო ზუსტად, მიანიჭა, მიაკუთვნა ადგილი წმინდა ბერს.

4 [შ. 53] – და თქუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა, შვილითი შვილამდე თანაგვაც ღვწაჲ თქუენი და მონასტრისა თქუენისაჲ (259)

ა) а мы клянемся вам своею жизнью и жизнью детей наших, что берём на себя из рода в род попечение о вас... (93)

ბ) а мы обещаем: при жизни нашей и жизни детей наших, в род и род на нас будет попечение вас... (264)

„ვფიცავთ (დავიფიცებთ) ჩვენი და ჩვენი შვილების სიცოცხლეს თქვენ წინაშე, რომ ჩვენს თავზე ვიღებთ შვილითი შვილამდე ზრუნვას თქვენზე და თქვენს მონასტერზე“ – ასეა გაგებული გიორგი მერჩულის სიტყვები ნ. მა-

რის თარგმანში. ი. ზეთეიშვილთან კი: „ჩვენ აღგითქვამთ: ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრების მანძილზე, შვილითი შვილამდე ვიღვაწოთ თქვენთვის და თქვენი მონასტრისათვის“, – თარგმანთა სხვაობაც, ვფიქრობთ, ამითაა განპირობებული.

5 [შ. 66] – სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა მათ ღადოთაჲსა. (262)

ა) земли для косьбы нет вовсе, да и нельзя иметь на зубчатых, *острых вершинах гор Гадо* (96)

ბ) нет и не может быть *на неровных тех суровых и непреступных вершинах* (267)

ნ. მართან ფრაზაში „მწვერვალთა მათ ღადოთასა“ ღადო გეოგრაფიული საკუთარი სახელია და ასევეა ნათარგმნი: на ... вершинах Гадо. ასეა არა მარტო ამ წინადადებაში, არამედ სხვაგანაც ტექსტში: ибо обиталище их находится на высоких горах Гадо [7, გვ. 120]. ი. ზეთეიშვილი კი პირველ გადამწერთ ემხრობა, რომლებიც „ამ სიტყვას საზოგადო სიტყვად აღიქვამენ, რომელიც „მიუვალს“ ნიშნავს“ («которые рассматривают это слово как нарицательное со значением «непреступный») [10, გვ. 327].

6 (შ. 69) – კეთილი მოწაფე... ნეტარი, სათნოებათა საუნჯეჲ. (263)

ა) добрый ученик... блаженный, сокровищница добродетелей (97)

ბ) добрый ученик, наместник учителя, блаженная сокровищница добродетелей (268)

ნ. მართან (დედნის მსგავსად) ნეტარიც (блаженный) და საუნჯეც (сокровищница) ზენონის ეპითეტებია. ი. ზეთეიშვილთან: ნეტარი მიემართება საუნჯეს: блаженная сокровищница და შემდეგ ორივე, ერთად მიემართება კეთილ მოწაფე ზენონს და ნათქვამია, რომ ზენონი – სათნოებათა ნეტარი საუნჯეა.

7 (ш. 72) – და ესრეთ აღმოივსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჯულისა (264)

ა) сердце его наполнилось *богатством Незапечатонного Нового закона* (97)

ბ) преисполнилось сердце его *богатством незапечатанным* Нового завета (268)

ნ. მარისეულ ვარიანტში მსაზღვრელები незапечатанного და нового ახალ შჯულს მიემართება (Новый закон), მასთანვე არიან შეწყობილი ბრუნვაში (Род. пад.).

ი. ზეთეიშვილის თარგმანში მსაზღვრელ-საზღვრული სინტაქსურ წყვილში პოსტპოზიციური რიგით გვევლინება (богатством незапечатанным); ხოლო *შჯულს* (завет) აქ მხოლოდ ერთი განსაზღვრება აქვს – нового. შინაარსი ამით არ იცვლება: *დაუბეჭდველი* შეიძლება იყოს როგორც სიმდიდრე ახალი სჯულისა, ისე თვით ახალი სჯული (ა). ზუსტი კი ი. ზეთეიშვილის თარგმანი უფროა. რაც შეეხება სიტყვას *შჯული*, ნ. მართანაა – закон, ი. ზეთეიშვილთან – завет (აღთქმა) [25, გვ. 171]). პირველი ვარიანტი უფრო ზუსტი შესატყვისია. შეად.: მეორე შჯულთა – второзаконие. და სხვ. [1]

8 [ш. 144] – გამოიჩინა მათ შორის ძმანი ათცამეტნი ხანძთისათვის საუხუცესოდ. (280)

ა) отобрал тринадцать братьев для *Хандзты, как старшей* (284)

ბ) избрал себе среди них братьев тринадцать для Хандзты *в старейшенство* (112).

გამოიჩინა მათ შორის იგივეა, რაც *გამოირჩია*, ან აირჩია მათ შორის – избрал среди них. ქართულ ტექსტში ზმნის *გამოიჩინა* სათავისო ქცევის ფორმაა, შესაბამისად, ჩანს, რომ გრიგოლმა ძმები გამოარჩია თავისთვის = გამო-ი-რჩია (избрал себе). ი. ზეთეიშვილი ამ პატარა ნიუანსსაც ასახავს თარგმანში. რაც შეეხება სიტყვას *საუხუცესოდ*, მოცემულ წინადადებაში ის უნდა ნიშნავდეს *საუფროსოდ*: ცამეტი ძმა აირჩია ხანძთისთვის უხუცესებად, საუფროსოდ. ნიკო მართან კი გვაქვს: გამოირჩია ცამეტი ძმა ხანძ-

თისთვის, როგორც უფროსი ტაძრისთვის. დიახ, ტაძარი ნახსენები არ არის, მაგრამ ცხადია, რომ განსაზღვრება старшей მიემართება ხანძთას; იგი მდედრობითი სქესის დაბოლოებითაა წარმოდგენილი, რადგან მთარგმნელი გულისხმობს ხანძთის ეკლესიას–церковь Хандзта და წინადადება კი იმას, რომ გრიგოლმა: ცამეტი ძმა გამოარჩია ხანძთისთვის, როგორც უფროსი ტაძრისათვის.

იოსებ ზეთეიშვილს ამავე ტიპის 40-მდე შენიშვნა დაურთავს თარგმანზე. ჩანს, რომ მისი ვარიანტი ხშირად უფრო ზუსტი და ზედმიწევნითია. თუმცა, ტექსტის დანარჩენ ნაწილშიც უამრავი განსხვავებაა ორ თარგმანს შორის: არც მარტო საკუთარი სახელების გადმოცემაშია სხვაობა, არც მხოლოდ პარალელიზმების. რადგან იოსებ ზეთეიშვილი ცდილობს, ძველი სლავური/რუსული ენის ნორმები გაითვალისწინოს, ნ. მარი კი XIX საუკუნის სალიტერატურო რუსულით წერს – წინადადების აგების წესი, ლექსიკური ერთეულების გამოყენებისას არქაულსა და თანამედროვეს შორის გაკეთებული არჩევანი და ენობრივი კონსტრუქციებიც სხვადასხვაა – მთარგმნელების მიერ არჩეულ სტილს და თხრობის მანერას ემორჩილება. მაშ, რატომ გამოყო 40-მდე ადგილი მთარგმნელმა შენიშვნებით? როგორც მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, ამის მიზეზი ისაა, რომ სწორედ შენიშვნებში გამოყოფილი პასაჟების თარგმნისას განაპირობებს სხვაობას ქართული ტექსტის შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. მიგვითითებს რა შესაბამის ადგილებზე, ახალი თარგმანის ავტორი საშუალებას გვაძლევს, თვალნათლივ დავინახოთ, რომ ზოგჯერ ნ. მარისგან განსხვავებულად ესმის დედნის დეტალები-/ნიუანსები და ამიტომ თარგმნის განსხვავებულად.

ბიბლიოგრაფია

1. *Библия – книги священного писания Ветхого и Нового Завета*, канонические в русском переводе с параллельными местами, Лондон 1989

2. გაჩეჩილაძე გ., *მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები,* თბ. 1959

3. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია,* ტ. 1, თბ. 1960
4. Марр Н., *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, т. VII, Санкт-Петербург 1911
5. მერჩულე გიორგი, *ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა,* დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პავლე ინგოროყვამ, წ. I, თბ. 1949
6. Мерчул (Законник) Георгий, *Труд и подвижничество достойного жития святого и блаженного отца нашего Григола*, архимандрита Хандзтийского Шатбердского строителя, и с ним поминовения многих отцов блаженных (на русском языке), журн. «Символ» №42, автор перевода прот. Иосиф Зетеишвили, Париж 1999
7. სირაძე რ., *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები,* თბ. 1975
8. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* I, ავტო-ბიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ. 1991
9. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* II, თბ. 1991
10. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ. 1988
11. *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით,* I, ტექსტი გამოსცა მზექალა შანიძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, „ძველი ქართული ენის ძეგლები“, 11, თბ. 1960
12. *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით,* გამოსცა აკაკი შანიძემ, „ძველი ქართული ენის ძეგლები“, 2, თბ. 1945
13. შანიძე ა., *თხზულებანი თორმეტ ტომად,* III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1980
14. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს.),* წიგნი I, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჟღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ. 1963
15. *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები,* ტ. 18, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976
16. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი* (მასალები), შემდგენელი ზურაბ სარჯველაძე, თბ. 1995

17. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია,* I, შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, „თსუ-ს გამომცემლობა“, თბ. 1946
18. *ძველქართულ-რუსული ლექსიკონი* (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), შეადგინა ს. ბ. სერებრიაკოვმა, თბ. 1962
19. *წიგნნი ძუელისა აღთქმისანი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით,* ტომი I, ნაკვეთი 1, დაბადება
20. *Histoires monastiques géorgiennes* / Paul Peeters S. I. - Bruxelles: Société des Bollandistes, 1923. - pp. [5] - 317
21. Преподобный Гиорги Мерчулэ, *Житие Святого Григола Хандзтели,* Серия "Матерь Святых", изд. CRITERIUM, Москва 2008

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

New Russian Translation of "The Life of Grigol Khandzteli"

Sophio Guliashvili
PhD Student, Tbilisi State University

Abstract: The first editor of *The Life of Grigol Khandzteli* Nicholas Marr accompanied work with an entire volume of Russian translations along with researches and the diary about the journey in Tao-Klarjeti and Shavsheti. It was the start of the Giorgi Merchule's story narrated in a foreign language. Very soon in 1917-1919 the Latin translation of the *Life of Grigol Khandzteli* was performed by Paul Peeters and in 1922-1923 along with other important Georgian works was published (*Vie de St. Gregoire de Khandztha).*

Later, in 1956, „Lives and Legends of the Georgian Saints" by David Marshall Lang with English translation of the *Life of Grigol Khadzteli* performed by Lang was published. ("The Life of St. Gregory of Khandzta": *Lives and Legends of the Georgian Saints*, London 1956, pp. 155-65); in 2015 an American scholar of Norwegian origin Theophane-Erik Halvorson introduced a new English translation of *The Life* accompanied with the pictures captured in Nikozi.

Before it in the December 1999 the 42nd edition of Russian journal *Symbol* located in Paris published new Russian translation of *The Life of Grigol Khandzteli* [9, pp. 245-341] made by Jozeph Zeteishvili. In 2008 Moscow publishing house CRITERIUM re-edited this masterpiece of Georgian Hagiography in the series named „mother of the

Saints". The present work is dedicated to the Russian translation made by Archpriest Ioseb Zeteishvili.

Key Words: *Giorgi Merchule, Grigol Khandzteli, Gregory from Khandzta, Ioseb Zeteishvili, Joseph Zeteishvili*

In autumn of 1902 a half-destroyed, 12th-century manuscript was discovered in the library of the Monastery of the Cross of Jerusalem. In "Georgian Mravaltavi" (N2) preserved in the vault the members of the scholarly expedition were able to detect a hitherto unknown text called *The Life of St. Gregory of Khandzta* ("Works and Labors from the Worthy Life of Our Holy and Blessed Father Archimandrite Gregory, Builder of Khandzta and Shatberdi and a Remembrance of the Many Blessed fathers Who Were with him") [7].

The manuscript was first seen by Niko Chubinishvili in 1845. Later, the notes assembled by him were published by Aleqsandre Tsagareli in 1894 (Сведения, III, pp. 49-50) [20, 98], however the story was introduced to the reader only in 1911 after Nicholas Marr published Georgian and Russian texts in his series of publication «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» [4]. It is certain that the works as well as the story about the flourishing era for Tao-Klarjeti had been unknown.

The fact that the works had been unknown before is proved through the words uttered by Platon Ioselian in 1853, the author of "The history of Georgian Church" saying he was not aware of the saint whose name is commemorated by Georgian the Church in the 5th of October. He said, "I was able to find the name of Grigol Khanzokhat living in 1411 solely in Armenian chronicles".

Regarding the fact ten centuries had passed after Grigol Khandzteli, no wonder the fact was unknown to him. In the 10th century, the followers still lived in the monastery and even Giorgi Merchule himself would complain by saying "Now instead, their wonders have been long forgotten from much time having passed" [14, p. 249].

The first editor of *The Life of Grigol Khandzteli* accompanied his story with an entire volume of Russian

translations along with researches and the diary about the journey in Tao-Klarjeti and Shavsheti.

It was the start of the Giorgi Merchule's story narrated in a foreign language. Very soon, 1917-1919 the Latin translation of the *Life of Grigol Khandzteli* performed by Paul Peeters was translated and in 1922-1923 along wih the books about *The Life of John and Euthemeous*, Giorgi Mtatsmindeli and Serapion Zarzmeli was published in 36-37th volumes (Vie de St. Gregoire de Khandztha (pp. 207-309);

Later, in 1956, "Lives and Legends of the Georgian Saints", by David Marshall Lang with English Translation of *The Life of Grigol Khandzteli* performed by Lang was published. ("The Life of St. Gregory of Khandzta", in the book: *Lives and Legends of the Georgian Saints*, London 1956, pp. 155-65); in 2015 an American scholar of Norwegian origin Theophane-Erik Halvorson introduced a totally new English translation of *The Life* accompanied with the pictures captured in Nikozi. And in the December of 1999 the 42nd edition of Russian Journal Symbol located in Paris published new Russian translations of *The Life of Grigol Khandzteli* [9, pp. 245-341]. In 2008 Moscow publishing house CRITERIUM re-edited the masterpieces of Georgian Hagiography with Ioseb Zeteishvilis revision in the series named "mother of the Saints". The present work is derdicated to this work of Archpriest Ioseb Zeteishvili.

As already noted above the translation by the deacon Ioseb Zeteshvili was first published in the journal "Symbol". The journal was founded in 1979 by Paris Slavic Library to promote Western-Eastern artistic dialogue (source: http://sfoma.ru/publisher/journal-symbol) and it published a lot of philosophical, Christianity and artistic works of many authors including the best literary works of old Georgian literature such as, Tbel Abuseride's "Miracles of St. George" (№32), Giorgi the Athonite's *The Life of Our Fathers John and Euthymius* (№34-35), Giorgi Mtsire's *The Life and Acts of our Holy and Blessed Father, Georgie the Athonite* (№38), unknown author's *The Martyrdom of St. Eustace of Mtskheta* (№44), Ioane Sabanisdze *The Martyrdom of St. Abo Tbileli* (№44), Iakob Tsurtaveli *The Passion of St. Shushanik* (№45), David Aghmashenebeli's *The Prayers of Remorse*

(№41), *The Georgian Chronicle, the Period of Giorgi Lasha* (№46-47), *The Life of the King of Kings David* (№40), abovementioned *The Life of Grigol Khandzteli*, and *Hymn of the Living Pillar*.

Some articles preceding each translation of the story are also presented. The author of the new Russian translations is a Georgian Deacon Joseph Zeteishvili, living and working in Latvia. He was the leader and the member of the council of Visaginas temple of the Virgin and Panteleimon, located in the North-East of Latvia.

The first edition of the new Russian translation of *The Life of Grigol Khandzteli* is preceded by inspiring words of the author under the name "About the *Life of Grigol Khandzteli*" («О Житии Григола Хандзтели») [4, pp. 48-50]. This version is titled as "the builders of the God's city" in the rendered edition. The author talks about the importance of the literary work, its history and expresses wishes to represent the life of the saint as the most prominent episode in the history of the Georgian Court.

Maka Elbakidze's version of the translation of the letter was published in 2001 in the journal *The Kartvelologist*, edition 8. Joseph Zetiashvili notes that by creating the book about the great priest, the author was able to save his name from being lost. While by publishing the story at the beginning of the century Nicholas Marr was able not only to emphasize the merit of Grigol Khandzteli and his followers but also to reveal spiritual, political, national and cultural basis for the prosperity of the country of the 7-12th century. this work turned out to be a rich compilation of images, significant facts and an insght into ascetic life [6, p. 249]. The translator refers to the Klarjeti deserts and the monastery complexes as Georgian Atlantis. But first of all it should be noted that in 1902 a brilliant work of Georgian spiritual writing was discovered. Several epithets such as "a person of delicate and gentle taste, the most prominent poet, a genuine artist, a flawless writer", were used by Ivane Javakhishvili to describe Giorgi Merchule. Simple and clear style of writing imbued with honourable accent creates the impression of poetic narration; we can easily call it hagiographic, historical

or even eloquent work the style incessantly enchanting the reader," – says Pavle Ingorokva [5, pp. 152-153].

We are fully aware of the fact that there are two opposite views about the literary translation: one, accurate with lack of artistic approach and the other one is artistically strong, however, diverted from the main path of the content of the origin. Theoretically the syntheses of these two views and assuming the most accurate and artistically strong work as one of the best is very easy, however, practically fulfilling this task is almost impossible. The main aim of the translators is to create so-called identical translation revealing its real values to the readers. However, it should be noted that two totally different languages employ radically different instruments of expressing ideas which is the reason why the literal translation of the word fails to have the same artistic impact on the reader [2, p. 80]. Talking about the translation of *The Life of Gregory of Khandzta* we would definitely like to be sure the effect will be the same as that of the origin.

The first obvious difference between these two translations of *The Life* is the literary style. Nicholas Marr narrates the story in Russian literary language characteristic to the end of the 19th century. The main purpose of inserting the Russian translation of the text in its first edition was to make the text available for non-Georgian readers rather than fully following its original version.

N. Marr notes that there is no way to copy the lexical essence in full due to the influence of Iranian, Armenian and Byzantine languages. [4, LV]. Along with old Armenian influence (the form of the name Abraham, some Armenian words) a lot of Iranian words are also detected. There are several cases when Greek forms are used for the Biblical terms.

These challenging combinations of the words have created a lot of obstacles for the translators. In order to reveal their attitude towards these obstacles and the parallelisms in the translation, I would like to introduce some examples. These are the cases demonstrating the terms with the same meaning old and new, Georgian and Persian, Georgian and Greek words are juxtaposed.

1. ყრმისა და ჭაბუკისა (XXIII, 27)

- о достойном *юноше* Ефреме. (23, 27, p. 104) - თარგმნის ნ. მარი და სინონიმების ერთ შესატყვისს იძლევა.
- о преподобном *отроке и юноше* Ефреме [გვ. 275] - აზუსტებს იოსებ ზეთეიშვილი.

2. შორის წმიდათა შენთა მარტჳლთა და მოწამეთა (X, 27)

- среди твоих *мученников* (94)
- среди твоих *свидетелей и мученников* (265)

In this case the parallelism is created through loan words from Greek and its corresponding meaning from Georgian. As we already know, a Greek word *martyre* means a witness, giving a rise to the Georgian Word Motsame 17] "in Russian it sounds like *мученник* [16, 326]. A word *martvilta* has been translated following its original Greek meaning by Zeteishvili. A Russian word *свидетель* also follows the parallelism from the origin. Both translations are accompanied by the list of Georgian names mentioned in the story along with Russian equivallents: Анатолэ – Анатолия, Теместия – Феместия, Иованэ – Иоанн, Габриэл – Гавриил, Теодорэ – Феодор, Саба – Савва, Григол – Григорий, Христофорэ – Христофор, Эпофанэ – Епифаний, etc. J. Zeteishvili provides only the names of the people (27 in total) [6, p. 252], N. Marr gives Geographical names as well [4, p. 206]; he gives his preference to Russian equivallents while Zeteishvili prefers the version resembling the Georgian sounding of a word.

The first publication of the Russian translation of *The Life of Grigol Khandzteli* by Zeteishvili is accompanied by the author's comments, 285 in total [6, pp. 325-334] mostly related with translational activities. In some cases, the author introduces a translation of a single phrase, sentence or a word by N. Marr enabling us to place the new and the old passages in juxtaposition with each other. Whenever the literal translation of the text seems to be impossible, Zeteishvili introduces some comments containing the literal translations without giving any explanation why he gave his preference to them rather than the ones given in the text (comments: 50,

67, 70, 90, 91, 281). He leaves analyses to the reader. Some of the comments concern the titles. J. Zeteishvili provides their translation accompanied with their Georgian corresponding words with Latin transcription. For example, the word *nobleman* is represented as *дворянин* (279) and *вельможа* (50) as well. *Eristavt-eristavi* is translated as княз-князей (281). The relevant comments are as follows: *eris-mthavari* (n. 61), *aznauri* (n. 46), *eristhavth-eristhavi* (n. 136, 245) etc.

N. Marr avoids translating names of civil servants. The text says: азнауры (XXVII Chapter, 9-10 verse., pp. 108; XXVIII chapter, 49, 116; LXII Chapter, 4, 134; LXXXIII Chapter, 13, 149), мтавар (X, 38, pp 95), мампал (XLII, 14, pp. 119), эрис-тавомь эрис-тавовъ (XXVIII, 38; LXXXIII, 7, 148), эрис-мтаварь (XI, 6, 95). In order to enable Russian readers to understand, N. Marr provides the translation with a dictionary [4, pp. LXIII].

In the work of Nicholas Marr the difference between the origin and the translated version in terms of dividing the text by verses is minimal. As for Zeteishvili, he avoides dividing the story in verses. The chapters in both versions are distributed according to that of Georgian.

J. Zeteishvili accompanies the translation with the same type of comments amounting to 40. Clearly his translation tends to be more accurate and coherent. It should be mentioned that we find more differences between these two texts such as parallelisms, proper names etc. Regarding the fact Zeteishvili tends to follow the grammatical and stylistic norms typical to that of old Slavic and Russian language, N. Marr prefers to write meeting the norms of 19th century literary Russian suggesting the narration style typical to other translators. Then, raises a question, what was the reason he highlighted approximately 40 sections with comments? Based on the example provided, Georgian passages included in the comments called for more interpretation. Pointing to the relevant passages, the author of the new translation enables us to clearly see that Zeteishvili approaches the nuances and details in a totally different way as opposed to N. Marr.

Bibliography

1. *The Bible*. Books of Old and New Testaments, canonical in Russian translation with parallel texts, London 1989 / *Библия – книги священного писания Ветхого и Нового Завета*, канонические в русском переводе с параллельными местами, Лондон 1989

2. Gachechiladze G., *Issues on Translation Theory*, Tb. 1959 / გაჩეჩილაძე გ., *მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები,* თბ. 1959

3. Kekelidze K., *The History of Georgian Literature*, vol. I, Tb. 1960 / კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია,* ტ. 1, თბ. 1960

4. Marr N., *Texts and Researches in Armenian-Georgian Philology*, vol. VII, 1911 / Марр Н., Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. VII, Санкт-Петербург 1911

5. Merchule Giorgi, *The Life of Grigol Khandzteli*. (Original was restored by Pavle Ingoroqva), vol. I, Tb. 1949 / მერჩულე გიორგი, *ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა,* დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პავლე ინგოროყვამ, წ. I, თბ. 1949

6. Merchule Giorgi, Russian translation of *The life of Grigol Khandzteli* by I. Zeteishvili, Journal "The Symbol", Paris 1999 / Мерчул (Законник) Георгий, *Труд и подвижничество достойного жития святого и блаженного отца нашего Григола*, архимандрита Хандзтийского Шатбердского строителя, и с ним поминовения многих отцов блаженных (на русском языке), журн. «Символ» №42, автор перевода прот. Иосиф Зетеишвили, Париж 1999

7. Siradze R., *Issues of theoretical-literary thinking of Old Georgian Literature,* Tb. 1975 / სირაძე რ., *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები,* თბ. 1975

8. Sulkhan-Saba Orbeliani, *Georgian Dictionary,* I (prepared by I. Abuladze), Tb. 1991 / სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* I, ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა დაურთო და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ. 1991

9. Sulkhan-Saba Orbeliani, *Georgian Dictionary,* II (prepared by I. Abuladze), Tb. 1991 / სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* II, თბ. 1991

10. Fanjikidze D., *Translation Theory and Practice*, Tb. 1988 / ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ. 1988

11. Shanidze A., Collected Works in 12 volumes, III, *Fundamentals of the Grammar of the Georgian Language*, Tb. 1980 / შანიძე ა.,

თხზულებანი თორმეტ ტომად, III, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბ. 1980
14. *Monuments of Old Georgian Hagiographic Literature* (V-X cc.), vol. I, Tb. 1963 / *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს.),* წიგნი I, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჟღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ. 1963
12. *The Grammar of Old Georgian Language*, vol. 18, Tb. 1976 / *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები,* ტ. 18, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976
13. *The Dictionary of Old Georgian Language* (by Zurab Sarjveladze), Tb. 1995 / *ძველი ქართული ენის ლექსიკონი* (მასალები), შემდგენელი ზურაბ სარჯველაძე, თბ. 1995
14. *The Chrestomathy of Old Georgian Literature* (by S. Kubaneishvili), TSU Press, Tb. 1946 / *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია,* I, შემდგენელი სოლომონ ყუბანეიშვილი, თსუ-ს გამომცემლობა, თბ. 1946
15. *Old Georgian-Russian Dictionary* (by B. Serebriakov) , Tb. 1962 / *ძველქართულ-რუსული ლექსიკონი* (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), შეადგინა ს. ბ. სერებრიაკოვმა, თბ. 1962
16. *Histoires monastiques géorgiennes* / Paul Peeters S. I. - Bruxelles: Société des Bollandistes, 1923. - pp. [5] - 317
17. Giorgi Merchule, *The Life of Grigol Khandzteli*. Publishing House CRITERIUM, Moscow 2008 / Преп. Гиорги Мерчулэ, *Житие Святого Григола Хандзтели,* Серия "Матерь Святых", изд. CRITERIUM, Москва 2008

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ხელოვნება
STUDIES: GEORGIAN ART

მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის საზრისი

ქეთევან გონგაძე
დოქტორანტი, თსუ

© ჯაბა ლაბაძე

რეზიუმე: წინამდებარე სტატიაში განხილულია ზემო სვანეთის ლატალის მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკული მხატვრობა და მისი იდეურ-თეოლოგიური საზრისი. ამ მოხატულობაში საუფლო ციკლის მომცველ სცენათა იკონოგრაფია, მათი კომპოზიციური სტრუქტურა, შესამჩნევად გართულებულია. ეს სიუჟეტები არ არის განლაგებული ისტორიული ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აქ ოსტატი მიმართავს განსხვავებულ იკონოგრაფიულ სქემებს. აღდგომისა და მსხვერპლის იდეები, რომლებიც საკურთხევლისა და დასავლეთი კედლის დეკორშია წარმოჩენილი, ეკლესიის გრძივ კედლებზე ვითარდება. სხვადასხვა რეგისტრში განთავსებული სცენები იდეურად ერთმანეთს ეხმიანება და კამარაში ქრისტეს დიდების ხატად იქცევა. განსაზღვრული მონაკვეთები წარმოგვიდგენს თეოლოგიური იდეით გაერთიანებულ, აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ

სცენებს, რითაც ცხადად იკვეთება შინაარსობრივად განსხვავებულ სცენებში დატეული ღრმა თეოლოგიური იდეები: წინასწარუწყება, გამოცხადება, მსხვერპლი, აღდგომა და ხსნა. ხდება იდეური მახვილების გადანაწილება კედელ-კამარაზე. უფლის განკაცების წინასწარუწყება, განკაცება, მისი ამქვეყნიური მეუფება, დიდება („ხარება“, „შობა“), მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების გამოჩინება („მირქმა“, „ფერისცვალება“, „ლაზარეს აღდგინება“, „სულიწმიდის მოფენა“, „ღვთისმშობლის მიძინება“), მისი მსხვერპლი („ჯვარცმა“), აღდგომა – დიდებით მოსვლა, „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნა“, „ძველი დღეთა“ – მოხატულობის მთელი ანსამბლი სულის ხსნისთვის მეოხებას და აღდგომის იდეას უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: *ზემო სვანეთი, ეკლესია, ფრესკული მხატვრობა, იკონოგრაფია, თეოლოგიური საზრისი.*

ზემო სვანეთის, მაცხვარიშის თარინგზელის მხატვრობა მიჰყვება პალეოლოგოსურ პერიოდში შემუშავებულ მოხატულობის მხატვრულ ტენდენციებს და იკონოგრაფიულ სქემებს. ამასთანავე, ჩანს ადრე ქრისტიანული პერიოდის კომპოზიციათა აგების პრინციპები. ზოგადად, არქაული მოტივები ზემო სვანეთის მხატვრობის გარკვეულ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მუდმივად ხდება „ძველსა“ და „ახალს“ შორის აქტიური ურთიერთქმედება, რამაც განაპირობა სვანეთის მოხატულობათა გამოკვეთილად ინდივიდუალური ხასიათი [2, გვ. 25-39]. აქ გათვალისწინებულია თანადროულ მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული მხატვრული ხედვა და მიმართულებები; თუმცა, როგორც ქართული და განსაკუთრებით ზემო სვანეთის ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი, ეს ტენდენციები თავისებურად არის აღქმული, საკუთარ ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებასთან და გემოვნებასთან მორგებული და სინთეზირებული. აშკარაა, რომ ეს ნიმუში არ მიეკუთვნება ე. წ. პროფესიონალური

რიგის მხატვრობას. იგი უფრო მეტად უახლოვდება შუა საუკუნეების ხელოვნებაში, პროფესიულ მხატვრობასთან თანადროულად არსებულ, ე.წ. „პროვინციულ“ სტილს, რომელიც გულისხმობს პროფესიული მხატვრობის ნიმუშების შთაგონებითა და მიბაძვით შესრულებულ მოხატულობას, მაგრამ აქ არ არის მსგავსი დახვეწილობა და გაწაფული ოსტატობა. ე.წ. „პროვინციული“ სტილი ადგილობრივი მხატვრული სკოლების საფუძველზეა შექმნილი, სადაც იქვე განსწავლული მხატვრები მუშაობდნენ ცალკეული ეკლესიების მოხატვაზე, ხელნაწერების გაფორმებაზე. ისინი ცდილობდნენ გაემეორებინათ ის იკონოგრაფიული თუ სტილური პრინციპები, რაც მაღალპროფესიულ მხატვრულ სკოლებში იყო შემუშავებული, თუმცა შედარებით მწირი განსწავლულობისა და გაუწაფავი ხელის გამო შესაბამის მხატვრულ დონეს ვერ აღწევდნენ.

მთავარანგელოზთა ეკლესია ზემო სვანეთში, ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშში, მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის სიახლოვეს, მის სამხრეთით ბორცვზეა აღმართული (სურ. 1; 2). დარბაზული ეკლესია ნაგებია მონაცრისფრო შირიმის კარგად გათლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. თითო-თითო სარკმელი დატანებულია აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში. ეკლესიას სამხრეთი და აღმოსავლეთი მხრიდან აქვს ქვის მცირე სუბსტრუქცია, კედლებს კი ლილვოვანი ცოკოლი შემოსდევს. სადა პროფილის მქონე კარნიზი, რომელიც ნაგებობას ერთიანად შემოუყვება, დღესაც კარგადაა შემონახული. ნაგებობას სამხრეთი მხრიდან აქვს ქვის მინაშენი, რომელიც კოჭებით არის გადახურული [1]. ეკლესიის შვერილი, ნახევარწრიული აფსიდი დეკორირებულია ლილვებით შედგენილი ხუთი თაღით. დასავლეთ ფასადზე, კარს ზემოთ, რელიეფური ჯვარია გამოსახული (სურ. 3; 4).

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ თაღში, სარკმლის ზემოთ გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ კონტუ-

რები და ფერთა ფრაგმენტები იკითხება. აქვე, სამხრეთ ნაწილის თაღში, ჩანს წმინდანის შარავანდმოსილი თავი და ნახევარფიგურა. მისი ვინაობის დამადასტურებელი წარწერა არ იკითხება. ნ. ალადაშვილი და ა. ვოლსკაია თვლიან, რომ საფასადო მხატვრობა ინტერიერის მომხატავ ოსტატებსვე უნდა შეესრულებინათ [7, გვ. 118-119].

ეკლესიის ინტერიერში, სხვა დარბაზული ეკლესიების მსგავსად, კამარა პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხეველში არის ორი ნიშა – ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს, სარკმლის ქვემოთ კი კედელზე მიდგმულია ტრაპეზი. საკურთხეველსა და დარბაზს ერთმანეთისგან ყოფს ქვის სამთაღოვანი კანკელი (სურ. 3). დარბაზში, სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს ქვემოთ შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი. მთავარანგელოზთა ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდად XIII-XIV საუკუნეები სახელდება [1].

ეკლესიის ინტერიერი ერთიანად მოუხატავთ (სავარაუდო თარიღი XVI ს.) და თორმეტ დღესასწაულთა ციკლს მოიცავს, „ხარებით“ დაწყებული, „ღვთისმშობლის მიძინებით“ დასრულებული. სამხრეთის კედელზე ოთხი სცენაა წარმოდგენილი: „შობა“, „ნათლისღება“, „მირქმა“ და „ღვთისმშობლის მიძინება“. ჩრდილოეთ კედელზე გადმოცემულია: „ხარება“, „ფერისცვალება“, „სულთმოფენობა“, „ჯვარცმა“. დასავლეთ კედელზე კი სამი სცენაა გამოსახული: „ლაზარეს აღდგინება“ – ლუნეტში, შუა რეგისტრზე კი „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნა“ და „იერუსალიმად შესვლა“. სამივე კედლის ქვედა რეგისტრი წმ. მეომართა და წმ. დედათა ფიგურებს უჭირავს მთელი სიმაღლით. პილასტრებზე, ასევე, მთელი სიმაღლით, დავით და სოლომონ წინასწარმეტყველების, პეტრე და პავლე მოციქულებისა და უვერცხლო მკურნალთა: კოზმანისა და დამიანეს ფიგურებია განთავსებული. კამარას „ამაღლების“ სცენა, წმ. მანდილიონი და „ქრისტე ძველი დღეთა“ ამკობს.

რეგისტრების გამყოფი ვიწრო სინგურისფერი ზოლები ერთმანეთისგან მიჯნავს სხვადასხვა ზომის სცენებს,

თუმცა გამმიჯნავ როლს ასევე ასრულებს არქიტექტურული ფორმები – სარკმლის ღიობები, პილასტრები, კედელთა კუთხეები, რადგან მათზე „გადაკეცილია“ მომიჯნავე კომპოზიციათა ფიგურები. ყველა სცენა და ცალკეული გამოსახულება განმარტებულია ასომთავრული წარწერით.

მაცხვარიშის თარინგზელის ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა ისეა შედგენილი, რომ წინ წამოსწევს დეკორის ღრმა თეოლოგიურ საზრისს. ამ მოხატულობაში საუფლო ციკლის მომცველ სცენათა იკონოგრაფია, მათი კომპოზიციური სტრუქტურა, შესამჩნევად გართულებულია. ეს სიუჟეტები არ არის განლაგებული ისტორიული ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. სცენების ნაკლებ ტრადიციული განაწილება, მოგვიანო, XVI-XVII საუკუნეების, „ხალხური“ მიმართულების ნიმუშებში თითქმის უგამონაკლისო წესად იქცა [4, გვ. 375]. მოხატულობის ზოგადი იკონოგრაფიულ პროგრამის შემდგენელი ოსტატი არ ერიდება განსხვავებული იკონოგრაფიული სქემების გამოყენებას, სრულად წარმოადგენს მოხატულობის ზოგად თეოლოგიურ იდეას – მსხვერპლის გზით საუკუნო ხსნისაკენ.

თარინგზელის მოხატულობის იკონოგრაფიული სქემები, ძირითადად, XIII-XIV საუკუნეებში გავრცელებულ პალეოლოგოსთა ხანის ხელოვნებას ეფუძნება: მრავალფიგურიანობა, ველუმით გაერთიანებული არქიტექტურული ფონები, პეიზაჟური ელემენტების თავისებური წარმოჩენა („შობა“, „ნათლისღება“, „იერუსალიმად შესვლა“, „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნა“), კამარაში „მველი დღეთას“ გამოჩენა, ასევე, XIV ს-დან შემოდის ქართულ ხელოვნებაში. თავისებურება, რომელიც, შესაძლოა, ადგილობრივ მხატვრულ სკოლას დაუკავშირდეს, ცალკეული სიუჟეტის განსაკუთრებული ლაკონიური გახსნით, მარტივი აგებით წარმოჩინდება („მირქმა“, „ლაზარეს აღდგინება“, „ამაღლება“), იშვიათი იკონოგრაფიული დეტალია „ნათლისღებაში“ იოანე ნათლისმცემლის ფეხქვეშ ძოწისფერ სახურავიანი ყუთი,

რომელიც მოწამის მომავალ მსხვერპლზე მიანიშნებს [5, გვ. 101].

კარგად გააზრებული საღვთისმეტყველო პროგრამა მხოლოდ მაშინ იქნება აღქმული, თუ ჩვენ ცალკეულ კომპოზიციებსა და გამოსახულებებს ტრადიციულად კი არ წავიკითხავთ, არამედ ცალკეული სცენების ურთიერთდაკავშირებით. გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნებაში განსაკუთრებით საგრძნობია თეოლოგიური პროგრამებისა და გამოსახულებათა შინაარსობრივი კავშირების გართულება. თუ ასე წავიკითხავთ თარინგზელის დეკორში დაჯგუფებულ სცენებს, „ხარებიდან“ დაწყებული, ისახება ის გზა, რომელიც სულიწმინდის მოფენის მისიით აღესრულება [4, გვ. 239].

XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის ქართული კედლის მხატვრობას დეკორის ნიმუშებისთვის სახასიათო, არათანაბარი კომპოზიციების ერთმანეთის პირისპირ, ზემოთ და ქვემოთ განლაგებას, ერთი საერთო იდეა აერთიანებს. განსაზღვრული მონაკვეთები წარმოგვიდგენს თეოლოგიური იდეით გაერთიანებულ, აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ სცენებს, რითაც ცხადად იკვეთება შინაარსობრივად განსხვავებულ სცენებში დატეული ღრმა თეოლოგიური იდეები: წინასწარუწყება, გამოცხადება, მსხვერპლი, აღდგომა და ხსნა. ხდება იდეური მახვილების გადანაწილება კედელ-კამარაზე.

მოხატულობის აზრობრივი და კომპოზიციური დომინანტია კონქის ანგელოზთაგან განდიდებული (სერობინით და ქერობინით) ქრისტეს დიდების კომპოზიცია; იგი სახეცვლილია და მოგვიანო დროის ნიშნით არის აღბეჭდილი: საიმპერატორო სამოსით, წელში მოხრილი, მაცხოვრისკენ სამი მეოთხედით მიბრუნებულნი, ლოცვისა თუ თაყვანისცემის მდგომარეობაში ხელგაშლილი მთავარანგელოზები პალეოლოგოსური ხელოვნების გავლენით უნდა იყვნენ წარმოჩენილნი, რაც მოგვიანო ხანის ძეგლებშიც დამკვიდრდა. აფსიდის კედლებზე წმ. მამები, ჟამისწირვის ტექსტებიანი გაშლილი გრაგნილებით, თაყვანს სცემენ

ნიშებში და ტრაპეზზე გამოსახულ ქრისტეს ძლევის ჯვარს, გოლგოთის ჯვრის გამოსახულებას, რომელიც ევქარისტიული მსხვერპლის სიმბოლოა. მთელი ეს რეგისტრი აღიქმება, როგორც მსხვერპლის თაყვანისცემის თავისებური ვარიანტი, სადაც ჯვარი, როგორც ჯვარცმის სიმბოლო, ქრისტიანული მისიის აღსრულებას მიანიშნებს [8, გვ. 51].

ანგელოზთაგან განდიდებული მაცხოვრის გამოსახულება VII საუკუნის პირველი ნახევრიდან X საუკუნის გასულამდე თითქმის ერთადერთი თემა იყო. იგი ადრეულ ძეგლებში სხვადასხვა სახით გვხვდება. ყველაზე ხშირად წარმოდგენილია ამაღლების სქემის მსგავსი ორრეგისტრიანი სცენა. ეს თემა განსაკუთრებით ახლობელი იყო სირია-პალესტინის, კაპადოკიის, ეგვიპტის კოპტური ეკლესიებისათვის. ამ თემაში უმეტესწილად ჩართულია წინასწარმეტყველური ხილვის ცალკეული ელემენტები. საქართველოში ეს ტრადიცია სათავეს იღებს წრომის მოზაიკიდან [2, გვ. 25].[1]

სვანეთის მოხატულობებიდან ქრისტე მთავარანგელოზთა შორის ყველაზე ადრე დასტურდება აცის მაცხოვრის ეკლესიაში (X ს.), სადაც ქრისტეს ნახევარფიგურა წარმოდგენილია ფეხზე მდგარ მთავარანგელოზთა, ასევე ტეტრამორფისა და ექვსფრთედს შორის. ნესგუნის მოხატულობაში (X ს.) კი მაცხოვარი დაბრძანებულია ტახტზე, მთავარანგელოზთა შორის. მაცხოვარი წარმოჩენილია, როგორც სამყაროს მმართველი, მეუფე, საიმპერატორო სამოსში შემო-

[1] გარეჯის საბერეების IX-XI საუკუნეების ოთხი მოხატულობიდან სამში (5, 6, 8) უფლის დიდების საკონქო კომპოზიციის მსგავსი ტიპია გადმოცემული. ეს თემა სხვადასხვაგვარად გვხვდება გარეჯის მრავალმთის წმ. დოდოს მონასტრის გუმბათიანი ეკლესიის მოხატულობაში (IX ს.), ჩვაბიანის (Xს.), ოთხთა ეკლესიის (X ს-ის ბოლო მეოთხედი), კუმურდოს (XI საუკუნის ოციანი წლები), იშხნის (XI საუკუნის დასაწყისი), ხახულის (XI საუკუნის დასაწყისი), ოშკის (1036 წ.), ტბეთის (XI ს), ბოჭორმის (XII საუკუნის პირველი ოცეული) ეკლესიათა მოხატულობებში [4, გვ. 26-27].

სილი მთავარანგელოზები მის ზეციურ მცველებად გვევლინებიან [6, გვ. 3]. ზემო სვანეთის გვიანი ხანის მოხატულობებიდან მხოლოდ მაცხვარიშის თარინგზელის საკურთხევლის მოხატულობაში გვხვდება ქრისტეს დიდების კომპოზიცია – ქრისტე მთავარანგელოზთა, ქერობინსა და სერობინს შორის [6, გვ. 15]. XVI ს-დან, იგი ჩნდება გელათის წმინდა ელიას ეკლესიის კონქში [4, გვ. 121-123].

საკურთხევლის დეკორში გაჟღერებული თეოფანიური ხილვის, აღდგომისა და მსხვერპლის იდეები დასავლეთის კედელზე წარმოდგენილ „ლაზარეს აღდგინების“, „იერუსალიმად შესვლის“, „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნის“, ქრისტეს აღდგომისა და ტრიუმფის იდეებს ეხმიანება (სურ. 4). ლაზარეს აღდგინება წინასწარუწყებაა ქრისტეს აღდგომისა და საყოველთაოდ მკვდრეთით აღდგინებისა; იგი მოასწავებს ჯოჯოხეთის წარმოტყვევნასაც, ჯოჯოხეთის დამხობას და მეორედ მოსვლასაც. იერუსალიმად შესვლა კი – ძველი იერუსალიმის დამხობას, ახლის შენებას, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინების განდიდებას, ღვთიური სამეფოს გამოცხადებას.

აღდგომისა და მსხვერპლის იდეები, რომლებიც საკურთხევლისა და დასავლეთი კედლის დეკორშია წარმოჩენილი, ეკლესიის გრძივ კედლებზე ვითარდება. სხვადასხვა რეგისტრში განთავსებული სცენები იდეურად ერთმანეთს ეხმიანება და კამარაში ქრისტეს დიდების ხატად იქცევა.

საუფლო სცენების იდეური დაჯგუფებით გაძლიერებულია მათში დატეული სიმბოლური აზრი. ერთმანეთის პირისპირ „ხარების“ და „შობის“ განთავსება უფლის განკაცებისა და ხსნის წინასწარუწყებაა. „ხარებაში“ ევქარისტიული მსხვერპლის იდეა მინიშნებულია ღვთისმშობლის განიერი, მეწამულისფერი ტახტით, რომელიც, ბიზანტიელი ღვთისმეტყველების წარმოდგენით, განუყოფელია საკურთხევლის ტრაპეზისგან.

„შობა“ და „მირქმა“ ერთმანეთს უკავშირდება ღვთის მოვლინებისა და მსხვერპლის იდეის ხორცშესხმით. მაგრამ

თარინგზელში, როდესაც მაცხოვარი ხელში უჭირავს სვიმეონს, აზრობრივი მახვილი მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების გაცხადებაზეა უფროა გადატანილი.

„ნათლისღებისა“ და „ფერისცვალების“ კომპოზიციების ერთმანეთის პირისპირ განლაგება ერთი იდეით არის მოაზრებული: ღვთის გამოჩინება, სამების ერთარსების გაცხადება, როგორც გამოცხადება მამისა, ძისა და სულიწმინდისა. „ფერისცვალების“ დროს ქრისტე თავის მოწაფეებს ღვთაებრივი სახით ეჩვენა; ქრისტესგან გამომავალი სამი ფართო სხივი – თაბორის ნათება ადამიანებს ღვთაებრივ მადლს გადასცემს. „ნათლისღებაში“ ქრისტეს ღვთაებრივ გამოჩინებაზე მინიშნება „ფერისცვალებაში“ მოციქულთა მიმართ ღვთაებრივი სახით მოვლინებაა. „ნათლისღებასა“ და „ფერისცვალებას“ შორის კამარაზე „ამაღლების“ კომპოზიციით სრულად წარმოჩნდება ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება.

„მირქმისა“ და „ჯვარცმის“ სცენების ერთმანეთის საპირისპიროდ განთავსებაში ღვთის გამოცხადებისა და მსხვერპლის იდეაა გატარებული, რაც გაცხადებულია სვიმეონის სიტყვებში, რომლებითაც მან მიმართა მარიამს: „...და თვით შენს სულში გაივლის მახვილი, რათა გამჟღავნდეს მრავალი გულის ზრახვანი“ (ლუკა, 2, 35). ჯვარცმა ადამის ცოდვის დამხსნელი მსხვერპლია, სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი განკაცებული ღმერთი. „ჯვარცმა“ თავისი ბუნებით ჯოჯოხეთის დამხობასაც მოასწავებდა; წარმოჩინდება რეალური მსხვერპლი – „ჯვარცმა“ და ხსნა – „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნა“.

სატრიუმფო თაღის მოხატულობა, ფაქტობრივად, საკურთხევლის დეკორთან ერთიანობაში მოიხილება და მაცხოვრის აღდგომას, მის მესიანურ ბუნებას მიანიშნებს. თაღის ცენტრში, დავით და სოლომონ წინასწარმეტყველებს შორის, ხელთუქმნელი ხატის განთავსებით ისინი მესიის მოსვლას, განკაცებას, მის მსხვერპლს, აღდგომას, ამაღლებას წინასწარმეტყველებენ (სურ. 5).

„სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიციის განთავსება „ღვთისმშობლის მიძინების“ სცენის საპირისპიროდ, მათი ურთიერთმიმართება გარკვეული საღვთისმეტყველო მოსაზრებით არის განპირობებული. „ღვთისმშობლის მიძინება“ განიხილება არა მარტო როგორც ღვთისმშობლის განდიდება, არამედ როგორც ერთ-ერთი ხატება აღდგომისა. აზრობრივად ეს ორი სცენა უფლის მეორედ მოსვლას, მისი ღვთაებრივი ბუნების წარმოჩენასა და განკითხვის დღეს უკავშირდება, ხოლო „სულთმოფენობა“ ახალი ეკლესიის დამკვიდრების, ახალი ერის დასაწყისია.

მსხვერპლის თემა, რომელიც თარინგზელის მოხატულობის სცენებში არაერთგზის ხმიანდება, ცალკეულ გამოსახულებებშიც იკვეთება. ქვედა რეგისტრებში – წმ. მეომრებისა და წმ. დედების, პილასტრებზე – ეკლესიის ბურჯების – პეტრესა და პავლეს, უვერცხლო მკურნალთა – კოზმანისა და დამიანეს მოწამეობრივი ღვაწლი გაიაზრება, როგორც წმინდა მსხვერპლიც.

სვანეთის ადრეულ მოხატულობებში შემორჩენილი მასალიდან გამომდინარე, უფრო გავრცელებული ჩანს წმ. მეომრების მხედრებად წარმოდგენის ტრადიცია. აღსანიშნავია, რომ ფეხზე მდგომ წმ. მეომართა გამოსახვა უფრო მოგვიანო ხანიდან იწყება [3, გვ. 7-8].

ლაღამის მაცხოვრის ზედა ეკლესიაში (XIV ს.) მაცხვარიშის თარინგზელის მსგავსი პროგრამაა წარმოჩენილი. მასში აღსანიშნავია საკურთხევლის ნიშებში საფეხუროვან კვარცხლბეკზე აღმართული გოლგოთის ჯვრები, ტრაპეზის წინა პირზე კი განედლებული ჯვარია; მხოლოდ ლაღამში, თარინგზელისგან განსხვავებით, აფსიდშივე, სატრიუმფო თაღის კაპიტელის ქვემოთ განთავსებულია მოციქულების – წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ნახევარფიგურები. კამარის ცენტრალურ ღერძზე კი „ამაღლებისა“ და „ძველი დღეთას“ სიუჟეტებია გადმოცემული, თარინგზელის მსგავსად. ლაღამშიც, მესამე რეგისტრზე, წმინდანთა გამოსახულებებია. საბჯენი თაღის ცენტრში კი მედალიონში ჩაწერილი ჯვარია, რომლის ორ მხარეს დავით და სოლომონ წინასწარ-

მეტყველთა ფიგურებია, ხოლო თარინგზელში, ჯვრის ნაცვლად, წმინდა მანდილიონია.

ამრიგად, მაცხვარიშის თარინგზელის ეკლესიის მოხატულობის პროგრამა ღრმა თეოლოგიურ ნააზრევს ეფუძნება; საუფლო დღესასწაულთა და ცალკეულ გამოსახულებებში ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმებია ასახული. „ხარება“ გაიაზრება, როგორც განკაცების დოგმის ერთი უმთავრესი გამომხატველი სცენა. „შობა“ და „ნათლისღება“ მიემართება უფლის გამოჩინების იდეას. „ნათლისღება“ სულიერი შობაცაა. მოწამეთა გამოსახულებები გულისხმობს მათ მოწამეობრივ აღსასრულს, როდესაც წყლითა და სულით აღსრულებულ ნათლობასთან ერთად სისხლისმიერი ნათლობაც მიიღეს, როგორც ეს წმინდა მამათა თხზულებებშია განმარტებული. „ხარება“ განკაცების უწყებაა, „შობა“ – განკაცების განხორციელება, „ჯვარცმა“ – განკაცების შედეგი [3, გვ. 8-17].

უფლის განკაცების წინასწარუწყება, განკაცება, მისი ამქვეყნიური მეუფება, დიდება („ხარება“, „შობა“), მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების გამოჩინება („მირქმა“, „ფერისცვალება“, „ლაზარეს აღდგინება“, „სულიწმინდის მოფენა“, „ღვთისმშობლის მიძინება“), მისი მსხვერპლი („ჯვარცმა“), აღდგომა – დიდებით მოსვლა, „ჯოჯოხეთით წარმოტყვევნა“, „ძველი დღეთა“ – მოხატულობის მთელი ანსამბლი სულის ხსნისთვის მეოხებას და აღდგომის იდეას უკავშირდება (სურ. 6).

N.B. ილუსტრაციები თან ერთვის სტატიის ინგლისურ ვარიანტს

ბიბლიოგრაფია

1. *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, უძრავი ძეგლის პასპორტი,* თბ. 2008
2. სხირტლაძე ზ., *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი.* თბ. 2008
3. ყენია მ., *ლაღამის ქვედა ეკლესიის მოხატულობანი.* ავტორეფერატი, თბ. 1997
4. ხუსკივაძე ი., *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი.* თბ. 2003
5. Айналов Д., *Эллинистические основы византийского искусства,* 1900
6. Аладашвили Н., "Композиции алтарной конхи в церках Сванети": *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი,* თბ. 1983
7. Аладашвили Н., Вольская А., "Фасадные росписи Верхней Сванети", *Ars Georgica 9-A,* თბ. 1988
8. Привалова Е., *Роспись Тимотесубани*, Тб. 1980

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

კვლევები: ქართული ხელოვნება
STUDIES: GEORGIAN ART

Theological Meaning of the Paintings of Matskhvarishi Archangel's Church

Ketevan Gongadze
PhD Student, Tbilisi State University

Abstract: This article discusses the fresco paintings of Zemo Svaneti Latali Matskvarishi Church of the Archangels and their ideological-theological designation. In these paintings the iconography of the scenes of the Christological cycle, their compositional structure are noticeably complicated. The subjects are not arranged in either historical or chronological order and various iconographic schemes are employed. Concepts of the Resurrection and Sacrifice, which are presented in the sanctuary and the western wall decor, are further developed on the walls of the church. The scenes placed in different registers echo each other ideologically and make up the image of Christ's glory in the arch. Specific sections present the scenes that are unified within a theological concept, related to each other in a semantic way that clearly shows deep theological thoughts distinguished by including different scenarios: annunciation, revelation, victim, resurrection and salvation of conceptual accents are distributed on the wall- arch. Announcement concerning the embodiment of the Lord, his wordly eminence ("Annunciation," "Nativity"), manifestation of the divine nature of Christ Redeemer ("Candlemas," "Transfiguration," "The raising of Lazarus", "Descent of the Holy Spirit," "Dormition of the Mother of God"), sacrifice offered by him

("The crucifixion"), resurrection – arrival with glory, ("Resurrection", "Christ of Old Days") The above-mentioned ensemble of paintings is associated with the salvation of the soul and the concept of the resurrection.

Keywords: *Zemo Svaneti, Church, Mural painting, Iconography, Theological thought.*

Paintings in Matskvarshi Taringzeli church, Zemo Svaneti, follow the artistic trends of painting and iconographic schemes developed during the Paleolog period. At the same time, the principles of building the composition practised in the Christian period are also evident. In general, archaic motifs can be considered as a specific feature of Zemo Svaneti painting. At various stages of development, an active and constant interaction between "old" and "new" resulted in apparent individual character of paintings in Svaneti [2, pp. 25-39]. Despite following the artistic views and movements existing in the Orthodox world, the characteristic trends are perceived in a unique way, typical of the Georgian arts and, especially, of the art of Zemo Svaneti; Specifically, they are adjusted to and synthesized with the traditional artistic thinking and taste. It is clear that, the paintings of Taringzeli church do not belong to so called professional painting and stand closer to the Medieval art, known as "Provincial" style existing simultaneously with the professional art, which implies inspiration and imitation of professional painting patterns, but lacks sophistication and refined skills typical of the former. The so called "provincial" style was created on the basis of the local art schools, where the artists worked on painting churches and illustrating manuscripts. Although they tried to replicate the iconographic or stylistic principles developed in high-profile artistic schools, they still could not reach the corresponding artistic level due to a lesser degree of scholarly skills and knowledge.

The Archangels Church is situated in Zemo Svaneti, in the village of Matskvarishi of Latali community. The church is erected on the hill, near the Saviour church referred to as Matskhvar (pic. 1; 2). The church is built with fine, trimmed quadrangle travertine. The entrances are from the south and

west. The windows are opened in the east, south and western walls. On the south and east side of the church there is a small stone substruction and the walls are surrounded by an ornamental shaft pedestal. The cornice with a modest profile, which goes around the building, is still well preserved [1]. The ledge of the semicircular apse is decorated with five arches made of an ornamental shaft. On the western facade, above the door, the relief cross is depicted (pic. 3; 4).

In the central arch of the eastern facade of the church, above the window, the Virgin with the child is portrayed. The painting is heavily damaged and only the contours and color fragments are readable. Here, in the arch of the southern part there is a head and semi-figure of a saint visible. The inscription that would identity him is not readable. N. Aladashvili and A. Volskaya consider that the facade art should have been created by the same master craftsmen, who painted the interior of the church [7, pp. 118-119].

In the interior of the church, like other hall churches, the arch relies on pilasters. There are two niches in the altar - on the North and South, and at the bottom of the window there is a communion altar. The altar and a hall are separated from each other by the altar wall (pic. 3). In the hall, the south, west and north walls are surrounded below by a single level step. The Archangels Church [1] is believed to be built in the 13th-14th centuries.

The interior of the church is wholly covered with murals (the approximate date of their creation is the 16th century) and includes a Christological cycle from "Annunciation" to "Dormition of the Mother of God". There are four compositions on the southern wall: "Nativity", "Epiphany", "The Presentation of Jesus at the Temple" and "Dormition of the Mother of God". On the northern wall there are the following compositions: "Annunciation", "Transfiguration", "Pentecost", "Crucifixion". On the western wall, there are three scenes: "Resurrection of Lazarus" (in the lunette and in the middle of the register), "Resurrection" and "Entry into Jerusalem". The lower registers of the walls are covered by frescoes of St. Warriors and St. Mothers. On the pilasters, on the full-size figures of the prophets David and Solomon, Peter

and Paul Apostles and the figures of charitable healers, Kosmas and Damian, are placed. The following scenes are represented on the arch: "Ascension", holy Mandylion and "Christ of Old Days".

Narrow stripes in sanguine divide the registers and scenes of various sizes. Architectural forms (window openings, pilasters, wall angles) also play the role of the border. All scenes and separate images are interpreted in the inscriptions in Asomtavruli.

The iconographic program presented in Matskvarishi Taringzeli church paintings is drawn in the way to foreground a deep theological significance of the décor. The iconography of the presented scenes and their compositional structure are noticeably complicated. The plots are not arranged in either a historical or a chronological order. This less traditional division of the scenes became the established rule in the samples following the "folk" directions only later, in the 16th-17th centuries [4, p. 375]. While setting up the general iconographic program of painting, the Master does not avoid employing of various iconographic schemes and fully represents the general theological idea of the paintings – eternal salvation through sacrifice.

The iconographic schemes of the Taringzeli painting are based on the art of the Palaeologue era, generally, widely spread in the 13th-14th centuries: plurality of figures, architectural backgrounds unitied by velum, original representation of landscape elements ("Nativity", "Epiphany," "Entry into Jerusalem," "Resurrection"). "Christ of Old Days" represented in Taringzeli church in the arch, appear in the Georgian art from the 14th century. This peculiarity, which may be connected to the local art school, is presented through a simple, specific, laconic opening of separate scenes ("Presentation of Jesus at the Temple", "Resurrection of Lazarus", "Ascension"). In addition, there is a rare iconographic detail in the "Epiphany" – a box with a violet lid under the feet of John the Baptist, that indicates the future sacrifice to be made by the martyr [5, p. 101].

A well thought-over theological program will only be perceived if separate compositions and images are not read in a traditional way, but through interconnected separate

scenes. In the Christian Eastern art of the high Middle Ages, the complication of the contents of theological programs and images is especially noticeable. If we read the scenes grouped in the Taringzeli décor in this way, starting from the "Annunciation", the way implemented through the mission of the Holy Spirit can easily be observed [4, p. 239].

The typical arrangement of uneven compositions opposite, above and below each other, characteristic for the Georgian wall painting decore patterns of the end of the 15th and 16th century are united by one idea. Specific sections present the scenes connected to each other semantically, through the theological conceptualization, by which deep theological thinking is clearly visible in different scenes: annunciation, revelation, sacrifice, resurrection, and salvation. Distribution of ideological accents is explicitly felt on the walls and arch.

The altar composition "Glory of Christ" is thought to be a semantic and compositional dominant of the ensemble of paintings. Here it is changed and reveals the signs of the later period: archangels clad in Imperial garments, turned to Christ in three – quarter view, with hands posed in a gesture of a prayer or worship, must have been presented under the influence of the Paleologic art, which, was established in later monuments. On apse walls St. Fathers are depicted with open liturgy texts rolls, worshipping Christ's crucifixion the Golgotha cross, which is the symbol of the Eucharistic sacrifice and which is painted in the niches and communion altar. The whole register is perceived as a specific manifestation of worship, in which the cross, as the symbol of crucifixion, refers to the implementation of the Christian mission [8, p. 51].

The image of the Savior, glorified by the angels, was almost the only theme from the first half of the 7th century to the end of the 10th century. It is found in different forms in early monuments. The most frequently presented is a two-register scene similar to the "Ascension" scheme. This topic was particularly close to the Syrian, Palestine, Cappadocian, Egyptian Coptic churches. In this theme, mostly seperate elements of prophetic vision are involved. In Georgia, this

tradition originates from the mosaic décor of Tsromi church [2, p. 25].[1]

From Svaneti paintings, Christ among the archangels is first attested in Atsi Savior's Church (X c.), where Christ's semi-figure is presented between standing archangels, as well as between Tetramorphs and the Seraph. In the painting of Nesgun (10th c.), Christ is seated on the throne, among the archangels. The Savior is presented as the ruler of the universe, the Archbishop, with the Archangels clad in Imperial garments, similar to his heavenly guardians [6, p. 3]. Christ between the Archangels, the Cherub and Seraph is the only composition presented in Matskhvarishi Taringzeli church from the paintings in Zemo Svaneti of the later time [6, p. 15]. From the 16th century, this composition appears in in the conch of the Gelati St. Elijah Church [4, pp. 121-123].

The ideas of the theophany, resurrection, and sacred tribute revealed in the altar decor echo the "Resurrection of Lazarus", "Entry into Jerusalem", "Resurrection" as well as the ideas of Christ's resurrection and Triumph are presented on the western wall (pic. 4). The resurrection of Lazarus is the annunciation of the resurrection of Christ and the universal resurrection, the overthrow of hell and the last judgement day. The entry into Jerusalem is the overthrowing of ancient Jerusalem, the creation of the new, the glorification of the Lord's life on earth, the revelation of the divine kingdom.

"Resurrection" and Victims, which are presented in the altar and the western wall decor, are developed on the walls of the church. The scenes placed in different registers echo each other and make up the image of Christ's glory, in the arch.

[1] The type similar to the arch composition of the Lord's Glory is transfered in Gareji cells IX-XX centuries three paintings from four (#5, #6, #8). We find this theme in different forms in the painting of the church with the dome of Gareji multi mountainous St. Dodo Monastery (IX c.), in the paintings of the churches of Chvabiani (Xc.), Otkhta Church (last quarter of X c.), Kumurdo (20's of XI c.), Ishkhani (beginning of XI c.), Khakhuli (beginning of XI c.), Oshki (1036 y.), Tbeti (XI c.), Bochorma (first 20's of XII c.) [4, pp. 26-27].

By means of the ideological grouping of the Christological scenes the symbolic meaning of the scenes is further enhanced. Arrangement of "Annunciation" and "Nativity" scenes opposite to each other is the annunciation of the Lord's glory and salvation. The idea of Eucharistic Victim in the "Annunciation" refers to the Virgin Mary's purple throne, which, in the opinion of Byzantine theologists, is integral part of the altar table.

"Nativity" and "Presentation of Jesus at the Temple" are connected to each other by the embodiment of God's arrival and the concept of sacrifice. However, in Taringzeli, when Svimeon holds Jesus in his hands, the emphasis is placed on the divine nature of Christ.

Arrangement of compositions depicting "Epiphany" and "Transfiguration" opposing to each other is conditioned by one factor: the appearance of God, revealing of the Trinity as the embodiment of the Father, the Son and the Holy Spirit. During the "Transfiguration" Christ appeared to his disciples in the divine form; three wide beams pouring out of Christ - Tabor's light – gives people the divine grace. Christ's divine origin is indicated in the "Epiphany" through his appearance to the Apsotles in the divine form in "Transfiguration". The divine nature of Christ is fully demonstrated by the composition of "Ascension" placed on the arch between "Epiphany" and "Transfiguration".

The idea of God's appearance and sacrifice is manifested through the "face to face" arrangement of the scenes "Presentation of Jesus at the Temple" and "Crucifixion" that is stated in Svimeon's words to Mary: "... And in your soul will be passed the sword to disclose the beating of many hearts" (Luca, 2, 35). The crucifixion is the redemption of Adam's sin by God, who was embodied and thus suppressed the death by death. "Crucifixion" by its nature declared victory over Hell; The real sacrifice is manifested in "Crucifixion" whereas salvation is shown in "Resurrection."

The painting on the triumph arch is considered as the unity with the altar decor and indicates the resurrection of the Savior, his messianic nature. By placing the holy Mandylion in the center of the arch, between prophets David and

Solomon, the following is announced: the Messiah's arrival, embodiment, his sacrifice, resurrection, feast of the ascension (pic. 5).

Arrangement of the compisition of "Pentecost" opposite the scene depicting "Dormition of the Mother of God", their interrelation to each other is conditioned by a certain theological conceptualisation. "Dormition of the Mother of God" is reviewed not only as the praise to the Mother of God, but as one of the images of resurrection. Semantically, these two scenes are connected to the Lord's second coming, representation of his divine nature and to the Day of Judgment, and "Pentecost" is the beginning of a new nation, establishment of a new church.

The theme of sacrifice repeatedly appears in the scenes of paintings in Taringzeli; it can also be seen in separate images. The martyrdoms of St. Warriors and St. Mothers, appearing in the lower registers as well as the images of martyrdoms of Peter and Paul, appearing on the pilasters of the church, and the images of charitable healers - Kosmas and Damian are considered as holy sacrifition as well.

According to the remaining materials from the early paintings of Svaneti, the tradition of presentation of St. Warriors as the horsemen seems to be more widespread. It is worth mentioning that St. Warriors were depicted in a standing position , from the later period [3, pp. 7-8].

In the Upper Church of the Savior of Laghami (XIV c.) a program similar to Matskvarshi Taringzeli is presented. In the altar niche Golgotha crosses, built on step pedestal are depicted whereas a flourished cross is represented on the communion altar. In Laghami, unlike Taringzeli, under the triumphal arch capital semi-figures of Apostles - St. Peter and St. Paul are portrayed. There are the scenes of "Ascension" and "Christ of Old Days" on the central axis of the arch, similar to Taringzeli. Moreover, as well as in Taringzeli, in Laghami the images of saints can be observed on the third register. In the center of the arch there is the cross inscripted in the medallion, on the lateral sides of which there are the figures of prophets, David and Solomon. In Taringzeli, instead of the Cross, the Holy Mandylion can be seen.

Therefore, the painting program of Matskhvarishi Taringzeli Church is based on a deep theological theoretical conceptualization. Through the images depicting religious festivals and through separate images, general dogmas of Christian religion are manifested. “Annunciation” is understood as one of the main scenes expressing the embodiment dogma. “Nativity” and “Epiphany” are directed to the idea of the Lord’s appearance. “Epiphany” symbolises the spiritual revival. The images of martyrs implies their martyrdom, during which they were baptised through blood, together with the baptism with water and soul, as it is explained in the writings of the Holy Fathers. “Annunciation” is the statement of embodiment, “Nativity” is understood as the implementation of embodiment, “Crucifixion” is seen as the result of embodiment [3, pp. 8-17].

Prediction of the Lord’s incarnation, his earthly glory, praise (“Annunciation”, “Nativity”), manifestation of the Savior’s divine nature (“Presentation of Jesus at the Temple”, “Transfiguration”, “Resurrection of Lazarus”, “Descent of the Holy Spirit”, “Dormition of the Mother of God”), of his sacrifice (“The Crucifixion”), resurrection (entry with Glory, “Resurrection,” “Old Days”), the whole ensemble of paintings is associated with the salvation of the soul and the concept of resurrection (pic. 6).

Bibliography

1. *National Agency for Cultural Heritage Preservation*, Passport of Immovable Monument, Tb. 2008 / *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო*, უძრავი ძეგლის პასპორტი. თბ. 2008

2. Skhirtladze Z., The Early Medieval Georgian Wall Painting, Telovanis Jvarpatiosani, Tb. 2008 / სხირტლაძე ზ., *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი*. თბ. 2008

3. Kenia M., *Laghami Lower Church Paints*, Abstract, Tb. 1997 / ყენია მ., *ლაღამის ქვედა ეკლესიის მოხატულობანი*. ავტორეფერატი, თბ. 1997

4. Khuskivadze I., *Late Middle Ages "Folk" Painting of Georgian Churches*, Tb. 2003 / ხუსკივაძე, ი., *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი*. თბ. 2003

5. Ainalov D., *Hellenistic Bases of the Byzantine Art*, 1900 / Айналов Д., *Эллинистические основы византийского искусства,* 1900
6. Aladashvili N., “Compositions of an Altar Conch in Churches of Svaneti”, *IV International Symposium dedicated to Georgian Art*, Tb. 1983 / Аладашвили, Н., “Композиции алтарной конхи в церках Сванети”: *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი.* თბ. 1983
7. Aladashvili N., Volskaia A., “Facade Paintings of Upper Svaneti”, *Ars Georgica 9-A,* Tb. 1988 / Аладашвили Н., Вольская А., «Фасадные росписи Верхней Сванети», *Ars Georgica 9-A*, თბ. 1988
8. Privalova E., *The Mural Painting of Timotesubani*, Tb. 1980 / Привалова Е., *Роспись Тимотесубани*, Тб. 1980

Illustrations:

1. 

2.

3.

4.

5.

6.

მარჯორი უორდროპი და გურია

ანტონი სტობარტი
გაერთიანებული სამეფოს ბრიტანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მარჯორი უორდროპის პირველი მოგზაურობა გურიაში 1894-1895 წლებში, გამოყენებულია მასალები ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული უორდროპების არქივიდან.

საკვანძო სიტყვები: *მარჯორი უორდროპი, ნინო გურიელი, ოზურგეთი*

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისელი ქალბატონია მარჯორი უორდროპი (1869-1909), რომელმაც ინგლისურად თარგმნა ქართული ეპიკური პოემა *ვეფხისტყაოსანი*. მიუხედავად იმისა, რომ მარჯორისა და მისი ძმის, ინგლისელი დიპლომატის სერ ოლივერ უორდროპის ძეგლი თბილისში საქართველოს პარლამენტის შენო-

ბასთან დგას, ინგლისში მის შესახებ ცოტას თუ სმენია. ეს სტატია აღწერს მის ვიზიტს 1895 წელს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – გურიაში.

მარჯორი უორდროპი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ ეწვია საქართველოს. მისი პირველი ვიზიტი იყო 1894-95 წლებში. მოგზაურობა ინგლისიდან დედასთან ერთად დაიწყო ჯერ მატარებლით, მერე გემით და 1894 წლის დეკემბერში ბათუმში ჩამოვიდა [1; 2]. მისი ძმა ოლივერი ამ დროისათვის უკვე საქართველოში იყო. მარჯორი ასე აღწერს მის ჩამოსვლას:

„მარსელიდან ცამეტდღიანი მოგზაურობის შემდეგ, 1894 წლის შუა დეკემბერში, განთიადისას გამეღვიძა და ვნახე რომ ჩვენი გემი უკვე ბათუმის პორტში შესულიყო. დილა თენდებოდა, და ქალაქი ცივი ნისლის ბურუსში გახვეული მოჩანდა. მაგრამ დროდადრო ნისლის ბურუსის მიღმა მაღალ მთებსაც მოჰკრავდი თვალს. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ქვეყანასთან, რომელსაც ასე ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე, ღამეულ ხილვებსა თუ დღის ზმანებებში. მას შემდეგ, რაც ინტერესი გამიჩნდა საქართველოს ანტიკური სამეფოსადმი, მისი ულამაზესი ხედებით, მამაცი და თვალადი მკვიდრებით, მისი მდიდარი ლიტერატურითა და, უპირველეს ყოვლისა, მისი სევდიანი, მაგრამ გმირული ისტორიით, ვნატრობდი იმ დღეს, როცა მე თვითონ ფეხს დავდგმდი იმ ადგილებში, რომლებზეც ამდენი წამიკითხავს და რომელზედაც ამდენი მიფიქრია, ვნატრობდი იმ დღეს, როცა იქნებ პირადად შევხვედროდი იმ პოეტებს, რომელთა ლექსებმაც ამხელა სიამოვნება მომანიჭა“ [3].

მარჯორიმ და დედამისმა ღამე ბათუმში გაატარეს და მეორე დღეს თბილისის გზას დაადგნენ მატარებლით. თბილისში ჩასული მარჯორი მართლაც შეხვდა რამდენიმე პოეტს. განაკუთრებით აღსანიშნავია პრინცი ილია ჭავჭავაძე. თბილისისკენ მიმავალმა მატარებელმა გაიარა ქალაქი ჩაქვი (რომელსაც მარჯორი „ჩაკვას“ უწოდებს) გურიასთან და მარჯორის საშუალება მიეცა, პირველად შეევლო თვალი გურიისა და გურულებისათვის:

„შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე მილის გავლის შემდეგ მივაღწიეთ ჩაკვას, სადაც უკანასკნელ ხანებში ჩაის პლანტაციები გაუშენებიათ. სადგურში შესვლისას გაოცებული დავრჩი, როცა კოლორიტულ გურულებს შორის ათიოდე ჩინელიც დავინახე, უკან შეკრული თმებით, თავიან ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილები, რომლებიც მოსულიყვნენ, რომ გამვლელი მატარებელი ენახათ“ [3].

უორდროპებმა რამდენიმე დღე თბილისსა და ქუთაისში გაატარეს, სადაც მათ ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლეს:

„ქართველებს უყვართ სტუმრები და მათი შეფასებისას სტუმართმოყვარეობა ერთ-ერთი უპირველესად აღსანიშნავი ღირსებაა. სტუმრისადმი ბუნებრივი სიყვარულის გარდა, მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ჩვენს მიმართ, რადგან ჩვენ ვისწავლეთ მათი ენა და ინგლისიდან მათთან შესახვედრად ჩამოვედით. მათ მიერ ჩვენი მეგობრული და აღფრთოვანებული მიღება ყველგან იყო გაცილებით დიდი კომპენსაცია იმ ძნელად გატარებული საათებისა, რაც მათი ენის სიძნელეთა გადალახვას და ქართული ზმნის ექსცენტრულობის გაგებას მოუნდა“ [3].

ქუთაისიდან მარჯორი და ოლივერი 1895 წლის იანვარში გურიაში ჩავიდნენ. ისინი სოფელ ნიგოეთში გაჩერდნენ:

„ჩვენს კეთილ მასპინძელთან ერთად ვესტუმრეთ პრინცესა მაჭუტაძეს ნიგოეთში. ეს ქალბატონი ინგლისელია და მთელს ამ მხარეში ძალზე დაფასებული თავისი ხასიათის გამო. ის თავისი მამულის გლეხებზე ძალიან ზრუნავს და ავადმყოფობისა თუ განსაცდელის დროს მასთან მოდიან რჩევა-დარიგებისა და ნუგეშისათვის. მისი შვილები ინგლისურად საკმაოდ გამართულად ლაპარაკობენ, ისევე როგორც ქართულად. აქ ჩვენ სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს პრიცესა მაჭუტაძემ და მისმა ქმარმა“ [3].

მარჯორის მიერ ნახსენები პრინცესა იყო პრინც დიმიტრი მაჭუტაძის მეუღლე. დიმირტი მაჭუტაძე დაქორწინ-

და ინგლისელ ქალზე სახელად ჰანა ტარსი. ჰანა იყო უინძორის ციხესიმაგრის მებაღის ქალიშვილი. 1866 წელს 19 წლის ჰანა გაემგზავრა რუსეთში, რათა გრაფ ლევ ტოლსტოის სახლში მისი შვილების აღმზრდელად (გუვერნანტად) ემუშავა[1] [4].

ტოლსტოის სახლში ყოფნისას ჰანამ ასწავლა მათ საშობაო პუდინგისა და იორკშული პუდინგის გაკეთება. 1872 წელს ჰანამ დატოვა ტოლსტოის ოჯახი და გადავიდა აღმზრდელად სონია ტოლსტოის დის ოჯახში, რომელიც კავკასიაში ცხოვრობდა. ჰანა შემდეგ ცოლად გაჰყვა პრინც დიმიტრი მაჭუტაძეს [5, გვ. 203-204]. მასთან ერთად ის წარმატებით გაუძღვა მაჭუტაძის ცხვრის ყველის წარმოების ბიზნესს [6, თავი 24]. მაჭუტაძეებთან სტუმრობის შემდეგ უორდროპებმა განაგრძეს თავიანთი მოგზაურობა გურიაში:

„ნიგოეთიდან ცხენით წავედით ჯუმათში ექსკურსიაზე, სადაც მაღალ მთებში მონასტერია. აქ დასაფლავებულია რამდენიმე გურული მთავარი. უკვე იანვრის დასაწყისი იყო, მაგრამ ყველგან ხარისძირების, ენძელების, იების, ფურისულებისა და სხვა ყვავილების მდიდრული ხალიჩა იყო მოფენილი. ხარისძირები განსაკუთრებით მომხიბლველნი იყვნენ, ძალიან დიდები, ღია ყვითელი, ვარდისფერთან შერეული. დაახლოებით ხუთი მილი ვაკეზე ვატარეთ ცხენები, მერე კი გზა, უფრო სწორად – ბილიკი თანდათან შემაღლდა, და თითქმის ორი საათი მთებში ვიარეთ, პანორამა უფრო და უფრო გაფართოვდა და მალე მონასტერსაც მოვაღწიეთ“ [3].

მარჯორი დაწვრილებით არ აღწერს ამ მოგზაურობის სიძნელეებს, მაგრამ მისი ძმა ოლივერი ამ პერიოდის ერთ-ერთ წერილში ამბობს: „მოგზაურობა მხოლოდ ცხენებით იყო შესაძლებელი და ვიგრძენი, რომ მარჯს საკმარისზე მეტხანს მოუხდა ცხენოსნობა, სრული ხუთი საათი ვია-

[1] ჰანას და ჯენი იყო გუვერნანტი ლევ ტოლსტოის მეგობრის მემამულე ევგენი ლვოვისა ტულაში.

რეთ ცხენებზე ამხედრებულებმა, მაგრამ ის არაფერს იმჩნევდა, და როგორც ყოველთვის, მხნედ და კარგად გამოიყურებოდა“ [1; 2]. მარჯორის ჩანაწერებში კი პეიზაჟია აღწერილი:

„ხედი ჯუმათიდან შეუძლებელია გადაჭარბებით იქნას აღწერილი. ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიონის მთავარი მთაგრეხილია გაჭიმული, რომლის ყველა დათრთვილული მწვერვალი მკაფიოდაა გამოსახული ლურჯი ცის ფონზე; მთათა შორის ენგურის, ხობის, რიონისა და წყალწითელას მდიდრული ხეობებია ჩაწოლილი. აღმოსავლეთით ქართლისა და იმერეთის მთებია, სამხრეთით კი თოვლით დაფარული აჭარა-აფხაზეთის მთაგრეხილია, რომელიც კედლად ადგება გურიის ტალღოვან მდელოებს“.

ჯუმათში მათ მამა არსენმა უმასპინძლა, „კეთილმა, გულწრფელმა ბერმა“. შემდეგ ისინი ლანჩხუთიდან სუფსაში მატარებლით გაემგზავრნენ, სადაც გურიელების სასახლეში გაჩერდნენ: „ორი დღე გურიის პრინცის ზამთრის რეზიდენციაში გავატარეთ. ის მართავდა მთელ პროვინციას დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის შუამდე. ეს მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ოჯახია. მისი წევრების ფიზიკური აღნაგობა მეტად გამორჩეულია. სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად აღსანიშნავია მათი ჩინებული თმები, შავი და ტალღოვანი. გურული იშვიათად ხმარობს ქუდს, რადგან მას თმები საკმარისად იცავს ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სიცივისგან. მათი ნაკვთები უაღრესად დახვეწილი და სიმეტრიულია, ერთდროულად გონიერი და გზნებით განათებული გამომეტყველებით. აშკარაა, რომ მეომარი რასაა და ლეგენდები მათი გულადობის შესახებ ადვილად დასაჯერებელია“ [3].

მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისი იყო, ამინდი „ძალიან კარგი და რბილი“ შეხვდათ. ოლივერი წერს: „ხალხი ამბობს, რომ ეს იმიტომ მოხდა, რომ მარჯი აქ ჩამოვიდა“ [1; 2].

ამ ვიზიტის შემდეგ მარჯორის გურიელებთან კავშირი არ გაუწყვეტია; უორდროპების კოლექციაში ინახება

პრინცესა ნინო გურიელის 3 წერილი მარჯორისადმი [7]. ნინოს მესამე წერილი, დათარიღებული 1896 წლის 19 აგვისტოთი, გაგზავნილია სოფელ ხიდისთავიდან. ამ წერილიდან აშკარაა, რომ ეს იყო გურიელთა საზაფხულო რეზიდენცია და მარჯორი რამდენიმე ხნის წინათ ეწვია ნინოს აქ, საქართველოში თავისი მეორე, ფინალური ვიზიტის დროს 1896 წელს.

დავუბრუნდეთ უორდროპების პირველ, 1895 წლის საქართველოში ვიზიტს. მარჯორი და ოლივერი სუფსიდან გაემგზავრნენ გურიის რეგიონალურ დედაქალაქში, ოზურგეთში: „ქალაქი პატარაა, შესაძლოა, ოდნავ მოზრდილი, ვიდრე დიდი სოფელი, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა აჩვენებს დიდ ლიტერატურულ აქტიურობას. აქ არის სტამბა და ბევრი საინტერესო წიგნია დაბეჭდილი. ჩვენი მასპინძლები არიან ათაბაგთა, ახალციხის უძველესი მმართველთა შთამომავალნი, რომელთაც უდიდესი სტუმართმოყვარეობით მიიგვიღეს“ [3].

ოზურგეთში ყოფნისას უორდროპები სადილად მიიწვია შემოქმედის მონასტრის წინამძღვარმა ამბროსიმ – „წარმოსადეგმა ჭაღარა ქართველმა“. ისინი ეტლით გაემგზავრნენ შემოქმედში, მდინარე ბჟუჟის სანაპიროს გასწვრივ: „კარგი მიზეზი გვაქვს, რომ ეს მდინარე დავიმახსოვრეთ, რადგან ჩვენი ეტლი რამდენჯერმე კინაღამ გადაბრუნდა მის ქვიშიან კალაპოტზე ხრიგინით, როცა მდინარე ჩვენგან სულ რაღაც ერთი დიუმის მანძილზე მიედინებოდა“ [3].

მარჯორი ისე მოხიბლულა შემოქმედის სილამაზით, რომ თავის ანდერძშიც კი მიუთითებია რომ იქ სურდა დასაფლავება. [8, გვ. 423] როდესაც მარჯორისა და ოლივერის ოზურგეთის დატოვების დრო მოვიდა, ქალაქმა მათ გამოსამშვიდობებელი ბანკეტი მოუწყო:

„არასოდეს დამავიწყდება ენთუზიაზმი და კეთილგანწყობა ამ კეთილი გურულებისა. ისინი კვლავ და კვლავ გვთხოვდნენ მალე დაბრუნებას, მივიღეთ უთვალავი მოწვევა მათ სააგარაკო სახლებში. ბანკეტი დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა და მხოლოდ იმიტომ დასრულდა, რომ

ჩვენ საღამოთი ბათუმის მატარებელს უნდა გავყოლოდით. ოთხმოცამდე სტუმარს შორის იყო რამდენიმე ძალიან მაღალი მამაკაცი. სამი მათგანი ალბათ შვიდი ფუტი სიმაღლის იქნებოდა. სანამ ჩვენ წამოვიდოდით, ერთ-ერთმა მათგანმა სულმოუთქმელად დალია მთელი ბოთლი ადგილობრივი წარმოების შამპანურისა, ჩვენთვის ბედნიერი მგზავრობის სასურველად. ბოლოს, შეკრებილი სტუმრების გამოსათხოვარ შემახილებში, ჩვენ დავტოვეთ იქაურობა. ისინი ბალკონზე გამოვიდნენ რათა გამოგვმშვიდობებოდნენ“ [3].

ბიბლიოგრაფია

1. *Oliver Marjory and Georgia* by Nino Wardrop, Bodleian Library Record, April 1994
2. Odzeli Marika, Part 5, Chapter 1 of *On the history of Georgian-English Literary Contacts,* Tbilisi 1998
3. Wardrop Marjory, *Notes of a Journey in Georgia*, Bodleian Library Wardrop Collection, d.40/1(1)
4. Donskov Andrew (edited by), *Tolstoy and Tolstaya – A portrait of a life in letters,* “University of Ottawa Press”, 2017
5. Bartlett Rosamund, *Tolstoy, A Russian Life,* New York 2011
6. Сухотина-Толстая Татьяна Львовна, *Воспоминания,* 1950
7. Items d.20/124, 125 and 127, Bodleian Library Wardrop Collection
8. შარაძე გურამ, *მეცნიერებისა და სათნოების საუწყო,* თბ. 1984

Marjory Wardrop and Guria

Anthony Stobart
Vice-Chairman of the British-Georgian Society in the United Kingdom.

Abstract: This article summarizes the travels of Marjory Wardrop in Guria during her first visit to Georgia in 1894-1895, with reference to material in the Wardrop collection in the Bodleian Library.

Key words: *Marjory Wardrop, Nino Gurieli, Ozurgeti*

One of the most famous English women in the Republic of Georgia is Marjory Wardrop (1869-1909), who translated the Georgian national epic poem, "The man in the panther's skin" into English. Although her statue – together with that of her brother, Sir Oliver Wardrop – stands in the area of the Georgian Parliament in Tbilisi, she is hardly known in England. This article describes her visit to the region of Guria, in the West of Georgia, in 1895.

Marjory Wardrop visited Georgia only twice in her life. Her first visit was in 1894-5. She travelled with her mother from England, by train and boat, arriving at Batumi in December 1894 [1; 2]. Her brother Oliver was already in Georgia. This is how Marjory described her arrival: "One morning, about the middle of December 1894, after a voyage of thirteen days from Marseilles, I awoke to find our steamer lying outside the port of Batum. The day had just dawned, and the town was veiled in a chilling mist, but from time to time a

glimpse might be caught of the high mountains beyond. It was my first glimpse of the land which I had so often pictured to myself, in visions of night as well as in my waking dreams. Since first my interest had been aroused in the Ancient Kingdom of Georgia, in its beautiful scenery, in its brave and handsome inhabitants, in its rich literature and, above all, in its sad yet glorious history, I had longed for the day when I should myself visit those places of which I had read and thought, when I should perhaps meet those poets in whose works I had found so much delight" [3].

After a night in Batumi, Marjory and her mother took the rather slow train to Tbilisi, where she did indeed meet some of those poets – notably Prince Ilia Chavchavadze. En route to Tbilisi, the train passed through the town of Chakvi (which Marjory calls "Chakva") in Guria, and Marjory had her first sight of both Guria and Gurians: "Skirting the Black Sea for some miles, we reached Chakva, where tea plantations have been lately formed; at the station I was surprised to see about a dozen pig-tailed Chinamen, in their native costumes, mingling in the crowd of picturesque Gurians, who had come to see the train pass through" [2].

The Wardrops spent some time in Tbilisi and then Kutaisi, where they were treated to traditional Georgian hospitality: "The Georgians love guests, and hospitality is one of the first virtues in their estimation. Besides their natural love of strangers, they took a special interest in us, for we had learnt their language and had come from England to see them; the friendly and enthusiastic welcome we everywhere received more than compensated for the trying hours spent over the difficulties of their language, and the eccentricities of the Georgian verb" [3].

From Kutaisi, Marjory and Oliver went on to Guria in January 1895, staying in the village of Nigoiti: "[We] went with our kind host to pay a visit to Princess Machutadze at Nigoiti. This lady is English, and, in all the country, she is greatly admired for her goodness of heart. She looks after the peasants on her estate with the utmost consideration, and in sickness or trouble all go to her for advice and comfort. Her children speak English quite fluently, as well as Georgian.

Here we were hospitably entertained by Princess Machutadze and her husband" [3].

The Princess referred to by Marjory was the wife of Prince Dmitry Machutadze, who had married an English woman called Hannah Tarsey. Hannah was the daughter of the gardener at Windsor Castle and in 1866, aged 19, she had gone to Russia to be the governess to the children of Count Leo Tolstoy[1] [4]. Whilst there, Hannah had introduced the Tolstoys to both Christmas pudding and Yorkshire pudding. In 1872, Hannah had left to become governess for Sonya Tolstoy's sister, who was living in the Caucasus. Hannah then married Prince Dmitry Machutadze [5, pp. 203-4], with whom she successfully managed the Machutadzes' sheep-cheese business [6, Chapter 24]. After visiting her, the Wardrops continued their travels in Guria: "From Nigoiti we made an excursion on horseback to Jumati, a monastery up in the mountains, the burial place of some of the rulers of Guria. It was the beginning of January, but everywhere was spread a rich carpet of Christmas roses, snowdrops, violets, primulas and other flowers. The Christmas roses were especially beautiful, being very large and of a pale primrose colour tinged with pink. After riding about five miles in level country, the road, or rather path, began to rise, and for about two hours we travelled among mountains, the panorama becoming more and more extensive until we reached the monastery" [3].

Although Marjory does not mention the difficulties of travel, her brother Oliver wrote in a letter at the time: "The journey was only possible on horseback and I am afraid Madge had quite enough of riding, for we were altogether five hours in the saddle, but she was none the worse, and is in her usual robust health" [1; 2]. Marjory did however describe what she saw when she arrived: "The view from Jumati cannot be surpassed. To the Northward stretches the main chain of the Caucasus, every frosty peak of which can be seen clearly outlined on the azure sky; between lie the rich valleys of the Inguri, Khop, Rion and Tsqal Tsiteli. To the Eastward is

[1] Hannah's sister Jenny was governess of a friend of Lev Tolstoy's, Evgenij L'vov, a landowner in Tula.

the Kartli-Imereti chain, while to the South rise the snow clad summits of the Adjara-Akhaltzikhe range, forming a wall to the undulating meadows of Guria" [3].

They were entertained at Jumati by a Father Arsen, "a kind, simple-hearted monk". They then went by train from Lanchkhuti to Supsa, where they stayed with the Guriels: "We spent two days at the winter residence of the Princes of Guria, who ruled the whole province until about the middle of the nineteenth century. It is a family remarkable in many ways. The personal appearance of its members is highly distinguished; among other characteristics they have magnificent heads of hair, dark and wavy. A Gurieli seldom wears a hat, as his locks are sufficient protection from the heat of summer or cold of winter. Their features are exceedingly fine and regular, lighted by an expression at the same time intelligent and wild. One can see that the race has been warlike, and one can readily believe the many tales told of its valour" [3].

Although it was the start of the year, the weather was "very fine and mild". Oliver wrote that "the people say it is because Madge is here" [1; 2]. Following this visit, Marjory kept in touch with the Gurielis; the Wardrop collection at the Bodleian Library in Oxford contains three letters to Marjory from Princess Nino Gurieli [7]. One letter from Princess Nino is dated 19 August 1896 and was sent from the village of Khidistavi, which implies both that Khidistavi was the summer residence of the Gurielis and that Marjory had recently been there, during her second and final visit to Georgia in 1896.

To return to the first visit in 1895, Marjory and Oliver went on from Supsa to the regional capital of Guria, the town of Ozurgeti: "The town is small, indeed it is scarcely more than a large village, but the inhabitants display great literary activity. There is a printing press and many interesting books are published. Here we were the guests of the descendant of the ancient Athabags, or rulers of Akhaltzikhe, who treated us with the greatest hospitality" [3].

Whilst staying in Ozurgeti, the Wardrops were invited by Abbot Ambrose – "a tall fair Kartlian" – to dine with him at the monastery of Shemokmedi. They went there by carriage along the river Bzuji: "We have good reason to remember this

river, for our carriage was many times nearly overturned in rattling over its rocky bed, while the water was within about an inch of our feet" [3].

Marjory was apparently was so taken with Shemokmedi's beauty that she stated in her will that she wished to be buried there [8, p. 423]. When the time came for Marjory and Oliver to leave Ozurgeti, the town gave them a farewell banquet: "I shall never forget the enthusiasm and goodwill of these kind Gurians. Time after time they entreated us to come back soon, and we had countless invitations to country houses. The banquet lasted about two hours, and only came to an end because we were obliged to leave by the evening train for Batum. Among the eighty guests were some very tall men – three of them being about seven feet high. Before departing one of these drank a bottle of native champagne, without taking breath, to our happy journey. At last we drove off amid the cheers of all the assembled guests, who came out on the balcony to bid us good-bye" [3].

Bibliography

1. Wardrop Nino, *Oliver, Marjory and Georgia*, Bodleian Library Record, April 1994
2. Odzeli Marika, Part 5, Chapter 1 of *On the history of Georgian-English Literary Contacts,* Tbilisi 1998
3. Wardrop Marjory, *Notes of a Journey in Georgia*, Bodleian Library Wardrop Collection, d.40/1(1).
4. Donskov Andrew, *Tolstoy and Tolstaya – A portrait of a life in letters,* "University of Ottawa Press", 2017
5. Bartlett Rosamund, *Tolstoy, A Russian Life*, New York 2011
6. Сухотина-Толстая Татьяна Львовна, *Воспоминания*, 1950
7. Items d.20/124, 125 and 127, Bodleian Library Wardrop Collection
8. Sharadze Guram, *Metsnierebisa da satnoebis saunje,* Tbilisi 1984/ შარაძე გ., *მეცნიერებისა და სათნოების საუნჯე*, თბილისი 1984

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

ქართველოლოგიური ქრონიკა
CHRONICLE OF EVENTS

არნოლდ ლ. ზისერმანის წიგნი „ოცდახუთი წელი კავკასიაში – 1842-1867“ (Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-1867)

პიტერ ფ. სკინერი
გამომცემლობა „ნარიყალას“ პრეზიდენტი



ინგლისელი მკითხველი, რომელსაც რუსებისა და მუსულმანების 1820-1860 წლების ომების დროს კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენები აინტერესებს, საკითხზე არსებულ ინფორმაციას უთუოდ არასაკმარისად მიიჩნევს. ჯონ ბადელმა[1], მოშე გამმერმა[2] და სამეულმა – ტომას სანდერსიმ[3], ერნესტ ტუკერმა[4] და გარი ჰამბურგმა[5] (იხილეთ ბიოგრაფია) წარმოადგინეს სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ფასეული ამონაწერები მუჰამედ ტაჰირ ალ-

[1] John Baddeley
[2] Moshe Gammer
[3] Thomas Sanders
[4] Ernest Tucker
[5] Gary Hamburg

ქარახის[1] მუსლიმანური შეხედულებებიდან. რამდენიმე უფროსი ოფიცერი, განსაკუთრებით გენერალი ტორნაუ[2] და საველე მეთაური ვორონცოვი, ასევე ბარიატინსკი, წერდნენ მემუარებს ამ კონფლიქტებზე მაშინ, როცა ტოლსტოის მიერ შექმნილი ორი ცნობილი ნაწარმოები „კაზაკები“ და „ჰაჯი მურატი“ დიდი ოსტატობით წარმოაჩენდა საომარ გარემოს, მის მონაწილეებსა და მოქმედების სცენებს.

საბოლოოდ ლესლი ბლანჩმა[3] შამილისა და ამ ომის მნიშვნელოვანი მიმოხილვა გააკეთა თავის წიგნში „სამოთხის ხმალი“.[4] თუმცა ის, რაც ამ ნაშრომს აშკარად აკლია, არის ომის დროს მცხოვრებ მოქალაქეთა და სამხედრო პირთა ინგლისურად თარგმნილი ხანგრძლივი პერიოდის მომცველი მემუარები. ამგვარად, არსებობს დიდი იმედი იმისა, რომ არნოლდ ლ. ზისერმანის ინგლისური თარგმანები რუსულენოვანი წიგნისა „ოცდახუთი წელი კავკასიაში – *1842*-1867“ უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

ამ პუბლიკაციას ორი უმთავრესი მიზანი აქვს. პირველ რიგში, ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადოს თვითმხილველებისა და მონაწილეების მემუარები – სრულად ასახოს სიტუაცია, მოვლენები და შედეგები შამილის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებული ომებისა, რომლებშიც საქართველოც აქტიურად იყო ჩაბმული; მეორე – ესაა მოტივაცია სხვებისთვის (ქართველებისთვის, რუსებისთვის ან სხვ.), რათა ითარგმნოს მსგავსი მასალები და გამოქვეყნდეს. უამრავი ისეთი ტექსტია, რომელიც თარგმნას საჭიროებს. მ. გამერი თავის ნაწარმოებში ,,მუსლიმთა ბრძოლა ცარის წინააღმდეგ“[5] აღნიშნავს, რომ *ცენტრალური აზიური მიმოხილვა, ტომი 10, Nos. 1 და 2 (1991)* იძლევა ვრცელ ბიბლიოგრაფიას (ლიტე-

[1] Muhammad Tahir al-Qarakhi
[2] Tornau
[3] Lesley Blanch
[4] “The Sabres of Paradise”
[5] M. Gammer “Muslim Resistance to the Tsar”

რატურას) რუსულ-მუსულმანურ ბრძოლებზე. თუმცა, ჩამოთვლილი 600 წიგნიდან და სტატიიდან მხოლოდ ორია ნათარგმნი ინგლისურად. ამავე დროს უხვად არსებობს ინგლისურენოვანი თარგმანები ნაპოლეონის, ყირიმის, ინგლისელებსა და ინდოელებს შორის ბრძოლებზე, ასევე მოიპოვება ისტორიული მასალა – სამხედრო მემუარები და კვლევები ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის თაობაზე. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს თემებზე უამრავი ფილმია გადაღებული.

ვინ იყო ზისერმანი და რატომ ავარჩიეთ მისი მემუარები სათარგმნად და გამოსაქვეყნებლად? მოკლედ რომ ვთქვათ, არნოლდ ლ. ზისერმანი (5 დეკემბერი, 1824 - 16 სექტემბერი, 1897) მხოლოდ 17 წლის იყო (1842 წ.), როცა დატოვა დასავლეთ უკრაინა და გადაკვეთა კავკასიონის მთები. აქედან დაიწყო მისი 25-წლიანი აქტიური კარიერა კავკასიაში. ძალიან ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ უმაღლესი განათლება, ან რაიმე ფორმალური წვრთნა ჰქონოდა მიღებული. არც ოჯახური წარმომავლობა უწყობდა ხელს, სამოქალაქო ან სამხედრო სისტემაში რომ მაღალი თანამდებობრივი სტატუსი მოეპოვებინა. ის იყო სრულიად უცხო ადამიანი იმ გარემოში, რომელსაც იმპერიალისტური რუსეთი მართავდა კარჩაკეტილი სამოქალაქო და სამხედრო კასტების საშუალებით და რომლებიც დადგენილ კანონებსა და მკაცრად განსაზღვრულ ბიუროკრატიულ პროცედურებს ემორჩილებოდნენ.

ზისერმანს, რომელმაც უარი თქვა ოფიციალურ რეგალიებზე, ჰქონდა უამრავი დადებითი პიროვნული თვისება. ის გახლდათ დიდად განსწავლული და ცნობისმოყვარე ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც მიზნად დაისახა, თავი დაეღწია მოსაწყენი, კარჩაკეტილი, პატარა, სამხრეთ რუსეთის მოტიტვლებულ სტეპებზე მდებარე ქალაქური ცხოვრებისათვის. ის სიამოვნებით ეცნობოდა მარლინსკის[1]

[1] Marlinsky

ეგზოტიკურ ნოველებს „ამალეტ ბეკი“[1] და „მულა ნურის“[2], რომლებიც გამოირჩეოდნენ ფერადი, დეტალური ფონითა და ძლიერი ვნებებით, რაც (დასავლელ მკითხველში და მარლინსკის თანამედროვე ბევრ რუს მოქალაქეში) ძლიერ ასოციაციებს იწვევდა სკოტთან და ბაირონთან. ზისერმანი აცნობიერებდა, რომ კავკასიონი მას სთავაზობდა ყველაფერს, რისი წარმოდგენაც კი შეეძლო: ჩრდილოეთისკენ კავკასიონის დათოვლილი მთები, მცირე კავკასიონი სამხრეთისკენ თავისი ზღვებით – შავი ზღვა დასავლეთისკენ, კასპიის ზღვა აღმოსავლეთისკენ – მოიცავდა ყველანაირ კლიმატს მაღალი ალპურიდან დაბალ სუბტროპიკულამდე. მთლიანობაში ეს ეგზოტიკური რეგიონი სთავაზობდა ისეთი თავგადასავლის შესაძლებლობას, რასაც უკრაინის სტეპები ვერ შეედრებოდა.

ზისერმანს მუდამ მარტოს უწევდა საკუთარი თავის გატანა რთულ ვითარებაში, რასაც გასაოცარი უნარითა და შეუპოვრობით ახერხებდა. მან საკუთარი ძალებით მოახერხა ის, რომ თბილისში ოფისის კლერკის დაბალი პოზიციიდან მიეღწია კახეთის რეგიონის ადმინისტრატორის მოადგილის საპასუხისმგებლო თანამდებობისათვის პრინც მიხეილ ჩოლოყაშვილის მმართველობის ქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას ემსახურებოდა. მაგრამ ზისერმანმა არ მისცა თავს უფლება, გამხდარიყო საბუთებში თავჩარგული, თანამდებობაზე მიჯაჭვული ბიუროკრატი. ის აქტიურად მოგზაურობდა კახეთში, ხევსურეთიდან ჩრდილოეთით, ყვარელში და ლეკების ტერიტორიისკენ.

ისწავლა რა ქართული, 20 წლის ასაკიდან ჩართული იყო კონფლიქტების გადაჭრის, გზის სამშენებლო პროექტების მართვისა და ადგილობრივი პოლიციის გაუმჯობესებაში, რომლის უპირველესი დანიშნულება იყო შამილის მუსულმანი მეომრებისაგან თავდაცვა. მიუხედავად ამ

[1] “Ammalet Bek”
[2] “Mullah Nur”

მოთხოვნებისა, ზისერმანმა მოახერხა, გაეკეთებინა უამრავი ჩანაწერი შორეულ მთიან რეგიონებში მცხოვრები თემების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებაზე. სანამ 22 წელი შეუსრულდებოდა, იგი შეხვდა პრინც მიხეილ ვორონცოვს, მეფისნაცვალს კავკასიაში. ვორონცოვმა შეამჩნია ზისერმანის პრაქტიკული გამოცდილება და გამოიჩინა კეთილგანწყობა მის მიმართ, რაც გამოიხატებოდა მისი სადილებზე მიპატიჟებით, სადაც ხვდებოდა იმ დროისათვის მაღალი თანამდებობის პირებს.

მეორე უმთავრესი გამოცდილება ზისერმანის ცხოვრებაში იყო პოლიციის უფროსის თანამდებობაზე მუშაობა, ყაჩაღების სიმრავლით განთქმულ რეგიონში – ელისუ[1] (სამხრეთ დაღესტანი). მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს რუსეთის მომხრე და მერე უკვე მოწინააღმდეგე სულთან დანიელ ბეკი[2] გააძევეს რეგიონიდან, მთიანი მხარე მაინც ინარჩუნებდა უკიდურესად მტრულ დამოკიდებულებას რუსეთისადმი. ამ პერიოდში მუსულმანთა დაჯგუფებები მუდმივად თავს ესხმოდნენ რუსულ გარნიზონებს. მკაცრი კლიმატი და ხრიოკი ლანდშაფტი დიდ სირთულეებს უქმნიდა რუსის ჯარს მაშინ, როდესაც მუსულმანები ყოველთვის ახერხებდნენ ყოფილიყვნენ მოუხელთებელნი მათთვის კარგადნაცნობ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზისერმანს ოფიციალურად არ ჰქონდა ოფიცრის წოდება, ადგილობრივ ქართულ პოლიციას საველე ოპერაციების დროს ხშირად ხელმძღვანელობდა.

იყო უამრავი შემთხვევა, როცა ის სარდლობდა რუსული ჯარების მიერ ჩატარებულ ოპერაციებს, რომლის შესახებაც თავის მემუარებში წერს. ზისერმანი ჩივის ქაოტურ მმართველობაზე, გადაჭარბებულ უხეშობასა და მატერიალურ, სამედიცინო თუ საკვები მარაგის ნაკლებობაზე. განსაკუთრებული სიმწვავით აღწერს რუსი ოფიცრების ქედმაღალ ხასიათსა და საქციელს.

[1] Elisu
[2] Sultan Daniel Bek

არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ რიგითი ჯარისკაცების ამტანიანობის, მხიარული ხასიათისა და შეუპოვრობის, თვით ფატალიზმის აღწერაც კი, რომელსაც ისინი იჩენდნენ რთულ სიტუაციებში. ფაქტობრივად, ზისერმანის მემუარები გვევლინება უმნიშვნელოვანეს წყაროდ ენერგიული და მუდამ საფრთხისქვეშ მყოფი ჯარისკაცების ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით მათი გრძნობების აღწერის მხრივ.

ელისუში ორწლიანი დაუღალავი მუშაობისა და უამრავი საფრთხის შემდეგ ზისერმანი საქართველოში დაბრუნდა. ამჯერად გადაწყვიტა, რეგულარულ არმიაში ოფიცრად ემსახურა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ხვდებოდა უფროს ოფიცრებს, მათ შორის – გენერალ ორბელიანსა და არღუტინსკის[1], მეგობრობდა პოლონელ გადასახლებულ პოლკოვნიკ პოტოსკისთან[2] (მეფისნაცვალ ვორონცოვის წრის წევრი). დიდი ხნის ნანატრმა კარიერულმა წინსვლამ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იჩინა თავი, რაც განაპირობა მეფისნაცვლის თხოვნამ იმპერატორთან.

ამ ხნის განმავლობაში ზისერმანი ქუთაისში, იმერეთის გუბერნატორის პრინც ალექსანდრე გაგარინის დაქვემდებარებაში მსახურობდა. 1951 წელს შეხვდა მის უდიდებულესობა ალექსანდრეს – საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც თან ახლდა რეგიონის დათვალიერებისას. საბოლოოდ, 1851 წლის შუა პერიოდში მიიღო ახალი თანამდებობა და გაემგზავრა სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაღესტანში. (დაღესტანში გატარებული წლები აღწერილია მისი მემუარების II ტომში, რომელიც გამოქვეყნდება გამომცემლობა „ნარიყალას“ მიერ მოგვიანებით).

კვალიფიციური, საქმოსანი და „ოფიციალური“ ზისერმანის მიღმა, რომელიც საჯარო საქმეებშიც კი იყო ჩართული (უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავდაცვა შა-

[1] Argutinski
[2] Colonel Potocki

მილის მუსულმანი მეომრებისგან), არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობდა საინტერესო და მოაზროვნე, სოციალური კომენტატორი, მოყვარული ეთნოგრაფი და მოგზაური პერსონა – ციმერმანი. თავდაპირველად ის გვევლინება დამკვირვებლად, მოგვითხრობს მეფის ნაცვალზე, მის მეუღლესა და სამეფო კარზე. საუბრობს გენერლებსა და მათ დამხმარეებზე, საველე მეთაურების თავგასულობასა და სამხედრო პირების მლიქვნელურ ხასიათზე. ზისერმანი გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ხალხის წეს-ჩვეულებებზე, მათ რწმენასა და ტრადიციებზე. მ. მაკალათიაც იმოწმებს ციმერმანს თავის ეთნოგრაფიულ ნამუშევარში თუშეთზე, ფშავსა და ხევსურეთზე. ა. გრიგოლიას მოაქვს ციტატები ზისერმანის ჩანაწერებიდან თავის შრომაში „ზნე-ჩვეულებები და სამართალი კავკასიაში“[1]. ზისერმანის ინტერესის სფეროში შედის ასევე შამილის მუსულმანი მიმდევრები და მათი ლიდერები, კერძოდ, სულთან დანიელ ბეკი და ჰაჯი მურატი[2]. თავის რომანში „ჰაჯი მურატი“ ტოლსტოიმ გამოიყენა ზისერმანის ჩანაწერები, სადაც აღწერილია ამ ტრაგიკული ლიდერის სიკვდილი.

სწორედ მოგზაურობების წყალობით გახდა ზისერმანის ჩანაწერები კავკასიასთან დაკავშირებული ფასეული წყარო. კავკასიაში მსახურებისთვის უმეტესად რუსებს განამწესებდნენ ხოლმე. ეს კი ნაკლებად იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბოლომდე შეეცნოთ საქართველო და კავკასია. ქართველები უმეტესად საკუთარ მიწა-წყალზე იყვნენ ხოლმე განაწილებულნი. ამ სიტუაციისგან განსხვავებით, ზისერმანს ხშირად უწევდა მოგზაურობა მთელს კავკასიაში: შატილიდან შემახამდე, კახიდან ქუთაისამდე, აფხაზეთიდან ახალციხემდე. ხშირად დიდი ხნით რჩებოდა ამ რეგიონების დიდ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში.

[1] “Custom and Justice in the Caucasus”

[2] Hadji Marad

დღემდე უცნობია ის ფაქტი, რომ 1879 წელს დაბეჭდილი ზისერმანის „ოცდახუთი წელი კავკასიაში – 1842-1867“ იყო არასისტემურად დანომრილი ქვეთავებისაგან შემდგარი ერთი უწყვეტი ტექსტი, რომელსაც აკლდა შესავალი, სარჩევი, საძიებლები და ქვეთავები. ამას გარდა, ამ გამოცემაში არ იყო შეტანილი რუკები, ილუსტრაციები, ჩანაწერები, დანართი. ყველა ეს ხარვეზი გასწორებულია მემუარების მიმდინარე ვარიანტში, რომელიც ახალი თაობის მკითხველისათვის უკონკურენტო და ფასდაუდებელია თავისი სიღმით, დეტალების სიუხვითა და ზოგადი ღირებულებით.

აქ მოხსენებული წიგნები და ბიბლიოგრაფია შეტანილია „ოცდახუთ წელში“: Baddeley, J. *The Russian Conquest of the Caucasus* (London, 1908); Bestushev-Marlinsky, A. *Ammalat-Bek* (1832) and *Mullah Nur* (1836); Blanch, L. *The Sabres of Paradise* (London, 1960); Gammer, M., *Muslim Resistance to the Tsar* (London, 1994); Grigolia, A., *Custom and Justice in the Caucasus* (Philadelphia, 1939); Makalatia, M., *Mesak'onleoba aġmosavlet' Sak'art'velos mt'ianet'ši : T'uš-P'šav-Xevsuret'i* (Tbilisi, 1938); Sanders, T., Tucker, E. and Hamburg, G., *Russian-Muslim Confrontation in the Caucasus, 1830-59* (London, 2004); Peter F. Skinner is the author of *Georgia: The Land Below The Caucasus – A Narrative History* (Narikala, 2014) and editor of *Excursions in the Caucasus, 1875-1881*, by Madame Carla Serena, (translated from French; Narikala, 2015)

ზისერმანი გამუდმებით ცდილობდა, აქტიურად ყოფილიყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ემოგზაურა შორეულ მთიან სოფლებში, ისეთ საშიშ ტერიტორიებზე, როგორიცაა ლეკეთი, დასწრებოდა ადგილობრივი პრინცების მიერ მეფისმოხელეების პომპეზურ სასახლეებში გამართულ წვეულებებს, მონაწილეობა მიეღო მაღალმთიან რეგიონებში აჯანყებულთა წინააღმდეგ ჩატარებულ სასიკვდილო ოპერაციებში ან ენადირა ტყეებში. მან დიდი გამოცდილება მიიღო კავკასიაში ცხოვრებით.

გარდა იმისა, რომ წერდა შთაბეჭდილებებს და ურთიერთობდა პრინცებთან, გლეხებთან, ჯარისკაცებთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, ჩანაწერებს აკეთებდა ადგილობრივი მაცხოვრებლების უძველეს ტრადიციებზე, აქტიურად აკვირდებოდა და აღწერდა პოლიტიკურ და სამხედრო ცხოვრებას, სტრატეგიებსა და ტაქტიკას. ლევ ტოლსტოისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ზისერმანის მემუარები – ხშირად ციტირებდა თავის ნაწარმოებებში. აღსანიშნავია, რომ ქართველი მკვლევარებიც ხშირად იმოწმებენ ხოლმე ზისერმანის მემუარებს პუბლიკაციებში.

არნოლდ ზისერმანმა თავის ნაწარმოებში „ოცდახუთი წელი კავკასიაში 1842-1867“ დახატა საზოგადოების, ევროპისა და აზიის პრობლემურ რეგიონებში მოგზაურობის ცოცხალი სურათები. მის კალამს ასევე ეკუთვნის „მე-80 პოლკის ისტორია“[1], „პრინც ბარიანსკ კაბარდანის ჩვილობა“ (1881)[2] და „საველე მარშალის, პრინც ა.ი ბარიატინსკის ბიოგრაფია“ (1891)[3], ასევე უამრავი მიმოხილვა: Historical sources Baddeley and Gammer: only 2 major sources; Blanche; Biblio sources Gammer (600 2 in English); Literary sources Pushkin, B-M, Lermontov, Tolstoy, 1829-1859: 30-year duration; High, exotic drama: Scott, Byron; ცვლილებები სამხედრო სტრატეგიებში; უზარმაზარი ადამიანური და ეკოლოგიური ღირებულება;

იერმოლოვი, პასკევიჩი, ტორნაუ, ველიამოვი, პოტტო – ეს არის იმ მწერლების ნუსხა, რომელთა ნაწარმოებები ჯერ კიდევ არ არის ნათარგმნი ინგლისურად მაშინ, როცა ნაპოლეონის ბრძოლები ზედმიწევნითაა გადათარგმნილი.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯეროვნად ინგლისურად არ თარგმნილა რუსული არასრული ისტორიები კავკასიაში მიმდინარე ბრძოლების შესახებ. თუმცაღა არსებობს 1820-1830-იან წლებში დაწერილი ღირებული შრომები, რომელ-

[1] “The History of the 80th Regiment”
[2] “Prince Bariatinsky Kabardan Infantry (1881)”
[3] “The Biography of Field-Marshal Prince A.I. Bariatinsky (1891)”

თა ავტორებიც რუსეთიდან კავკასიაში გადაასახლეს. პუშკინმა (დროებით იყო გადასახლებაში) (1799–1837) მომავალ თაობას დაუტოვა პოემები და მოგზაურის ჟურნალი; ბესტუჟევ მარლინსკიმ (1797–1837) (გადაასახლეს სამუდამოდ) დაწერა პოპულარული და ეთნოგრაფიულად მნიშვნელოვანი შრომები და ნოველები. უნდა აღინიშნოს ლერმონტოვის დამსახურებაც (1814–41), რომელიც არაერთი გახმაურებული ნოველისა და ლექსის ავტორია. მოგვიანებით, 1850 წელს ლევ ტოლსტოი წააწყდა სამი მოკლე მოთხრობის პუბლიკაციას, რომლებიც ეფუძნებოდა ტოლსტოის გამოცდილებას კავკასიის ბრძოლებში, ამას მოჰყვა ნოველა ,,კაზაკები“ (1863), რომელიც მიუთითებს ალტერ ეგოს დროებით გაქცევაზე, რათა მეომარ რუსებთან, კაზაკებსა და ჩეჩნებთან იცხოვროს. ტოლსტოიმ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში დაწერა ,,ჰაჯი მურატი“ (რომელიც გამოქვეყნდა მისი სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს). ნაწარმოები ძლიერი მორალური იმპლიკაციებით მოგვითხრობს ტრაგიკულ, ომისდროინდელ შემთხვევაზე, რომელმაც თვით ნიკოლოზ I-იც კი შეძრა. ნოველაში ტოლსტოის აქტიურად აქვს გამოყენებული ზისერმანის ჩანაწერები.

„ოცდახუთი წლის“ რუსულენოვანი გამოცემა შეტანილია რამდენიმე კავკასიისა და რუსეთ-კავკასიის კონფლიქტის თემაზე შექმნილ ინგლისურენოვანი ნაწარმოების ბიბლიოგრაფიაში, თუმცა მისი პირდაპირი ციტირება იშვიათად გვხვდება. მხოლოდ ერთმა ინგლისელმა ისტორიკოსმა შეამჩნია, რომ მემუარების ბოლო ნაწილი საერთოდ არ იყო დაბეჭდილი.

პირველი ინგლისურენოვანი თარგმანი საკმაოდ მოძველებულია: ზისერმანი, რომელიც ბრწყინვალედ საუბრობდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე და აქტიურად მოგზაურობდა მთელს კავკასიაში, იყო მრავალი წვეულების სტუმარი, მათ შორის კავკასიის მეფინაცვლის – პრინც ვორონცოვის მიერ გამართული ნადიმისა, გვიყვება ქართველებთან და კავკასიელებთან დაკავშირებულ უამრავ სა-

კითხზე. ჩანაწერებში ზისერმანი საერთოდ არ ცდილობს, თავი წარმოაჩინოს რუსეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიების სამხედრო მემატიანედ ან ანალიტიკოსად, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობდა ბევრ ადგილობრივ „ექსპედიციაში“ და კონტაქტობდა პოლიციელებთან, სამხედრო მეთაურებთან და სხვადასხვა ჩინის წარმომადგენლებთან. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე ხშირად იძლეოდა რჩევებს, თუმც ამ რჩევებს მაინცდამაინც დიდი სიხარულით არ იღებდნენ. ზისერმანი აქტიურად აკვირდებოდა იმ პერიოდის კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს და არაჩვეულებრივი სიცხადით გადაჰქონდა თავისი დაკვირვებანი მემუარების ფურცლებზე. ზოგჯერ მუშაობდა ადმინისტრატორად, პოლიციის ოფიცრად და სამხედრო ოფიცრადაც მოღვაწეობდა ქართველ პრინცებთან და რუს გენერლებთან. ამასთანავე მუსულმანი მეთაურების შეხვედრის დროს თარჯიმნობდა რუსეთის მომავალ იმპერატორთან – ალექსანდრე მეორესთან (1850 წელი).

პრინცი ვორონცოვი დიდად აფასებდა ზისერმანს თავისი კავკასიური ენების ფლობისა და სამხედრო და სამოქალაქო წესების ცოდნის გამო.

ზისერმანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამართლის სისტემაში, ბევრჯერ გადაურჩა სიცოცხლისათვის საშიშ ბრძოლებსა და სხვადასხვა სახიფათო თავგადასავლებს საქართველოში, ჩეჩნეთსა თუ დაღესტანში. მეტად საინტერესოა მისი კომენტარები სამხედრო ბანაკებთან, ექსპედიციებთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. მისმა ჩანაწერებმა შემოგვინახა ინფორმაცია კავკასიაში მცხოვრები ადამიანების შესახებ მთის რეგიონის ხალხიდან მოყოლებული მეფისნაცვლის სასახლის ჩათვლით. ასევე მეტად ფასეულია მის მიერ კავკასიაში მიმდინარე სოციალური და სამოქალაქო ცვლილებების, მნიშვნელოვანი ფიგურების ცხოვრების, სამხედრო მედიცინის, სამხედრო ფოტოგრაფიის და მეფისნაცვლის კარზე მომხდარი სკანდალების აღწერაც კი.

ზისერმანი ნამდვილად იმსახურებს, რომ მისი შრომები ითარგმნოს ინგლისურად გამომდინარე იქიდან, რომ ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი ისტორიული ფაქტების განვითარებაში, რადგან მოვლენების აქტიურ მონაწილედ გვევლინება.

ვიმედოვნებ, რომ ზისერმანის მემუარების ეს პირველი წარდგინება/პრეზენტაცია სათავეს დაუდებს მისი მოღვაწეობის, მისი ეპოქისა და ნამუშევრების შესწავლას.

ქართველოლოგი THE KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES, 27, 2018

ქართველოლოგიური ქრონიკა
CHRONICLE OF EVENTS

On publishing *Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-1867*, by Arnold L. Zisserman

Peter F. Skinner
Founder and Principal of Narikala Publications, Inc.

The English-language reader interested in life and events in the Caucasus and Georgia during the Russian-Muslim wars of the 1820s-1860s will find that comprehensive resources are relatively few. John Baddeley, Moshe Gammer and the collaborative trio of Thomas Sanders, Ernest Tucker and Gary Hamburg (see bibliography) have provided substantive accounts of military operations, with the above-named trio also providing valuable excerpts from the Muslim-viewpoint account of Muhammad Tahir al-Qarakhi. A few senior officers, notably General Tornau and the commanders-in-chief Vorontsov and Bariatinski, wrote memoirs which addressed the conflict, while Tolstoy's *The Cossacks* and *Hadji Murad* skillfully present the war environment, participants and scenes of action. Finally, Lesley Blanch provides a far-ranging account of Shamil and the war in her book, *The Sabres of Paradise*. However, what are noticeably lacking are any English translations of long-span memoirs by civilians and military men who lived through the war years. Thus, it is hoped that publication in English of Arnold L. Zisserman's Russian-language *Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-*1867 will prove to be a positive step in improving the situation.

Publication has two immediate aims. First, to make accessible to an English-language readership an observer-

participant's memoir of men, situations, events and outcomes during the troubled period when Shamil's war against Russia – so often involving Georgia – was in full swing. Second, by so doing, to encourage others, whether Georgian, Russian or other, to take on similar translating and publishing ventures. The quarry of untranslated texts is huge. In his *Muslim Resistance to the Tsar*, M. Gammer notes that The Central Asian Survey, Vol. X, Nos. 1 and 2 (1991) "provides an extensive bibliography" for the Russian-Muslim war. However, of the 600+ books and articles that are listed, only two are in English. By way of contrast, the English-language literature on the Napoleonic wars, the Crimean War, and the Anglo-Indian conflicts on India's Northwest Frontier runs to hundreds of items – general histories, military histories, memoirs, and special-topic studies. In addition, many films have been made.

But who was Zisserman and why do we choose his memoir for translation and publication? In brief, Arnold L. Zisserman (5 December 1824-16 September 1897) was a mere 17-year-old in 1842, when he left the small town of Kamianets-Podilskyi in western Ukraine and crossed the Greater Caucasus range for what became a 25-year-long active career in the Caucasus. He was too young to have had any higher education or formal training; he lacked the family background that might have secured him a first step up the established career ladder for the civil or military side of government. He was, in fact, by any assessment an outsider in a region that Imperial Russia sought to rule through almost closed and self-serving civilian and military castes that adhered to established regulation-from-the-top bureaucratic procedures.

Though denied formal advantages, Zisserman possessed many positive personal characteristics. He was a highly intelligent and curious young man, determined to escape from a boring, limited, small-town life on Russia's bleak southern steppes. He eagerly read Marlinsky's exotic novels *Ammalet Bek* and *Mullah Nur* with their colorful and detailed backgrounds and over-heated passions that (for the Western reader and many Russians of his Marlinsky's day) call to mind Scott and Byron. Zisserman recognized that the Caucasus

offered everything his imagination pictured. Its snow-capped mountain ranges – the Greater Caucasus to the north, the Lesser Caucasus to the south – and its seas – the Black Sea to the west, the Caspian Sea to the east – encompassed every type of climate from high alpine to low-lying subtropical. Above all, the exotic region offered the chance of adventure that the Ukrainian steppes could not provide.

Zisserman never had the benefit any official upward-bound escalator to bear him forward; he had to make his own way onward and upward by his own efforts, and did so with admirable ability and tenacity. He rose from the lowly position of an office clerk in Tbilisi to the highly responsible and demanding position of deputy district administrator of Kakheti, serving under Prince Mikheil Cholokashvili, who in turn was serving under the Russian authorities. Zisserman did not let himself become a chair-bound bureaucrat mired in paperwork; he was intensively active in the field, traveling throughout Kakheti from Khevsureti in the north to Kvareli and the Lezgin Line in the south. At 20 years of age, having learned Georgian, he was settling disputes, managing road-building projects, and strengthening local militias that were often a first defense against Shamil's Muslim warriors. Despite these demands, Zisserman managed to make numerous notes on the lives and customs of remote mountain-dwelling communities. Before he was 22, Zisserman had met Prince Mikhail Vorontsov, Viceroy of the Caucasus, who recognized and drew upon the young man's hands-on experience of conditions in the field and always remained well-disposed toward him, to the extent of frequently extending dinner invitations to the young man, in which he met the leading men and women of the day.

A second major experience in Zisserman's life was his service as police chief in the guerilla-ridden district of Elisu, in southern Dagestan. Though the once pro- but now anti-Russian Sultan Daniel Bek had been forced out, the mountainous district remained intensely hostile to Russia, with Muslim groups launching deadly raids against Russian garrisons. Punitive expeditions posed severe challenges for Russian troops; terrain and weather were often intensely challenging while the enemy remained elusive. Though not a

commissioned army officer, Zisserman frequently led the local Georgian militias in field operations. On a number of occasions he accompanied Russian troops in the field, and did not hesitate to criticize in his memoir poor leadership, excessive brutality, and deficiencies in materiel, medical and food supplies. Zisserman's vignettes of self-important officers and their underlying characteristics are extremely incisive; equally informative are his analyses of the ordinary soldier's endurance, cheerfulness, resilience and even fatalism - in the face of every hardship. In fact, Zisserman remains a significant source of information on the arduous and ever-dangerous lives of soldiers in the field and is particularly in describing and recording their feelings about themselves and their officers.

After a two-year stint of constant hardship, danger and action in Elisu Zisserman returned to Georgia, now determined to secure a commission as a regular army officer. Despite meetings with senior officers – Generals Orbeliani and Argutinski among them – and with well-placed friends such as the Polish exile Colonel Potocki (a member of Viceroy Vorontsov's inner circle) the hoped-for but highly unorthodox change of career paths did not occur until a couple of years later, and then only by direct request of the Viceroy to Emperor Nicholas. Meanwhile, Zisserman took service in Kutaisi, under Prince Alexander Gagarin, governor of Imereti. In 1850, during his time in Western Georgia, Zisserman met and escorted HRH Alexander, the heir to the imperial throne, on his tour of the district. Finally, in mid-1851, with his commission now granted, Zisserman departed for military service in Dagestan. (Zisserman's account of his years in Dagestan forms Volume II of his memoir – to be published by Narikala in late 2018.)

The efficient and focused "official" Zisserman, ever involved in public affairs, security and local defense against Shamil's Muslim warriors, should not be allowed to overshadow the very engaging and thoughtful "personal" Zisserman, the social commentator, the amateur ethnographer and keen-eyed traveler. In this first capacity, he was an acute observer and provides telling notes on the Viceroy and Vicereine and court life; he reports on generals and their

aides, on field commanders and soldiers – often criticizing the self-indulgence of the former while praising the fortitude of the latter. Zisserman's notes on the lives and customs of highland communities living in the most remote and challenging regions of the Caucasus are of particular value; he recorded ways of life still rooted in archaic beliefs and traditions. M. Makalatia cites him in his pioneering ethnographic works on Tusheti, Pshavi and Khevsureti, and Alexander Grigolia frequently references Zisserman's findings in his *Custom and Justice in the Caucasus*. Zisserman's interests also extended to Shamil's Muslim followers and their leaders, in particular Sultan Daniel-Bek and Hadji Murad. In his novel *Hadji Murad,* Tolstoy drew directly upon Zisserman's account of the death of this troubled and tragic leader.

Zisserman's travels make him an important primary source on daily life in the Caucasus. Most Russians were assigned to service in a single or only two or three locations, and saw relatively little of Georgia and the Caucasus, while most Georgians remained close to their birthplace and local district. In contrast, Zisserman's postings launched him on journeys throughout the Caucasus – from Shatili to Shemakha, from Kakh to Kutaisi, from Abkhazia to Akhaltsikhe – and he spent lengthy periods in the region's key cities and fortresses; Tiflis, Tianeti, Kvareli, Zakatala, Elisu, Akhti, and Nukha among many more.

For reasons unknown to us – but most likely determined by cost factors – Zisserman's *Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-1867*, when published in 1879, consisted of a single unbroken runway of text, with chapter numbers set where they fell. None of the expected basic elements – introduction, contents listing, chapter subheads, index – were present. Maps, illustrations, notes, needed appendixes and an index were also entirely lacking. All these defects have been remedied in offering the present is translation of Zisserman's memoir – unrivaled in range, depth, detail, color and value – to a new generation of readers.

Books mentioned – an extended bibliography will be found in *Twenty-Five Years*: Baddeley, J. *The Russian Conquest of the Caucasus* (London, 1908); Bestushev-

Marlinsky, A. *Ammalat-Bek* (1832) and *Mullah Nur* (1836); Blanch, L. *The Sabres of Paradise* (London, 1960); Gammer, M. *Muslim Resistance to the Tsar* (London, 1994); Grigolia, A. *Custom and Justice in the Caucasus* (Philadelphia, 1939); Makalatia, M. *Mesakʻonleoba aġmosavletʻ Sakʻartʻvelos mtʻianetʻši: Tʻuš-Pʻšav-Xevsuretʻi* (Tbilisi, 1938); Sanders, T., Tucker, E. and Hamburg, G. *Russian-Muslim Confrontation in the Caucasus, 1830–59* (London, 2004); Peter F. Skinner is the author of *Georgia: The Land Below The Caucasus – A Narrative History* (Narikala, 2014) and editor of *Excursions in the Caucasus, 1875-1881*, by Madame Carla Serena, (translated from French; Narikala, 2015)

At all times he sought involvement, experiencing life in remote mountain villages, on the dangerous Lezgin Line, at the banquets of native princes, at the luxurious Viceregal palace, in deadly raids against rebellious highlanders or hunting in the wilds – Zisserman met with every experience and challenge. More than a lively writer-reporter who moved among princes and peasants and among soldiers and civilians, he was an acute commentator on policy and governance, on military strategy and tactics, and on the age-old traditions of remote native peoples. Tolstoy recognized the value of Zisserman's work and drew upon it; Georgian scholars likewise cite his observations in their publications.

In *Twenty-Five Years in the Caucasus: 1842-1867*, Arnold Zisserman (1824-1897) presents a vivid portrait of life, society, travel and adventure in the ever-troubled region at the cross-roads of Europe and Asia. Zisserman also *wrote The History of the 80th Regiment, Prince Bariatinsky Kabardan Infantry* (1881) and *The Biography of Field-Marshal Prince A.I. Bariatinsky* (1891). He was also a contributor to various reviews. (307 words vs 253)

Historical sources Baddeley and Gammer: only 2 major sources; Blanche; Biblio sources Gammer (600 2 in English); Literary sources Pushkin, B-M, Lermontov, Tolstoy,

1829-1859: 30-year duration; High, exotic drama: Scott, Byron; Changes in military strategy; Huge human and environmental cost Yermolov, Paskevich, Tornau, Veliaminov, Voronstov, Potto not translated

Yet every campaign of the Napoleonic wars has been

written up.

No one has a primary interest in translating first-hand accounts into English: Russians had the capabilities (with so much to be left unsaid) and, in governing Caucasia, could do much to control, censor or quash any Georgian, Chechnyan, Dagestani or Azeri versions; though the last three had only limited book publication possibilities.

No fully comprehensive Russian histories of the Caucasian Wars have yet been translated into English. However, three young Russians exiled to the Caucasus in the early – 1820s-30s wrote valuable works in their tragically short lives. Pushkin (1799-1837) – a temporary exile – left poems and a travel journal; Bestuzhev-Marlinsky (1797-1837), a permanent exile, wrote highly popular and ethnographically significant articles, stories and novels; and Lermontov (1814-41), also often in exile, wrote much ne poetry and an acclaimed novel. Later, in the 1850s, Leo Tolstoy saw publication of three short stories based on his own experiences in the Caucasian Wars, followed by *The Cossacks* (1863), a novel presenting an *alter ego*'s temporary escape to live among the warring Russians, Cossacks and Chechens. Finally, in his last years Tolstoy, looking back more than half a century, wrote his much admired *Hadji Murad* (published posthumously in 1912), which retells – with powerful moral implications – a tragic wartime incident that shook even Emperor Nicholas I. In his text, Tolstoy directly draws upon Zisserman's memoirs. The Russian publication of *Twenty-Five Years* is listed in the bibliographies of a few English-language works on the Caucasus and on the Russo-Caucasian War, but direct quotation from it is very rarely found – and only one English historian appears to have discovered that a final section of the memoir did not see publication. This first English-language translation is long overdue: Zisserman, as a lively observer who spoke fluent Georgian and Azeri, who traveled extensively, who fought in many engagements, and whom Prince Vorontsov, Viceroy of the Caucasus, welcomed to his table, has much to tell us on a wide range of Georgian and Caucasian topics.

In his *Twenty-Five Years in the Caucasus: 1842-1867* Zisserman made no claims to being a military historian or an

analyst of Russia's geopolitical strategies. However, he participated in many "expeditions," as local campaigns were termed, and he moved among policymakers and military commanders from Viceroy Vorontsov on down, frequently contributing opinions (not always welcomed) based on personal experience in the field. He was at all times an acute observer of what was actually said and done, and his value lies in the sheer range of his experiences – and the verve and vivid detail with which he presents them. He was by turn an administrator, police official and military officer; he worked with in the field with Georgian princes and Russian generals and with local Muslim headmen; he acted as guide-interpreter to Russia's future emperor Alexander II during part of the heir's visit to the Western Caucasus in 1850. The great Prince Vorontsov valued Zisserman for his knowledge of Caucasian languages and familiarity with civil and military manners, and made him a frequent dinner guest. The young Russian rendered justice, built roads, and survived life-threatening military encounters and adventures in Georgia, Chechnya and Dagestan. Much of interest derives from Zisserman's uninhibited comments on the rigors of military camps and field expeditions and his sketches of daily life, whether among remote mountain communities or in the Viceroy's palace. Also valuable are his descriptions of social and civic changes in the Caucasus and the role of the great magnates, as are his passing mentions of army medicine, military photography, and even scandals in the Viceroy's palace.

Zisserman well deserves translation into English: he was a participant in history – shaping events, not a distant observer, and his comments are often very perceptive. It is hoped that this first presentation of his memoirs will lead to further English-language studies of the man, his contemporaries, his writings and the era.

ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიის შესახებ (“Medieval Georgian Romance *The Man in a Panther-Skin* and Shakespeare’s Late Plays”, ამსტერდამი, 2018)

ანტონი ანდერსონი
ავტორი წიგნებისა: Bread & Ashes; A Walk in the Mountains of Georgia and *British Travellers to Georgia*



პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის არაჩვეულებრივი კვლევა, პირველ რიგში, ავლენს საოცარ კავშირს ელიზაბეტ დედოფლისდროინდელ თეატრსა და დიდ ქართულ ნაციონალურ, მე-12 საუკუნის ეპიკურ ნაწარმოებს – *ვეფხისტყაოსანს* შორის. ეყრდნობა რა ყველაზე ზუსტ ტექსტობრივ ანალიზს, ის უტყუარად წარმოაჩენს ისეთ მნიშვნელოვან მსგავსებებს, როგორიცაა გარემო, თემა, სიუჟეტი, მოქმედება და პერსონაჟი – რაც უდავოდ სცდება არქეტიპების უბრალო დამთხვევას და ავლენს ქართული ეპიკის აშკარა ზეგავლენას შექსპირზე, ბომონტსა და ფლეტჩერზე (კერძოდ *ციმბელინი, ფილასტერი, მეფე და არამეფე*). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ნაწარმოების მოქმედების

არეალად მითითებულია იბერია, რაც კლასიკური საქართველოს სახელია.

ჩნდება ყველაზე საინტერესო კითხვა – როგორ მოხდა ყოველივე ეს? ძლიერი ინტერესი გარესამყაროს მიმართ, ინფორმაციის მოპოვების დიდი სურვილი, ისევე როგორც ელიზაბეტისეული ინგლისის წარმოსახვის გამაოგნებელი ზრდა, ადვილად შესამჩნევია იმ პერიოდის ინგლისის ლიტერატურაში, კერძოდ, დაწყებული *დიდი ტამერლანით (Tamburlaine)* და *მალტელი ებრაელით* (*Jew of Malta)* და დამთავრებული *ოტელოთი* და *ვენეციელი ვაჭრით.* რეალურად, *ტამერლანში* ჩვენ გვხვდება ინგლისურად უძველესი ხსენება *საქართველოსი* (Georgia) და არა *იბერიისა* და *კოლხეთის* სახელებისა, რომლებიც კლასიკურ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე იყო ცნობილი. კიდევ უფრო ადრე, 1356 წელს, საქართველოს შესახებ ჯონ მანდევილმა დაწერა თავის *მოგზაურობანში (John Mandeville – Travels).* საინტერესო ვარაუდები ქართველებისა და ინგლისელების კავშირის თაობაზე ინგლისურ ცნობიერებაში არსებობს ჯერ კიდევ ჯვაროსნული ომებიდან, კონსტანტინოპოლიდან, ბერებისგან, მებრძოლებისა და დიპლომატებისგან და უფრო ადრინდელი ხანიდანაც კი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამყაროს შეცნობა უკავშირდება სწორედ ელიზაბეტის ეპოქას, ცნობილს თავისი მეზღვაურთა აღმოჩენებით, მოგზაურებითა და ვაჭრებით.

ანტონ ჯენკინსონის *ზღვით მოგზაურობანი* და *Muscovy Company* (1558-1571), ანტონი შერლი და მისი თავგადასავლები სპარსეთში (1599) იყო მიზეზი საქართველოსთან მეტად დახლოების. მათი ჩანაწერებით საზრდოობდა იმ პერიოდის ლიტერატურა და ასევე ეგზოტიკის შეცნობის სულ უფრო მეტად მზარდი სურვილი. იმ პერიოდის ბევრ წიგნსა და პიესაში აღწერილი გარემო ძირითად ეყრდნობოდა კარგად ცნობილ ლიტერატურულ ტექსტებს, პოპულარულ ზღაპრებს, მოგზაურობებსა და ისტორიებს.

სწორედ ეს გარემოებები უდევს საფუძვლად პროფესორ ხინთიბიძის მიერ გამოთქმულ ბრწყინვალე აზრებს.

მის მიერ დაადგენილი სავარაუდო კავშირი, რომელიც აახლოვებს შექსპირსა და რუსთაველს ერთმანეთთან, წარმოადგენს ნაშრომის ბრწყინვალე მონაკვეთს–საინტერესოსა და საოცარს. უფრო სავარაუდოა, რომ ამ ამბავმა ინგლისში შეაღწია არა Muscovy-დან ან სპარსეთიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ იმდროინდელი ინგლისის მთავარი მტრისგან – ესპანეთიდან. ესპანეთში ქართული დელეგაციები მოხვდნენ 1495 – 1598 წლებიდან, სადაც ძვირფასი საჩუქრები ჩაიტანეს და, რა თქმა უნდა, თავიანთი კულტურა და ცოდნა. მიმდინარეობდა გაცხოველებული მიმოწერა ამ ორ სამეფო კარს შორის ამ გარდამავალ წლებში. ფლეტჩერი, როგორც ვიცით, საუბრობდა ესპანურად; მნიშვნელოვანი კულტურული გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებით რეფორმაციამდე და მას შემდეგ ბერებისა და მღვდლების მეშვეობით ინგლისსა და ესპანეთს შორის მრავლად ფიქსირდება. როგორც ჩანს, ფლეტჩერმა თავისი ნაწარმოების ფაბულა მთლიანად რუსთაველისგან აიღო. შექსპირი კი, რომელიც არასოდეს გაუშვებდა ხელიდან რაიმე ახალ ინფორმაციას, ბომონტთან და ფლეტჩერთან დაახლოებული პირი გახლდათ.

ყოველივე ეს რუდუნებით მოიპოვა, ახსნა და ნათელი მოჰფინა პროფესორმა ხინთიბიძემ თავის უპრეცენდენტო წიგნში, რომელიც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესი და ძალიან საინტერესო მონაპოვარია აქამდე ინგლისურ-ქართულ აკადემიურ სამყაროში არსებულ კვლევებს შორის. ეს არის უდიდესი მაგალითი კულტურათა, ამბავთა და ინტერესთა კავშირისა მრავალი წლით ადრე, სანამ ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი ერთი ღილაკის დაჭერით გახდებოდა. ამასთან, იგი წარმოადგენს საოცარ საბოძვარს შოთა რუსთაველის ლეგენდარული ეპიკის ძლევამოსილებისა და პოეზიის მიმართ.

ქართველოლოგიური ქრონიკა
CHRONICLE OF EVENTS

On the Monograph "Medieval Georgian Romance *The Man in a Panther-Skin* and Shakespeare's Late Plays" by Elguja Khintibidze

Anthony Anderson
Author of the books: *Bread & Ashes, A Walk in the Mountains of Georgia* and *British Travellers to Georgia*

Professor Elguja Khintibidze's extraordinary studies establish, for the first time, a fascinating connection between English Elizabethan theatre and the great Georgian national 12th century epic by Shota Rustaveli, *The Knight in the Panther Skin*. Based on the most rigorous textual analysis, he demonstrates, seemingly incontrovertibly, that remarkable similarities in theme, setting, plot, action and character – way beyond any mere coincidence of archetypes – show the clear influence of the Georgian epic upon both Shakespeare and Beaumont&Fletcher, particularly in *Cymbeline*, and *Philaster* and *A King No King* with the last actually set in Iberia, the classical name for Georgia.

The most intriguing question is: how did this happen? The staggering explosion of interest in, and information about, the outside world and the equally astonishing enlargement of the English imagination during the Elizabethan era is plain to see in much of the great literature of the time, from *Tamburlaine* and the *Jew of Malta* to *Othello* and *The Merchant of Venice*. In fact, in *Tamburlaine* we find one of the earliest reference to Georgia in English, rather than to Iberia or Colchis, names long

familiar through the classics. Even earlier, in 1356, John Mandeville writes about Georgia in his *Travels,* and there are intriguing possibilities of connections between English and Georgians, certainly of an English consciousness of Georgia, through the Crusades, Constantinople, monks, soldiers and diplomats even before this. But it is really in the Elizabethan age – with the fantastic explorations of the great sailors, travellers and merchants – that the wide world floods in.

The voyages of Anthony Jenkinson and *The Muscovy Company* (1558-1571), of Anthony Shirley and his adventures in Persia (1599), brought Georgia much nearer to home. Both their accounts fed into the literature of the day and the huge and growing appetite for the exotic. The setting for many books and plays of the time were based upon well-known literary texts, popular tales, travels and histories.

All this provided just the right environment for Professor Khintibidze's brilliant account. His establishing of the probable link that draws Shakespeare and Rustaveli together is a wonderful piece of research, both enthralling and surprising: most probably not through *Muscovy* or Persia as one would have expected but through Spain, England's arch-enemies at the time. Georgian embassies arrived there in 1495 and 1598, bearing lavish gifts and, of course, all their culture and learning. A great deal of correspondence flowed between the two courts in the intervening years. Fletcher, we know, spoke Spanish and there are interesting indications of considerable cultural exchange, largely through monks and priests, between England and Spain, particularly before the Reformation but also after. He, particularly, seems to have lifted his plot entirely from Rustaveli. Shakespeare, of course, pillaged everything he could get his hands on and was close to Beaumont & Fletcher.

All this is wonderfully teased out, explained and elucidated in Professor Khintibidze's seminal book, certainly one of the most important and interesting contributions to have come out of the academic world of Georgian-English studies in many years. It is a tremendous example of the astonishing interconnectedness of cultures, of stories, of interests, many centuries before such things were available at the click of a button, and a marvellous tribute to the power and the poetry of Shota Rustaveli's fabulous epic.

ვეფხისტყაოსნის კომენტირებისათვის
COMMENTARIES ON *THE MAN IN THE PANTHER'S SKIN*

ორიოდე კომენტარი *ვეფხისტყაოსნის* ქაჯეთის შესახებ

ელგუჯა ხინთიბიძე
პროფესორი, თსუ

„არ ქაჯნია, კაცნიაო...“ (1246)

ავთანდილმა ფატმანისაგან მოისმინა მისთვის სანატრელი ამბავი, მიაგნო ნესტანის კვალს. ღმერთს მადლობა შესწირა: „ამბავი ჩემი სალხინო მითხრაო ვისმანღა დამან!“ (1244). ავთანდილმა ისიც შეიტყო, რომ ქაჯთა მეფეს, დულარდუხტს ტყვედ შეპყრობილი ნესტანი უფლისწულ როსანის საცოლედ დაუწინდავს. ამას, ბუნებრივია, რომ მოჰყვა ავთანდილის გაკვირვება: „მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა?!“ (1246). ფატმანმა ავთანდილს უმალ უპასუხა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა, არ ქაჯნია, კაცნიაო, მიჰნდობიან კლდესა სალსა“ (1246) და აუხსნა, რომ ამ სამეფოს მკვიდრთ *ქაჯნი* იმიტომ არ უწოდეს, რომ იქ მართლაც *უხორცო* ქაჯები ცხოვრობენ; ისინიც ადამიანები, კაცნი არიან, მაგრამ დაუმარცხებელნი და გრძნეულებაში დახელოვნებული მეომრები:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი;

მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი,
დაწბილებულნი“ (1247).

ქაჯეთის სამეფოს ფატმანისეული აღწერა და იქ მცხოვრებ ქაჯთა დახასიათება ზუსტ შესაბამისობაშია რუსთველის მიერ დახატულ ქაჯეთის სამეფოს რეალობასთან. ქაჯეთი ჩვეულებრივი სამეფოა – მეფით, უფლისწულებით, სატირალში გამგზავრებული სამეფო ოჯახით, საალაფოდ გამოსული მეკობრეებით, ქორწილის სამზადისით და სხვა. ფატმანიც თანმიმდევრულია ქაჯეთის სამეფოს მკვიდრთა რაობის განმარტებისას. იგი ერთი სტროფის შემდგომ კვლავ აზუსტებს თავის ნათქვამს:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“ (1249).

ვფიქრობ, უადგილოა და შეუსაბამოა ფატმანის თხრობაში ჩართული ერთი სხვა სტროფი, რომელშიც ქაჯეთის სამეფოს მკვიდრთა დახასიათება პრინციპულად განსხვავებულ წარმოდგენას ქმნის:

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალთა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
სწადდეს - დღესა ბნელად იქმან, სწადდეს - ბნელსა
ანათლობენ“ (1248).

ამ უკანასკნელი სტროფისეული დახასიათება ზუსტად შეესაბამება ხალხურ წარმოდგენას სწორედ *უხორცო ქაჯებზე,* მავნე სულებზე, რასაც ემიჯნება ქაჯეთის მკვიდრნზე რუსთველისეული შეხედულება.

ჩემი აზრით, ეს სტროფი გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს. უცნობი ინტერპოლატორი ქაჯების პოემისეულ დახასიათებას აზუსტებს და ხალხში გავრცელებულ წარმოდგენას, თვალსაზრისს მავნე სულებზე, ქაჯებზე მწყობრად გადმოსცემს. ამ მოსაზრების არგუმენტირებას მე იმაშიც ვხედავ, რომ ეს ჩანართი (ჩემი აზრით) სტროფი ეწინააღმდეგება *ვეფხისტყაოსნისეულ* კონცეფციას ბოროტის არ არ-

სებობის და ღმერთის მიერ მხოლოდ კეთილის და არა ეშმაკისეული უხორცო სულების შექმნაზე.

ამ უკანასკნელი სტროფის შეუსაბამობას ფატმანისეული თხრობის კონტექსტთან შესაბამის ეპიზოდში რუსთველისეული ლექსწყობაც მიანიშნებს. ქაჯების ფატმანისეულ დახასიათებას რუსთველი დაბალი შაირით იწყებს („ქაჯნი სახელად მათ ჰქვიან...“ – 1247) და ისევ დაბალი შაირით აგრძელებს 1249-ე სტროფში („ამისთვის ქაჯად უხმობენ...“ – 1249). მათ შორის კი, ჩართულია, ჩემი აზრით, ინტერპოლატორის მაღალი შაირით დაწერილი სტროფი („იქმან რასმე საკვირველსა“ – 1248).

„ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია...“ (1320)

ავთანდილი ნესტანის პოვნის ამბავს თავდაპირველად ფრიდონს აცნობებს, ამზადებს მეფეს უთანასწორო ბრძოლისათვის: „ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია“ (1320). ეს ფრაზა *ვეფხისტყაოსნის* მკვლევარს უთუოდ დააფიქრებს ქაჯეთის ციხეში ნესტანის გარემოცვაზე. ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ქაჯები დაამარცხეს თუ ნესტანის მცველი მეომრები?

ზემოთ მოხმობილი სტროფი ამგვარად შეიძლება განიმარტოს: ნესტანს ძნელად საომარი სპა იცავს, ხოლო ქაჯები ჯერ არ დაბრუნებულან. ამგვარ გააზრებას თითქოს პოემის სხვა კონტექსტებიც ადასტურებენ:

ფატმანის ნესტანთან მიწერილ წერილში პირველივე შეკითხვა იმას შეეხებოდა, იყვნენ თუ არა ქაჯები დაბრუნებულნი შორეული მგზავრობიდან: „მოსრულანა ქაჯნი შინა? მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა“ (1273). ნესტანმაც არ დააყოვნა პასუხი: „ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე, მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ...“ (1287). ქაჯეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლად გალაშქრება იმთავითვე უპირველეს ამოცანად იქნა დასახული: „თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძ-

ნელდების“ (1313); „თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა“ (1385);

ხომ არ უნდა დავასკვნათ: ქაჯები დულარდუხტ მეფეს თან წაუყვანია, ნესტანის მცველად კი უამრავი და ძნელად საომარი სპა დაუტოვებია? მაგრამ....

თუ ამგვარ გააზრებას დავეყრდნობით იმ აზრამდე მივალთ, რომ ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს ქაჯები კი არ დაუმარცხებიათ, არამედ ქაჯეთის სამეფოში მცველად დატოვებულ მეომართ სძლიეს. რუსთველი კი მათ ქაჯების წინააღმდეგ საომრად ამზადებდა: ქაჯეთზე გალაშქრების წინ ტარიელმა და ავთანდილმა დევთა შენახულ განძეულში ერთი კიდობანი გახსნეს –

„ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი ალმასი ხრმალი ბასრისა, მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
უმისჟამისოდ ვინც გაჰხსნის, არის მეფეთა მკლველიო“
(1368);

კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი...“ (1369).

ნესტან-დარეჯანის მოწმობითაც მას ქაჯები იცავენ. იგი ფატმანს სწერდა:

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯერ ათასი გმირები“
(1286).

ასე რომ, როგორც ვხედავთ ქაჯეთის მკვიდრთა და ნესტანის მცველთა ვინაობის საკითხი, რაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშიც არც თუ იშვიათად დასმულა, ორგვარად შეიძლება განიმარტოს. მით უფრო, რომ თვით ქაჯნი პოემაში არაერთგვაროვნადაა იდენტიფიცირებული.

ჩემი აზრით, პოემის სტროფი, რომელიც ქაჯებს არახორციელ არსებებად ახასიათებს (1248), არარუსთველუ-

რია. ამ პოზიციიდან კი დასმული საკითხი უფრო სარწმუნოდ გადაწყდება: ზემოთ მოყვანილი მრავალგზისი დამოწმება იმ სტროფებისა, რომ ქაჯნი დაბრუნებულნი არ არიან („არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე“ და სხვ.) ქაჯეთის მეფესა და მის თანამგზავრ-მხლებლებზე მითითებად უნდა მივიჩნიოთ. ეს სიტყვები იმგვარად უნდა გავიაზროთ, რომ ქაჯთა მეფე თავისი დიდი ამალით და გრძნეულების მცოდნე მეომრებით შორეულ და სახიფათო გზაზეა წასული და ჯერ არ დაბრუნებულა:

„ყოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია,
მით რომე გზა საჭიროა, მტერნი საომრად მზანია“ (1241).

ვფიქრობ, არაა საკვირველი, რომ შუა საუკუნეების პოეტი „ქაჯთა დაბრუნებაში“ გულისხმობდეს სწორედ ქაჯეთის მეფის, მისი ამალის და მისი ლაშქრის მობრუნებას. ბუნებრივია, რომ შუა საუკუნეების პოეტმა თუ მემატიანემ შორეულ ლაშქრობაში საბრძოლველად წასული მეფე და მისი ლაშქარი მათივე ქვეყნის სახელით მოიხსენიოს.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ქაჯეთის ციხის დალაშქვრისას ფრიდონი მიიჩნევს, რომ იგი ქაჯებს ებრძვის და არა ქაჯთაგან დატოვებულ მცველებს: „მაგა ცხენსა ჩემეულსა წამოასწრობს კართა ვერა; ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა“ (1405).

დავუბრუნდეთ განსამარტავ ტაეპს – „ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია“ (1320). ეს სიტყვები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ქაჯნი ჯერ არ შეხებიან ქალს, მაგრამ მას ძნელად საბრძოლველი მეომრები იცავენ.

საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: საქართველოს ისტორია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (NN 1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. დამაარსებელი და მთავარი რედაქტორია ელგუჯა ხინთიბიძე. 2011-2013 წლებში ჟურნალი ფინანსდებოდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, რუსთაველის ფონდის გრანტით.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; ბუაჩიძე გასტონ (ქართველოლოგი) – საფრანგეთი; დობორჯგინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო

(ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; ნოცუნი პრშემისლავ (არქეოლოგია) – პოლონეთი; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (მედიევისტიკა) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურღაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს საგამომცემლო ჯგუფი:
ხინთიბიძე ელგუჯა, რუსიეშვილი მანანა, მელიქიძე თამარ, გულიაშვილი სოფიო, ვარდოსანიძე ცირა, ჯავახაძე ირინა.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ტელ.: 99532 2 29 08 33;
ფაქსი: 99532 2 25 25 01
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com: kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge

© Kartvelologist
Fund for Kartvelian Studies,
13, Chavchavadze Ave., TSU
0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 99532 2 29 08 33
Fax: 99532 2 25 25 01
Email: kartvcentre@hotmail.com: kartvelologist@gmail.com
Website: kartvelologi.tsu.ge

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel. 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36